

# ენათმეცნიერების საკითხები

ISSN 1512-0473



2021-2022

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University


ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

ენათმეცნიერების საპითხები

**ISSUES OF LINGUISTICS**

2021-2022



## **სარგებლობის საბჭო:**

ვ. ბოედერი, ნ. გაფრინდაშვილი, ი. გიპერტი, დ. თვალთვაძე, ბ. უტიქი,  
ჰ. ფერიხი, მ. შანიძე, ა. ჰარის

## **EDITORIAL COUNCIL:**

W. Boeder, H. Fähnrich, N. Gaprindashvili, J. Gippert,  
A. Harris, B. Outtier, M. Shanidze, D. Tvaltvadze

## **სარგებლობის კოლეგია:**

რ. ასათიანი, თ. ბოლქვაძე, მ. ივანიშვილი, ი. ლეუჯავა (რედაქტორი),  
დ. მელიქიშვილი, ე. სოსელია, ლ. ქეცბა-ხუნდაძე, რ. ქურდაძე, მ. ჯიქია

## **EDITORIAL BOARD:**

R. Asatiani, T. Bolkvadze, M. Jikia, M. Ivanishvili, L. Ketsba-Khundadze,  
R. Kurdadze, I. Lezhava (Editor), D. Melikishvili, E. Soselia

*უკანასკნებულია 1999 წელს თამაზ გამყრელიძისა და  
ზურაბ სარჯველაძის მიერ*

*The journal was founded in 1999 by Thomas V. Gamkrelidze  
and Zurab Sarjveladze*

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

Published by the decision of Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing Board

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
გამომცემლობა, 2023

© Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2023

ISSN 1512-0473

## შინაარსი

ლია აბულაძე, ანდრეას ლუდენი, უარყოფის ნაწილაკები ქართულში .....	5
<i>Lia Abuladze, Andreas Ludden, The Negative Particles in Georgian .....</i>	16
რუსულან ასათანი, ენობრივ ფორმათა ფუნქციური „კლასტერები“ სხვადასხვალინგვისტურ დონეზე ქართულში .....	18
<i>Rusudan Asatiani, Functional “Clusters” of Linguistic Forms at Different Linguistic Levels in Georgian .....</i>	26
ციური ახვლებანი, გიორგი გუჯარაძე, ფრანგული და ინგლისური ენების სიტყვამაწარმოებელ სისტემათა შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი .....	28
<i>Tsiuri Akhvlediani, Giorgi Kuparadze, A Comparative-contrastive Analysis of French and English Word Formation Systems .....</i>	32
კახა გაბუნია, ზმრური კონსტრუქციების აგებისას დაშვებული შეცდომების ანალიზი არაქართულენოვანი (სომხურ- და აზერბაიჯანულენოვანი) მოსწავლეების მეტყველებაში .....	34
<i>Kakha Gabunia, The Analysis of Mistakes Made in the Verb Constructions in the Speech of Non-Georgian (Armenian and Azerbaijani) Students .....</i>	48
რუსულან გერსამია, კორპუსული ლემატიზაცია (თანამედროვე ქართული ენის კორპუსების ანალიზი) .....	49
<i>Rusudan Gersamia, Corpus-based Lemmatization (An Analysis of Corpora of Contemporary Georgian) .....</i>	70
მარინა ივანიშვილი, რასმუს რასკი ქართული წერისა და ტრანსლიტერაციის შესახებ და მის მიერ თბილისში შეძენილი წიგნები .....	72
<i>Marine Ivanishvili, Rasmus Rask about the Georgian Writing and Transliteration and the Books Bought by him in Tbilisi .....</i>	82
გია კვაშილავა, მათემატიკური და ეკონომიკური აღრიცხვის სისტემების საკითხისათვის (ძვ.წ. IX-I ათასწლეულებით დათარიღებული არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით) .....	84
<i>Gia Kvashilava, On the Mathematical and Economic Account Systems (According to Archaeological Materials Dated Back to the IX-I Millennia BC) .....</i>	125
ზაალ კიქიძე, ლევან ფაჩულია, ერთი ადრეული ინგლისურ-კავკასიური ლექსიკოგრაფიული რესურსის შესახებ (დ. რ. პიკოვი და მისი მასალები) .....	126
<i>Zaal Kikvidze, Levan Pachulia, On an Early English-Caucasian Lexicographic Resource (D. R. Peacock and his Materials) .....</i>	143
ივანე ლეზავა, ქართულ მედერ მსკდომ თანხმოვანთა წარმოთქმის თავისებურებები .....	145
<i>Ivane Lezhava, Peculiarities of Pronunciation of the Georgian Voiced Plosive Consonants .....</i>	150
ირაკლი სალია, ომონიმია – საკლასიფიკაციო კრიტერიუმები და მისი პლისემის გამიჯვნის მეთოდები .....	178
<i>Irakli Salia, Homonymy – Qualification Criteria and Methods of Differentiation for Homonymy and Polysemy .....</i>	190

ეთერ სოსელია, „ძირის გლოტოქრონოლოგია“ ანუ „ეტიმოლოგიური ლექსიკოსტატისტიკა“ .....	191
<i>Ether Soselia, “Root Glottochronology” or “Etymologocal Lexicostatistics” .....</i>	198
<b>თარგმანი</b>	
ლუის ბრეივერი და უნივერსიტეტის მეტყველება (თარგმნა ზურაბ ბარათაშვილმა) .....	199
<b>რეცენზიები</b>	
ზორა ტუდუში, ვურული ლექსიკონი, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი 2022 (რუსული ასათიანი, ეთერ სოსელია) გიგი დოლიძე 100 .....	211
	214

## უარყოფის ნაწილაკები ქართულში

უარყოფის ნაწილაკები ქართულში, ისევე როგორც ბევრ სხვა ენაში, შეიძლება დაიყოს ნაწილაკებად, რომელიც შეკითხვაზე საპასუხოდ გამოიყენებიან და წინადადებისგან გამოყოფილი არიან (აკაკი შანიძე მათ უკუთქმით მიგებით ნაწილაკებს უწოდებს (შანიძე 1973:610), და ისეთებად, რომელიც წინადადებაში (მის შიგნით) იხმარებიან. პირველ ჯგუფს, ანუ უკუთქმით მიგებით ნაწილაკებს, ეპუთვნის ნაწილაკები: **არა** და **ვერა**.

მაგალითად: (1) a. ჩააბარე გამოცდა? – არა.

b. ჩააბარე გამოცდა? – ვერა.

ამ პასუხებიდან **არა** არის ზოგადად უარყოფითი პასუხი, რომელიც არ ჩანს, თუ რატომ არ შესრულდა მოქმედება, რა იყო ამის მიზეზი: გამოსაცდელის ან გამოცდელის ნება, თუ რაიმე სხვა გარემოება.

თუ კითხვაზე პასუხია **ვერა**, ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ მოპასუხე უცადა გამოცდის ჩაბარებას, ან, სულ მცირე, განზრახვა მაინც ჰქონდა, ეს გაეკეთებინა, მაგრამ ვერ შეძლო ჩაბარება (ჩაიჭრა), ან რაიმე სხვა მიზეზის გამო შეეშალა ხელი გამოცდის ჩაბარებაში. რა მიზეზიც უნდა ყოფილიყო, ეს სულერთია, პასუხი ვერა გვიჩვენებს, რომ მოპასუხეს უნდოდა ჩაბარება, მაგრამ არ გამოუვიდა, მისი მცდელობა ან განზრახვა არ იქნა რეალიზებული.

მეორე ჯგუფის უარყოფითი ნაწილაკები, რომელიც წინადადების შიგნით იმ ზმნის წინ იხმარებიან, რომლის მიერ აღნიშნული მოქმედების ან მდგომარეობის უარყოფა ხდება, მიგებითი ნაწილაკების შემოკლებულ ვარიანტებს წარმოადგენს: **არ**, **ვერ**. ეს ნაწილაკები შეიძლება ფაკულტატიურად სრული სახითაც შეგვწდეს, მაგალითად, თანხმოვნით დაწყებული ერთმარცვლიანი ზმნების (არა მაქს), ან ორი ან მეტი თანხმოვნით დაწყებული ზმნების წინ (ვერა გვთხოვს, ვერა გვკითხა?). ამავე ჯგუფს ეკუთვნის მესამე უარყოფითი ნაწილაკი **ნუ**, რომელიც მხოლოდ ბრძანებით წინადადებებში იხმარება. აკაკი შანიძის სიტყვებით, **არ** გამოხატავს მოქმედების ან მდგომარეობის მარტივ უარყოფას, **ვერ** – მოქმედების

<sup>1</sup> ეს სტატია არის 2007 წელს ბოზუმში წაკითხული მოხსენების რედაქტირებული ვარიანტი. თავდაპირველად გერმანულად გამოქვეყნდა 2008 წელს. მადლობას ვუხდით პროფ. ნინო ჭუმბურიძეს, რომელიც მონაწილეობდა მის გადმოქართულებაში.

შესაძლებლობის უარყოფას, ხოლო ნუ – მოქმედების აკრძალვას (შანიძე 1973: 611).<sup>2</sup>

არ(ა) ამ ნაწილაკებს შორის ყველაზე უფრო ზოგადი ხმარებისაა, რადგან მას შეუძლია ჩაანაცვლოს როგორც ნუ ნაწილაკი (ნუ დახურავ ფანჯარას! // არ დახურო ფანჯარა!), ასევე ვერ ნაწილაკიც (ხელი მტკივა და ვერ ვწერ // ხელი მტკივა და წერა არ შემიძლია).

## ნუ და არ

განვიხილოთ, პირველ რიგში, უკუთქმითი ბრძანებითის (ნეგატიური იმპერატივი) ნაწილაკები: ნუ და არ. კიტა ჩხერიელი თავის წიგნში „ქართული ენის შესავალი“ Einführung in die georgische Sprache) მათ შემდეგნაირად ახასიათებს: „მკაცრი აკრძალვის შემთხვევაში ნეგატიური იმპერატივის გამოსახატავად იხმარება ზმნის აწყოს ან მყოფადის ფორმები, რომელთა უარყოფა არა არ ნაწილაკით, არამედ ნუ ნაწილაკით არის გამოხატული. მაგალითად:

2. პირი, მხ. და მრ. რიცხვი:

ნუ (და-)წერ (შენ)! – Schreibe nicht! ნუ (და-)წერ-თ (თქვენ)! – Schreibt nicht!  
Schreiben Sie nicht!

1. პირი, მრავლობითი რიცხვი:

ნუ (და-)ვ-წერ-თ (ჩვენ)! – Schreiben wir nicht!

3. პირი, მხ. და მრ. რიცხვი:

ნუ (და-)წერ-ს (ის) – Er schreibe nicht! Er soll nicht schreiben!

ნუ (და-)წერ-ენ! – Sie sollen nicht schreiben!

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ არა მკაცრი აკრძალვის, არამედ რაიმე მოქმედების არშესრულებისკენ მოწოდების გამოხატვის სურვილი გვაქვს, მაშინ ნეგატიური იმპერატივის გამოსახატავად ვიყენებთ არ ნაწილაკსა და ზმნის II კავშირებითის (ოპტატივის) მწკრივის ფორმას:

მე-2 პირი, მხ. და მრ. რიცხვი:

არ (და-)წერ-ო (შენ)! – Du sollst nicht schreiben! Schreibe (doch) nicht!

არ (და-)წერ-ოთ (თქვენ)! – Ihr sollt / Sie sollen nicht schreiben! Schreibt ihr /  
Schreiben Sie (doch) nicht!

1-ლი პირი, მრ. რიცხვი:

არ (და-)ვ-წერ-ოთ (ჩვენ)! – Lasst uns nicht schreiben! Wir wollen nicht schreiben!

მე-3 პირი, მხ. და მრ. რიცხვი:

არ (და-)წერ-ოს (იმან)! – Er soll nicht schreiben! Möge er (doch) nicht schreiben!

<sup>2</sup> როგორც აკაკი შანიძე შენიშნავს, ამ უკუთქმით ნაწილაკებს სხვა ნაწილაკებიც შეიძლება დაერთოს., მაგ.: -და, -ც(ა). ჩვენ მათ აქ არ შევეხებით.

არ (და-)წერონ (იმათ)! – Sie sollen nicht schreiben! Mögen sie (doch) nicht schreiben!” (Tschenkeli 1958:187-188.

ჩხენკელის ამ თვალსაზრისის საპირისპირო სურათს იძლევა მაგალითები ქართული ლიტერატურიდან:

- (2) „ნუ, ნუ დამღუპავ, შენი კვრესამე“. – ევედრება გლეხი ბატონს ილია ჭავჭავაძის პოემაში „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდა“. რა თქმა უნდა, გლეხი კი არ უბრძანებს, არამედ სოხოვს, ეხვეწება თავის ბატონს. ასევე მხოლოდ თხოვნასა და მუდარას (და არა ბრძანებას) გამოხატავს შემდეგი სტროფი:

- (3) „ნუ იქ მაგასა, შენ გენაცგალე, ნუ მიზამ მაგას, დამთმე შვილი!“

აკაკი წერეთლის ცნობილ ლექსში, რომელიც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ დაიწერა, მხცოვანი პოეტი ამ დაუჯერებელი ამბის გაგებისთანავე მკითხველს ან საზოგადოებას, ხალხს, ვედრებით მიმართავს:

- (4) „ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას, ნუ, ნუ მეტყვით, რაც არ მჯერა, ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა საქართველოს ბედისწერა.“ ეს სიტყვები თხოვნაა, მუდარაა და არა ბრძანება.

ყოველდღიურ მეტყველებაში ხშირად იხმარება გამოთქმა: (5) „ღმერთო, ნუ მიწყენ!“ ჩვეულებრივ, ამ თხოვნით მივმართავთ ღმერთს რაიმე ცოდვის, ღვთის-თვის არასასურველი, არმოსაწონი საქციელის ჩადენის, მაგალითად, რაიმე მკრეზელური აზრის გამოთქმის, წინ. ეს გამოთქმა მხოლოდ თხოვნას, ვედრებას გამოხატავს. ადამიანს არ შეუძლია, ღმერთს რამე უბრძანოს.

ვფიქრობთ, ეს მაგალითები საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ ნუ ნაწილაკით გამოხატული ბრძანება უმეტეს შემთხვევაში უფრო თხოვნაა და არა მკაცრი აკრძალვა.

აქვე გვინდა შევნიშნოთ ისიც, რომ ნუ ნაწილაკით გამოხატული ნეგატიური იმპერატივი ზოგჯერ დათმობის კონტაციასაც იძებს (განსაკუთრებით ზმნის 1-ლი და მე-3 პირების ფორმებთან). მაგალითად, (6) a. ნუ დაწერს – შეიძლება ნიშნავდეს იმის დაშვებას, რომ მოქმედება არ არის აუცილებლად შესასრულებელი (არ არის აუცილებელი დაწეროს), მაშინ როცა (6) b. არ დაწეროს უფრო ნიშნავს, რომ მოქმედება იკრძალება, ის არ უნდა შესრულდეს. მოვიყვანოთ ერთი სტროფი ბარათაშვილის ლექსიდან „მერანი“:

- (7) „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,  
(8) ნუ დამიტიროს სატრუმ გულისა, (9) ნუდა დამეცეს ცრემლი მწუხარის,  
შავი ყორანი გამითხრის საფლავს, მდელოთა შორის ტიალის მინდვრის,  
და ქარიშხალი ბვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის“.

აქ ნუ ნაწილაკი ზმნების 1-ლი და მე-3 პირების II კავშირებითის (ოპტატივის) ფორმებთან ერთად (ნუ დავიმარხო, ნუ დამიტიროს, ნუ-და დამეცეს) გამოხატავს შინაარსს: დაე არ...<sup>3</sup>

ამრიგად, ნეგატიური (უარყოფითი ან უკუთქმითი) ბრძანება ქართულში ორი ნაწილაკით (არ, ნუ) და ზმნის სხვადასხვა ფორმით გამოიხატება. ვერ ნაწილაკის ხმარება გამორიცხულია ლოგიკურად, რადგან ის შესაძლებლობის უარყოფას ნიშნავს, რაც ბრძანებას არ ექვემდებარება.

### არ და ვერ

ახლა განვიხილოთ უარყოფის ნაწილაკები არ და ვერ. დავაკვირდეთ მათ ხმარებას. შევადაროთ ერთმანეთს ორი წინადადება:

(10) a. დავითი სახლს არ აშენებს.

b. დავითი სახლს ვერ აშენებს.

(10) a. გამოხატავს უბრალოდ იმ ფაქტს, რომ დავითი სახლს არ აშენებს, ხოლო (10) b. დამატებით იმასაც გვეუბნება, რომ დავითის არ შეუძლია სახლის აშენება (შეიძლება მას უნდა და ცდილობს კიდეც სახლის აშენებას, მაგრამ ეს რაღაც მიზეზის გამო არ გამოსდის). ამრიგად, არ უბრალოდ უარყოფას გამოხატავს, ვერ კი არის ეწ. "ability negator" (ანუ უნარის, შესაძლებლობის უარყოფის) გამომხატველი.

ახლა (10) a. da b. წინადადებებში ჩავანაცვლოთ ზმნის აწმყოს მწერივის ფორმა წყვეტილით (აორისტით):

(10) c. დავითმა სახლი არ ააშენა.

d. დავითმა სახლი ვერ ააშენა.

(10) c. წინადადებაში ზმნის არ ნაწილაკიან უარყოფაში იგულისხმება ის ფაქტი, რომ დავითმა სახლი არა მარტო უბრალოდ არ ააშენა, არამედ არც ჰქონდა ასეთი სურვილი ან განზრახვა, რომ სახლი აეშენებინა, ხოლო ვერ ნაწილაკიანი (10) d. წინადადება გამოხატავს, რომ დავითს, მართალია, უნდოდა სახლის აშენება და სცადა კიდეც, დაიწყო მშენებლობა, მაგრამ ვერ მოახერხა მისი განხორციელება, რაღაც გარემოებამ ხელი შეუშალა. თუ ჩვენ მარტივად მხოლოდ იმ ფაქტის აღნიშვნა გვინდა, რომ დავითის სახლი არ არის აშენებული, მაშინ

<sup>3</sup> შდრ. ამ სტროფის პასტერნაკისეული რუსული თარგმანი:

Пусть я не буду дома погребён,  
Пусть не рыдает обо мне супруга,  
Могилу ворон выроет, а вьюга  
Завоет возвращаясь с похорон.

აქვე გვინდა გაპვრით შევნიშნოთ, რომ ფუნქციის მიხედვით ნაწილაკების დახასიათებისას ა. შანიძე დაუ ნაწილაკზე წერს, რომ „ის იხმარება მე-3 პირის ბრძანებითი კილოს გასაძლიერებლად“ (შანიძე 1973:613). ჩვენი აზრით, ამ ნაწილაკს უფრო დათმობის გამოხატვის ფუნქცია აკისრია.

შეგვიძლია (10) c. და d. წინადადებებში გამოხატული მნიშვნელობების კონტაქტის თავი დავაღწიოთ არ ნაწილაკიანი ზმნის აორისტის ფორმის I თურმეობითით (პერფექტით) ჩანაცვლების გზით:

10) e. დავითს სახლი არ აუშენებია.

ე.ი. მარტივი უარყოფა გამოიხატება არ ნაწილაკითა და ზმნის პერფექტის ფორმით. მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი:

(11) გაგზავნე საბუთები გერმანიაში? – არა, არ გამიგზავნია.

თუ პასუხში არ ნაწილაკიანი ზმნა აორისტის ფორმით იქნება წარმოდგენილი (არ გავგზავნე), მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მოპასუხეს არ უნდოდა, არ აპირებდა საბუთების გაგზავნას (Abuladze, Ludden, 2006:236).

ზემოთ ნათქვამის ნათელსაყოფად კიდევ ერთი მაგალითი:

12) a. ანტონმა წიგნი არ იყიდა.

b. ანტონმა წიგნი ვერ იყიდა.

c. ანტონს წიგნი არ უყიდია.

ამ წინადადებებიდან (12) a. გვიჩვენებს, რომ ანტონს წიგნი ნაყიდი არ აქვს, რადგან არც ჰქონდა ამის განხრახვა, არც უნდოდა მისი ყიდვა, b. გვიჩვენებს, რომ მან წიგნი ვერ იყიდა (თუმცა უნდოდა ყიდვა), რადგან არ ჰქონდა ამის შესაძლებლობა: ან საკმარისი ფული არ ჰქონდა, ან წიგნი ადარ დახვდა... c. კი უბრალოდ იმ ფაქტის დადასტურებაა, რომ ანტონს წიგნი არ აქვს ნაყიდი, მოქმედება არ არის შესრულებული, სულერთია, რა მიზეზით. ქართული ენის გრამატიკისადმი მიძლვნილ სპეციალურ ლიტერატურაში მითითება არ ნაწილაკის განხვავებულ კონოტაციებზე იმის მიხედვით, თუ რა ფორმითაა წარმოდგენილი მისი მომდევნო ზმნა, ხშირად გვხვდება. მაგალითად, კ. ჩხერიმელთან ვგითხელობთ: „ჩვეულებრივ აორისტის ფორმა არ უარყოფის ნაწილაკთან ერთად მხოლოდ მაშინ იხმარება, როცა უარყოფილია არა ფაქტი, ანუ საკუთრივ მოქმედება, როგორც ასეთი, არამედ უფრო მეტად მისი განხორციელების სურვილი ან განხრახვა (კ. ჩხერიმელის ხაზგასმა). ე.ი. წინადადებებს, რომლებშიაც ამ ფორმითაა გამოხატული უარყოფა, საფუძლად მოქმედების განხორციელების სურვილის (ან განხრახვის) არქონა უდევს; მაგ., დაწერე შენ ის წერილი? – არა, მე ის არ დავწერე (იმ აზრით, რომ არ მინდოდა დამეწერა). რატომ არ დაწერე შენ ის წერილი? (იმ აზრით, თუ რატომ თქვი უარი მის დაწერაზე, რატომ გადაწყვიტე, ის არ დაგეწერა?)“ (Tschenkeli 1958:171). სხვა ადგილას (Tschenkeli 1958:495) ჩხერიმელი ცდილობს ახსნას, თუ როდის იხმარება არ ნაწილაკთან ზმნის პერფექტის (I თურმეობითის) ფორმა, და ამისათვის ევიდენციალობის კატეგორიას მიმართავს. მისი შსჯელობით: თუ საკუთრივ მოქმედების უარყოფასთან გვაქვს საქმე, ე.ი. მოქმედება არ შესრულებულა, არ განხორციელებულა და შეუსრულებელი მოქმედება გამორიცხულია ვინმეს ჰქონდეს ნანახი; მაშასადამე, ლოგიკურად სწორია უარყოფითი მოქმედების გამოხატვა ზმნის „უნახავი“ ფორ-

მით და ამიტომაც მოქმედების უარყოფის დროს არ ნაწილაკთან მხოლოდ ზმნის „უნახავი წარსულის“ ანუ I თურმეობითის (პერფექტის) ხმარებაა შესაძლებელი.

ოპოზიციას, რომელიც არსებობს არ ნაწილაკითა და, ერთი მხრივ, ზმნის აორისტისა და, მეორე მხრივ, პერფექტის (I თურმეობითის) ფორმებით გამოხატულ უარყოფით შინაარსებს შორის, გახაზავს აგრეთვე მარჩელო ჩერჩი, რომლის აზრით, პირველ მათგანში მარკირებულია ინტენციური (გამიზნული) უარყოფა, ხოლო მეორე – არ არის მარკირებული ამ თვალსაზრისით (Cherchi 1997: 262-263).

ვინფრიდ ბოედერიც შენიშნავს, რომ უარყოფით წინადადებაში ჩვეულებრივ ზმნის პერფექტის ფორმა იხმარება: (ის) არ მოსულა; ხოლო (ის) არ მოვადა ნიშნავს: (მას) არ უნდოდა მოსულა (Boeder 2005:30).

გვინდა შევნიშნოთ, რომ ზმნის პერფექტის (I თურმეობითის) ფორმასთან შეიძლება ვერ ნაწილაკიც შეგვხვდეს, მაგ., (10) e. დავითს სახლი ვერ აუშენება. ამ წინადადებიდან ჩანს, რომ მოქმედმა ეს ფაქტი საკუთარი გამოცდილების (ნანახის) წყალობით კი არ იცის, არამედ სხვისგან აქვს გაგებული. სხვა სიტყვებით: ამ წინადადებაში მარკირებულია ევიდენციალობა ვერ ნაწილაკითა და ზმნის I თურმეობითით. გერმანულში იგივე შინაარსი ლექსიკური საშუალებით გადმოიცემა, კერძოდ, ზმნიზედით *angeblich*: *Angeblich konnte David das Haus nicht bauen.* ამ გერმანული წინადადების ქართულად თარგმნისას ზმნიზედის მნიშვნელობის გამოხატვა თურმე ნაწილაკითაც არის შესაძლებელი: (10) f. თურმე დავითს სახლი ვერ აუშენება, ან: g. თურმე დავითმა სახლი ვერ ააშენა. ორივე ეს წინადადება ერთნაირი მნიშვნელობის მქონეა, თუმცა პირველში უნახაობის კატეგორია ორგზისაა გადმოცემული (თურმე ნაწილაკითა და I თურმეობითის ფორმით).

ჩვეულებრივ, ამგვარი უარყოფა (ვერ + I თურმეობითი) უმეტესად მესამე პირთან შეიმჩნევა და არა, მაგ., პირველ პირთან, რადგან მოლაპარაკებ საკუთარი გამოცდილებით (და არა სხვისი გადმოცემით) იცის, რა მოქმედება აქვს შესრულებული, ამიტომ ევიდენციალობის კატეგორია I პირთან ელემენტარული ლოგიკის მიხედვით გამორიცხული უნდა იყოს, თუმცა, რადგან ენა ყოველთვის ლოგიკას არ ექვემდებარება, აქაც შესაძლებელია საპირისპირო შემთხვევები (მაგ., „ვერ ამიშენებია სახლი და ეგაა!“ – ვიტყვი, თუ ვაპირებდი სახლის აშენებას და შეიძლება დავიწყე კოდეც მშენებლობა, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ მასალა ძალიან გაძვირდა და ხელმოცარული დავრჩი).

არ და ვერ ნაწილაკების დისტრიბუცია ბოლო წლებამდე ნაკლებად იყო შესწავლილი. გამონაკლისია მარჩელო ჩერჩის მონოგრაფია „თანამედროვე ქართული მორფოსინტაქსი“. ადრე ერთგვარად, თითქოს თავისთავად იგულისხმებოდა, რომ ორივე ეს ნაწილაკი უარყოფის გამოსახატავად ყველა ზმნასთან შეიძლება იხმარებოდეს. ზმნების საკმაოდ დიდი სიმრავლისთვის ეს მართლაც ასეა, მაგრამ არა ყველასთვის.

ახლა შევაჯამოთ ყველაფერი, რაც უკვე იყო ნათქვამი და განვიხილოთ საკითხი: შესაძლებელია თუ არა უარყოფითი ნაწილაკების ხმარების მიხედვით, ზოგადად, ზმნების დაყოფა სამ ჯგუფად, ანუ ისეთ ზმნებად, რომლებთანაც უარყოფის გამოსახატავად მხოლოდ არ ნაწილაკი იხმარება, ისეთებად, რომლებთანაც უარყოფის გამოსახატავად მხოლოდ ვერ ნაწილაკი იხმარება და, ბოლოს, ზმნებად, რომლებთანაც უარყოფის გამოხატვა ორივე ამ უარყოფითი ნაწილაკითაა შესაძლებელი, და თუ ეს შესაძლებელია, როგორია ის სემანტიკური მახასიათებლები, რომლებიც ამ განსხვავებული ჯგუფების არსებობას განაპირობებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ განვიხილავთ უარყოფითი ნაწილაკების პროტოტიპულ ხმარებას, რადგან ყოველთვის შეიძლება მოიძებნოს ისეთი კონტექსტი, რომელშიც ამ ნაწილაკების უჩვეულო, არატიპური ხმარებაც იქნება დასაშვები.

როგორც უკვე შენიშნეთ, ძალიან ბევრ ზმნასთან ორივე ნაწილაკი გვხვდება:  
არ წერს – ვერ წერს

არ აკეთებს – ვერ აკეთებს

არ იმაღლება – ვერ იმაღლება

არ თამაშობს – ვერ თამაშობს

არ ინძრევა – ვერ ინძრევა

და ა.შ.

ეს ზმნები დინამიკური ზმნებია და მათთან შესაძლებელია როგორც მოქმედების მარტივი უარყოფის, ასევე მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამოხატვაც.

დინამიკური ზმნებისაგან განსხვავებით, სტატიკურ ზმნებთან უარყოფის გამოსახატავად უმეტესად არ ნაწილაკი იხმარება:

არ წერია, არ ჰკიდია, არ გდია, არ ხატია, არ წუხს და ა.შ.

მარჩელო ჩერჩი ამგვარ ზმნებს ირეგულარული (უწესო) ულლების ზმნების ჯგუფში აერთიანებს და მათ D კლასს უწოდებს. D კლასში შემავალი ზმნების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად ჩერჩის ის მიაჩნია, რომ ეს ზმნები ვერ უარყოფით ნაწილაკთან ერთად არ გვხვდებიან (“the nonoccurrence of Class D verbs with the ability negator *ver* (*cannot*)” – (Cherchi 1997:122).

D კლასის ზმნებს ჩერჩი შემდეგ სემანტიკურ ჯგუფებად ყოფის:

ფიქრისა და გრძნობის გამომხატველი: ჰგონია, ახსოვს, უხარია.

სხეულის შეგრძნებების და მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნები: სტკივა, სძინავს,

შესაძლებლობის: შეუძლია,

აღქმის: ესმის,

ქონების: აბადია, აქვს, ჰყავს,

სურვილის ან მოთხოვნილების: სურს, შია, სწყურია.

ამავე კლასში შედიან ზმნები, რომლებიც გარემოს პირობებს გამოხატავენ, მაგ.: ბნელა, გრილა, ცხელა, ცივა.

ზმნები, რომლებიც ადგილმდებარეობას გამოხატავენ: გდია, ადევს, აზატია. სხვადასხვა შინაარსის მქონე ზმნები: ანთია, აბარია, სცალია.

ჩერჩის D კლასში შემავალ ზმნებს შეგვიძლია დავამატოთ სხვა ზმნებიც, რომლებიც უარყოფისას მხოლოდ არ ნაწილაკს დაირთავენ, მაგალითად, ზმნები, რომლებსაც ჰაინც ფერისი ცალკე ჯგუფად გამოყოფს თავის „ქართული ენის გრამატიკაში“, უწოდებს რა მათ ამინდის აღმნიშვნელ ზმნებს: Witterungsverben (Fähnrich 1986:100) წვიმს, თოვს, ჭეხს, ელავს.

ამათ ემატება კიდევ გივი მაჭავარიანის მიერ „ქართველურ ენათა შედარებითი ანალიზის სალექციო კურსში“ პოტენციალისის სემანტიკური კატეგორიის გამოშეატველი ზმნები – იჭმევა, ისმევა, რომლებთანაც მხოლოდ არ უარყოფითი ნაწილაკი იხმარება, რადგან ამ ზმნების სემანტიკაში უკვე გვაქვს კომპონენტი – შესაძლებლობის ქონა – და კერ უარყოფითი ნაწილაკის ხმარება მათთან ლოგიკურად წინააღმდეგობრივი იქნებოდა (მაჭავარიანი 2002:100). ამავე ზმნებს დაწვრილებით განიხილავს ბაქარ გიგინეიშვილი, რომელიც მათთან მიმართებით იყენებს ტერმინს – „პოსიბილიტივი“, და შენიშნავს, რომ მათ „ორპირიანი კორელატებიც მოეპოვებათ: ესმევა, ეჭმევა“ (გიგინეიშვილი 2016:13).

განვიხილოთ დაწვრილებით, რატომ არ არის ლოგიკურად დასაშვები ზემოთ ჩამოთვლილ ზმნებთან უარყოფითი კერ ნაწილაკის ხმარება. ამ საკითხზე მსჯელობისას გავიხსენოთ კერ ნაწილაკის ხმარება ზმნასთან შენება (10) d. წინადადებაში. როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, დავითს ჰქონდა სახლის აშენების სურვილი, განზრახვა ან მცირელობა, მაგრამ ეს მოქმედება არ შესრულდა, მან კერ მოახერხა მისი განხორციელება. ნათელია, რომ კერ ნაწილაკით უარყოფილი ზმნა ჩვეულებრივ ისეთ მოქმედებას უნდა გამოხატავდეს, რომელსაც ჰყავს თავისი საკუთარი ნებით მოქმედი აქტიური შემსრულებელი (აგენსი). ეს ზმნის ის მახასიათებელია, რომელიც კერ ნაწილაკით უარყოფისას მკვეთრად თვალსაჩინოვდება. ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ ზმნებს არ გააჩნიათ ეს მახასიათებელი. ისინი აღნიშნავენ ისეთ მდგომარეობას, რომელიც მოცემულია, თავისთავად არ სებობს და რომელსაც არ აკონტროლებს სუბიექტის ნება. ჩერჩი შენიშნავს, რომ მდგომარეობები შეუთავსებადია მოქმედი პირის (აგენსის) გამოხატვასთან, რადგან მათ არ გააჩნიათ დინამიკურობა, და რომ ეს სემანტიკური შეუთავსებადობა, რომელიც არსებობს სტატიკურობასა და აქტიურ მოქმედებას შორის, დამახასიათებელია კლასის უმტესი ზმნებისათვის მაინც, თუ ყველასათვის არა (Cherchi 1997:136). ამავე სემანტიკურ შეუთავსებადობას სხვა მკვდევრებიც გახაზავენ, მაგალითად, სმითი წერს: „მდგომარეობა, რომელსაც არ გააჩნია დინამიკა, შეუთავსებადია აგენსის გამოხატვასთან; ეს არის სემანტიკური შეუთავსებადობა. ... მდგომარეობა არ კონტროლდება ნებით“ (Smith 1991:37-38; 43).<sup>4</sup> დამანა მელიქიშ-

<sup>4</sup> “States are incompatible with the expression of agency, having no dynamics; this is a semantic incompatibility... States are not controllable by will”.

ვიღიც შენიშნავს, რომ დინამიკური ზმნის მთავარი ლოგიკური მახასიათებელია აქტიური პირის არსებობა (მელიქიშვილი 2001:22), სტატიკურ ზმნას კი აქტიური, მოქმედი პირი (აგენსი) არ გააჩნია.

თუ სტატიკურ ზმნას დინამიკურით შევცვლით, მაშინ დინამიკურ ზმნასთან ორივე უარყოფითი ნაწილაკის ხმარება იქნება შესაძლებელი, მაგალითად, ავტომობილის ზმნა უყვარს, რომელიც გარკვეულ სულიერ მდგომარეობას გამოხატავს და რომელთანაც არ უარყოფითი ნაწილაკი იხმარება. თუ მას ასევე ინვერსული, ოღონდ დინამიკური ზმნით – უყვარდება – ჩავანაცვლებთ, მაშინ მასთან კერძო უარყოფითი ნაწილაკის ხმარებაც შესაძლებელი გახდება: კერძო უყვარდება (უნდა რომ შეიყვაროს და ცდილობს, მაგრამ ვერ ახერხებს, არ გამოსდის).

ახლა განვიხილოთ ის ზმნები, რომელთა უარყოფაც, ჩვეულებრივ, მხოლოდ კერძო ნაწილაკით ხდება. ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ამგვარი ზმნები ცალკე ჯგუფად გამოყოფილი და შესწავლილი არ არის.<sup>5</sup>

ამ ჯგუფს შედარებით მცირე რაოდენობის ზმნები მიეკუთვნება:

სწვდება – ვერ სწვდება

აღწევს – ვერ აღწევს

პოულობს – ვერ პოულობს

ახერხებს – ვერ ახერხებს

ბედავს – ვერ ბედავს

(გა)იმარჯვებს – ვერ (გა)იმარჯვებს

შეძლებს – ვერ შეძლებს

იტანს – ვერ იტანს

ხედავს – ვერ ხედავს

ცნობს – ვერ ცნობს

ამჩნევს – ვერ ამჩნევს

და ა.შ.

ავიღოთ ამ ჯგუფში შემავალი ერთ-ერთი ზმნა პოულობს და განვიხილოთ მისი ხმარება უარყოფით ნაწილაკებთან ერთად. ამ ზმნის სემანტიკური მახასიათებლების გამოსავლენად მეტი თვალსაჩინოებისათვის მიზანშეწონილი ჩანს მისი განხილვა აორისტის ფორმაში:

(13) a. Ninoომ ქოლგა არ იპოვა. – Nino hat den Regenschirm nicht gefunden.

b. ნინომ ქოლგა ვერ იპოვა.– Nino konnte den Regenschirm nicht finden.

ამ ორი წინადადების გერმანულ თარგმანებს თუ ერთმანეთს შევადარებთ, დავინახავთ, რომ მათი მნიშვნელობები არ არის განსხვავებული, მაშინ როცა ქართული (13) a. წინადადების წაკითხვისთანავე ჩნდება შეუსაბამობის განცდა,

<sup>5</sup> ყოველ შემთხვევაში, არ იყო ცალკე გამოყოფილი 2008 წლამდე, ვიდრე ჩვენ ამ წერილის პირველ, გერმანულ ვარიანტს გამოვაჭვენებდით (Abuladze, Ludden 2008).

რადგან არ ნაწილაკით გამოხატული უარყოფა ზმნის აორისტის ფორმასთან არის არა თვითონ ამ მოქმედების მარტივი უარყოფა, არამედ უფრო მოქმედების სურვილის ან განზრახვის უარყოფა, რასაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კ. ჩხერიძელი და სხვა მკვლევრებიც გახაზავდნენ. პოვნა ზმნის სემანტიკა კი მიუთითებს იმგვარ მოქმედებაზე, რომელშიც ნაგულისხმევია მოქმედი პირის (აგენსის) ნება – მიაღწიოს შედეგს, ანუ შეასრულოს მოქმედება (ამ შემთხვევაში იპოვოს ქოლგა). ამრიგად, ზმნის სემანტიკასთან ლოგიკურ წინააღმდეგობაში მოდის არ ნაწილაკის ხმარება, და სავსებით ლოგიკურია კურ ნაწილაკის გამოყენება, რომელიც უარყოფს არა მოქმედების შესრულების სურვილს, არამედ აგენსის შესაძლებლობას, მის უნარს (ability).

ზემოთ ჩამოთვლილი ზმნების სემანტიკაც ამჟღავნებს მსგავს თვისებას, მათი შინაარსიც იმპლიცირებს აგენსის მიერ მოქმედების შედეგის მიღწევის სურვილს, განზრახვას და ამდენად მათთანაც წინააღმდეგობრივია არ ნაწილაკით უარყოფის გამოხატვა, რადგან ლოგიკურად წინააღმდეგობრივია იმის უარყოფა, რაც უკვე იგულისხმება ზმნის შინაარსში. არ ნაწილაკი მხოლოდ მაშინ შეიძლება გამოვიყენოთ, თუ ექსტრაორდინარული სიტუაციის გამოხატვა გვიჩნდა, მაგ., თუ აგენს არც პქონია მოქმედების შესრულების სურვილი ან განზრახვა, და განზრახ არც უცდია ამ მოქმედების შესრულება, მაგალითად, ნინოს შეეძლო, განზრახ არ ეპოვა ქოლგა, რადგან სპეციალურად წვიმაში გაწუწვა სურდა (თუმცა, ალბათ, ასეთ შემთხვევაში უფრო აზრიანი იქნებოდა განსხვავებული სემანტიკის მქონე ზმნის ხმარება, მაგ., ნინომ არ ექვება ქოლგა).

საინტერესოა შევნიშნოთ, რომ ზმნების ცნობილ კლასიფიკაციაში, რომელიც ზენო ვენდლერს ეკუთვნის და რომელიც, ძირითადად, ზმნის ტემპორალურ მახასიათებლებს ეყრდნობა, ცალკე ჯგუფადაა წარმოდგენილი ის ზმნები, რომლებიც ჩვენ მიერ გამოყოფილ მხოლოდ კურ ნაწილაკით უარყოფადი ზმნების ჯგუფში შედის. მათ ვენდლერი “achievement verbs” („მიღწევის ზმნებს“) უწოდებს (Vendler 1967:104). ამ ზმნების განხილვისას ვენდლერი... ამახვილებს ყურადღებას, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ერთ საკვირველ თვისებაზე“, რომელიც არ არის მჭიდრო კავშირში დროსთან და ეხება “შეძლების” (to be able) გამოყენებას: „ზოგი ზმნის მიმართ შეგვიძლია ვთქვათ, რომ, გარკვეული თვალსაზრისით, გქონდეს რაიმე მოქმედების შესრულების უნარი, მიშნავს, ამავე დროს, ამ მოქმედების შესრულებას, განხორციელებას; შეგეძლოს დანახვა ნიშნავს, ამავე დროს, იმას, რომ ხედავ; შეგეძლოს ვინმე იცნო, ნიშნავს, ამავე დროს, რომ ცნობ ამ ვინმეს“. ვენდლერი იქვე შენიშნავს, რომ „ზოგი მიღწევის ზმნაც იზიარებს ამ თვისებას“ (Vendler 1967:105-106).

ჩვენ მიერ გამოყოფილ ჯგუფში შემავალ ხედავს და ცნობს ზმნებთან (აგრეთვე ამჩნევს ზმნასთან) მხოლოდ კურ ნაწილაკის ხმარების ასახსნელად ვენდლერის მსჯელობა ძალზე საყურადღებოა: ლოგიკურად სავსებით გამართლებული

ჩანს, მაგალითად, ხედავს ზმნასთან კურ ნაწილაკის ხმარება: ადამიანი ხედავს, იმიტომ რომ მას ხედვის უნარი (მხედველობა) აქვს, და თუ გვინდა ამ ზმნის უარყოფა, საჭიროა ეს უნარი უარყოფო, ე.ი. კურ ნაწილაკი (ability negator) გამოვიყენოთ.

სპეციალურ ლიტერატურაში გვხვდება ნაშრომები, რომლებიც ვენდლერის მიერ ცალკე ჯგუფად გამოყოფილი ‘მიღწევის ზმნების’ დაწვრილებით განხილვას ისახავენ მიზნად. ჩვენი აზრით, ასეთ დროს საინტერესო იქნებოდა ქართული გნობრივი მასალის გათვალისწინება.

ბოლოს გვინდა, კიდევ აღვნიშნოთ ერთ კონკრეტულ ზმნასთან, კერძოდ, ცდილობს ზმნასთან არ უარყოფითი ნაწილაკის და არა კურ ნაწილაკის გამოყენება. ცდილობს არის დინამიკური ზმნა და აქვს მოქმედი პირი, აგენსი. ჩვეულებრივ, ამგვარ ზმნებთან ორივე უარყოფითი ნაწილაკი იხმარება, მაგრამ ამ კონკრეტული ზმნით აღნიშნული მოქმედება წარმოადგენს ძალულობას, ამიტომ მისი უარყოფა კურ ნაწილაკით, რომელიც უარყოფს მოქმედი პირის შესაძლებლობას (შესაძლებლობის უარყოფა კი, ჩვეულებრივ, ხდება მას შემდეგ, რაც აგენსი ცდილობს მოქმედების შესრულებას და ეს არ გამოსდის), ლოგიკურად გამორიცხულია. წინააღმდევობრივი გამოდის, უარყო მოქმედების მცდელობა, როცა ეს მოქმედება თვითონ არის მცდელობა.

ვფიქრობთ, რომ ქართულში არ და კურ ნაწილაკების დისტრიბუციის წარმოდგენილი სურათი, რომელიც, ძირითადად, უარყოფითი ნაწილაკებისა და ზმნების სემანტიკურ მახასიათებლებს ეფუძნება, გვიჩვენებს, ზოგადად, ზმნის სემანტიკის გათვალისწინების მნიშვნელობას ნაწილაკების კვლევის დროს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართული ზმნის უღლების სისტემის შესწავლის დროსაც, კერძოდ, ირეგულარული, ე.წ. ‘უწესო’ ზმნების ქცევის კვლევისას ამ ზმნების არა მარტო მორფოლოგიური, არამედ ლექსიკური სემანტიკის გათვალისწინებაც საყურადღებო შედეგებამდე მიგვიყვანს, რაც, იმედია, ზოგ შემთხვევაში მაინც შესაძლებელს გახდის ამ ზმნებისგან უარყოფითი კონოტაციის მატარებელი მსაზღვრელის ჩამოცილებას.

### ლიტერატურა:

**გვინძეშვილი 2016:** ბ. გიგინეშვილი, კაუზატივი და პოსიბილიტივი ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 13-19.

**მაჭავარიანი 2002:** გ. მაჭავარიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა (ლექციების კურსი), თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**მელიქშვილი 2001:** დ. მელიქშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, „ლოგოს პრეს“, თბილისი.

**შანიძე I973:** ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. I. მორფოლოგია, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**Abuladze, Ludden 2006:** L. Abuladze, A. Ludden, *Lehrbuch der georgischen Sprache*, Buske Hamburg.

**Abuladze, Ludden 2008:** L. Abuladze, A. Ludden, Über die Negativpartikeln im Georgischen, *Beiträge zu Sprache und Sprachen 6* (Vorträge der 16. Jahrestagung der Gesellschaft für Sprache und Sprachen (Gesu e.V.) Karin Pittner (Hrsg.), Linkom Europa, 268-280.

**Boeder 2005:** W. Boeder, The South Caucasian Languages, *Lingua* 115, 5-89.

**Cherchi 1997:** M. Cherchi, *Modern Georgian Morphosyntax*: a grammatico-categorial hierarchy-based analysis with special reference to indirect and passives of state, Herrassowitz, Wiesbaden.

**Fähnrich 1986:** H. Fähnrich, *Kurze Grammatik der georgischen Sprache*, Enzyklopädie, Leipzig.

**Smith 1991:** C. S. Smith, *The Parameter of Aspect* (Studies in Linguistics and Philosophy 43), Kluwer, Dordrecht/Boston/London.

**Tschenkeli 1958:** K. Tschenkeli, *Einführung in die georgische Sprache. Bd. I. Theoretischer Teil*, Amirani, Zürich.

**Vendler 1967:** Z. Vendler, Verbs and Times. In: ders., *Linguistics in Philosophy*. Cornell University Press, Ithaca, New York, 97-121.

*Lia Abuladze, Andreas Ludden*

## The Negative Particles in Georgian

### Summary

In Georgian, as in many other languages, negative particles are divided into answering particles (*ara* and *vera*) and in-sentence particles (*ar* and *ver*, which are shortened forms of answering particles). Besides *ar* and *ver*, in Georgian there is also another negative particle *nu*, which occurs only in the imperative. The particle *ar* negates the action, *ver* negates the ability (or possibility) of the action, and *nu* forbids the action (Shanidze 1973:610).

In the negative imperative, we can distinguish between a prohibition and a request. In our article we consider these differences in detail and conclude that although there are scholars who state that *nu* forbids stronger than *ar* (Tschenkeli 1958), the examples of their use in Georgian literature show the contrary, i.e. that the negative particle *nu* (with a verb in present or future tenses) expresses a polite request, and the particle *ar* (with a verb in optative) forbids an action. The use of the negative particle *ver* in the imperative is excluded automatically, because it is not possible to forbid the ability of action.

Investigating the differences between the use of the particles *ar* and *ver*, we came to the conclusion that it is possible to divide Georgian verbs into three groups: (1) verbs that can be negated only with *ar*, (2) verbs that can be negated only with *ver*, and (3) the group of verbs that can be negated with both particles. Naturally, we can only deal with a prototypical use of these particles, because unusual examples of a metaphorical or rhetorical use of these particles can always be found in literature.

The largest number of verbs belong to the third group of verbs; these are dynamic, agentive verbs and they can be used with both negative particles. In the case of verbs denoting a state, i.e., stative verbs, usually only *ar* is possible as negation. The verbs that can be negated only with *ver* have not yet been researched as a separate group in Georgian linguistic literature. It is interesting to note that these verbs almost totally coincide with “achievement verbs” in Vendler’s well-known classification. In our article we try to discuss the semantic features of these verbs and negative particles, which gives us the possibility to explain why these “achievement verbs” can be negated only with the so-called “ability negator”, i.e. the *ver* particle.

## რუსული ასათიანი

### გეოგრიკურული უზრუნველყოფის „კლასიფიკაცია“ სევადასევა ლინგვისტურ დონეზე ქართულში

#### 1. საკითხის დასმა: თეორიული მიღება

ენობრივი ნიშნის გამოხატულებისა და შინაარსის პლანებს შორის არსებული მიმართებების ამოცნობა-აღწერა და მათ შორის ცალსახა კავშირების დამყარება არის სტრუქტურული ენათმეცნიერების მთავარი ამოცანა.


ამ მიმართებების შესწავლა ეფექტურია, თუ ნიშნის სამივე ასპექტი – როგორც სინტაქტიკური, ისე სემანტიკური და პრაგმატიკული – იქნება გათვალისწინებული. პრაგმატიკული ასპექტის წინ წამოწევა გულისხმობს ნიშნის მნიშვნელობიდან მის ფუნქციებზე ყურადღების გადატანას: ფუნქციონალური მიღებით ნიშანს არა მხოლოდ მისი მნიშვნელობისა და ფორმის, არამედ ენობრივ სისტემი მისი ფუნქციების მიხედვით აანალიზებენ.

ფუნქციონალური მიღებით ნათელი ხდება, რომ აღსანიშნა (resp. მნიშვნელობა) და აღმნიშვნელს (resp. ფორმა) შორის ცალსახა მიმართების დამყარება ყოველთვის ვერ ხერხდება, რამდენადაც შესაძლებელია:

(1) ერთი ენობრივი ნიშნის ფორმა ერთდროულად ერთსა და იმავე კონტექსტში რამდენიმე მნიშვნელობას გამოხატავდეს; და, პირიქით,

(2) რამდენიმე ენობრივი ნიშნის განსხვავებული ფორმები კომპლექსურად ერთი დანიშნულებით გამოიყენებოდეს, ანუ ერთ ფუნქციაზე მიგვანიშნებდეს, და ენობრივ სისტემაში ფუნქციონირებდეს როგორც ერთი ერთეული.

(1)-სახის მორფემათა ნიმუშები გავრცელებულია ე.წ. ფლექსიურ (resp. ფუზიურ) ენებში, სადაც ერთი და იგივე აფიქსური მორფემა რამდენიმე მნიშვნელობას ერთდროულად გამოხატავს. ფუზიის ამგვარი შემთხვევები (ერთი ფორმა  $\leftrightarrow$  რამდენიმე მნიშვნელობა) საკმაოდ გავრცელებულია ქართული ენის გრამატიკულ სისტემაში და სათანადოდ არის კიდეც გაანალიზებული. მაგალითად, მესამე სუბიექტური პირის მორფემის აღმნიშვნელი სუფიქსი -ს ერთდროულად აღნიშავს მნიშვნელობათა კომპლექსს: ან 『სუბიექტი, მესამე პირი, მხოლობითი რიცხვი, აწმყო, აქტიური ზმნა』, ან 『სუბიექტი, მესამე პირი, მხოლობითი რიცხვი, კავშირებითი კილო』. თუმცა ფუზიის მეორე შემთხვევა: ერთი მნიშვნელობა/ფუნქცია  $\leftrightarrow$  რამდენიმე ფორმა, რომლის კლასიკურ ნიმუშად ასახელებენ ლათინურ ენას, ნაკლებად არის გამოვლენილი და შესწავლილი ქართულში. განვიხილოთ ნიმუში ლათინური ენიდან:



სიტყვაფორმა *re:k-s-is-ti* დაშლილია მორფებად, სადაც *-ti* სუფიქსი გამო- ხატავს სუბიექტური მეორე პირის მხოლობით რიცხვს პერფექტივში (ანუ, ამ შემთხვევაში რეალიზებულია ფუზიის (1)-ტიპი, როდესაც ერთი ფორმა გამოხა- ტავს რამდენიმე მნიშვნელობას); ხოლო მორფებათა მიმდევრობა *-s-is-ti* ასრუ- ლებს პერფექტივის გამოხატვის ფუნქციას (ანუ, აქ რეალიზებულია ფუზიის (2)-ტიპი, როდესაც რამდენიმე ფორმა გამოხატავს ერთ მნიშვნელობას – ასრუ- ლებს ერთ ფუნქციას). თუ პირველი ტიპის შემთხვევებში ვსაუბრობთ ე.წ. ფლექ- სიურ მორფებზე, მეორე ტიპის შემთხვევების პირველისგან გასამიჯნად იყენე- ბენ ტერმინებს: კომპლექსური მორფები, ფუნქციური კომპლექსები, ზმური და/ან სახელური კლასტერები.

ჩვენი მიზანია, სწორედ (2)-სახის შემთხვევებზე ყურადღების გაძახვილება, მათი სხვადასხვა ენობრივ დონეზე გამოვლენა და ანალიზი ქართული ენის მასალაზე.

## 2. ფონოლოგიის დონე

ფონოლოგიის დონეზე ამგვარი, ე.წ. კლასტერული, შემთხვევების ნიმუშს წარმოადგენს გ. ახვლედიანის მიერ გამოყოფილი და სათანადოდ შესწავლილი A და B ტიპის პარმონიული კომპლექსები: ბჟ, ფჟ, პჟ, ღჟ, თჟ, ტჟ და ა.შ.

მის მიერ ჩამოყალიბებული ბგერათშეერთების მესამე – **არტიკულაციის ერთ- უამიერობის** – წესის თანახმად,

„უშუალო ძეზობლობაში ძოლვი ჰეტერორგანული თანხმოვნების წარმოთქმისას მათი არტიკულაცია მისწრაფის ერთუამიერობისაკენ“ (ახვლედიანი 1999:111).

შედეგად წარმოიქმნება პარმონიული კომპლექსები, რომლებიც მარცვლის სტრუქტურაში ერთი თანხმოვნის ფუნქციას ასრულებენ: მათი გათიშვა გაბმულ მეტყველებაში არ ხდება (რაც ასახულია კიდეც ქართული სიტყვაფორმების და- მარცვლისა და გადატანის წესებში).

აღსანიშნავია, რომ, თუ თანხმოვნების შერწყმის ხარისხი იზრდება, შედეგად შეიძლება წარმოიქმნას ახალი ნიშნები. მაგალითად, ასეთი გზა გაიარა ქართულ- ში აფრიკატმა ფონემებმა: ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ.

## 3. მორფოლოგიის დონე

### 3.1. ვნებითი გვარის ფორმები აწმყოში

განვიხილოთ ვნებითი გვარის ფორმები:

*ვ-ი-ხატ-ებ-ი / ი-ხატ-ებ-ი / ი-ხატ-ებ-ა*

ს.1-ვნ.-ხატვა-თ.-აწმყო.ვნ./ს.2.ვნ.-ხატვა-თ.-აწმყო.ვნ./ვნ.-ხატვა-თ.-აწმყო.ვნ.ს.3.მნ.

ამ ფორმების ცალსახა ანალიზი გართულებულია, რამდენადაც (ა). ი-პრეფიქსი, რომელიც ტრადიციულად მიიჩნევა ვწებითი გვარის გამოშვატველ პრეფიქსად, საზოგადოდ, პოლიფუნქციურია: ის გამოხატავს სათავისო ქცევას, სასხვისო ქცევას (როდესაც ირიბი ობიექტი პირველი ან მეორე პირისაა), რეფლექსივს, პოტენციალის, დეპონენსებს, მედიოაქტიურ ზმნათა დროთა ე.წ. „ნაკლულ“ ფორმებს. რამდენადაც ი-პრეფიქსი ვწებითის ფორმას ცალსახად არ მიემართება (ვერ წინასწარმეტყველებს, განსაკუთრებით, მეორე სერიის მწკრივებში), ვწებითის ნიშნად მისი კვალიფიკაცია ცალსახად ვერ ხერხდება (ასათიანი 1987); ხოლო

(ბ). -ი/-ა სუფიქსური მორფები ვწებით ფორმაზე მიგვანიშნებენ მხოლოდ მნიშვნელობათა კომპლექსში: <sup>7</sup> -თ(-ებ-)-აწმყო(-ი)/აწმყო.ს.3.მხ.(-ა)" და შეუძლებელია მხოლოდ რომელიმე ერთ მორფებას ამ ჯაჭვიდან მივაწეროთ ეს ფუნქცია – თემის ნიშანს, მწკრივის ნიშანს თუ სუბიექტის მხოლობითი რიცხვის ნიშანს? ასეთი შესაძლებლობის შემთხვევაში ის კვალიფიცირდებოდა (1)-სახის ფლექსიურ მორფებად, მაგრამ ამის საფუძველს მორფებული ანალიზი ვერ იძლევა.

ამ პრობლემის მოხსნა შესაძლებელია ფუნქციონალური მიღვომით:

<sup>7</sup>-ებ-ი/-ებ-ა<sup>7</sup> მორფებათა მწკრივი ფუნქციონირებს როგორც ერთი ელემენტი და, ამდენად, შეიძლება მივიჩნიოთ ფუზიის (2)-სახის ფორმად – მორფებათა კომპლექსად, ფუნქციურ კლასტერად,<sup>6</sup> რომელიც ცალსახად ძიებართება ვწებითი გვარის ფორმას აწმყოში.

### 3.2. უწყვეტლის სავრცობი

პრობლემური ჩანს, ასევე, უწყვეტლის ფორმების კვალიფიკაციის საკითხი, სადაც ნათლად გამოიყოფა მორფება <sup>7</sup>-დ/-დ, რომელსაც ა. შანიძე უწოდებს „სავრცობს“ და ამ ტერმინს მხოლოდ ფორმის აღწერით ხასიათს ანიჭებს – მორფების არც შინაარსზე და არც ფუნქციაზე მინიშნება არ გვაქვს:

„I ხერის ორი მწკრივის ფორმათათვის გავრცობა უნდა იმ თემას, რომელიც აწმყო-მყოფადში იხმარება. იქნება ეს თემა მარტივი თუ რთული, სულ ერთია, ორთავეს უნდა დაემატოს დ, რომელსაც სავრცობი ჰქონია. გავრცობილი თემისაგან ნაწარმოები მწკრივებია უწყვეტელი და I კავშირებითი“ (შანიძე 1973:409).

<sup>6</sup> ტერმინი კომპლექსი უკვე დატვირთულია ქართულ გრამატიკულ ტრადიციაში (შდრ. პარმონიული კომპლექსი). დამკვიდრებულ ტერმინთან კვეთის არასასურველობის გამო, მორფოლოგიისა და სინტაქსის დონეზე უპირატესობას ვანიჭებთ ტერმინს – ფუნქციური კლასტერი.

მაგალითად განვიხილოთ რომელიმე ზმნის ფორმა უწყვეტლის მწკრივში:

**თამაშ-ობ-დ-ი / თამაშ-ობ-დ-ა**

თამაში-თ.-სავრც.-მწკ. / თამაში-თ.-სავრც.-მწკ.ს.3.მხ.



მორფემული ანალიზისათვის, ფორმის აღწერის გარდა, კრიტიკულია მორფემის მნიშვნელობის/ფუნქციის დაზუსტებაც, რაც რთულდება, რამდენადაც, თუ მკაცრად შევაფასებთ ვითარებას, მორფემათა მთლიანი ჯაჭვი კომპლექსურად და არა რომელიმე ერთი მათგანი გამოხატავს ერთ, კონკრეტულ მნიშვნელობას – პერფექტივს (resp. უწყვეტელს); სავრცობი, ჯაჭვის შემაღენელი დანარჩენი მორფემების გარეშე, არც იხმარება და უწყვეტლის მწკრივის გარდა სხვა მწკრივის ფორმებშიც დასტურდება: აწმყოს კავშირებითი, ხოლმეობითი, მყოფადის კავშირებითი. მაშასადამე, მთლიანი ჯაჭვი (და არა მხოლოდ ე.წ. „სავრცობი“) უნდა მივიჩნიოთ უწყვეტლის მარკერად და, ამდენად, ამ შემთხვევაშიც მიზანშეწონილია გამოვყოთ ფუნქციური კლასტერი: 『თემა-სავრცობი-მწკრივი/მწკრივი. სუბიქტი.3.მხოლობითი』

### 3.3. შუალობითი კონტაქტის ფორმები

ფუნქციონალური მიღობის ეფექტიანობის საილუსტრაციოდ განვიხილოთ შუალობითი კონტაქტის ფორმები, მაგალითად:

**ა-კეთ-ებ-ინ-ებ-ს**

კონტ.1-კეთება-თ.1-კონტ.1-თ.2-აქტ.აწმყო.ს.3.მხ.

როგორც მორფემათა გლოსებიდან ჩანს, შუალობითი კონტაქტის ფორმები დრო-კილოთა I სერიაში კიდევ უფრო მეტ სირთულეებს ქმნიან მორფემათა კვალიფიკაციის თვალსაზრისით, რასაც განაპირობებს:

(ა).-ა პრეფიქსის პოლიფუნქციურობა. მსგავსად ვნებითის -ი პრეფიქსისა, -ა პრეფიქსიც, შუალობითი კონტაქტის გარდა, სხვა ფუნქციებსაც ასრულებს, მაგალითად, გამოხატავს საარვისო (resp. ნეიტრალურ) ქცევას: **ა-კეთებსი-კეთებს-უ-კეთებს**, გარდამავლობას (გ. მაჭავარიანის მიხედვით, resp. კაუზაციის I საფეხური, [მაჭავარიანი 1988]): **წუხება-წუხებს**, შუალობით კონტაქტს (გ. მაჭავარიანის მიხედვით, resp. კაუზაციის II საფეხური, [მაჭავარიანი 1988]): **წერსა-წერინებს**, საზღვაო სიტუაციას: **წერსა-წერს** (დაწვრილებით იხ. [ასათიანი 2016]), გარდა ამისა,

(ბ). მორფემათა ჯაჭვში დასტურდება ორი მორფემა ერთი და იმავე კვალიფიკაციით: **თემის ნიშანი**, ეს კი მორფემათა რანგობრივი ანალიზის თეორიულ ჩარჩოში დაუშვებელია. ამ პრობლემის გადაწყვეტას ქართულ გრამატიკულ ტრადიციაში სხვადასხვაგვარად ცდილობდა სხვადასხვა მეცნიერი. მაგალითად, ა. შანიძის მიხედვით, თ.1 აწმყოს ფუძისეულია, თ.2 კი თემისნიშნისეული [შანიძე 1973];

თ.1 დერივაციულია (ლექსიკური), ზმნური ფუძის შემადგენელი, თ.2 კი ფლექსიური, თემისნიშნისეული [დამერია 1982]; თ.1 თემის მარკერია, თ.2 კი სერიის [ჰარისი 2009]; თ.1 და თ.2, ორივე თემის ნიშანია, ოღონდ თ.1 კაუზატიური თემატური სუფიქსია, თ.2 კი თემის ნიშანი [ბოედერი 2005]; თ.1 მასდარულია, თ.2 კი თემისნიშნისეული [ასათიანი 2016]. ყოველ ასეთ მცდელობას თავისი არგუმენტები აქვს და თავისი ძლიერი თუ სუსტი მხარეები; ყველა შემთხვევაში პრობლემის გადაწყვეტაზე მეტად საკითხის ერთგვარი მოგვარება, შეთანხმება და ამ ნიშნების ტერმინოლოგიური გამიჯვნა ხდება, მაგრამ პრინციპულად ერთი ნიშნის სხვადასხვა მნიშვნელობითა თუ ფუნქციით გამოყენების კოგნიტიური საფუძვლები კვლავ გაურჩეველია.

კლასტერული მიდგომით პრობლემის ახლებური გადაწყვეტა ყველაზე მეტად ადეკვატური ჩანს, რამდენადაც ერთი კონკრეტული შემთხვევის (resp. უმუალო კონტაქტის ფორმების წარმოება ქართულში) განმაპირობებელი საფუძვლები სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ თანხმობაშია ენებში გავრცელებულ ზოგად მოდელთან – ფუზიის მე-(2) სახე:

*ა-კეთ-ებ-ინ-ებ-ს*



ასეთი ანალიზი შუალობითი კონტაქტის მორფებათა სრულიად განსხვავებულ კვალიფიკაციას იძლევა: თუ ტრადიციულად თ.1-ს, როგორც წესი, ზმნის ფუზეს აკუთვნებდნენ სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებით, ამ მიდგომით თ.1 ერთიანდება შუალობითი კონტაქტის გამომხატველ -ინ მორფემასთან და იმავე გზით მიღებულ ალომორფად შეიძლება მივიჩნიოთ, როგორითაც შუალობითი კონტაქტის *-ევინ* სუფიქსური ალომორფი: *-ევინ-←-ევ-+ინ-* [შანიძე 1973:361]. ასეთი რეინტერპრეტაციის საფუძველს იძლევა *-ევინ* და *-ებინ* ფორმათა სტრუქტურული იზომორფიზმი და *-ებ-*, *-ინ-* მორფების შერწყმის მაღალი ხარისხი (შდრ. ფონოლოგიის დონეზე აფრიკატი ფონემების გენეზისის პროცესს, განვითარებულს შერწყმის მაღალი ხარისხის საფუძველზე). მაგრამ ამგვარი მიდგომის ჩარჩოს ლოგიკური გაფართოებისა და უშუალო კონტაქტის ფორმებში დადასტურებულ სხვა ვარიანტთა გათვალისწინების შედეგად საკმაოდ იზრდება უშუალო კონტაქტის მორფემის ალომორფთა რაოდენობა: *-ინ*, *-ვ*, *-ევინ*, *-ვინ*, *-ებინ*, *-ოფინ* და *-ემინ*, რაც მორფემული ანალიზის ეკონომიურობისა და სისტემის სიმარტივის პრინციპიდან გამომდინარე არაეფექტური ჩანს. ასე რომ, უფრო მიზანშეწონილია *თ.1-კონტ.* მიმდევრობის **მორფემულ კლასტერად** კვალიფიკაცია, რომლის ფუნქციაა შუალობითი კონტაქტის შინაარსის გამოხატვა.

## 4. სინტაქსის დონე

### 4.1. მსაზღვრელ-საზღვრულის ერთი ტიპი


ბრუნების სპეციფიკურ პარადიგმას ქმნის მსაზღვრელ-საზღვრულის ერთი ტიპი, როდესაც არსებითი სახელის ატრიბუტულ მსაზღვრელად, ერთგვარ დანართად, ფიქსირდება ასევე არსებითი სახელი, მაგალითად, როსტევან ძევე.

პრობლემა ჩნდება ამ შესიტყვების გააზრება-გაანალიზებისას: რომელია მსაზღვრელი და რომელი საზღვრული?


(ა). უშუალო შემადგენელთა მეთოდის ძირითადი ტექნიკის – რთული ფორმის მარტივით ჩანაცვლების ოპერაცია – გამოყენების შედეგად ცალსახად განსაზღვრა იმისა, თუ რომელია სახელური ფრაზის [როსტევან ძევე] შემადგენლებიდან მთავარი (resp. საზღვრული) და რომელი მისი ატრიბუტი (resp. მსაზღვრელი); ანუ რომელი ჩანაცვლებაა გამართლებული: როსტევან ძევე → როსტევან, თუ როსტევან ძევე → ძევე – გართულებულია. ერთი მხრივ, საგანთა ლოგიკით ზოგადი განსაზღვრავს კონკრეტულს (ამ შემთხვევაში, საკუთარ სახელს); ე.ი. ძევე გამოდის მსაზღვრელი, მაგრამ, მეორე მხრივ, ფორმალური კრიტერიუმით, სწორედ რომ ძევე იბრუნვის და ე.ი. ის არის ამ სახელური ფრაზის მთავარი სახელი, ანუ საზღვრული. ამასთანავე, თუ, საგანთა ლოგიკიდან გამომდინარე, როსტევანი არის საზღვრული, გვაქვს ე.წ. შებრუნებული წყობა, ასეთ შემთხვევაში კი, ზოგადი წესით, უნდა იბრუნებოდეს შესიტყვების ორივე წევრი, მაგრამ ამ შემთხვევაში იბრუნვის მხოლოდ ძევე. ასევე, გაუგებარია,

(ბ). რომელ შემადგენელს მიემართება ახალი ატრიბუტული მსაზღვრელი, ვთქვათ, ძაბაბლი, ფრაზაში [ძაბაბლი როსტევან ძევე]? უშუალო შემადგენელთა იერარქიული სტრუქტურა სწორია ამ ომონიმური ფრაზის ორაზროვანი ინტერპრეტაციის ორივე შესაძლებლობას:

(1) ძაბაბლი როსტევან ძევე



(2) ძაბაბლი როსტევან ძევე



პირველ ანალიზს მხარს უჭერს ზოგადი სემანტიკური ცოდნა (ზოგადი აზუსტებს, განსაზღვრავს კონკრეტულს), ხოლო მეორეს – ფორმალური მახასიათებლები: მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების ზოგადი წესით, ბრუნვის ნიშნებს ხრულად დაირთავს საზღვრული (პრეპოზიციის დროს), ან ორივე (პოსტპოზიციური წყობისას). ამ ტიპის მსაზღვრელ-საზღვრულებში კი ეს წესი დაცული არაა – ყოველთვის სრულად იბრუნვის მხოლოდ მეორე ადგილზე მდგარი სახელი. ასე რომ, სემანტიკური და ფორმალური კრიტერიუმები ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

მაგრამ არსებობს ანალიზის მესამე შესაძლებლობაც, რომელიც ეფუძნება ფუნქციური კლასტერის გაგებას: ორივე სახელი ფუნქციურად თანაბარი ძალი-საა, ე.ი. NP, ანუ შესიტყვება [როსტევან მეფე] ფუნქციონირებს ერთი კლასტე-რული ნიშნის მსგავსად როგორც ერთი N (და არა როგორც NP) ფრაზა შემა-დგენლებით: 'N1, N2}' და მსაზღვრელი ძაბადლი მიემართება სწორედ ამ მთლიან კომპლექსს და არა რომელიმე მის ერთ-ერთ შემადგენელს.

აღსანიშნავია, რომ, თუ შერწყმის ხარისხი კიდევ უფრო გაზრდილია (ანუ, ორ სახელს შორის შეუძლებელია სხვა რაიმე ენობრივი ნიშნის ჩასმა), შედეგად წარმოიქმნება ე.წ. ტოლადშერწყმული კომპოზიტები; მაგალითად: ქარბუქი, წესწ-ყობილება, ჰურმარილი, ერთოვერცხი და სხვა.

ამდენად, ადეკვატურია ამ წყვილის არა სახელურ ფრაზად კვალიფიკაცია, არამედ ფუნქციურ კლასტერად: 'N1+N2' → N.

მსგავსი მაგალითებია: დავით აღმაშენებელი, მეცნიერ თანამშრომელი, აღმო-სავლეთ საქართველო, თბილის ქალაქი, რუსუდან ასათიანი და სხვ.

#### 4.2. კავშირებითი კილოს შესაბამისი კონსტრუქციები

კავშირებითი კილოს შესაბამისი აბსტრაქტული, სიღრმისეული სტრუქტურა თავისთავად კომპლექსურია და ორი ვითარების ერთიანობას გულისხმობს: ერთი ეხება გარკვეულ ფაქტს, ხოლო მეორე ასახავს ამ ფაქტისადმი მეტყველის დამოკი-დებულებას სხვადასხვაგვარი მოდალობების გამოხატვით – სურვილი, განზრახვა, შემთავაზება, აუცილებლობა, ვარაუდი, ეჭვი, შესაძლებლობა და სხვ.

ქართულში კავშირებითი კილოს მსგავსი კომპლექსურობა ორი ტიპის კონ-სტრუქციით შეიძლება გადმოიცეს:

- (1). გიორგის უნდა, რომ მანქანა იყიდოს.
- (2). გიორგის უნდა მანქანა იყიდოს.

სიღრმისეულად აქ გვაქვს ორი სიტუაციის ერთიანობა: (ა). გიორგი ყიდუ-ლობს მანქანას (ფაქტი), რასაც მეტყველი პირი წარმოადგენს არა როგორც რეალურ ფაქტს, არამედ როგორც გიორგის სურვილს – სიტუაცია (ბ).

ამ სიღრმისეული მიმართებების ზედაპირული რეალიზაციები განსხვავებუ-ლია: (1) სტრუქტურა არის რთული ქვეწყობილი, დამატებით დამოკიდებული წინადაღება, (2) კი სპეციფიკურია: მაქვემდებარებელი კავშირების გამოტოვება რთულ ქვეწყობილ წინადაღებაში, როგორც წესი, არ ხდება და ეს შესაძლებე-ლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ფაქტობრივი სიტუაციის გამომხატველი ბაზისური ზმნა კავშირებითი კილოს ფორმითაა წარმოდგენილი.

საზოგადოდ, ზმნა კავშირებით კილოში აუცილებლად მოითხოვს ზედაპირულ სტრუქტურაში მოდალობის გამომხატველი ელემენტის არსებობას, რომელიც შე-იძლება იყოს ან მოდალური ნაწილაკი, ან მოდალობის შინაარსის მქონე ზმნა.

ეს სემანტიკური მთლიანობა ან როტული ქვეწყობილი წინადადებით გამოიხატება, სადაც მაქვემდებარებელი კავშირი აუცილებელია, ან სინტაქსური წყვილით, ზმნური ფრაზით VP, რომელიც ერთ ფუნქციას ასრულებს – გამოხატავს ძირითადი ზმნის კავშირებითი კილოს ფორმას. ზმნური ფრაზა, უშ-, მეთოდის მიხედვით, ჩვეულებრივ ჩნაცვლებადია მარტივი ზმნით, რაც ამ შემთხვევაში შეუძლებელია, თუ შემადგენლების ტიპებს არ დავუმატებთ სპეციფიკურ, მოდალობის აღმნიშვნელ AUX ტიპის არატერმინალურ, კატეგორიალურ შემადგენელს.

მაშასადამე, ადეკვატურია ამ წყვილის არა ზმნურ ფრაზად კვალიფიკაცია, არამედ ფუნქციურ კლასტერად: 『მოდალობის გამომხატველი ნაწილაკი ან ზმნა + ფაქტობრივი შინაარსის გამომხატველი ზმნა』 $\leftarrow\rightarrow$  კავშირებითი კილო.

## 5. დასკვნები

შესაძლებელია სწავა კლასტერული ერთეულებიც ფუნქციობდნენ ქართული ენის გრამატიკულ სისტემაში – ამ ეტაპზე ჩვენი მიზანი იყო რამდენიმე კონკრეტული პრობლემური საკითხის ახალი თეორიული მიდგომით გადაწყვეტის ეფექტიანობის წარმოჩენა, რაც შეიძლება შევაჯამოთ შემდეგი თეზისებით:

1. ორი ან მეტი ენობრივი ფორმის გამოყენება ერთი შინაარსის გამოსახულვად არის ენობრივ ნიშანთა შერწყმის, ფუზიის სპეციფიკური შემთხვევა.

2. ასეთი შემთხვევები, ძირითადად, დასტურდება ე.წ. ფლექსიურ (=ფუზიურ) ენებში.

3. ამ სახის შემთხვევების კვალიფიკაციისას მიზანშეწონილია ფორმათა კომპლექსებზე საუბარი, რომლებიც ენობრივ სისტემაში ამ კონკრეტულ ფორმათა ერთი ფუნქციით, დანიშნულებით გამოყენებას გულისხმობს.

4. ერთი ფუნქციით გამოყენებულ რამდენიმე ენობრივ ნიშანს შეიძლება ვუწოდოთ ფუნქციური კლასტერი.

5. ასეთი კლასტერები შეიძლება ფუნქციონირებდეს ენის ნებისმიერ დონეზე – როგორც ფონოლოგიურ, ისე მორფოლოგიურ თუ სინტაქსურ დონეებზე.

6. ქართულში ფუნქციური კლასტერების ნიმუშებად შეიძლება მივიჩნიოთ – ფონოლოგიის დონეზე:

### ჰარმონიული კომპლექსები

მორფოლოგიის დონეზე:

ვნებითის ფორმა $\leftarrow\rightarrow$  რ-თ(-ებ)-.აწმყო(-ი)/-აწმყო.ს.3.მხ(-ა)

უწყვეტელი $\leftarrow\rightarrow$  რთემა - სავრცობი - მწკრივი/-მწკრივი.სუბიქტი.3.მხ  
შუალობითიკონტაქტი $\leftarrow\rightarrow$  რ.1-კონტ.

სინტაქსის დონეზე:

არსებითი სახელი ატრიბუტულ მსაზღვრელად $\leftarrow\rightarrow$  რN1+N2

კავშირებითი კილო $\leftarrow\rightarrow$  მოდალური ნაწილაკი/ზმნა+ფაქტობრივი ზმნა

## **ლიტერატურა:**

- ასათიანი 2016:** რ. ასათიანი, ზმნური ხმოვანპრეფიქსები ქართველურში: ვერსია და კაუზაცია, ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევა, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 70-108.
- ასათიანი 1987:** რ. ასათიანი, ზმნურ პრეფიქსელ ხმოვანთა ფუნქციონალური კვალი-ფიკაცია ქართველურ ენებში, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 3, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- ბოედერი 2005:** W. Boeder, The South Caucasian Languages, *Lingua*, 115, Elsevier.
- გიგინეიშვილი 2016:** ბ. გიგინეიშვილი, კაუზატივი და პოსიბილიტივი ქართულში, ენათმეცნიერების სკოლები, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 13-19.
- დამენია 1982:** მ. დამენია, ქართული ზმნური მორფების სტრუქტურული მოდელები, თბილისი.
- ვურმბრანდი 2006:** S. Wurmbrand, Verb Clusters, Verb Raising, and Restructuring, *The Blackwell Companion to Syntax*, Blackwell Reference Online:  
DOI:10.1002/9780470996591.CH75, Corpus ID: 118441351, pp. 1-110.
- თანდაშვილი 2016:** ბ. თანდაშვილი, ქართული ენის ფუნქციური გრამატიკის საფუძვლები, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი.
- მაჭავარიანი 1988:** გ. მაჭავარიანი, კაუზაციის კატეგორია ქართველურ ენებში, იქ, XXVII, თბილისი.
- შანიძე 1973:** ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძლები, I, მორფოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- ჰარისი 2009:** A. C. Harris, On the Order of Morphemes in Georgian Verbs and Substantives, სამუნიკარო სტატიების კრებული: „გურამ კარტოზია 75“, თბილისი, 399-415.

Rusudan Asatiani

## **Functional "Clusters" of Linguistic Forms at Different Linguistic Levels in Georgian**

### **Summary**

The main task of structural linguistics is to identify and describe the relationship between the "Signifier" and the "Signified" of the "Sign". The study of these relations is effective if all three aspects of the sign are taken into account, both syntactic or semantic, and pragmatic.

Foregrounding of the pragmatic aspect implies a shift in emphasis from the meaning of the sign to its functions: in the functional approach, the sign is analysed not only from the point of view of its meaning and form but also from the point of view of its functions in the language system.

From a functional point of view, it becomes clear that sometimes a one-to-one correspondence between the signifier (res. value) and the signifier (res. form) cannot be established, since it may be that

(1). The form of one linguistic sign expresses several meanings at the same time; And, vice versa,

(2). Different forms of various linguistic signs express one function, and these signs function as one unit in the language system.

Patterns of such morphemes are common in so-called fusion languages, where one morpheme expresses several meanings at the same time; For example, in the Georgian language, a morpheme *-s* denoting III-Person of a Subject simultaneously expresses a set of meanings: either {S, III, Singular, Active Verb, Present}, or {S, III, Singular, Subjunctive Mood}. Such cases of fusion (**one form ↔ several meanings**) are quite common in the grammatical system of the Georgian language and are properly analysed. However, the second case, such is **one meaning/function ↔ several forms**, is lesser studies and identified in Georgian.

At the level of phonology, the so-called Harmonic Complexes identified and studied by G. Akhvlediani are examples of such clusters.

The paper reveals and analyzes some examples of so-called "Functional Clusters" in Georgian at the levels of morphology and syntax.

Morphological level:

**Passive Form** ↔ {-Theme(-eb-).-PRS(-i)/-PRS.S.3.SG(-a)}

**Imperfective** ↔ {-Theme-IPFV(-od-/d-)-PST(-i)/PST.S.3.SG(-a)}

**Causative** ↔ {-Theme-Caus.(-in)<sup>1</sup>}

Syntactic Level:

**NP with Two Nouns** ↔ {N1+N2}

**Subjunctive Mood** ↔ {Modal Particle/Modal Verb + Basic Verb}

ციური ახვლებიანი, გიორგი შუგარაძე

**ფრანგული და ინგლისური ენების  
სიტყვამარტარმოებელ სისტემათა  
შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი**

ენის ლექსიკური შემადგენლობა არ წარმოადგენს სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის მიხედვით გაურთიანებულ სიტყვათა შემთხვევით, თვითნებურ კრებულს. ენის ლექსიკა სისტემური ხასიათისაა და ექვემდებარება განსაზღვრულ კანონზომიერებებს. ენის ლექსიკური შემადგენლობა მოძრავია, იგი საკმაოდ მარტივად და სწრაფად განიცდის ცვლილებებს. ნებისმიერი ენა სწრაფად რეაგირებს ენის მატარებლთა საზოგადოებრივი, კულტურული და ყოველდღიური ცხოვრების მცირე ცვლილებებზეც კი. ენის ლექსიკური შემადგენლობის შევსება სხვადასხვა საშუალებებით იწარმოება. უპირველეს ყოვლისა, იგი მდიდრდება საკუთარი წაყროების საფუძველზე, რომელთაგან უმთავრესია სიტყვაწარმოება, ანუ ახალი სიტყვების შექმნა არსებულ სიტყვათა ბაზაზე, განსაზღვრულ სქემათა და კანონზომიერებათა მიხედვით. სიტყვაწარმოებისას ჩნდება ახალი სიტყვამაწარმოებელი მოდელები და ტიპები.

ჩვენი კვლევის მიზანია ფრანგული და ინგლისური ენების სიტყვამაწარმოებელ სისტემათა შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი, მათი თავისებურებების გამოსავლენად. კვლევისას გამოვიყენეთ შედარებით-შეპირისპირებითი, რაოდენობრივ-კომპონენტური ანალიზისა და ასევე სტრუქტურულ-ფუნქციონალური ანალიზის მეთოდები.

ცნობილია, რომ ახალი სიტყვები იქმნება ექსტრალინგვისტური და შიდაენობრივი ფაქტორების ზეგავლენით. ლექსიკური შემადგენლობის გამდიდრების ერთერთი ძირითადი წყაროა სიტყვაწარმოება, რომელიც წარმოადგენს არა მხოლოდ ენის ლექსიკური შემადგენლობის შევსების საშუალებას, არამედ მისი ფუნქციონირების ფორმასაც.

განვიხილოთ და შევადაროთ ფრანგული და ინგლისური ენების სიტყვამაწარმოებელი სისტემები. აღსანიშნავია, რომ ორივე საკვლევ ენაში არსებობს სიტყვაწარმოების შემდეგი ტიპები: ფონეტიკური, მორფოლოგიური და სემანტიკური. სუფიქსაცია, ონომატოპეია, დეზაფიქსაცია, კონვერსია, აბრევიაცია, სიტყვათხვა, ტელესკოპია სიტყვაწარმოების ძირითადი ხერხებია როგორც ფრანგულ, ასევე ინგლისურ ენაში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ზოგადი სიტყვაწარმომქმნელი ტიპები და საშუალებები, ფრანგულ და ინგლისურ ენათა სიტყვამაწარმოებელი სისტემები გამოიჩინევიან დიდი რაოდენობის ცალკეული ხერხებითა და მიმართულებებით.

ფრანგულ ენაში ფონეტიკურ წარმონაქმნთა თავისებურებაა ის, რომ ისინი ხშირად იქმნებიან რედუპლიკაციის გზით (**teuf-teuf, coin-coin**). ფრანგულ და ინგლისურ ენებში ონომატოპეური სიტყვები იქმნებიან ცალკეული ბგერებისაგან, რომლებიც წარმოადგენ უნიკალურ კონფიგურაციებს. ამ ხერხის პროდუქტი-ულობა შეზღუდულია ორივე ენაში.

მორფოლოგიური სიტყვაწარმოება პროდუქტიულია როგორც ფრანგულ, ასე-ვე ინგლისურ ენაში. ფრანგული მორფოლოგიური სიტყვაწარმოების გამორჩეული ნიშანია მისი დაყოფა სინთეტიკურებად და ანალიტიკურებად.

ფრანგულ და ინგლისურ ენებში სუფიქსები ასრულებენ ერთ-ერთ მომდევნო ფუნქციას:

- გადაპყავთ მაწარმოებელი ფუძე მეტყველების სხვა ნაწილში;
- გადაპყავთ მაწარმოებელი ფუძე სხვა ლექსიკურ-გრამატიკულ ჯგუფში;
- მაწარმოებელ ფუძეს ანიჭებენ სხვა კონოტაციურ მნიშვნელობას;
- მამრობითი სქესის არსებით სახელს ცვლიან მდედრობითი სქესის არსებითი სახელით.

ინგლისურ ენაში არსებობს სუფიქსთა კლასიფიკაცია იმ ფუნქციათა მიხედვით, რომლებსაც ისინი ასრულებენ. ფრანგულ ენაში ასეთი კლასიფიკაცია არ არსებობს. ორივე ენაში არსებობს სუფიქსთა კლასიფიკაცია იმის მიხედვით, თუ მეტყველების რომელ ნაწილს ქმნიან ისინი და მეტყველების რომელი ნაწილის ფუძეს უერთდებიან.

ინგლისური სუფიქსური სისტემის ერთ-ერთი თავისებურებაა ომონიმური სუფიქსების არსებობა. მაგალითად, სუფიქს **al-** შეუძლია შექმნას ზედსართავი სახელი **educational** და ასევე არსებითი სახელი **arrival**.

ფრანგულ ენაში კი სუფიქსები გამოირჩევიან მხოლოდ განსაზღვრულ მეტყველების ნაწილებთან გამოყენებით.

ინგლისური სუფიქსები ხასიათდებიან ფუძეებთან შეთავსების მაღალი რეგულარობით. ფრანგულ ენაში კი სუფიქსები, წარმოშობის მიხედვით, იყოფიან 4 კლასად: ხალხურები, წიგნურები, ნასესხობები ცოცხალი ენებიდან და ფრანგული წარმოების სუფიქსები.

ინგლისური სუფიქსური სისტემა ასევე გამოირჩევა ობიექტურადგვალიტატიური (თვისებრივი) ნიშნის მქონე სუფიქსების არარსებობით და გაზრდა-მომატების გამომხატველი სუფიქსების არარსებობით.

კნინობით სუფიქსთა შეზღუდული რაოდენობის გამო, ორივე ენა მიმართავს ამ მნიშვნელობის გამომხატველ სხვა საშუალებებს. ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული ხერხია ზედსართავების გამოყენება: **little ‘პატარა’** – ინგლისურ ენაში და **petit ‘პატარა’** – ფრანგულ ენაში.

ფრანგული და ინგლისური სუფიქსები, ძირითადად, ერთნაირ სიტყვამაწარმოებელ მნიშვნელობებს ფლობენ. ორივე ენაში ყველაზე მეტად პროდუქტიულია

არსებით სახელთა სუფიქსები. მაგალითად, ფრანგულ ენაში – **isation, ification, age, ment, eur, ateur**, ინგლისურ ენაში – **ing, y, ist, ase**.

განსახილველ ენათა პრეფიქსული სისტემები ხასიათდებიან ნასესხობათა დიდი რაოდგნობით. ფრანგული პრეფიქსები ნასესხებია ლათინური და ბერძნული ენებიდან. ინგლისური პრეფიქსები ნასესხებია ლათინური, ბერძნული და ფრანგული ენებიდან. ფრანგული ენისაგან განსხვავებით, ინგლისურში არსებობს ტრანსპონირებულ (გადატანით) პრეფიქსთა დიდი რაოდგნობა. ისინი იყოფიან 2 ჯგუფად:

1. პრეფიქსები, რომლებიც ზმნებს აწარმოებენ სუბსტანტიური და ადიექტიური ფუძეებიდან;
2. პრეფიქსები, რომლებიც აწარმოებენ ზედსართავ სახელებს არსებითი სახელების ფუძეებისაგან, შესიტყვებებისა და ნამყოს მიმღეობისაგან.

ორივე ენათა პრეფიქსულ სისტემებში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს უარყოფითი პრეფიქსები: ფრანგულ ენაში – **in, dis, mal, a**; ინგლისურ ენაში – **un, in, dis, a**.

აღსანიშნავია, რომ ორივე ენაში პრეფიქსული სიტყვაწარმოება ნაკლებად პროდუქტიულია, ვიდრე სუფიქსური.

ფრანგულ ენაში ყველაზე მეტად პროდუქტიული და აქტიურია შემდეგი პრეფიქსები: 1. ინტენსიურობის პრეფიქსები: **super, ultra, archi, extra, sur**; 2. უარყოფით-პრივატული მნიშვნელობის პრეფიქსები: **dé, non**.

ინგლისურ ენაში პროდუქტიული პრეფიქსებია: **anti, super, pro, mis, re, mega**. ფრანგულისაგან განსხვავებით, ინგლისურ ენაში არ გამოიყოფა სუფიქსურ-პრეფიქსული სიტყვაწარმოება, ანუ პარასინთეზი.

ფრანგულ ენაში არსებობს ანალიტიკური სიტყვაწარმოება ფუნქციონალურ-დიფერენცირებული ელემენტებით, რაც საკმაოდ პროდუქტიულია: **homme de troupe, mise en scène, à côté de**. სიტყვაწარმოების ეს ტიპი არ არსებობს ინგლისურ ენაში.

ფრანგულ ენაში ანალიტიკურ სიტყვაწარმოებას ფუნქციური არადიფერენცირებული ელემენტებით მიაკუთვნებენ დეზაფიქსაციას, ფუძეთა თხზვას, აბრევიაციასა და ტელესკოპიას.

დეზაფიქსაცია საკმაოდ პროდუქტიულია ინგლისურ ენაში და არაპროდუქტიულია ფრანგულში, რადგან მასში ამ საშუალებით იქმნება მხოლოდ ნაზმნარი არსებითი სახელები (**crier→cri**); ინგლისურში კი ეს ხერხი გამოიყენება არა მხოლოდ არსებითი სახელების შესაქმნელად, არამედ ზმნებისაც. ყველაზე მეტად პროდუქტიული მოდელია: **N→V**.

აბრევიაცია, როგორც სიტყვაწარმოების საშუალება, ახასიათებს ინგლისურ ენას აპოკოპურ-აფერეზული ტიპისა და სინკოპათა არსებობით, ფრანგულ ენაში კი არ გამოიყენება. ზოგიერთი შემოკლება ორივე ენაში მიისწრაფვის სიტყვაწარმოებისაკენ: ფრანგულ ენაში **CGT→céguiste, ინგლისურ ენაში phone→phony**.

ინგლისურ ენაში შემოკლებათა თავისებურებაა გრამატიკული ფლექსიის მიღების უნარი (**democracy→democrats**) და ტრანსპორირება სხვა ჯგუფში. ფრანგულ

ენაში არსებობს ფუძეთა თხზვის ორი ტიპი: ხალხური და წიგნური. ხალხური საქმაოდ პროდუქტიულია, წიგნური კი პროდუქტიულია სამეცნიერო-ტექნიკურ ტერმინოლოგიაში.

ინგლისურ ენაში ძალზე პროდუქტიულია ფუძეთა თხზვა. ეს სიტყვამაწარმოებელი ხერხი გამოირჩევა ასეთი მოდელით – **V+მარცვლის შემდეგ (to work-in)**. ამ მოდელით ნაწარმოები სიტყვები მრავალრიცხვანია. ფუძეთა თხზვისათვის ინგლისურ ენაში ასევე დამახასიათებელია მრავალკომპონენტიანი კომბინაციებისადმი ტენდენციის გაძლიერება, ახალ პროდუქტიულ მოდელთა გაჩენა: **Abbr + N→N, N + Numeral→N**.

ორივე ენაში არსებობს სრული და ნაწილობრივი ტელესკოპიური წარმონაქმნები ფონეტიათა დასმით. აღსანიშნავია, რომ განსახილველ ენებში, ტელესკოპიური წარმონაქმნები გამოიყენებიან მხოლოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და სასაუბრო ენაში.

ფრანგულ ენაში სიტვაწარმოების ზოგიერთი ხერხი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ლინგვისტებს შორის, განსაზღვრულ ტიპთადმი მათი მიკუთვნების მიზეზით. ასეთი სიტყვამაწარმოებელი საშუალებებია: კონვერსია, გრამატიკალიზაცია და ფუძეთა თხზვა.

ინგლისურ ენაში კონვერსია განკუთვნება მორფოლოგიურ-სინტაქსურ სიტყვაწარმობას. აღსანიშნავია, რომ კონვერსია სიტყვამაწარმოების ერთ-ერთი ყველაზე მეტად პროდუქტიული ხერხია ორივე ენაში.

ფრანგულ ენაში კონვერსიის პროდუქტიულობა უკავშირდება მის ანალიტიკურ წყობას. ინგლისურ ენაში კი კონვერსიის პროდუქტიულობა აიხსნება მეტყველების ნაწილთა მორფოლოგიური მაჩვენებლების არარსებობით. ფრანგულ ენაში არსებობს კონვერსიის 3 სახეობა, იმის მიხედვით, თუ მეტყველების რომელი ნაწილი იქმნება: სუბსტანტივაცია, ადექტივაცია, ადვერბიალიზაცია. ინგლისურ ენაში, ამ სამი სახეობის გარდა, არსებობს ვერბალიზაციაც. ამ ენაში კონვერსიის ყველაზე მეტად გავრცელებული სახეობაა არსებით სახელთა ვერბალიზაცია.

ფრანგულ ენაში კონვერსიის ყველაზე მეტად პროდუქტიული ტიპია სუბსტანტივაცია. ამ ენის სიტყვამაწარმოებელი სისტემის დამახასიათებელი თავისებურებაა მთლიან ფრაგმენტთა და შესიტყვებათა სუბსტანტივაციის არსებობა: **«Les on dit»**.

ინგლისურ ენაში კონვერტირებულ ნეოლოგიზმთა ძირითადი მასა შეზღუდულია ხმარებაში პროფესიონალური პარამეტრით.

სემანტიკური სიტყვაწარმოება არსებობს ორივე ენაში. ფრანგულ ენაში სემანტიკური სიტყვაწარმოება შეიცავს ფრაზეოლოგიური ერთეულების გაჩენას, გრამატიკალიზაციასა და სემანტიკურ ომონიმთა წარმოქმნას. ინგლისურ ენაში სემანტიკური სიტყვაწარმოება ცალკე ტიპს წარმოადგენს.

დასასრულ, ამ კვლევის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფრანგული და ინგლისური ენების სიტყვამაწარმოებელ სისტემებს აქვთ როგორც საერთო, ასევე

განმასხვავებელი ნიშნები. ორივე ენაში ცალკეული სიტყვამარტარმოებელი საშუალება გამოიყენება ლექსიკის განსაზღვრულ ფუნქციურ და სოციალურ სახეობებში. შესაძლებელია კვლევის მასალის პრაქტიკული გამოყენება ფრანგული და ინგლისური ენების სწავლების პროცესში, ლექსიკასა და ტექსტზე მუშაობისას.

### **ლიტერატურა:**

- თ. გამყრელიძე, ჸ. კიქნაძე, ი. შალური, ნ. შენგელაია, *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*, თსუ გამომცემლობა, 2003.
- I. Plag, *Word-Formation in English*, Cambridge Textbooks in Linguistics, ISBN: 978-1-316-62329-9, 2018.
- I. Plag, H. R. Baayen, Suffix ordering and morphological processing, *Language*, Volume 85, no.1: 109-152, 2009.
- J. Hay, I. Plag, What constrains possible suffix combinations? On the interaction of grammatical and processing restrictions in derivational morphology”, *Natural Language & Linguistic Theory*, vol. 22, no.3: 565-596, 2004
- J. -F. Sablayrolles, *La néologie en français contemporain*. Paris: Honoré Champion Editeur, 2000.
- H. Bussmann, *Routledge Dictionary of Language and Linguistics*, London: Routledge, 1996.
- M. -D. Picon, L'impulsion synthétique: le français poussé par la synthèse, *Le français moderne*, N 59, vol. 2, 1991.
- A. H. Soukhanov, *Word Watch: The Stories Behind the Words of our Lives*, Henry Holt and Co, 1995.
- E. Bakradze, The Study of English Language Vocabulary Development through Shortened Words and Units, *International Journal of Arts & Sciences*, CD-ROM. ISSN: 1944-6934: 09(02):419–434 2016.

*Tsiuri Akhvlediani, Giorgi Kuparadze*

### **A Comparative-contrastive Analysis of French and English Word Formation Systems**

#### **Summary**

Any language responds immediately to even the smallest changes in the social, cultural, and everyday life of language bearers. Supplying the lexical inventory of a language is carried out by various means. First of all, it is enriched on the basis of its own sources, the most important of which is word formation, i.e. the coining of new words on the basis of the existing ones, according to defined schemes and patterns.

The aim of our study is a comparative-contrastive analysis of French and English word-formation systems in order to identify their specific peculiarities. In the research we applied the comparative-contrastive and quantitative-component analysis methods, as well as the

structural-functional one. It is a stated fact that new words are formed under the influence of extralinguistic and intralinguistic factors.

In the languages under investigation, there are the following types of word formation: phonetic, morphological and semantic; suffixation, onomatopoeia, disaffixation, conversion, abbreviation, word-coinage, telecopy. In French and English, onomatopoeic words are formed from separate sounds that represent unique configurations. The productivity of this method is limited in both languages.

The morphological word formation is productive in both French and English. The semantic word formation exists in both languages, too. The semantic word formation in French involves the emergence of phraseological units, grammaticalization, and the creation of semantic homonyms. In English, the semantic word formation turns to be a separate type.

As a result of this analysis, we can conclude that French and English word formation systems have both common and distinctive features. Particular word forming means are used in cases of certain functional and social types of lexis in both languages. The present research material can widely be used in practice, namely, in the teaching process of French and English as well as while mastering the vocabulary and working on a text.

## პახა გაბუნია

### ზორური კონსტრუქციების აგებისას დაშვებული შეცდომების ანალიზი არაქართულონვანი (სოჭე ურ- და აზერბაიჯანულონვანი) მოსფავლეების მეტყველებაში

ენებს შორის კონტაქტებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამ ენათა ლექსიკური მარაგის თუ გრამატიკული სტრუქტურების ჩამოყალიბება-განვითარებისთვის; პრაქტიკულად, ვერც ერთი ენის ისტორიული განვითარება გარეგანი გავლენისგან იზოლირებულად ვერ წარიმართება; ენობრივი კონტაქტების შედეგები იმდენად მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანია, რომ, პირობითად, მსოფლიოში არსებული ყველა ენა „შერეული“ ტიპისად შეიძლება ჩაითვალოს.

ენობრივი კონტაქტებისა და მათი შედეგების შესწავლის მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ მას შეუძლია, ნათელი მოპფინოს ენობრივი სისტემის სტრუქტურის თავისებურებებს.

ენობრივი კონტაქტები როგორი და მრავალეტაპიანი პროცესია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოების განვითარებასთან. ორი ენის კონტაქტი ხდება ამ ენებზე მოლაპარაკე ადამიანების მეტყველების ურთიერთქმედების სახით. ურთიერთგაგება შეუძლებელია, თუ ორივე (ან ერთ-ერთი) მხარე არ გადადგამს ერთ ნაბიჯს მაინც „კომპრომისისკენ“ – ანუ თანამოსაუბრის ენის მინიმუმ რამდენიმე სიტყვას არ დაუუფლება და თუნდაც უმარტივეს გრამატიკულ სტრუქტურებს არ აითვისებს... ენობრივი კონტაქტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მრავალენოვან საზოგადოებაში. მულტილინგვალი მოსახლეობის სანგრძლივი და ინტენსიური კონტაქტებით მნიშვნელოვანმა ნაწილმა გარკვეულწილად იცის მეზობლების ენა. ამრიგად, ენებს შორის კონტაქტი ხორციელდება მოლაპარაკეების გარკვეული ნაწილის ინდივიდუალური ბილინგვიზმის მეშვეობით (იხ. კუმინსი, სვეინი 2016).

იმისდა მიხედვით, თუ რა დონეზე ფლობს და შეუძლია კომუნიკაცია ორენოვან ადამიანს ორ ენაზე, ბილინგვიზმი შეიძლება იყოს სიმეტრიული (ადამიანმა ორივე ენა თანაბრად იცის) ან ასიმეტრიული (ერთ ენას სრულფასოვნად ფლობს, მეორეს – ნაწილობრივ). ასიმეტრიული ბილინგვიზმი უფრო გავრცელებული მოვლენაა (ბეიკერი 2010:73).

მეორე ენაზე მეტყველების შეცდომები, რომელიც გამოწვეულია პირველი ენის საშუალებების გამოყენებით – „ჩარევის“ გამოვლენაა. ჩარევის საერთო წინაპირობაა, რომ მეორე ენაზე მოლაპარაკე ადამიანი ყოველთვის ერთ დონეზე იყენებს მშობლიურ ენაზე მეტყველების უნარს (სელიგნერი 1992, სავილიე-ტროიკე

2016), რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, ეხმარება უცხო ენაზე წინადადების კონსტრუქტორი (მაგალითად, თუკი ეს ენაში მონათესავეა), თუმცა მეტწილად შეცდომებს იწვევს (როდესაც ერთი ენის ლექსიკური და გრამატიკული სტრუქტურები მნიშვნელოვნად განსხვავდებულია). ამ მოვლენას **ინტერფერუნციას** უწოდებენ.

ინტერფერუნცია – ეს არის მოვლენა, რომლის დროსაც ერთი ენის ელემენტები გამოიყენება მეორე ენის ხმარების დროს. ინტერფერუნცია განიხილება როგორც უარყოფითი მოვლენა ენაში. ინტერფერუნციის დროს დიდი გავლენა აქვს მშობლიურ ენას, ამიტომაც მეორე ენაზე კოდის გადართვისას ხშირად მშობლიური ენის ელემენტებს იყენებენ. საზოგადოდ, ინტერფერუნციის მოვლენა თავს იჩენს მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს ერთზე მეტი ენის ცოდნასთან (როგორც წესი – ასიმეტრიული ბილინგვიზმის შემთხვევაში – იხ. სავილიე-ტროიკე 2016:8); თუმცა ერთი ენის გავლენა მეორეზე განიხილება უარყოფით კონოტაციით – იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მშობლიური ენის გავლენით ვუშვებთ შეცდომებს მეორე ენაში! (ბერიძე 2022:58-59; გაბუნია და სხვ. 2008:69-70).

ინტერფერუნციის წარმოშობის მიზეზია ის, რომ ადამიანი თავის მეტყველებას მშობლიური ენის ნორმების მიხედვით აშენებს; შესაბამისად, მეორე ენაზე მეტყველების კონსტრუქტორისას ცალკეულ ენობრივ ფაქტებს შორის ამ ენისთვის არაადეკვატურ კავშირებს ამყარებს. სამეცნიერო კვლევებმა აჩვენა, რომ მეორე ენის სწავლების პროცესში ინტერფერუნციის პრობლემები საკმაოდ როოლი დასაძლევია და მოიცავს ყველა დონეს (ფონეტიკური, ლექსიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური) და ზოგადად გავლენას ახდენს მეტყველების პროდუქტიულ და მიმღებ აქტივობაზე სწავლაში (სავილიე-ტროიკე 2016:18).

ენობრივი ინტერფერუნციის ყველაზე გავრცელებული ფორმაა მშობლიური ენის გავლენა მეორე ენაზე (ფერგიუსონი 1971). შესაბამისად, ინტერფერუნციის დაძლევა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ამოცანას მეორე ენის სწავლებისას.

ინტერფერუნციის მოვლენა განსაკუთრებით საგრძნობია სინტაქსური კონსტრუქციების აგების პროცესში. მეორე ენაზე წინადადების კონსტრუქტორებისას, როგორც წესი, დიდ გავლენას ახდენს მშობლიურ ენაში მოქმედი სინტაქსური წესი, რაც ცდომილების მიზეზ-საფუძველია.

ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების პროცესში ურთულესი საკითხია ზმნური კონსტრუქციების მრავალგვარობა, რაც, თავის მხრივ, ქართულის, როგორც ერგატიული ტიპის ენის, დრო-კილოთა სერიების პრობლემასთანაა დაკავშირებული.

წინამდებარე სტატიის მიზანია, აღნუსხოს და გააანალიზოს ის გრამატიკული (სინტაქსური) შეცდომები, რომლებსაც უშვებენ არაქართულენოვანი მოსწავლეები ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლის პროცესში. შეცდომების ანალიზი ყურადღებას ამახვილებს შემსწავლელის შემოქმედებით უნარზე, „ააგოს“ ენა. ის ემყარება რეალურ შემსწავლელთა მიერ მეორე ენაში დაშვებული შეცდომების აღწერასა და ანალიზს და არა წარმოსახვით ლინგვისტურ სტრუქტურებს.

მეტყველებაში დაშვებული შეცდომები გაანალიზდა სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომების (წარუკიანი 2022, მემარნიშვილი 2022 – ხელმძღვანელი კ. გაბუნია) ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით (კვლევა განხორციელდა ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში, მე-7-მე-12 კლასის 64 მოსწავლესთან ინტერვიურების გზით: 36 აზერბაიჯანულებრივი და 28 სომხურენოვანი რესპონდენტი).

სახოგადოდ, ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლებისას აქცენტი მუდამ კეთდებოდა ერგატიულ კონსტრუქციაზე, რომელიც ინდოევროპული, ალათაურ-თურქული, სემიტური და ა.შ. ენებისთვის მართლაც სრულიად უცხოა... თუმცა არა-ნაკლებ სერიოზული პრობლემები დაფიქსირდა ნომინატიური და დატიური კონსტრუქციების კონსტრუქციებასთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, ერგატიული კონსტრუქცია მხოლოდ ერთი კომპონენტია იმ ზოგადი სირთულისა, რომელიც ქართული ენის ზმნა-შემასმენლის სტაბილური და ლაბილური კონსტრუქციების საკითხს უკავშირდება (იხ. გაბუნია 2014, გაბუნია 2016).

ინდოევროპულ, ალათაურ-თურქულ თუ სხვა ენობრივი ოჯახების ენებზე მოსაუბრე პირისათვის, რომელიც მშობლიური ენის სტაბილურ (მდგრად) სინტაქ-სურ კონსტრუქციებს ფლობს, უჩვეულო აღსაქმელია ქართულში გარდამავალ ორ-პირიან (და სამპირიან) ზმნასთან შეწყობილი აქტანტების ბრუნვათა მიხედვით ცვალებადობა სხვადასხვა სერიის (დრო-კილოთა ნაკვთების) ფორმებთან:

<b>კაც-ი</b>	<b>სახლ-ს</b>	<b>აშენებს</b>	<b>(I სერია)</b>
<b>კაც-მა</b>	<b>სახლ-ი</b>	<b>ააშენა</b>	<b>(II სერია)</b>
<b>კაც-ს</b>	<b>სახლ-ი</b>	<b>აუშენებია</b>	<b>(III სერია)</b>

ამ პარადიგმაში სპეციფიკურია არა მხოლოდ ქვემდებარის ბრუნვები (სახელობითის, მოთხრობითისა და მიცემითის მონაცვლეობა სერიების მიხედვით), არამედ – პირდაპირი დამატების ბრუნვაცვალებაც (I სერია – მიცემით; II სერია – სახელობითი; III სერია – სახელობითი)... შესაბამისად, მოსალოდნელია შეცდომები სწორედ ლაბილური კონსტრუქციების ზმნებთან, თუმცა უნდა ითქვას, რომ რესპონდენტები შეცდომებს უშვებენ სტაბილური კონსტრუქციების შემთხვევაშიც.

გარდაუვალი ზმნები ქართულში სტაბილურ კონსტრუქციას გვიჩვენებენ: დრო-კილოთა სამსახური სერიაში (სტაბილური კონსტრუქცია მოეპოვება როგორც აბსოლუტურ-ერთპირიან, ასევე ორპირიან და სამპირიან ზმნა-შემასმენელს);

ერთპირიანი გარდაუვალი ზმნა-შემასმენლის ქვემდებარე მუდამ სახელობითშია:

<b>კაც-ი / ბიჭ-ი / მგელ-ი</b>	<b>არის, დგას, იმაღლება... (I სერია)</b>
<b>კაც-ი / ბიჭ-ი / მგელ-ი</b>	<b>იყო, იდგა, დაიმაღლა... (II სერია)</b>
<b>კაც-ი / ბიჭ-ი / მგელ-ი</b>	<b>ყოფილა, ძდგარა, დამაღლა... (III სერია)</b>

$$\{V\_N_{\text{nom}}\}$$

ანალოგიური, სტაბილური ნომინატიური კონსტრუქციის მქონეა ზმნები: ზის, მიდის, იწერება, იძერება, დნება, გდია და მრავალი სხვა... აღსანიშნავია, რომ აბსოლუტური სახეობის ზმნები ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული აგებულებისა და წარმოებისაა: მაგალითად, ყველაზე „გამოყენებადი“ ზმნა არის (ყოფნა) ერთ-ერთი ურთულესია – სამსავე სერიაში (ზოგჯერ – სხვადასხვა მწკრივშიც კი) განსხვავებული ძირია წარმოდგენილი (ა-რ-ი-ს, ო-ქ-ებ-ა, ო-ყ-ო-); ასევე, როგორი წარმოების ზმნებია: დგას, ზის, მიდის (პირველსა და მეორე პირში ეს ზმნები მეშვეობისანია: კდგა-ვარ, ზი-ხარ, მივდი-ვარ...). სულ სხვა ტიპის წარმოებისა და სტრუქტურის მქონეა: იწერება, იძერება (ე.წ. ინიანი ვწებითები), შენდება (ე.წ. დონიანი ვწებითი), დნება (ე.წ. უნიშნო ვწებითები), გდა (სტატიკური ვწებითი)... მიუხედავად წარმოების ტიპისა და აგებულებისა, ერთპირიანი (აბსოლუტური) გარდაუვალი ზმნების სუბიექტი ყოველთვის სახელობითშია (ნომინატივშია); შესაბამისად, მეორე ენის შემსწავლელებს, პრაქტიკულად, არ ექმნებათ პრობლემა ერთპირიანი ზმნა-შემასმენლის შემცველი წინადადების კონსტრუირებისას: მათ მშობლიურ ენებშიც (ინგლისური, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული...) სუბიექტი მუდამ სახელობითშია და, შესაბამისად, ინტერფერგციის უარყოფითი გავლენა ამ კონტექსტში გამორიცხულია (მოპოვებულ მსალაში ცდომილების არცერთი მაგალითი არ შეგვხვდრია და არც იყო მოსალოდნელი).

**თოვლი მოდის. (1, 6)**

**ტექსტები არის ასეთი. (1, 14)**

**ბუნება აპრილში, მაისში მწვანდება. (2, 6)**

**დეილა დაჯდა სკამზე. (2, 10)**

**ჩემი და იდვა ტელევიზორის გვერდით. (1, 14)**

**არსენი დამჯდარა. (1,12)**

**20 წუთში იწყება სკოლა. (2, 10)**

{V\_N<sub>nom</sub>}

საინტერესო მაგალითია: **ანამ** დაიმაღა მავადის ქვეშ. (1, 7). მოსალოდნელი ნომინატივის ნაცვლად ინტერვიუერი იყენებს ერგატივს. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში შეცდომა არ არის გამოწვეული მშობლიური ენიდან ტრანსფერით (სომხურ ენაში საერთოდ არ გვაქვს მოთხოვნითი ბრუნვა); შესაბამისად, აღნიშნული შემთხვევა განეკუთვნება არა სისტემური შეცდომების [errors] კლასს (რომლებიც მეორე ენის არასაკმარისი ცოდნიდან მომდინარეობს), არამედ არის შეცდომა [mistake], რომელიც გარკვეული არასწორი პროცესებიდან (მაგალითად, მეორე ენის გრამატიკის კონკრეტული წესის შეცდომით დამახსოვრებიდან) მომდინარეობს (იხ. კორდერი 1967; სავილიუ-ტროიკე 2016: 41).

\* \* \*

სტაბილური კონსტრუქციის მქონეა რელატიური (ორ- და სამპირიანი) ზმნების საკმაოდ დიდი ჯგუფი: ეს არის სხვადასხვაგვარი წარმოების, სრულიად განსხვავებული მორფოლოგიური აგებულების ზმნები, რომელთაც აერთიანებთ ერთადერთი (სინტაქსური) ნიშანი: მათვის დამახასიათებელია სტაბილური ზმნური კონსტრუქცია დრო-კილოთა სამსავე სერიაში: სუბიექტი – **სახელობითში** (ნომინატივში), ირიბი ობიექტი – **მიცემითში** (დატივში) (ნომინატიურ-დატიური კონსტრუქცია). ამ კონსტრუქციის მქონე ზმნათა რაოდენობა ქართულში საკმაოდ დიდია:

ეხმარება	დაეხმარა	დახმარებია	ბიჭ-ი	მეცობარ-ს
უბრაზდება	გაუბრაზდა	გაბრაზებია	ბიჭ-ი	მეცობარ-ს
ემშვიდობება	დაემშვიდობა	დამშვიდობებია	ბიჭ-ი	მეცობარ-ს
ხვდება	შეხვდა	შეხვედრია	ბიჭ-ი	მეცობარ-ს

{V \_N<sub>nom</sub> – N<sub>dat</sub>}

სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი შემსწავლელების მეტყველებაში ორპირიანი ზმნა-შემასმენლის შემცველი წინადაღების კონსტრუირებისას ქვემდებარის ბრუნვა, პრაქტიკულად, უშეცდომოდა წარმოდგენილი; რაც შეეხება ირიბი დამატების ბრუნვას, სამსავე სერიაში მეტწილად ცდომილება ფიქსირდება – ირიბი დამატება სახელობითშია:

**ანაპიტი ეპატიუება მეცობრები. (1, 12)**

**არტური ყველაზე მეტად ძმა ენატრება, რაღან შორს ცხოვრობს. (1,11)**

**გუშინ ჩემი და თანაკლასელი შეხვდა. (1,14)**

**ანიკო შეხვედრია თავისი ნათესავი. (2,4)**

**ჩემი ძასწავლებელი მოსწავლე დახმარებია. (2,8)**

{V \_N<sub>nom</sub> – N<sub>nom</sub>}

აღსანიშნავია, რომ იგივე რესპონდენტები სწორი ფორმითაც წარმოადგენენ ირიბ დამატებას (მიცემით ბრუნვაში):

**ჩვენ სუფრას გავშლით და დედას კეხმარებით. (2,8)**

**ვფიქრობ ძავშვი დედას ემსვავება. (1,14)**

**გიორგი დაემშვიდობა მშობლებს. (1,11)**

{V \_N<sub>nom</sub> – N<sub>dat</sub>}

ვფიქრობთ, ეს შემთხვევები იხსნება პოზიტიური ტრანსფერით, ვინაიდან ირიბი ობიექტის ბრუნვა რესპონდენტთა მშობლიურ ენებშიც დატივია.

\* \* \*

სტაბილურ კონსტრუქციას გვიჩვენებს დრო-კილოთა სამსავე სერიაში სამპირიან ზმნათა ერთი, უაღრესად მცირე ჯგუფი:

პპირდება	შეპპირდა	შეპპირდა	ბიჭ-ი მეგობარ-ს საჩუქარ-ს
ეხვეწება	შეხვეწა	შეხვეწება	ბიჭ-ი მეგობარ-ს საჩუქარ-ს

$$\{V - N_{nom} - N_{dat} - N_{nom}\}$$

რესპონდენტთა უმრავლესობა აქ შეცდომებს უშვებს: სახელობითშია გაფორმებული ორივე ობიექტი, ან ერთ-ერთი მანც:

ანაპიტი შეპპირდა დედას დავალების **შესრულება.** (1,7)

$$\{V - N_{nom} - N_{dat} - N_{nom}\}$$

მასწავლებელი დაპირდა ყველა კარგი ნიშნები. (2,9)

$$\{V - N_{nom} - N_{nom} - N_{nom}\}$$

\* \* \*

სტაბილურ კონსტრუქციათა განსხვავებულ ტიპს ქმნიან ქართულში ე.წ. „ინვერსიული“ ერთპირიანი ზმნები (მელიქიშვილი 1978:81-93). ამ შემთხვევაში იცვლება ქვემდებარის ბრუნვა: სამსავე სერიაში იყო მიცემითშია (სბინავს, ღვიძებს, სცხლა, სცივა, ეშინია და ა.შ.). ამ ტიპის ზმნათა რაოდენობა შეზღუდულია და, მკვლევართა აზრით, ეს ფორმები მიღებულია ორპირიანი ზმნების სემანტიკური სტრუქტურის ისტორიული ცვლილების შედეგად (უთურგაიძე 2001:89-103).

სბინავს	ეძინა	სბინებია	ბიჭ-ს
ეშინია	-	შინებია	ბიჭ-ს

$$\{V - N_{dat}\}$$

რესპონდენტთა უმრავლესობა (ჩანაწერებში არ დაფიქსირებულა არცერთი სწორი ფორმა) სახელობით ბრუნვაში აფორმებს ქვემდებარებს:

**ლალი მოელი დღე სბინავს.** (2, 3)

**არმინე ძალას ცხელა.** (1, 18)

**ნანე ძალლების ეშინია.** (1,11)

$$\{V - N_{nom}\}$$

სტაბილური კონსტრუქცია ახასიათებს ასევე ორპირიან ინვერსიულ ზმნათა რიგს, რომლებიც სრულიად განსხვავებული წარმოებისა და მორფოლოგიური

სტრუქტურის მქონეა, მაგრამ გამოირჩევა სინტაქსური კონსტრუქციის „მდგრადობით“ (აქტანტთა სტაბილური ბრუნვებით):

ჰყავს	ქალ-ს	შვილ-ი
აქვს	ბავშვ-ს	ფანქარ-ი
ენატრება	დედა-ს	შვილ-ი
უხდება	გოგონა-ს	ფეხსაცმელ-ი

$$\{V - N_{dat\_N_{nom}}\}$$

დასახელებულ ზმნა-შემასმენელთა სინტაქსური კონსტრუქცია დატიურ-ნომინატიურია: **მიცემითი (დატივი)** + **სახელობითი (ნომინატივი)**.

სომხურ- და აზერბაიჯანულენოვან რესპონდენტთათვის ამ შემთხვევაშიც ქვემდებარის ბრუნვა სახელობითია:

*ხვალ ანა ექნება წიგნი. (1, 17)*

*ანა ბიჭი ეყოლება. (1, 16)*

*მე კვიქრობ ის უნდა ჰქონდეს კარგი წიგნი. (2, 14)*

*ელვირა მოსწონს წითელი ვარდები და არა თეთრი. (2, 5)*

*ჩემი ძმა უყვარს ხატვა. (2, 13)*

*ბაგშეები არ აქვთ დავაღუება ხვალისთვის, ასე ვიცი მე. (2, 11)*

*ჩემი აზრით ანა აქვს პრობლემა რუსულ ენასთან. (1, 17)*

*ხოუკლ გორელოვება აქვს ორი სკოლა. (1, 16)*

*დედაჩემი აქვს ახალი შარვალი და ქურთუქი. (1, 12)*

*წითელი კაბა აქვს გამყიდველი. (2, 6)*

*გვონი ჩანთაში ანა ჰქონდა ტელეფონი და დამტენი. (1, 15)*

$$\{V - N_{nom\_N_{nom}}\}$$

სომხურენოვან რესპონდენტებში დადასტურდა სწორი ფორმებიც (ინვერსიულზმნიანი წინადაღების ქვემდებარე მიცემითშია):

*არტურს შველაზე მეტად ძოხირონს ბიოლოგია. (1, 16)*

*ინას ჰყავს თუთიყუში. (1, 18)*

*კარინას ძოხირონს წითელი ვარდები და არა თეთრი. (1, 7)*

$$\{V - N_{dat\_N_{nom}}\}$$

რთული ასახსნელია აზერბაიჯანულენოვანი რესპონდენტის მიერ გამოყენებული მოულოდნელი ფორმა (მიცემით ბრუნვაში გაფორმებული ინვერსიული ზმნის ობიექტი):

*ყველაზე მეტად დედას მიყვარს. (2, 12)*

$$\{V - N_{dat\_N_{dat}}\}$$

სავარაუდოდ, წარმოდგენილი შეცდომა [mistake] ჯგუფს განეკუთვნება და მეორე ენის გრამატიკის კონტრუქციი წესის შეცდომით დამახსოვრებიდან მომდინარეობს.

\* \* \*

როგორც ზემოთ ითქვა, ქართული ენისათვის ურთულეს უძნადაა მიჩნეული ერგატიული კონსტრუქცია. თუმცა, ვფიქრობთ, სირთულე, ზოგადად, პოლიპერსონალური ზმნური კონსტრუქციების ლაბილურობის ფაქტორითაა განპირობებული.

ერგატივი ქართულში მხოლოდ დრო-კილოთა II სერიის ფორმებთან გვხვდება; ერთადერთი გამონაკლისია „ვიცი“ ზმნის წარმოება (არქაულ „უწყის“ ფორმასთან ერთად), რომელიც აწმყოსა და აწმყოს წრის სხვა ნაკვთებში მოთხრობით-ბრუნვიან სუბიექტს შეიწყობს:

იცის / იცოდა / იცოდეს	მოსწავლე-ზ	ინგლისურ-ი
უწყის / უწყოდა / უწყოდეს	მოსწავლე-ზ	ინგლისურ-ი

{V – N<sub>erg</sub> – N<sub>nom</sub>}

**იცის** ზმნა მყოფადის წრეში სრულიად განსხვავებულ და, ერთგვარად, „მოულოდნელ“ სინტაქსურ კონსტრუქციას ქმნის: **ეცოდინება / ეცოდინებოდა, ეცოდინებოდეს** მოსწავლე-ზ ინგლისურ-ი. მოსალოდნელი ერგატიული კონსტრუქციის ნაცვლად მყოფადის წრეში გვაქვს **დატიური** კონსტრუქცია, ისევე, როგორც მესამე სერიის ფორმებთან: **სცოდნია მოსწავლე-ზ ინგლისურ-ი.** {V – N<sub>dat</sub> – N<sub>nom</sub>}

**იცის** ზმნიან კონსტრუქციებში რესპონდენტები, უმრავლეს შემთხვევაში, შეცდომებს უშვებენ:

ჩემმა დედიკო იცის ქართული. (2, 7).  
**კატია** იცოდა და ძალიან ვაუხარდა (1, 24)  
**დედა** რუსულად იცის, იძიტომ, რო რუსულ  
 სკოლაში სწავლობდა (2, 5).  
**დედაჩემი** იცის ქართული, რუსული (2, 8).  
**მოსწავლე** უნდა იცოდეს ფორმულა. (2, 5)

{V – N<sub>nom</sub> – N<sub>nom</sub>}

უფრო იშვიათად, მაგრამ სწორი ფორმითაც (მოთხრობითში) გვხვდება სუბიექტი:

ჩემმა დედიკო აზერბაიჯანული იცის და ქართული ცოტა. (2, 7)  
**მამიკომ** კარგი კაფეები იცის და იქ მივდივართ. (2, 11)

{V – N<sub>erg</sub> – N<sub>nom</sub>}

**იცის** ზმნა ერთგვარი გამონაკლისია: მოთხრობითბრუნვიანი კონსტრუქციები მხოლოდ მეორე სერიის გარდამავალი ზმნის კონტექსტში განიხილება, პირველსა და მესამე სერიებში, შესაბამისად, წარმოდგენილია სახელობითი და მიცემითი

ბრუნვები; სხვაგვარად – მეორე სერიაში ერგატიული კონსტრუქციის არსებობა აუცილებლად გულისხმობს პირველ სერიაში ნომინატიური კონსტრუქციის, ხოლო მესამე სერიაში – დატიური კონსტრუქციის პოვნიერებას. ეს გახლავთ გარდამავალი ზმნა-შემასმენლისთვის დამახასიათებელი ლაბილური სინტაქსური კონსტრუქციების ფორმულა.

ლაბილური კონსტრუქციის მქონეა ერთპირიან ზმნათა ჯგუფი, რომელთაც მედიოაქტივებს (სხვაგვარად – საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნებს) უწოდებენ.

სამსავე სერიაში ამ ტიპის ზმნებთან შეწყობილი ქვემდებარე პირველ სერიაში სახელობითშია (ნომინატიური კონსტრუქცია), მეორეში – მოთხრობითში (ერგატიული კონსტრუქცია), მესამეში – მიცემითში (დატიური კონსტრუქცია):

იღვიძებს	მეფობს	ხოხავს	კაც-
გაიღვიძა	იმეფა	იხოხა	კაც-ძა
გაუღვიძა	უმეფა	უხოხა	კაც-ხ

სქემატურად, ერთპირიანი მედიოაქტიური ზმნების ლაბილური კონსტრუქციების ფორმულა ასე წარმოდგება:

I სერია	{V – N <sub>nom</sub> }
II სერია	{V – N <sub>erg</sub> }
III სერია	{V – N <sub>dat</sub> }

პირველი სერიის ერთპირიანი მედიოაქტივების ქვემდებარე ქართულში სახელობითშია; ასეთ შემთხვევებში, პრაქტიკულად, შემსწავლელები არ უმვებენ ზარგვზს:

**დავითი ყოველ დიღას იღვიძებს რვა საათზე.** (1. 12)

ჩემი აზრით **სიყვარული მეფობს.** (2, 16)

**მამაჩემი მუშაობს.** (1, 6)

**მევობრები ხანდახან ლაპარაკობენ.** (2, 6)

{V – N<sub>nom</sub>}

მეორე სერიის ქვემდებარეს, როგორც მოსალოდნელი იყო, მოთხრობითი ბრუნვის ნაცვლად, სახელობითში სვამენ:

**კატია იმდერა ძალიან კარგად** (2, 11)

**ზუსტად არ ვიცი მგონი ფარნავაზ მეფე იმეფა 65 წელი.** (2, 7)

ჩემი **და გუშინ 10 საათზე გაიღვიძა.** (1, 14)

**ერთი აღამიანი გაიმარჯვა** (2, 3).

**ოლგა გუშინაც კარგად იცემავა.** (1, 17)

**ზაირა ბევრი უტირა** (2, 8)

{V – N<sub>nom</sub>}

იშვიათია სწორი ფორმის გამოყენება:

**სოფიაზ გაიძარჯვა, როგორც ვიცი. (1, 3)**

**{V – N<sub>erg</sub>}**

\* \* \*

ორპირიანი ლაბილური კონსტრუქციის ზმნები ქართულში დიდ ჯგუფს ქმის:

აშენებს	კაც-ი	სახლ-ს	{V – N <sub>nom</sub> – N <sub>dat</sub> }
ააშენა	კაც-ძა	სახლ-ი	{V – N <sub>erg</sub> – N <sub>nom</sub> }
აუშენებია	კაც-ს	სახლ-ი	{V – N <sub>dat</sub> – N <sub>nom</sub> }

ამგვარ სინტაქსურ კონსტრუქციას გვიჩვენებს რელატიურ გარდამავალ ზმნათა აბსოლუტური უმრავლესობა (იცის, უწყის ზმნათა გამოკლებით): აკეთებს, წერს, ხატავს, ათბობს, ლოცავს, ითხოვს, ჭამს და სხვ. შედრ. 2-პირიანი სტაბილური კონსტრუქციის მქონე ზმნური კონსტრუქციების განსხვავებული პარალიგმა – {V – N<sub>nom</sub> – N<sub>dat</sub>} – სამსავე სერიაში.

სომხურ- და აზერბაიჯანულენოვან რესპონდენტებს პირველი სერიის კონსტრუქციებში ქვემდებარის ბრუნვა, როგორც წესი, არ ეშლებათ, მაგრამ საკმაოდ ხშირია პირდაპირი დამატების სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენის შემთხვევები:

არ ვიცი ვფიქრობ, ჩემი ძეგობარი რამე მაღავს. (1, 17)

ანაპიტი პატიუებდა სახლში მანანა. (1, 15)

სახლი ვხატავ, მაგრამ ჯერ არ არის მზად. (2, 4)

გვერდით მაღაზიაში ყიდიან თიხის ჭურჭელი. (1, 17)

ჩემი და წერდა კარნახი გუმინ. (2, 8)

დედა რეცხავდა ჭურჭელი. (1, 11)

ჩემი ძეგობრები თამაშობდნენ ფეხბურთი. (2, 3)

**{V – N<sub>nom</sub> – N<sub>nom</sub>}**

საინტერესოა, რომ რესპონდენტთა ერთი ნაწილი პირდაპირი დამატების ბრუნვას სწორად იყენებს:

დედიკო დილას საჭმელებს ამზადებს (2,4)

ჩემი ოჯახი სუფრას ვააკეთებს (1, 11).

**{V – N<sub>nom</sub> – N<sub>dat</sub>}**

მეორე სერიაში სიტუაცია იცვლება: პირდაპირი დამატების ბრუნვა სწორადადა წარმოდგენილი (სახელობითი); ქვემდებარის ბრუნვა, როგორც წესი, ეშლებათ (ისიც სახელობითშია – ერგატივის ნაცვლად):

ჩვენი კლასელები პროექტი არ გააკეთებს სკოლაში. (2, 12)

ჩემი მშობლები ჯერ არ დახურეს მაღაზია. (1, 8)

ბავშვი უნდა შექმოს წვნიანი. (1, 7)

სურენი უნდა დახატოს თავისი ოჯახი. (1, 14)

მასწავლებელი თქვა, რომ ანა უნდა ნახოს 2 ისტორიული ფილმი. (2,6)

კარინე შეასრულა დავალება. (1, 21)

წიგნი ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. (2, 2)

$$\{V - N_{nom} - N_{nom}\}$$

პირდაპირი დამატების ბრუნვა, საზოგადოდ, სწორად არის მოცემული (სახელობითი), თუმცა გვხვდება მიცემითის გამოყენების შემთხვევებიც, რაც ნამდვილად ვერ აიხსნება მშობლიური ენიდან ტრანსფერით:

ჩვენ ყველა ასეთ გზას გავიარეთ. (2, 6)

ზოგს მოკლეს თავისი მცირეწლოვანი შვილების თანდასწრებით. (1, 18)

არავინ არაფერს არ გააკეთა. (1,13)

$$\{V - N_{nom} - N_{dat}\}$$

მოცემული კონსტრუქცია პირველი სერიის კონსტრუქციაა და, როგორც ჩანს, ანალოგით არის გადატანილი მეორე სერიის ფორმებთან.

აღსანიშნავია, რომ მეორე სერიის ფორმებთან ზმნა-შემასმენელთა შეწყობილი ორივე აქტანტის სწორი ფორმით გადმოცემა იშვიათია:

გუშინ ანამ გაცვეთილზე დაწერა საკლასო დავალება. (1, 12)

მე ვფიქრობ, რომ ბავშვმა უნდა ისწავლოს გრძელი ლექსები. (2, 16)

$$\{V - N_{erg} - N_{nom}\}$$

მესამე სერიის ფორმებთან ქვემდებარე მეტწილად სახელობითში გვხვდება:

მასწავლებელი უთქვაშს რაღაცა. (2, 11)

ანა არ უნახავს ფილმი (1, 21)

$$\{V - N_{nom} - N_{nom}\}$$

გვხვდება დატიური კონსტრუქციებიც, თუმცა დარღვეულია პირდაპირი დამატების გაფორმების წესი:

მამაჩემს აუშენებია სახლი ძმას. (2,7)

ჩემს ბიძას არ გაუკეთებია საქმე მეცობარს. (2,13)

სამწუხაროდ არ მინახავს ეფუძლის კოშკს შევნიდან. (2, 6)

$$\{V - N_{dat} - N_{dat}\}$$

სავარაუდოდ, ამ შემთხვევებშიც პირველი სერიის კონსტრუქციაა ანალოგით გადმოსული.

ერთადერთი მაგალითი შეგვხვდა, როდესაც მესამე სერიაში ორივე აქტანტი სწორადაა გაფორმებული:

*ანას ჩემთვის არაფერი არ უთქვაძს (I. 14).*

\* \* \*

კიდევ უფრო გართულებული კონსტრუქციით გამოირჩევა სამპირიანი გარდა-მავალი ზმნა: აქ რამდენიმე თავისებურება იჩენს თავს:

1. გარდა იმისა, ორმ მეორდება ორპირიანი ლაბილური კონსტრუქციის მქონე გარდამავალი ზმნების ფორმულა, ემატება მესამე (ირიბობიერტური) პირი, რომელიც, სტაბილური კონსტრუქციების მქონე ზმნების მსგავსად, პირველ და მეორე სერიებში მიცემითში ფორმდება...

2. გასათვალისწინებულია ამ ირიბი ობიექტის განსხვავებული ქცევა მესამე სერიის ფორმებთან: მესამე სერიაში ირიბობიერტური პირი კარგავს ორშერივ კავშირს ზმნა-შემასმენელთან და თანდებულიანი ფორმით გვევლინება (შანიძე 1942) უშენებს ის მეზობელს სახლს – აუშენა მან მეგობარს სახლი – აუშენებია მას მეგობრისთვის სახლი)...

### I სერია:

უშენებს / აუშენებს / აუშენებდა კაც-ი სახლ-ს მეგობარ-ს

### II სერია:

აუშენა / აუშენოს კაც-მა სახლ-ი მეგობარ-ს

### III სერია:

აუშენებია / აუშენებინა კაც-ს სახლ-ი მეგობრ-ისთვის...

სქემატურად, სამპირიანი ზმნა-შემასმენლის ლაბილური კონსტრუქციების ფორმულას ასე წარმოვადგენთ:

I სერია	{V – N <sub>nom</sub> – N <sub>dat</sub> – N <sub>dat</sub> }
II სერია	{V – N <sub>erg</sub> – N <sub>nom</sub> – N <sub>dat</sub> }
III სერია	{V – N <sub>dat</sub> – N <sub>nom</sub> – N <sub>gen+postposition</sub> }

შეცდომების სახეობები, ბუნებრივია, სამპირიან ფორმებთან უფრო მრავალ-ფეროვანია: რესპონდენტებს ერევათ როგორც ქვემდებარის ბრუნვები (მეორესა და მესამე სერიებში), ისე – პირდაპირი დამატებისა და, განსაკუთრებით – ირიბი დამატების ბრუნვები (მესამე სერიის ფორმებთან):

**ქვემდებარის მცდარი ფორმით წარმოდგენა:**

*ის ჩვენ მართალი უნდა გვიასუხოს. (2,11)*

*ანი დედაჩემს მისცა წერილი. (1, 19)*

*დედაჩემი ჩემს ძმას ღამაზ საჩუქარს მისცა. (1, 12)*

**პირდაპირი დამატება სახელობით ბრუნვაში:**

ახლახანს ვნახე დედაჩემი აჭმევდა ბაგშვი წვნიანს. (2, 7)

ანა და დაუიდ აძლევენ მასწავლებელს საშინაო დავალების რეკული. (1, 17)

**ირიბი დამატება სახელობით ბრუნვაში:**

ახლახანს ვნახე დედაჩემი აჭმევდა ბაგშვი წვნიანს. (2, 7)

ალბათ დეიდამ ღერა მასწერა წერილი.

ცალგეა გამოსაყოფი მესამე სერიის ირიბობიექტური პირის სწორად გაფორმების საკითხი:

მამაჩემს აუშენებია სახლი ძმას. (1, 24)

ჩემს ბიბას არ გაუკეთებია საქმე მევობარს. (1, 24)

უთხოვია დახმარება ჩემ მევობრებთან. (2, 11)

გვაქვს სამივე აქტანტის სწორად გაფორმების შემთხვევებიც:

მასწავლებელი ახატვინებს მოსწავლეს სახლს. (1.21)

დედაჩემი ამზადებინებს დას საღილს. (2, 11)

ბაგშვებმა მასცეს მასწავლებელს დღიურები. (1, 15)

## დასკვნა

საზოგადოდ, ინტერუჯენციაზე საუბრისას აქცენტი კეთდება მეორე ენის გავლენის უარყოფით ეფექტზე, თუმცა მკვლევრები მიიჩნევნ, რომ შესაძლებელია პოზიტიური ტრანსფერიც – მშობლიური ენიდან ისეთი უნარების გადატანა, რომლებიც ზელს უწყობს სამეტყველო უნარების განვითარებას სამიზნე ენაზე. პოზიტიური ტრანსფერის ფენომენი დაკავშირებულია ლინგვისტური უნივერსალიების საკითხთან.

მეორე ენის შესწავლისას შემსწავლელები აქტიურად იყენებენ თავიანთ ლინგვისტურ გამოცდილებას (იგულისხმება მშობლიური ენა). მეორე ენაზე წინადადების კონსტრუირებისას შემსწავლელი ეყრდნობა საკუთარ მშობლიური ენის გრამატიკას და „აპროგრამებს“ სათქმელს. მეტყველების არასწორი პროგრამირება კი იწვევს „ტიპურ“ შეცდომებს – ძალიან მდგრადს, რომელთაგან თავის დაღწევა მოითხოვს ჩამოყალიბებულ, მტკიცე ცოდნას მეორე ენის ამა თუ იმ ლინგვისტური ფენომენის შესახებ. ტიპური და რეგულარული შეცდომები აჩვენებს, რომ მოსწავლემ შექმნა საკუთარი წესი, რომელიც განსხვავდება ჰეშმარიტისგან.

განხილულ მაგალითებში შეცდომათა უმრავლესობა სწორედ ნეგატიური ტრანსფერის შედეგია: მშობლიურ ენაში მხოლოდ სტაბილური კონსტრუქციების არსებობა იმდენადაა არაქართულენოვან რესპონდენტთა ცნობიერებაში გამჯდარი, რომ თეორიულად ნასწავლი წესების პრაქტიკაში სათანადოდ გამოყენება უჭირთ. შესაბამისად, გაცილებით ნაკლებად გვხვდება შეცდომები ქვემდებარის ბრუნვას-

თან დაკავშირებით სტაბილური კონსტრუქციების მქონე ზმნა-შემასმენლებთან. ქვემდებარის არასწორი ბრუნვის ფორმით გამოყენება ნაკლებად გვხვდება ასევე ლაბილური კონსტრუქციის მქონე ზმნათა პირველ სერიაში, თუმცა ხშირია და-მატება-ობიექტების არასწორად გაფორმების შემთხვევები როგორც სტაბილური, ისე ლაბილური კონსტრუქციების მქონე ზმნა-შემასმენლებთან.

ლაბილური კონსტრუქციების მქონე ზმნა-შემასმენლის მეორე და მესამე სე-რიების ფორმებთან ქვემდებარის ბრუნვა უმრავლეს შემთხვევაში არეულია: რეს-პონდენტებს გადმოაქვთ მშობლიური ენის მყარი კონსტრუქცია და ქვემდებარეს, როგორც წესი, სახელობით ბრუნვაში სვამენ. შეცდომით აფორმებენ ირიბობიექ-ტურ პირსაც (მიცემითის ნაცვლად სახელობითი ბრუნვა); რაც შეეხება მეორე და მესამე სერიების პირდაპირობიექტურ პირს, ამ შემთხვევაში პოზიტიური ტრანსფერის ფენომენი მოქმედებს და სახელობით ბრუნვაში (ანუ სწორად) აფორმებს სახელს.

გვხვდება ისეთი მაგალითები, რომელთა ახსნაც ტრანსფერით გამორიცხუ-ლია და მეორე ენის გრამატიკის კონკრეტული წესის შეცდომით დამახსოვრები-დან მომდინარეობს.

### ლიტერატურა:

**ბალიაშვილი 1988:** თ. ბალიაშვილი, ინტერფერურცია, როგორც ბილინგვიზმის პრობ-ლუმა, თბილისი.

**ბეიკერი 2010:** კ. ბეიკერი, ბილინგვური განათლება და ბილინგვიზმის საფუძვლები. მეოთხე გამოცემა, თბილისი.

**ბერიძე 2022:** თ. ბერიძე, ინტერფერურციის ძოვლენა ქართველ-ბერძენი ორენოვანი უძროსკლასელების ნარატივებში (ასაკობრივი ზღვარი: 6-10 წლები), (დისერტა-ცია), თბილისი.

**გამუნა და სხვ. 2008:** კ. გამუნა, შ. ტაბატაძე, ნ. ფერაძე, ჭ. ქირია, მ. ოძლი, მულტილინგვურ განათლებასთან დაკავშირებულ ტერმინთა თარგმნით-განმარტები-თი ლურსიკონი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ქართუ-ლი ენის სამსახური. თბილისი.

**გამუნა 2014:** კ. გამუნა, ზმნა-შემასმენლის კონსტრუქციების სწავლების სპეციფი-კა არაქართულოვანი შემსწავლელებისთვის, კრ. პუმანიტარული კვლევები, წე-ლიწდეული, №5, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**გამუნა 2016:** კ. გამუნა, მარტივი წინადადების ანალიზის პრინციპები თანამედროვე ქართულში, თბილისი.

**გაინრაიხი 1953:** U. Weinreich, *Languages in Contact: Findings and Problems*, New York. Reprint - Mouton, The Hague, 1963.

**კვაჭაძე 2010:** ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

**კორდერი 1967:** S. P. Corder, The Significance of Learners' Errors, *International Review of Applied Linguistics*, 5(4): 161-70.

**მელიქშვილი 1978:** დ. მელიქშვილი, „მიჭირს“ ზმა და მასწავლებლის გასაჭირო, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 4, 81-93.

**მემარნიშვილი 2022:** ე. მემარნიშვილი, ქართულის, როვორც მეორე ენის სწავლების თეორიულ-პრაქტიკული ასპექტები (გარდამაცალი ზმნის სინტაქსური კონსტრუქციების მაგალითზე), სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი.

**სავილიე-ტროიკე 2016:** მ. სავილიე-ტროიკე, შესავალი მეორე ენის აოვისებაში, თბილისი.

**სელინერი 1992:** L. Selinker, *Rediscovering Interlanguage*, London.

**ფერგუსონი 1971:** C. A. Ferguson, Absence of Copula and the notion of simplicity: a study of normal speech, baby talk, foreigner talk and pidgins, In: D. Hymes (ed.), *Pidginization and Creolization Languages*, pp. 141-50, Cambridge University Press, Cambridge

**შანძე 1942:** ა. შანძე, ქართული ენის გრამატიკის საუძღვლები, თბილისი.

**ჩიქობავა 1968:** არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადაღების პრობლემა ქართულში, თბილისი.

**წარუკიანი 2022:** ა. წარუკიანი, ინტერფერენციის მოვლენა მარტივი წინადაღების ზმური კონსტრუქციების ავებისას ქართულში (სომხურნოვანი ბილინგვალების მაგალითზე), სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი.

*Kakha Gabunia*

## The Analysis of Mistakes Made in the Verb Constructions in the Speech of Non-Georgian (Armenian and Azerbaijani) Students

### Summary

Contacts between languages are of great importance for the formation and development of the vocabulary and grammatical structures of these languages. Language contacts are of particular importance in a multilingual society.

Errors made in a second language speech, which are caused by the influence of grammatical or lexical structures of the first language, are considered the interference phenomenon.

The phenomenon of interference is especially noticeable in the process of constructing syntactic constructions. When constructing a sentence in a second language, as a rule, the syntactic rules of the native language have a great influence, which is the cause of errors.

The article analyzes the grammatical (syntactic) mistakes made by non-Georgian speaking students in the process of learning Georgian as a second language. The reasons for making these mistakes in the context of language interference are described.

Most of the errors in the discussed examples are the result of the negative transfer: the existence of the only, stable construction in the native language is so ingrained in the consciousness of non-Georgian speaking respondents that it is difficult for them to properly apply the theoretically learned rules in practice. Errors are especially characteristic of labile predicates: the respondents use solid constructions of their native language and form the cases of subjects and objects according to its model.

## კორპუსული ლემატიზაცია

(თანამედროვე ქართული ენის კორპუსების ანალიზი)

### შესავალი

ლინგვისტური კორპუსების ტიპს ყოველთვის განსაზღვრავს მიზანი: მოსალოდნელი შედეგებისა და მომხმარებლის ტიპის წინასწარ დადგენა საშუალებას იძლევა, სწორად დაიგეგმოს ავტომატურად გადასაწყვეტი ენობრივი ამოცანები. კორპუსული მონაცემების დამუშავების იმ მრავალგვარ პრინციპსა და მეთოდს შორის, რომელიც განზოგადებული შეიძლება იყოს ყველა სხვადასხვა ენის დამუშავების პროცესში, არის კერძოც, რომელიც ენათა ტიპოლოგიიდან, კონკრეტული ენის, როგორც თავისებური სტრუქტურისა და სიტყვის, ფუძის თუ წინადადების კონსტრუირების წესების მქონე სისტემიდან გამომდინარეობს.

ტექსტურ მონაცემთა საწყისი დამუშავება, რომელიც, თავის მხრივ, დოკუმენტის დამუშავების პირველადი პროცესია, გულისხმობს ტექსტიდან თვისებების ამოღებასა და ნიშან-თვისებების შერჩევას. თვისებების ამოღება მოიცავს **ტოკენიზაციის**, **სტემირების** (სიტყვის ფუძის დადგენის) და **ლემატიზაციის** პროცესებს.

სტემირება, როგორც ფუძის დადგენის პროცესი, პირდაპირ უკავშირდება სიტყვა-ფორმის მორფოლოგიურ ანალიზს, სიტყვის მორფებად დაშლას და მათ შემდგომ ჩამოცილებას; ხოლო ლემატიზაცია სტემირებაზე გამავალი პროცესია, რომელიც მორფოლოგიურად დამუშავებული სტემისათვის სალექსიკონო ფორმად გარდაქმნას გულისხმობს. სალექსიკონო ერთეული ამ გზის გავლით ხდება **ლემა**, ტოკენის კორპუსული დამუშავების შედეგი.

ზოგადი განმარტების მიხედვით, ლექსიკოგრაფიაში ლემა – ეს არის კანონიკური ფორმა, სალექსიკონო ფორმა ან მეთაური სიტყვა. ლექსება კი წარმოადგენს ყველა ფორმის ნაკრებს, მათ აერთიანებთ მნიშვნელობა. ლემა განცეულვნება კონკრეტულ ფორმას, რომელიც ლექსების წარმოსადგენად არჩეულია შეთანხმებით.

ლემატიზაციის მიზანია სიტყვა-ფორმების გრძელი სის ერთი კანონიკური ფორმით წარმოდგენა, ლემა კი შეიძლება განვიხილოთ როგორც გამაერთიანებელი, საყრდენი, უცვალებელი ანუ მდგრადი სტრუქტურა, თუმცა ლემატიზაცია ნაწილობრივ მაინც შეიძლება იყოს თვითნებური, მისი განხორციელების გზები – განსხვავებული, რათა დაეყრდნოს განსხვავებულ ლინგვისტურ არგუმენტებს, რომელებიც კონკრეტულ ენობრივ სისტემებში გრამატიკული საკითხებისადმი განსხვავებული თეორიული მიდგომიდან ან ლექსიკონში მეთაური სიტყვის შერჩევის განსხვავებული პრინციპებიდან გამომდინარეობს.

ლემის დადგენას არსებითი მნიშვნელობა აქვს მდიდარი მორფოლოგიის (MRL) ენებისათვის, რომელთაც აერთიანებთ სხვადასხვა ენობრივ მექანიზმზე დამყარებული ძლიერი ფორმაცვალებადობა, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთი-საგან განსხვავდებიან მორფოლოგიური ტიპოლოგიით (მაგალითად, ერთმანეთს რომ შეგადაროთ ოურქული, ფინური, უნგრული, რუსული, ქართული თუ სხვა ქართველური ენები და ა.შ.). ერთი და იმავე სიტყვის მრავალი ფორმა კი ლექსიკონში ფორმაშეცვლილია, ანუ ნაწარმოები სიტყვის ძიებას ართულებს, თუ არ გვესმის ენის მორფოლოგიური წესები. საუკეთესო შემთხვევაში, ლექსიკონი სასარგებლო ხდება მხოლოდ მათთვის, ვინც ფლობს კონკრეტულ ენას.<sup>1</sup>

ქართული და დანარჩენი ქართველური ენებიც მდიდარი მორფოლოგიის ენებია, თუმცა მორფოლოგიური ტიპის მიხედვით ანალიზური, უფრო კონკრეტულად – აგლუტინაციური.<sup>2</sup> ამ ენებში სტემირებისა და ლემატიზაციის პროცესებს ართულებს ძლიერი ფორმაცვალებადობა, რომელიც ემყარება, ერთი მხრივ, ფლექსიურ (ზმებში – უღლების, სახელებში – ბრუნების) და დერივაციულ კატეგორიათა სიმრავლეს და, მეორე მხრივ, ამ კატეგორიათა გამომხატველ ბმულ მორფემათა მრავალფეროვნებას. გავლენის მქონე ფაქტორია მორფონოლოგიური პროცესებიც, რომლებიც ზოგჯერ მორფემათა ფუზიურობისაკენ არის მიღრეკილი.<sup>3</sup>

წინამდებარე პუბლიკაცია განიხილავს სახელური და ზმური ფუძეების ლემის დადგენის ანუ ლემატიზაციის წესებს ქართული ენის კორპუსსა (GLC)<sup>4</sup> და ქართული ენის ეროვნულ კორპუსში<sup>5</sup> (GNC). იგი ეყრდნობა ავტომატური ანალიზის იმ შედეგობრივ მონაცემებს, რომლებიც ზედაპირზე რეპრეზენტირდება კორპუსების მომხმარებელთა ძიების შედეგად.<sup>6</sup> GNC და GLC შეიცავენ ტიპობრივად და ქრონოლოგიურად განსხვავებულ კორპუსებს, ჩვენი ანალიზი კი ეყრდნობა მხოლოდ ახალი და თანამედროვე ქართული ენის ტექსტების ავტომატური ანალიზის შედეგებს.

ზოგადად GNC და GLC გვაწვდიან მორფოლოგიურ / მორფოსინტაქსურ და სემანტიკური ხასიათის ინფორმაციას. მონაცემთა ანალიზი ემყარება ლემატიზაციის პრინციპს, რაც ჩვეულებრივ დამკავიდრებული პრაქტიკით მიღებული კორ-

<sup>1</sup> ამგვარი ლექსიკონის მაგალითად შეიძლება დასახელდეს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (ქეგლ 1950-1964), რომელშიც ზმური ლექსემები მესამე პირის ფორმით დერივაციული კატეგორიების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი.

<sup>2</sup> სვანურს ფლექსიურად მიზნევდა გ. მაჭავარიანი (მაჭავარიანი 1963); აგლუტინაციურის ინდექსისათვის ქროვლურ ენებში ასევე იხ. მელიქშვილი 2010; მორფემათა ფუზიურობისა და აფიქსთა დაშლის პროცესებისათვის ასევე იხ. გერსამა 2022.

<sup>3</sup> აღნიშნული ნაკლებად ეხება სალიტერატურო ქართულს.

<sup>4</sup> <http://corpora.iliauni.edu.ge/?q=ka>

<sup>5</sup> <http://gnc.gov.ge/gnc/static/portal/gnc.html>

<sup>6</sup> კორპუსული მონაცემების გადამოწმების ბოლო თარიღი: 07.02.2022.

პუსულ მონაცემთა დამუშავების აუცილებელი პრინციპია იმ შემთხვევაში, თუკი სტემირების მიმართ მიღვომა ლინგვისტურია (შდრ. ალგორითმზე დამყარებული სტემირება) (არჩუაძე 2017:32).

ზმის უღლებადი ფორმისთვის ან სახელის რომელიმე ბრუნვის ფორმისთვის ფლექსიური ნიშნების, პირისა და რიცხვის, ბრუნვის აფიქსების წაშლა/ ჩამოცილება მარტივი პროცესია, თუმცა საკითხი მაშინ როგორდება, როცა სახელურ და ზმურ ფუმებში ჩნდება აფიქსები, რომელთაც აქვთ როგორც ფლექსიური, ისე დერივაციული მნიშვნელობები; ასევე ჩნდება სხვა არაფლექსიური ელემენტები, რომლებიც დერივანტების ფუნქციას იძენენ, მაგალითად, სახელურ მიმდევრობაში ფლექსიური მორფების მომდევნოდ ჩნდება ენკლიტიკური ნაწილაკები, რომელთაც ზოგჯერ დერივანტების ფუნქცია ენიჭებათ. ასეთი შემთხვევებისთვის როგორ დგინდება ლემა? ეკისრებათ თუ არა ნაწილაკებს დერივანტების ფუნქცია თუ ფლექსიური აფიქსების მსგავსად ჩამოსცილდებიან ფუძეს? დერივაციული ფუძეების, განსაკუთრებით ზედსართავი სახელის სარისხისა და რიცხვითი სახელის ჯგუფების, წარმოებისას ლემა დაიყვანება დერივირებულ ფუძეზე თუ ამოსავალ ფუძეზე ან/და ძირზე? იმავე ტიპის კითხები ჩნდება ზმნასთან მიმართებითაც, რადგან ზმის კლასიფიცირება უღლებისა და წარმოქმნის კატეგორიებად სვამს კითხვას, თუ რას უნდა უკავშირდებოდეს ლემა, გრამატიკულად დერივირებულ ფუძეს, თუ მის ამოსავალ ფორმას? უნდა შევიდეს თუ არა გრამატიკული დერივანტები ლემაში? თუ პასუხი დადებითია, მაშინ რომელი დერივანტები უნდა აისახებოდეს ლემაში, ან აქვთ ასახვის შესაძლებლობა, რადგან სტემირებული მონაცემის საღლექსიკონო ფორმად გარდაქმნა ამ პროცესის თუ შერჩევის თანმდევი აუცილებელი პროცესია.

თუ კორპუსული ლემა ამოსავალს, უფრო ზუსტად, ათვლის ფორმას წარმოადგენს, ასეთ დროს რა უნდა იყოს პარადიგმის საყრდენი, ლექსიკური მნიშვნელობის მქონე უცვლელი / მდგრადი ფონეტური მიმდევრობა (ფუძე, რომელიმე ფორმა) თუ საერთოდაც ძირი, რომელსაც ასევე აქვს მნიშვნელობა,<sup>7</sup> არც ისე ადვილი დასადგენი ჩანს, რასაც ქართული ენის კორპუსებში (GNC, GLC) ლემის დადგენის პროცესისადმი განსხვავებული მიდგომებიც კარგად აჩვენებს.

ქართული ენის სისტემაში სახელური და ზმური ფორმათწარმოება მხოლოდ რეგულარულ წესებს არ ემყარება, არსებობს ამ სისტემიდან გადახვევის არა ერთეული, არამედ სისტემური შემთხვევები, განსხვავებული წარმოებები და არა გამონაკლისები, განსაკუთრებით ზმნაში, ამიტომ თეორიულ ცოდნაზე დაყრნობით ანალიზისათვის წინასწარ შევარჩიეთ ისეთი სახელური და ზმური ფორ-

<sup>7</sup> ძირს აქვს ლექსიკური მნიშვნელობა (ნებიერიძე 1991:142); ძირს აქვს კონცეპტუალური სტრუქტურა; ძირით გამოხატული მნიშვნელობები კონცეპტებია, რომლებიც გული-სხმობს კონკრეტულ სემანტიკასთან დაკავშირებულ ზოგად მასასიათებლებს (გერსამია 2020:45).

მები, რომლებიც არ მიჰყება ენობრივი სისტემის რეგულარულ წესებს. კორპუსებში მათი მოძიების შემდეგ გაკეთდა ავტომატური ანალიზის შედეგების კლასიფიკაცია შემდგომი რევიზია-ანალიზის მიზნით. ლემების ანალიზმა დასვა ზოგადი და კონკრეტული ხასიათის კითხვები, რომლებიც ეხება ქართულში, როგორც მდიდარი მორფოლოგის, მაგრამ სინთეზურ, კონკრეტულად – აგლუტინაციურ ენაში, ლემატიზაციის პროცესებს:

- რა არის კორპუსული ლემა და რამდენად მნიშვნელოვანი ან აუცილებელია, მას ჰქონდეს ლექსიკური მნიშვნელობა, თუ ლემას განვიხილავთ როგორც სინტაგმატიკურ მონაცემს? რას წარმოადგენს ყველა ფლექსიური ნიშნის ჩამოშორების ანუ სტემირების შემდეგ დარჩენილი მონაცემი, რომელიც უნდა გარდავქმნათ სალექსიკონო ერთეულად? რამდენად არის შესაძლებელი ძირის დაშვება ლემად?
- ამავე დროს, თუ ლემა პარადიგმატული მონაცემი ანუ პარადიგმის საყრდენი სტაბილური ოდენობაა, რას უნდა წარმოადგენდეს სტემირებული მოდელი, რომელიც გარდაიქმნება ლემად?
- სად გადის ქართულში ზღვარი ფლექსიასა და გრამატიკულ დერივაციას შორის? მაგალითად, სახელებისთვის მრავლობითობის -ებ მორფება დერივაციული მოცემულობაა თუ ფლექსიური? ზმნებისთვის ა. შანიძის მიერ დაგენილი „წარმოქმნის კატეგორიები“ უნდა აისახოს თუ არა ლემაში? რა ტიპის მორფებად უნდა იყოს განხილული ზმნისწინი ლემატიზაციისას? აფიქსთა რომელ კლასშია თემის ნიშნის ადგილი და მოიცავს თუ არა მას სტემირებული მონაცემი? და ა.შ.

## 1. კორპუსულ მონაცემთა აღწერა

**ა) სახელურ ფორმათა ლემატიზაცია.** GNC-ში განსხვავებული მოცემულობებია ლემა და მარტივი ლემა. სახელებში მარტივი ლემა ემთხვევა მხოლობითში დასმული ფუძის ტიპს, ხოლო ლემა – არასრულ ფუძეს და ელიმინირებული ან ჩამოკვეცილი ხმოვანი გამოყოფილია წერტილით, ან კვადრატულ ფრჩხილში აღინიშნება. საკუთარი სახელები თუ თანხმოვანფუძიანია, ლემაც და მარტივი ლემაც ფუძის სახით არამარკირებულად არის წარმოდგენილი;

GLC-ში სახელის ლემა წარმოადგენს სახელობითი ბრუნვის ფორმას როგორც ხმოვანფუძიანი, ისე თანხმოვანფუძიანი სახელებისთვის; აღნიშნული ეხება საკუთარ სახელებსაც.

დერივაციული ფუძეების შემთხვევაშიც იმავე წესს მიჰყება ორივე კორპუსი. GNC-ში წესი გატარებულია ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმებისა და რიცხვითი სახელის დერივირებული ჯგუფების ლემატიზაციის დროსაც, ხოლო GLC-ში ხარისხის ფორმებისა და რიცხვითი და წილობითი დერივირებული რიცხვითი სახელები დაყვანილია ამოსავალ ფორმაში:

**ცხრილი 1 – დერიგაციული ზედსართავებისა და რიცხვითი სახელების ლემები**

ტოკნი	GNC: მარტივი ლემა / ლემა	GLC: ლემა
უდიდესი მოდიდო	უდიდესი / უდიდესი მოდიდო	დიდი
მერვე მერვედი	მერვე / მერვ[ე] მერვედი/ მერვედი	რვა

კორპუსები განსხვავებულ სურათს უჩვენებენ ისეთი ნაცვალსახელების ლემატიზებისას, რომლებიც, ძირითადად, ელემენტთა კომბინირებით წარმოიქმნებიან, ეს იქნება მიმართებითი და განუსაზღვრელი ნაცვალსახელები მოდელებით {Q+PTC}, {Q+PTC+PTC}, {Q+ CM +PTC}, რომლებიც „ნაწილაკშეზრდილად“ ითვლება (შანიძე 1980:104-107).

**ცხრილი 2 – ნაწილაკდართული ნაცვალსახელების ლემები**

ტოკნი	GNC: მარტივი ლემა / ლემა	GLC: ლემა	ტოკნი	GNC: მარტივი ლემა / ლემა	GLC: ლემა
{Q+PTC: ც}			{Q+PTC+PTC}		
ვინც რაც რაც    რა / რაც    რ[ა]	ვინ რაც რაც	ვინ რა	ვილაც რალაც რომელილაც	ვილაც რალაც რომელილაც	ვილაც რალაც / რა რომელილაც/ რომელი
{Q+PTC: მე}			{Q+CM+PTC}		
ვინმე რამე როგორმე	ვინმე რამე /რამ[ე] როგორმე	ვინმე / ვინ რამე / რა როგორმე /როგორ	ვისმე რასმე რისამე რაიმე რომელიმე	ვისმე რასმე რისამე რაიმე რომელიმე	ვისმე რასმე რისამე რაიმე რომელიმე/ რომელი

პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების, როგორც თანდებულიანის, ისე უთანდებულოს, ლემა ორივე კორპუსში ერთნაირად, სახელობითის ფორმით, არის წარმოდგენილი.

**ბ) ზმნურ ფორმათა ლემატიზაცია.** კორპუსთა მიხედვით ასევე განსხვავდება ზმნების ლემატიზაციის პრინციპიც: თუ GNC მიმართავს ლემის ამოსავალ ფორმამდე დაყვანას, ანუ გვთავაზობს მარტივ ლემად მასდარის ფორმას, ხოლო ლემად – დაშლილ ფორმას ზმნისწინისა და პირის ნიშნის გამოყოფით, პარალელურად ზმნის ძირის მითითებით, GLC-ში ზმნების ლემას წარმოადგენს აწმყოს ან მყოფადის მწკრივების მესამე პირის ფორმა (PRS/FUT.S3SG). ამ უკანასკნელი

მიღებით არ იკარგება ქცევისა და გვარის მიხედვით განსხვავებული ფორმები; ამგვარი განსხვავებულობა არ აისახება GNC-ის ლემებში, ვინაიდან მასდარი არ მოიცავს აღნიშნულ კატეგორიებს (შდრ. ცხრილი 3-ის მონაცემები), მაგალითად, აქრობს ზმის მარტივი ლემა – \*ქრობა/ქრ- როგორც აქტივის, ისე პასივის ოუნდაც ქცევის მიხედვით განსხვავებული ყველა ფორმისათვის საერთო; მეორე მხრივ, მასდარის ფორმები შეიძლება აღმოჩნდნენ შეპირისპირებული სტატიკა-დინამიკის მიხედვით (იხ. ცხრ. 3).

#### ცხრილი 3 – გვარისა და ქცევის მიხედვით განსხვავებული ფორმების ლემები

GNC			GLC	
ტოკენი	მარტივი ლემა	ემა	ტოკენი	ლემა
აყვარებს იყვარებს უყვარდება	შეყვარება	შე-ყვარებ[ა]/ყვარ	მაყვარებს/ვაყვარებ მიყვარებს/ვიყვარებ მიყვარდება/ვუყვარდები	აყვარებს იყვარებს უყვარდება
უყვარს	სიყვარული	სიყვარულ-ი/ყვარ	მიყვარს	უყვარს

ცხადია, ზმნური წყობა (სუბიექტური და ობიექტური), როგორც ფლექსიური მოცემულობა, ვერ აისახება ლემაში; მეორე მხრივ, წყობა არ განირჩევა მესამე პირში, ისინი ორივე წყობისთვის ფორმობრივად იდენტურია: მაყვარებს, ვაყვარებს – აყვარებს; ვაყვარებ, აყვარებ – აყვარებს; მიყვარებს, ვიყვარებს – იყვარებს; ვიყვარებ, იყვარებ – იყვარებს და ა.შ. აქედან გამომდინარე, ორივე წყობის ზმნებს GLC-შიც ერთნარი ლემა აღმოჩნდებათ.

კაუზატიური ზმნების ლემა ეყრდნობა ამავე ზმნების კაუზატიურ ფუძეებს (1). ზოგჯერ ანოტაციაში ეთითება გამუაღლებული არაკაუზატიური ფუძის მასდარიც (2). პირველადი კაუზატივებისგან განსხვავებით, მათგან ნაწარმოები – ინსუფიქსანი კაუზატივები კორპუსებში ყოველთვის არ იძებნება, მაგრამ კაუზატიური ფორმის ლემატიზების წესი, სავარაუდოდ, მათზეც ვრცელდება: ატირებს – \*ტარება, \*ტარებ[ა]/ტარ-, მაგრამ აქეთ უნდა დავუშვათ: ატირებინებს – \*ტარებინებ[ა]/ტარ-; GLC-ში კი ნებისმიერი ასეთი ფორმის ლემა იქნება კაუზატიური ფუძის PRS.S3SG-ის ზმნური ფორმა.

#### ცხრილი 4 – კაუზატიური ფორმების ლემა GNC-ში

	ტოკენი	მარტივი ლემა	ლემა
(1)	აგინებინებს მოაყვანინებს	შეგინებინება მოყვანინება	შე-გინებინებ[ა]/გინ მო-ყვანინებ[ა]/ყვან
(2)	ატარებინებს	*ტარებინება *ტარება	*-ტარებინებ[ა]/ტარ *-ტარებ[ა]/ტარ

GNC-ში სახელისა და ზმნის ლემა ემთხვევა ერთმანეთს იმ შემთხვევაში, თუ ზმნა პირველადი მასდარებისგან არის ნაწარმოები, ხოლო ნაზმნარი სახელი ანუ მასდარი ემთხვევა პირველად მასდარს. ანუ მასდარი და ის სახელი, რომლისგანაც ზმნა ვაწარმოეთ, ერთი და იგივეა, ე.ი. სტრუქტურულად განსხვავებული მასდარი ამგვარი ზმნებისგან არ იწარმოება, მასდარის მაგივრობას ეწევა ის სახელი, რომლისგანაც ზმნა იქნა ნაწარმოები (ჩიქობავა 19 42:218-219).

**ცხრილი 5 – პირველადი მასდარებისა და მათგან ნაწარმოები ზმნების ლემა  
GNC-ში**

ტოკენი	მარტივი ლემა	ლემა
ჭიკჭიკებს (V), ჭიკჭიკი (N) იჭიკჭიკებს	ჭიკჭიკი	ჭიკჭიკ-ი/ჭიკჭიკ
კანკალებს (V), კანკალი (N) აკანკალებს	კანკალი *კანკალება	კანკალ-ი/კანკალ *კანკალებ[ა]/კანკალ
შრიალებს (V) შრიალი (N) აშრიალებს	შრიალი *შრიალება	შრიალ-ი/შრიალ *-შრიალებ[ა]/შრიალ
წკრიალებს (V), წკრიალი (N), აწკრიალებს	წკრიალი *წკრიალება	წკრიალ-ი/წკრიალ *-წკრიალებ[ა]/წკრიალ
ლაპარაკობს (V), ლაპარაკი (N), ელაპარაკება ალაპარაკებს	ლაპარაკი ლაპარაკება *ლაპარაკება	ლაპარაკ-ი/ლაპარაკ ლაპარაკებ[ა]/ლაპარაკ *ლაპარაკებ[ა]/ლაპარაკ

ცხრილი 5-იდან ჩანს, რომ პირველადი მასდარებისა და მათგან ნაწარმოები ზმნების ლემა ერთმანეთს ემთხვევა. ლემა თემისნიშნიანი ვარიანტით მხოლოდ მაშინ არის წარმოდგენილი, თუკი ზმნური ფუძე FV-R-THM [ა-ღ-ებ] მოდელი-საა, თუმცა არა ყოველთვის: ზოგიერთი მედიოაქტიური ზმნის შემთხვევაში, მაგალითად ისეთების, როგორებიცაა: აბიბინებს, აწიკწიკებს, აჭიბჭინებს, აპრიალებს, ათქრიალებს... ფორმები არ არის წარმოდგენილი -ებ თემისნიშნიანი მასდარებით.

მოძრაობის ზმნების დიდი ნაწილი ზმნისწინებს აწმყოშივე ირთავს და მყოფად-აორისტის საწარმოებლად სხვა მექანიზმებს იყენებს (ცვლის ზმნისწინს ან ფუძეს); GNC-ში ზმნისწინიანი ფორმების მარტივი ლემა ზმნისწინიანი მასდარებით არის წარმოდგენილი, ხოლო ლემა დაიყვანება ძირამდე (ცხრ. 6).

## ცხრილი 6 – აწმუნშივე ზმნისწინიანი ზმური ფორმების ლექს GNC-ში

ტოკენი	მარტივი ლექს	ლექს	ტოკენი	მარტივი ლექს	ლექს
მიღის	მისვლა	მი-სვლ[ა]/დი	მიმყავს	მიყოლა	მი-ყოლ[ა]/ყავ
წავიდა	წასვლა	წა-სვლ[ა]/ვ[ი]დ	მომყავს	მოყოლა	მო-ყოლ[ა]/ყავ
წავალ	წასვლა	წა-სვლ[ა]/ვ[ა]ლ	მიპყვება	მიყოლა	მი-ყოლ[ა]/ყვ
შევალ	შესვლა	შე-სვლ[ა]/ სვლ	მიმაქვს	მიტანა	მი-ტან[ა]/ქვ
დაღის	სიარული	სიარულ-ი/დი	მივიტან	მიტანა	მი-ტან[ა]/ტან

ტრანსფერული ზმნების შემთხვევაში ლექსა ამოდის მარტივი ლემიდან, პარალელური ძირეული მორფემა კი ზმური ფორმიდან, ისე, როგორც ეს არის ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში, თუმცა მარტივი ლემები, რომლებიც მასდარებით არის წარმოდგენილი, ყოველთვის სწორად არის შერჩეული, მაგალითად, მიმყავს / მომყავს ზმური ფორმების ლექსა უნდა იყოს მიყვანა / მიყვანა, მიყოლა კი მიპყვება ფორმის ლექსა (შდრ. ქეგლ-ის განმარტება). აქევ ჩნდება კითხვა – რატომ არ შეიძლება იყოს ლემები წარმოდგენილი განსხვავებული წა- ზმნისწინით და, შესაბამისად, განსხვავებული ძირით: მიპყავს – წაყვანა, მიპყვება – წაყოლა, გაყლა, მიაქს – წაღება, რომელთაც ამავე ზმნისწინებით არ ეწარმოებათ აწმო.<sup>8</sup>

ცხრილი 6-ის ტოკენების ლექს GLC-ში განსხვავებულად წარმოგვიდგება, რადგან ამოსავალია აწმოს ან მყოფადის მე-3 პირის ფორმები, თუმცა მოძრაობის ზმნების ზმნისწინიანი ფორმათა დიდი ნაწილის ლემის საკითხი ჯერ კიდევ გადასაწყვეტია.

GNC-ში ლექსა და მარტივი ლექსა განსხვავებულია ფუძემონაცვლე (ცხრ. 7) და აბლაუტური ფორმებისთვისაც (ცხრ. 8). ამ უკანასკნელ შემთხვევაში აორისტის ფორმასთან ფუძისეული ხმოვანი შეცვლილად არის წარმოდგენილი.

## ცხრილი 7 – ფუძემონაცვლე ზმნების ლექს GNC-ში

ტოკენი	მარტივი ლექს	ლექს
ზის	*ჯდომა	*ჯდომ[ა] /ზი
ამბობს	თქმა	თქმ[ა] /მბობ
იცის	ცოდნა	ცოდნ[ა] /ც

აბლაუტური ანუ ხმოვანმონაცვლე ძირები უთემისნიშნოა, ამიტომ მასდარში მისი ნაშთი, წესის მიხედვით, არ უნდა იყოს წარმოდგენილი [შდრ., მაგ., (4.1) (4.2) (5.2)]; მეორე მხრივ, კორპუსში არაერთი შეცვლიმიანი ანუ თემისნიშნიანი

<sup>8</sup> GNC-ში შეცურა, მიცურა, მოცურა, გადაცურა ტოკენებისთვის ლექსად წარმოდგენილია -ებ თემისნიშნიანი შეცურებ[ა]/ცურ, მოცურებ[ა] / ცურ, მოცურებ[ა] / ცურ, გადაცურებ[ა]/ცურ.

ფორმაცი იძებნება, რაც შესაძლოა, ასახავდეს აბლაუტური ზმნების გამოყენების ტენდენციას წერილობით ტექსტებში, თუმცა ლემატიზირება უნდა მიჰყეს გრამატიკულ წესს ანუ დადგენილ ნორმას, რაც ასეც არის უმეტეს შემთხვევაში.

ცხრილი 8-ის მაგალითები უჩვენებს, რომ აწმყოსა და აორისტის მარტივი ლემა ერთი და იგივე მასდარია, ზმნისტინიც შენარჩუნებულია; ლემს კი ფორმა ძირამდე დაცყავს და აორისტში ამოსავალხმოვნიანი ძირის პარალელურად აბლაუტურ ძირსაც გვთავაზობს (3) (4). მაგალითი (5.2) კი ის შემთხვევაა, როცა მარტივი ლემაც და ლემაც აორისტში შეცვლილი ხმოვნით არის წარმოდგენილი.

#### ცხრილი 8 – აბლაუტური ზმნების ლემა GNC-ში

	ტოკენი	მარტივი ლემა	ლემა
(3.1)	ჩხრეპს	*ჩხრეპა	*.ჩხრეპ[ა]/ჩხრეპ
(3.2)	გაჩხრიკა	გაჩხრეპა	გა-ჩხრეპ[ა]/ჩხრიკ
(4.1)	ხლეჩს	*ხლეჩვა	*ეხლეჩვ[ა]/ხლეჩ
(4.2)	გახლიჩა	გახლეჩვა	გა-ხლეჩვ[ა]/ხლიჩ
(5.1)	ხვრიპა	*ხვრეპა	*ეხვრეპ[ა]/ხვრეპ
(5.2)	ხვრიპა	შეხვრიპვა	შე-ხვრიპვ[ა]/ხვრიპ
		*ხვრეპა	*-ხვრეპ[ა]/ხვრიპ

ენკლიტიკური არის > -ა ზმნური ფორმების, უფრო ზუსტად კი შედგენილი შემასმენლის,<sup>9</sup> ლემის ჩანაწერში შხოლოდ სახელის ლემა ჩანს, ზმნური ნაწილი კი ლემის გარეშე რჩება; მაგალითად, შედგენილი შემასმენლისთვის თბილია, კრილია, ტკბილია ორივე კორპუსში ლემად მიჩნეულია შხოლოდ სახელადი ნაწილი, ამ შემთხვევაში ზედსართავი სახელი მორფოლოგიური ანოტირების ველშიც შეფასებულია როგორც ზედსართავი სახელი; ანალოგიური ვითარება ვრცელდება არსებითებზე, რიცხვითებზე, ნაცვალსახელებსა და მიმღეობაზე -ა ენკლიტიკის შემთხვევაში.

#### ცხრილი 9 – ენკლიტიკური -ა სუფიქსიანი შედგენილი შემასმენლის ლემა

GNC	GLC						
<p>სიტყვა: თბილია დიპლ.: თბილია მარტივი ლემა: თბილი ლემა: თბილი მახასიათებლები: A Nom Sg Encl:Aux</p>	<table border="1"> <tr> <td>მოხსნილი მრამ. ომონიმი</td> <td>თბილია</td> </tr> <tr> <td>ლემა: თბილი</td> <td>თბილია</td> </tr> <tr> <td>მრამ. ფორმა: ზედ. სახ., დად., მხ., სახ., დამხ. ზო.</td> <td>თბილია</td> </tr> </table>	მოხსნილი მრამ. ომონიმი	თბილია	ლემა: თბილი	თბილია	მრამ. ფორმა: ზედ. სახ., დად., მხ., სახ., დამხ. ზო.	თბილია
მოხსნილი მრამ. ომონიმი	თბილია						
ლემა: თბილი	თბილია						
მრამ. ფორმა: ზედ. სახ., დად., მხ., სახ., დამხ. ზო.	თბილია						

<sup>9</sup> მართალია, ტერმინი სინტაქსურია, მაგრამ, ვინაიდან ქართულში სინტაქსურ ერთეულთა ფუნქციონირება ემყარება მორფოლოგიას, ანუ გრამატიკული პროცესები მორფოსინტაქსურია, წესების დადგენისას უნდა გავცდეთ მორფოლოგის ჩარჩოს.

მეორე მხრივ, პირნაკლი ზმნების შემთხვევაში (ცივა, ვრიღა, ცხელა, თბილა), ლემები სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი. აღნიშნული ფორმების ერთი წყება თავისთავად წარმოადგენს სტატიკურ ზმნებს, GNC-ში ამგვარი ტოკენების ლემატიზება ზოგჯერ გადინამიკურებულ -ებ თემისნიშნიან მასდარებზე ან ასტრატეგულ სახელზეც (მაგ. სითბო... იხ. ცხრ. 10ა)) კი გადის. მეორე წყება კი ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი ზმნური ფორმებია, რომელთა ლემები სახელებია ან მასდარები.

**ცხრილი 10 – პირნაკლი ზმნური ფორმების ლემა**  
**ა) სტატიკის გამომხატველი ზმნური ფორმები**

STAT	მარტივი ლემა	ლემა
ცხელა	გაცხელება	გა ცხელებ[ა]/ცხელ
გრიღა	*გრიღება	*გრიღებ[ა]/გრიღ
ცივა	ცია/ *ცივება	ცია/ცი[ა], *ცივებ[ა]/ცივ
ბნელა	*ბნელება	*-ბნელებ[ა]/ბნელ
თბიღა	სითბო	სითბო/თბიღ
სითბოა	სითბო	სითბო/თბიღ
სიცხეა	სიცხე	სიცხ[ე]

**ბ) დინამიკის გამომხატველი ზმნური ფორმა**

DIN	მარტივი ლემა	ლემა
წვიმს	წვიმა	წვიმ[ა]/წვიმ*
თოვს	*თოვა	თოვ[ა]/თოვ
ცრის	*ცრა	*-ცრ[ა]/ცრ
ქუჩს	ქუხილი	ქუხილ ო/ქუხ
გრგვინავს	გრგვინვა	გრგვინვ[ა]/გრგვინ
ელავს	ელვა	ელვ[ა]/ელ

GLC-ში აღნიშნული ზმნური ფორმების ლემა კი თავისთავად PRS.S3SG ფორმებია.

## 2. კორპუსულ მონაცემთა ლინგვისტური ანალიზის შედეგები

ლემის განმარტებისადმი მიღვომა ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში განსხვავებულია:

- (1) „ლემა არის ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ერთეული ენაში. უტოლდება სალექსიკონო ერთეულს ლექსიკოლოგიაში“ (თანდაშვილი, უურცხვანიძე 2014:210).
- (2) „ლემა არის ფლექსიური ფორმების მარტივებელი კლასების საწყისი ერთეული, რომელიც სხვა დანარჩენი ფორმებისაგან შხოლოდ სიტყვაცვლილებით მორფოლოგით განსხვავდება“ (ლობჟანიძე 2021:61).

განმარტება (1) უშვებს ლემის გათანაბრებას სალექსიკონო ერთეულთან, ლექსიკური მნიშვნელობის მქონე მონაცემთან ანუ ფუძესთან; განმარტება (2)-ში კი აქცენტირებულია არა ლემის მნიშვნელობა, არამედ სტრუქტურა, კერძოდ, ლემა არის ფლექსიურ ფორმათა პარადიგმის საწყისი [resp. მდგრადი] მონაცემი. ამ მიღვომებთ კვლავ წარმოიშობა ფლექსიურ და დერივაციულ მორფებითა, უღლებისა და წარმოქმნის კატეგორიათა მკაცრად გამიჯვნის, მათ შორის, ზღვარის დადგენის საკითხები.

განმარტებებში აღნიშნული პრინციპები საფუძვლად ედება ქართული ენის კორპუსებში ლემატიზაციის პრინციპების განსხვავებულობას, რომლებიც მაგალითების სახით კორპუსულ მონაცემთა პარაგ. 1-ში (კორპუსულ მონაცემთა აღწერა) გაჩვენეთ. GNC-ში გატარებულია მიღვომა:

„სახელებისათვის ქართულში ლემა არის სახელობითი ბრუნვის ფორმა, ზმნებისათვის – საწყისი“ (თანდაშვილი, ფურცხვანიძე 2014:210).

ასევე დაშვებულია აბსტრაქტული ძირი ზმნებისა და მიმღეობისათვის (გიპერტი 2016). GLC ხელმძღვანელობს „მორფოსინტაქსური ანოტირების ჩარჩოთი“ (2012), რომლის მიხედვითაც:

„სახელური პარადიგმის ლემას მხოლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმა წარმოადგენს, ხელო ზმნური პარადიგმისას – ზმნის მესამე პირის ფორმა აწმყოსა და მყოფადში... უშუალოდ გენერაციისთვის ხდება მეორე პირის ფორმის გამოყენება, რომელიც ყველაზე ახლოსაა კონკრეტული ზმნური პარადიგმის აბსტრაქტულ ძირთან“ (ლობჟანიძე 2021:65).

ლექსიკონებში მეთაური სიტყვის დადგენისადმი მიღვომა განსხვავებულია ქართული ენის განმარტებითი ოუ თარგმნითი ტიპის ისტორიულ და თანამედროვე ლექსიკონებში.<sup>10</sup> ოუ კორპუსისათვის ლემის დადგენის პროცესისათვის ამოსავლად დარჩება ლექსიკოგრაფების განსხვავებული მიღვომა, ამ შემთხვევაშიც საკმაოდ არაერთგვაროვანი სურათი იქნება წარმოდგენილი, განსაკუთრებით ქართული ზმნისთვის: ლექსიკონთა უმრავლესობა მას წყვეტს შერეულად, ზმნის მასდარისა და აწმყოსა და/ან მომავალდროიანი მესამე პირის ფორმის სასარგებლოდ (ჩიქობავა 1950-1964), ან ირჩევს მხოლოდ მასდარს (ცოცანიძე და სხვ. 2014), ან წარმოადგენს ფლექსიურ მონაცემში აბსტრაქტული ძირის სახით: სახელში, მიმღეობასა და მასდარში (ჩხერიძე 1965-1974).

აღნიშნულის კვალდაგებალ კორპუსული სახელური ლემა GLC-ში არის მხოლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმა ფლექსის შემთხვევაში (იხ. სახელში, მიმღეობასა და მასდარში (ჩხერიძე 1965-1974).

<sup>10</sup> ქართული ენის ისტორიულ და თანამედროვე ლექსიკონებში მეთაური სიტყვის გატანის პრინციპების დეტალური აღწერისათვის იხ. გიპერტი 2016.

ცხრ. 1, 2). GNC-ში ლემა და მარტივი ლემა გამიჯნულია. მარტივი ლემა = ფუძე; ალუბალი, ფანჯარა... ლემა = ფუძეს, რომელშიც რეპრეზენტირებულია პარადიგმაში დასაშვები ფონეტიკური ცვლილებება: ალუბ/[ალ-/, ფანჯ/[აქ/[ა]. იგივე პრინციპია შენარჩუნებული GNC-ში დერივაციული ფუქსების ლემატიზების დროსაც, თუმცა სახელებში, მიმღებებისაგან განსხვავებით, ამოსავალი სახელის ფუძე/ძირი ლემაში მითითებული არ არის (ცხრ. 1); GLC-ში კი პრინციპი იცვლება დერივაციულ სახელთა მრავალრიცხოვან კლასში მხოლოდ ზედსართავი სახელის ხარისხისა და რიცხვითი სახელის რიგობითი და წილობითი ფორმებისათვის: დერივირებული ფუძე დაიყვანება ამოსავალი ფუძის (resp. ძირი) სახელობითის ფორმაზე (იხ. ცხრ. 1).

ნაცვალსახელების ლემატიზება ასევე საინტერესო პროცესია, ერთი მხრივ, პარადიგმაში სუპლეტური და იდენტური წევრების, მეორე მხრივ, ცალკეულ სემანტიკურ ჯგუფებში კომბინირებულ (ნაწილაკების დართვით დერივირებულ) ფორმათა გამო. ორივე კორპუსში გატარებულია ერთი წესი, რომელიც ლემად სახელობითი ბრუნვის ფორმის შერჩევას უკავშირდება, თუკი ნაცვალსახელი ფლექსიური (ბრუნებადი) მოცემულობაა.<sup>11</sup> არის მცირედი განსხვავებები (იხ. ცხრ. 2). ზოგიერთი მიმართებითი 「Q+PTC:ც」, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის 「Q+PTC:მე」, {Q+PTC+PTC} – ვა-ღა-ც, რა-ღა-ც, რომელი-ღა-ც, ვინ-მე, რა-მე, რომელი-მე, იგი-ვე... ან {Q+CM+PTC} – რომელი-მე, როვორი-მე, რაი-მე...) მოდელი დერივაციული მონაცემია, რომლის დაშლა სხვა სემანტიკური ჯგუფის ნაცვალსახელს ან მოდალობას იძლევა.<sup>12</sup> ამავე რიგშია ნაცვალსახელები, რომლებიც არ არიან ფლექსიურები: უარყოფითი ნაცვალსახელები – ვერა, ნურა, ნულარ, ველარ...; განსაზღვრებითი ნაცვალსახელები – თვით, თვითონ, თავად. ამიტომ მათი, როგორც მყარი ლემის, შენარჩუნება ისევ პირობითი ჩანს და მიმღელი უნდა იყოს დერივაციულ სახელებში ლემის გადაწყვეტის პრინციპს.

საგულისხმოა, რომ ნაცვალსახელებში ბრუნვის ნიშნებისა და თანდებულების ადგილიც არასტაბილურია. ზოგადი წესის მიხედვით, ყველა ფლექსიური აფიქსი ფუძის გარეთა მოცემულობაა, თუმცა ნაცვალსახელთა საფეხურებრივი კონს-

<sup>11</sup> ნაცვალსახელების ნაწილი უბრუნველია და, ამდენად, მდგრადი მოცემულობაა. მაგალითად: თვით, თვითონ, თავად.

<sup>12</sup> ენებს შეიძლება ჰქონდეთ ისეთი მორფები, რომლებიც არც ძირებია და არც აფიქსები, რომლებსაც ხშირად „ნაწილაკებს“ ან „კლიტიკას“ უწოდებენ. ზოგიერთი ელგმენტი, რომელსაც ეწოდება „განმსაზღვრელი“, „ადპოზიცია“ ან „დამხმარე“, ასევე შედის მორფებათა ჯგუფში. არ არსებობს ფართოდ გამოყენებული ზოგადი ტერმინი არააფიქსური და არაძირული მორფებისთვის (ჰასპელმათი 2020. სქოლით 1); შდრ. მორფების დანიშნულებით გამოყენებული წარმოშობით არამორფებული ელემენტების აღსანიშვად ქართულში გამოყენებულია ტერმინი „მორფემოდი“ (ჯორბენაძე და სხვ. 1988:5). შედარებისათვის კარგი მაგალითია ფლექსიური მორფებითა და მორფემოდებით წარმოქმნილი ზმნიზედების შინაარსობრივი ჯგუფები.

ტრუირებისას, რაც უფრო დიაქრონის საკითხია, ფლექსიური ნიშნები (ბრუნვის ნიშანი, თანდებული) ფუძეში ექცევა და დერივაციული შინაარსის ნაწილაკები, რომლებიც ახალი შინაარსობრივი ჯგუფების წარმოქმნაში იღებენ მონაწილეობას, ფლექსიური ფუძის გარეთ ჩნდება.<sup>13</sup> ასეთივე მოცემულობებია თანდებულები, მათი ჩამოცილება ადვილია, თუკი მიმდევრობაში ნაწილაკებს მოსდევენ ისინი, მაგრამ როტულია, თუკი ნაწილაკთა დართვით ნაცვალსახელები მათ ახალ ჯგუფში გადადიან (ცხრ. 2).

ნაცვალსახელთა ლემატიზებისას ლემაში უნდა შევიდეს ყველა ელემნტი, რომელსაც აქვს დერივაციული ანუ ახალი მნიშვნელობის წარმომქმნელი ფუნქცია, ასევე კონსტრუქციაში საფეხურებრივად ჩართული ყველა ფლექსიური ნიშანი, რომელიც, ფაქტობრივად, ახალი მნიშვნელობის ნაცვალსახელს წარმოქმნის.<sup>14</sup> ვინაიდან ზმნური ფორმის ლემატიზებისას GLC ირჩევს აწყოსა და მყოფადის მესამე პირის ფორმას, მარტივლება ლემატიზების პროცესი ისეთი პირნაკლი ზმნებისთვისაც კი, როგორებიცაა: ცივა, ცხელა, თბილა, გრილა, იცხვვრება, იცხოვრება, იდგომება, კდგომება, რადგან ყველა მესამე პირის ფორმაა. GNC-ში კი ლემატიზების პროცესი უფრო როტულია, აქ მარტივი ლემა უტოლდება მასდარს, ზმნისწინანი ფორმისათვის ზმნისწინის შენარჩუნებით, ხოლო ეს უკანასკნელი ამოსავალია ლემისათვის, რომელიც ორ ნაწილად არის წარმოდგენილი: ერთი ნაწილი სეგმენტირებულია, გამოყოფილია ზმნისწინი და საწყისის მაწარმოებელი სუფიქსი, შენარჩუნებულია კაუზატივისა და თემის ნიშნები, მათი არსებობის შემთხვევებში; მეორე ნაწილი კი აბსტრაქტული მონაცემია – ძირი, რომელსაც ჩამოშორებული აქვს ყველა ფლექსიური ელემნტი; მეორე მხრივ, აბლაუტური ზმნების ლემის ძირში ნაჩვენებია ხმოვნის ცვლა (იხ. ცხრ. 8), რაც ფლექსის ნაწილია. ამ ტიპის ზმნურ ფორმათა მარტივ ლემასა და ლემაში ასევე ასახულია ფუძეთა პარადიგმატული მონაცვლეობა (მწკრივში მონაცვლეობა). ასეთი მაგალითების ანოტაციაში ჩანს, რომ ძირეული მორფები ამოღებულია საძიებო ფორმებიდან და არა ლემებიდან (იხ. ცხრ. 7).

პირველადი მასდარებისა და მათგან ნაწარმოები ზმნების ლემა GNC-ში ემთხვევა ერთმანეთს (იხ. ცხრ. 5); ამგვარ სახელთა და ზმნათა კლასში ფუძეების უმეტესობა ფონოსემანტიკურია (სინესოფიურია), მორფოლოგიურად კი მედიოაქტივის ფორმებია. მათი რიცხვი არც ისე ცოტაა ქართული ენის სახელური და ზმნური ლექსემების ფონდში (გერსამია და სხვ. 2016). ლემატიზაციის პრინცეპი არაერთგვაროვანია მედიოაქტივის თემისნიშნიანი ფორმებისთვის.

<sup>13</sup> შდრ.: სახელებში ნაწილაკის ადგილი შეუქცევადია, ის სტაბილურად ჩნდება მხოლოდ ბრუნვის ნიშნის შემდგომ.

<sup>14</sup> შედარებისათვის კარგი მაგალითია ფლექსიური მორფებითა და მორფემოიდებით წარმოქმნილი ზმნიზედების შინაარსობრივი ჯგუფები.

ორმაგი თემის ნიშანია წარმოდგენილი თემისნიშნიან კაუზატიური ფორმების ლემაში: {PRV-{R+THM}-CAUS-THM} მოდელი ლემის საყრდენია (ცხრ. 4), რომელსაც ერთვის მასდარის მაწარმოებელი.

მოძრაობის ზმნების დიდი ნაწილი აწყოშივე ირთავს ზმნისწინს (ცხრ. 6), ლემასა და მარტივ ლემაშიც მასდარს აქვს უნარი, შეინარჩუნოს ზმნისწინი. აქც დგება საკითხი, თუ რომელი დერივანტია ზმნისწინი, ლექსიკური თუ გრამატიკული? რაკი ასპექტის წარმოებაში არ არის ჩართული, გრამატიკული ვერ იქნება, მაგრამ ამგვარი ფორმებისათვის ზმნისწინი ვექტორული და რეფერენციული სიდიდეა, რომლითაც (ცალკეული გამონაკლისების გარდა) დგინდება მოძრაობის მიმართულება (გვ. ზ) და დეიქსისი, სხეულთან (resp. პირთან თუ საგანთან) მიმართება (resp. ორიენტაცია-რეფერენცია). მოძრაობის ზმნებში არსებითად ზმნის შინაარსს ვერ ცვლის ზმნისწინი, თუმცა ნაბეჭდ ლექსიკონებში მეთაური სიტყვა, იქნება ეს ზმნური ფორმა თუ მასდარი, ზმნისწინიანია (ჩიქობავა 1950-1964; ცოცანიძე და სხვ. 2014); მეორე მხრივ, არც ზმნისწინი ჩანს მდგრადი, უცვლელი პარადიგმატული მოცემულობა და მასდარში შეიძლება შეიცვალოს, ან დაიკარგოს კიდეც, რაც გულისხმობს ტრანსფერული მიმაჯვრების მიმაჯვრების მასდარების ამოსავალი ფორმისგან განსხვავებულად წარმოდგენას (პარაგრაფი 1) ან, მაგალითად, შეცურა, მოცურა, მოცურა ფორმების მასდარში ზმნისწინის არასებობას, რასაც ასევე უნდა გამოეწვია მათ ანოტაციაში ისეთი შეცდომიანი ლემების წარმოდგენა, როგორებიცაა: შე-ცურებ[ა]ცურ, მო-ცურებ[ა]ცურ, მო-ცურებ[ა]ცურ, რომლებიც ლექსიკურად განსხვავებული ზმნების (მიაცურა / მოცურდა, მოაცურა / მოაცურდა/ მოუცურდა, შეაცურა / შეცურდა / შეუცურა და ა.შ) ლემებია; ამ კონტექსტის ნაწილია გადაცურა / გადაცურავს ზმნების ლემად გადაცურებ[ა]ცურ -ებ თემის ნიშნიანი ფორმების წარმოდგენაც (იხ. GNC).

საყურადღებოა მესამე პირში ენკლიტიკური ~ სუფიქსის მქონე ზმნურ ფორმათა ლემები. ცხრილი 9-ის ფორმები სინტაქსურად შემასმენლებია, ამასთან არის > /-ა/ გრამატიკალიზაცია მხოლოდ მესამე პირში განხორციელებული მოვლენაა, I-II პირებში კი ზმნური ნაწილი სრულად არის წარმოდგენილი: თბილი კარ, თბილი ხარ და, შესაბამისად, ლემატიზებულია ცალ-ცალკე; მესამე პირის ფორმის გაზმნავებას თუ სინტაქსურად შედგენილ შემასმენლად ქცევას აპირობებს არის ზმნური ფორმის გრამატიკალიზაცია; ლემატიზებისას მთავარი გადასაწყვეტი ამოცანაა: POS ტეგირების დროს როგორ უნდა მოვნიშნოთ ის, როგორც სახელი, თუ როგორც ზმნა, რომელთა ლემატიზების პრინციპი, თავის მხრივ, განსხვავებულია? სინტაქსის დონეზე ამგვარი ფორმები ფუნქციონირებს როგორც შემასმენელი (resp. შედგენილი შემსამენელი სახელადი და ზმნური ნაწილით); ამასთან, სპეციალისტთა მიერ დიდი ხანია, გაზიარებულია თვალსაზრისი /-ა/ ენკლიტიკის გრამატიკალიზაციისა და მესამე სუბიექტური პირის ნიშნად კვალიფიცირების შესახებ (ახალი ქართული ენა 2016:27); ამგვარ ფორმათა

ლემატიზების გზები კორპუსებში შეიძლება განსხვავებული იყოს (მაგ.: GNC-ში ფორმის მორფოლოგიურ ანოტაციაში ორწერტილით გამოიყოფა კლიტიკა, GLC-ში კი მისი ძიება შესაძლებელია მახასასიათებლების დამატებითი ველიდან), ოუმცა საანალიზო ფორმები კორპუსული ანოტაციების მიხედვით არასდროს არის ზმია და, ჩვეულებრივ, ის მეტყველების ნაწილია, რომლისგანაც შედგება შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი (სახელები, მიმღეობა).<sup>15</sup>

### 3. დისკუსია

ტოკენის ლემატიზაცია, ჩვეულებრივ, გულისხმობს პროცესს ლექსიკონის გამოყენებით და სიტყვა-ფორმების მორფოლოგიური ანალიზით; იგი მიზნად ისახავს მიმღევრობიდან ფლექსური მორფების ამოღებას და სიტყვისთვის საბაზისო ან ისეთი სალექსიკონო ფორმის დაბრუნებას, რომელიც ცნობილია როგორც ლემა.<sup>16</sup>

ანალიზმა აჩვენა, რომ ქართულ კორპუსებს განსხვავებულად იაზრებენ ჯერ სტემირების, შემდეგ კი სტემის ლემატიზაციის პროცესს; სახელისათვის ფლექსიურ მორფემად განიხილება რიცხვისა და ბრუნვის ნიშნები, ხოლო ზმისათვის ყველა იმ გრამატიკული (მორფოსინტაქსური) კატეგორიის მარკერი, რომელიც რეპრეზენტირდება ზმიაში. ა. შანიძის მიერ ზმნური კატეგორიების დაყოფა უღლებისა (ანუ პარადიგმაში ცვლადი კატეგორია და მისი მარკერები) და წარმოქმნის (პარადიგმის უცვლელი კატეგორიები და მათი ნიშნები) კატეგორიებად (შანიძე 1980) ლემის დადგენისას გასათვალისწინებელი ჩანს; გვარის, ქცევის, კაუზატივის კატეგორიები დერივაციულია, ანუ ის ცვლის მნიშვნელობას, რომელიც არ არის ოდენ გრამატიკული და მიბმულია არგუმენტთა სტრუქტურაში არგუმენტთა რაოდენობას ან მათი როლების გადანაწილებას; ამავე უუნქციას იძენს ხშირად ზმისწინიც, რომელიც მძლავრი დერივანტია და, გარდა იმისა, რომ მოძრაობის ზმნებში მიმართულებას, რეფერენცია-ორიენტაციას, ხოლო სტატიკურებში – ლოკაციას აღნიშნავს, არსებითად ცვლის ზმის ლექსიკურ შინაარსს.

<sup>15</sup> საგულისხმია, რომ ლაზურისა და მეგრული ენის ზუგდიდურ-სამურზაყანოული დიალექტი არ უშვებს რე(ნ) „არის“ მეშველი ზმის გრამატიკალიზაციას შეგდენილ შემასმენელში: ტიბუ რე(ნ) „თბილი არის“, [ხ]ჩე რე(ნ) „თეთრია“, მი რე(ნ) „ვინ არის“ და ა.შ. მისი გრამატიკალიზება გარკვეული შეზღუდვებით დაშვებულია მხოლოდ მეგრული ენის სენაკურ-მარტვილურ დაალექტში, თუმცა -ე (< რე(ნ)) პირის ნიშნად არ განიხილება, რადგან პირის ნიშანი -ნ ნავარაუდევია და მომღევნო პოზიციაში ნაწილაკების დართვის შემდგომ აღდგება: მინი-ე (< მინი რე) > მინი-ე-ნ-ია „ვინააო“. -ე არის მეშველი ზმის ნაშთი, რომელიც გრამატიკალიზაციის ეტაპობრივ პროცესში ეროვნის საფეხურად განიხილება.

<sup>16</sup> <https://nlp.stanford.edu/IR-book/html/htmledition/stemming-and-lemmatization-1.html>  
© 2008 Cambridge University Press

This is an automatically generated page. In case of formatting errors you may want to look at the PDF edition of the book. 2009-04-07. <https://nlp.stanford.edu/IR-book/>

აქვე ჩნდება კითხვა: თემის ნიშანი, რომელიც პირველ სერიაში ძირული მორფე-მის ნაწილში მაღესიკალიზებელ (ფუძედ გარდამქმნელი) ფუნქციისად გვევლი-ნება (-ვ: -ვ-ებ-, ლ: ლ-ებ-, ჭ: ჭ-ებ-, ღ: ღ-ებ- და ა.შ.), ფლექსიური აფიქსია თუ დერივაციული? ქართულში ფლექსიური აფიქსების ამოღების შემდეგ სალექსი-კონო ფორმის ანუ ლემის მიღება, ანუ გზა მასდარამდე ან მესამე პირის ფორმის შერჩევამდე, ხელახალი პროცესია; ლემამ უნდა შეძლოს კონკრეტული ტოკენის დაკავშირება სალექსიკონო ერთეულთან. ქართული კორპუსებისთვის კი საკითხი გადაწყდა იმ მიღომების გათვალისწინებით, რომლებიც თავად ბეჭდურ ლექსიკო-ნებში მეთაური სიტყვის შერჩევის პრინციპს ემყარება: GNC-ში ზმნური ფორმის ლემად შეირჩა მასდარი, როგორც ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი, და ძი-რი, როგორც ფლექსის ფორმობრივი საყრდენი, ამოსავალი; ხოლო GLC-ში – მესამე პირის ფორმები მასდართან დაკავშირებული არაერთი სირთულის გამო.

GNC-ში ძირის შერჩევა დაეყრდნო კიტა ჩხენკველის სალექსიკონო პრინციპს (ჩხენკველი 1965-1974), რომელიც გულისხმობდა ძირზე დაფუძნებულ ლემატიზა-ციას, მასდარულ მეთაურ სიტყვაში ძირის გამოკვეთას, ამოღებას. „ფუძესა“ და „ძირზე“ დაფუძნებული ლექსიკოგრაფია იდეურად მარი ბროსედან მომდინარეობს, მაგრამ მას ძირი ლემად პრაქტიკაში არ შემოუთავაზებია (გიპერტი 2016:31); აღ-ნიშნული პრინციპი კიტა ჩხენკველამდე წარმატებით განახორციელა ნიკო მარმა „ლაზურის ლექსიკონში“ (1910) და მარის მოწავემ, ოსტებ ყიფშიძემ, „მეგრულ რუსულ ლექსიკონში“ (1914); ნიკო მარის მიერ დამკვიდრებული root-based ლექ-სიკოგრაფია, ი. გიპერტის ვარაუდით, უფრო ეფუძნებოდა სემიტური ენების, არა-ბულისა და ებრაულის, ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკას, მეთაურ სიტყვად ძირის წარმოდგენას (გიპერტი 2016:31); მეთაური სიტყვა ფლექსიურ და დერივაციულ მორფებად არის დაშლილი და ძირამდე დაყვანილი ირინე ასათიანის „ლაზურ ლექსიკონშიც“ (2012), რომელიც ავტორის მიერ გასული საუკუნის 50-60-იან წლებში დამუშავებული სალექსიკონო მასალის გვთანდელი გამოცემაა, თუმცა ამ ლექსიკონში ძირისთვის შემდგომი გრამატიკული თუ ლექსიკური დერივაციები ნაჩვენები არ არის. ამ პრინციპის გამოყენება მეგრულისა და ლაზურისათვის, რო-გორც მკეთრად აგლუტინაციური და, ამავე დროს, მრავალრიცხოვან ზმნისწინთა მქონე ენებისათვის, მეტად ღირებულია, განსაკუთრებით ზმნურ ფუძეთა ლექსიკურ და გრამატიკულ კონსტრუირებაზე დაკვირვებისთვის.

სტემირებაზე გამავალი ლემატიზაცია და სალექსიკონო ლემის დადგენა იწ-ყება მორფოლოგიური ფორმის (კორპუსული ტოკენის) სინტაგმატური დაშლით და, საბოლოოდ, ემსახურება პარადიგმულად საყრდენი, უცვლელი მოდელის შერჩევას, მაგრამ როგორ უნდა გამოიყურებოდეს სტემირების შედეგად მიღებუ-ლი მონაცემი, „სტემა“ / ფუძე, ეს არის კითხვა, რომელიც სტემირების ეტაპზე ჩნდება და უკავშირდება სახელებსა და ზმნაში ლექსიკურ და გრამატიკულ კა-ტეგორიათა, მათ გამომხატველ დერივაციულ და ფლექსიურ აფიქსთა გამიჯვნას,

რადგან ფუძის მორფებული შედგენილობის საკითხი ქართულში არაერთგვაროვნად არის გადაწყვეტილი (ახალი ქართული ენა 2016:102-110).

შემდგომი ეტაპის ანუ ლემატიზაციის საკითხია, თუ რას უნდა ემთხვეოდეს ქართულში (resp. ქართველურ ენებში) ტოკნის ლემა, ძირის, დერივაციულ ფუძეს, მასდარს თუ პარადიგმის კონკრეტულ სიტყვა-ფორმას; შესაძლებელია თუ არა, დამოუკიდებლად განვიხილოთ ლემა კორპუსში /კორპუსისათვის და კორპუსს გარეთ; აქვე, არის თუ არა კორპუსის ლემა მხოლოდ ლექსიკალიზებული მონაცემი.

ქართულში ძირი კონცეპტუალური მნიშვნელობის მქონე არასტრუქტურორებადი ბაზისური მინიმალური მორფება, ფუძე კი არის დერივაციული მორფებისგან კონსტრუირებული მოდელი (თუ ძირი და ფუძე არ ემთხვევა ერთმანეთს), რომელსაც აქვს ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობა. მათგან განსხვავებით, მასდარი არის ზმნური ფორმის გარდაჯმნილი სახე სახელისა და ზმნის შეზღუდული რაოდგნობის კატეგორიებით. ეს არის ზმნური ძირის მქონე ბრუნებადი მოდელი, რომლის სალექსიკონო ფორმად გარდაჯმნას მასდარის მაწარმოებელი სუფიქსი აპირობებს. მასდარს თან ახლავს თემის ნიშანი, ზოგჯერ ზმნური თემის ნიშნისგან განსხვავებულიც.

ინდოევროპულ ენებში ზმნის ლემად ინფინიტივის შერჩევა მისაღები ჩანს, რადგან ის ზმნის ამოსავალი ფორმაა და ყველა ბმული და თავისუფალი მორფება, რომელიც ქმნის ზმნურ შინაარსს, სწორედ ინფინიტივის გარშემო არის განთავსებული, შესაბამისად, მათი ჩამოშორების პროცესიც ადვილია; აგლუტინაციური ენებისათვის კი, რომელშიც ყველა მორფება ბმულია, განთავსებულია ძირის გარშემო და სტრუქტურულ მთლიანობას ქმნის, როგორიც ყველა ფლექსიური ნიშნის წაშლა, ამოღება და ფუძის მოდელის შექმნა, რადგან ზმნურ სლოტებში მორფებითა გადანაწილება ფლექსიურ-დერივაციულობის ნიშნის მიხედვით არ ხდება, მაგალითად, ისე, როგორც ეს სახელური დერივაციის შემთხვევაშია; ამასთან, მორფებითა მიმღევრობაში არის ორმაგი ფუნქციის აფიქსები (მაგ., ზმნისწინები) ან მორფებით ძირის ლექსიკალიზაციისათვის, მაგალითად, თემის ნიშნები, რომლებიც ზმნური კონსტრუქციის ნიშნებია, ზმნური პარადიგმის ნაწილში (I და III სერიებში) წარმოდგენილი ფლექსიური მორფებია, რომელთაც აქვთ სერიათგანმასხვავებელი ფუნქცია. ამგვარი აფიქსები ართულებს სტემირების პროცესს.

მასდარი კი აგლუტინაციურ ქართულში ნაზმნარი სახელია და, ამდენად, ინფინიტივისგან განსხვავებული მოცემულობაა, რომლისგან იწარმოება ზმნა; მასდარის პარადიგმა სახელურია და არა ზმნური, იგი ბრუნებადი ფლექსიური მონაცემია; მასდარის ძირი კი ზმნური (მოქმედების, მდგომარეობის, განცდის, გრძნობა-აღქმის და ა.შ.) შინაარსს ატარებს, თუმცა გრამატიკული დერივაციის გამომხატველი ყველა კატეგორიის (მაგ.: გვარის, ქცევის) გარეშე.

ზმნურ პარადიგმაში ფუძესთან ყველაზე ახლოს შეიძლება იდგეს აორისტის მეორე პირის ფორმიდან ამოღებული ფუძე, რომელიც პარადიგმის მინიმალური

უცვალებელი სტრუქტურაა [PRV-FV-R-]: *PRV-ი-წერ-, PRV-უ-წერ-, PRV-ა-წერ-ინ-, PRV-ი-ძალ, PRV-უ-ძალ-* და *ა.შ.*, თუმცა ასეთი არჩევანის შემთხვევაშიც ზმნურ ფორმათა ავტომატური მოდელირების დროს წარმოიქმნება პრობლემები, რომელთაც დამატებითი წესების აღწერა დასჭირდება, მაგ., *ი-წერ-ს* შეიძლება გახდეს როგორც სტატიკური *ი-წერ-ებ-ა*, ისე დინამიკური *ი-წერ-ს* ზმნების პრეზენტის; მეორე მხრივ, მეორე სერიას ახლავს სხვა ბევრი პრობლემა, რომელიც უკავშირდება ნაკლულ პარადიგმებს, სუპლეტურ და აბლაუტურ ფორმებს, რაც ასევე დამატებითი ბარიერია ლემატიზაციისთვის.

არნ. ჩიქობავას მიერ სალექსიკონო ფორმად მესამე პირის ფორმის შერჩევა მასდართან ერთად მოხდა ყველა ამ წინააღმდეგობის გათვალისწინებით, რაც ახლავს მასდარად ზმნის ქცევას; მესამე პირის ფორმა ყველაზე ახლოს დგას ზმნის განზოგადებულ შინაარსთან და ყველა მოსალოდნელი ფორმობრივი მახასიათებლის გამოყენებით კონსტრუირებული ლექსიკალიზებული მონაცემია. არნ. ჩიქობავას მიღომა დარჩა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალ რედაქციაშიც (ქეგლ 2008); ლექსიკონში ერთი ძირისგან ნაწარმოები ლემები, რომლებიც განსხვავდებიან ქცევის, გვარისა და კუზატივის კატეგორიების მიხედვით, ანბანთრიგზე არიან წარმოდგენილნი; ანბანთრიგზეა გატანილი მათი შესაბამისი მასდარები და მიმღეობებიც; ქეგლ ზმნებისთვის ასევე წარმოადგენს პარადიგმატულად სერიულად დაპირისპირებულ ფლექსიურ ფორმებს, ხოლო სახელებისათვის ნათესაობითის ფორმას უუძეში /ძირში ფორმოლოგიური ცვლილების ასახვით; სახელის პარადიგმაში მორფოლოგიური ცვლილებების ტიპების დადგენა მნიშვნელოვანია სახელის მოდელირებისათვის (ჩიქობავა 1950-1964).

## დასკვნა

ლემატიზაცია ბეჭდურ გამოცემებსა და კორპუსებში განსხვავებულად წარმოდგება. ბეჭდური ლექსიკონები, რომელთა მიზანიცაა ლექსიკური მნიშვნელობის მქონე სასრული ფორმების ლემებად აღნუსხვა, განსხვავდებიან კორპუსული ლექსიკონებისგან, რომლებიც მოიცავენ ისეთ მოდელებს, ფორმობრივ ტიპებს, რომლებზე დაყრდნობით შესაძლებელია ფორმობრივად (როგორც სინტაგმატური, ისე პარადიგმატული) დასაშვები ყველა კომბინაციის გენერირება და ავტომატური ანალიზი. ამ მხრივ ნ. მარის კონცეფციაზე დაფუძნებული ლექსიკონები (მაგ., კიტა ჩხენკელის ლექსიკონი ქართულისათვის) კარგად ასახავს ლექსიკურ და გრამატიკულ დერივაციებს, ბმას ამგვარ სტრუქტურებს შორის, რაც მეტად მნიშვნელოვანია კორპუსული მოდელირებისა და ფორმათა გენერირებისათვის.

მაშასადამე, კორპუსული ლემატიზება, რომელიც იწყება სტემირებით, მოდელირებაზე გამავალი პროცესია, რომლის მიზანიცაა ფორმათა სინტაგმატური და პარადიგმატული ანალიზის შედეგად ისეთი მინიმალური ფორმის მიღება, რომელიც გენერირებით იძლევა ყველა დასაშვებ ფლექსიურ კომბინაციას; მინიმალუ-

რი ფორმა კი არის ფუძე, როგორც მინიმალური ლექსიკალიზებული მონაცემი, რომლის ლემატიზების პროცესი ფლექსიური ფორმის დაბრუნებას გულისხმობს. მიმდევრული პროცესი სქემატურად ასეთია: ფლექსია > მოდელირება > მოდელის ლემატიზაცია ფლექსით.

სახელებში ლემა მიიღება ბრუნვისა და რიცხვის ნიშნების ჩამოშორებით და მისთვის სალექსიკონო ფორმის დაბრუნებით ანუ სახელობითში ჩასმით. აღნიშნული წესი უნდა მოქმედებდეს ყველა დერივაციულ სახელთან, მათ შორის ხარისხის ფორმებსა და რიცხვითი სახელების ჯგუფებთან, რაღაც ისინიც ჩვეულებრივი დერივაციული კონფიქსებით არის მიღებული და ფლექსიური ნიშნები ჩნდება ფუძის გარეთ, ფუძის დადგენის წესი კი საერთოა ყველა სახელისთვის. აღნიშნული წესი არ/ვერ მოქმედებს ნაცვალსახელების იმ ჯგუფების შემთხვევაში, როცა ნაწილაკები (მორფემოდები) ჩართულია ნაცვალსახელთა კომბინაციაში დერივაციული ფუქტციით; შედეგი დიაქტორიულად ფლექსიური გზით მიღებული ადვერბების ლემატიზაციის ანალოგიურია.

### სახელებისათვის:

მარტივი ლემა = ფუძე [NOM.SG] ან უბრუნველი ფორმა

ლემა = ძირი [R – არასტრუქტურირებადი მოცემულობა]

/ მორფონოლოგიური ცვლილების ჩვენებით.

რაც შეეხება ზმნის ლემას, ვფიქრობ, აგლუტინაციური ქართულისათვის (resp. ქართველურებისათვის) მასდარი სხვა მონაცემია, ზმნისგან მიღებული ფორმაა და მასში ნაკლებად ჩანს ზმნური პარადიგმების წარმოებისთვის რელევანტური ზოგიერთი მოცემულობა, არ ჩანს ქცევისა და გვარის მნიშვნელობათგანმასხვავებელი ფუქტცია; ასეთად კი შეიძლება განვიხილოთ ზმნური პარადიგმის ნომინალური წევრი, PRS.S3SG-ის ფორმა, რომელიც, როგორც პარადიგმის ამოსავალი მიმდევრობა, დგას პარადიგმის თავში.

ქართულის, როგორც აგლუტინაციური ენის, მარტივი ზმნური ფორმების ანოტაციაში ფუძის გვერდით ძირის რეპრეზენტაცია არანაკლებ მნიშვნელოვანია, რადგან ის კორპუსის მომხმარებელს ანახებს გზას ამოსავალი საყრდენი მინიმალური სტრუქტურის მოცემულობიდან ლექსიკალიზებულ ფორმამდე ანუ გრამატიკული დერივაციის შესაძლებლობებს ქართულში.

### მარტივი ზმნური ფორმისათვის:

მარტივი ლემა = PRS/FUT.S3SG

ლემა = პარადიგმის ფუძე / ძირი (R)

### მეშვეობზმნიანი ძესამე პირის ფორმისათვის:

მარტივი ლემა = ბრუნებადი სახელი : AUX-ის მასდარი

ლემა = PRS/FUT.S3SG / ძირები [სახელის : AUX-ის]

POS: V

ძირი ის მინიმალური გრამატიკული მონაცემია, რომელთანაც უნდა კომბინირდეს ყველა დერივაციული და ფლექსიური მორფება. ძირიდან მიღებული გრამატიკულად დერივირებული პარადიგმის მეთაური მონაცემი ამოსავალია ლექსიკალიზებული ლემისთვის; პროცესი სქემატიურად ასეთი ჩანს: ძირი > მოდელირებული ფუძე ანუ გრამატიკალიზებული ფორმა > ლექსიკალიზებული ფორმა ანუ ლემა. კომბინაციათა დასაშვებობის, შეზღუდვების ან აკრძალვების დადგენა წარმოადგენს იმ წესების (ალგორითმების) სისტემურ აღწერას, რომლებიც შემდგომში ქმნის კორპუსულ გრამატიკას და რომელთაც ემყარება პროცესების ავტომატიზაცია კორპუსში; მორფოსინტაქსური ამოცანების ავტომატურად გადაწყვეტით, თავის მხრივ, შესაძლებელია თეორიულ დონეზე დაშვიბული ჰიპოთეზების ვერიფიცირება.

### აბრევიატურები

FUT – მყოფადი, NOM – სახელობითი, R – ძირი, S3SG – მესამე სუბიექტური პირის მხოლობითი რიცხვი, PRS – აწმყო, PRV – ზმნისწინი, FV – ფუნქციური ხმოვანი, STAT – სტატიკა, DIN – დინამიკა, OBL – საგალდებულო ხმოვანი, AUG – მავრცობი ხმოვანი, PTC – ნაწილაკი, Q – კითხვითი ნაცვალსახელი, PRON – ნაცვალსახელი, N – სახელი, V – ზმნა, V/N – მასდარი, THM – ოქმის ნიშანი/მწკრივის აუგმენტი, CAUS – კაუზატივი.

### ლიტერატურა:

**არჩევაძე 2017:** მ. არჩევაძე, ქართულუროვანი ტექსტების კლასიფიკაციის ამუცანა ინფორმაციულ ძებნაში, სამოქტორო დისერტაცია, თბილისი, იხ. ბმული:

[https://www.tsu.ge/data/file\\_db/faculty\\_zust\\_sabunebismetk/maia%20arcuazis%20disertacia.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_zust_sabunebismetk/maia%20arcuazis%20disertacia.pdf)

**ასათაიანი 2012:** ი. ასათაიანი, ლაზური ლექსიკონი, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი.

**ახალი ქართული ენა 2016:** სალიტერატურო ენის მორფოლოგია. II. ზმნა, გ. გოგოლაშვილის და ა. არაბულის რედაქციით, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**გერსამია და სხვ. 2016:** რ. გერსამია, ზ. კიკიძე, მ. ლომია, ნ. მამისევშვილი, მ. საღლიანი, ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენებში, თბილისი.

**გერსამია 2020:** რ. გერსამია, სივრცისა და მოძრაობის ენობრივი რეპრეზენტაცია (ლაზური მონაცემების ანალიზი), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.

**გერსამია 2022:** R. Gersamia, The Morphonemics of Verbal Prefixes in Megrelian. *Construire sur les décombres de Babel / Building on Babel's Rubble. Eds. By Boneh N., Harbour D., Matushansky O., Roy I.* Paris. Presses Universitaires de Vincennes. Pp. 37-59.

**გიპერტი 2016:** J. Gippert, Complex Morphology and its Impact on Lexicology: the Kartvelian Case, *The XVII EURALEX International Congress*, Ivane Javakhishvili Tbilisi University Press, Tbilisi, pp.16-37.

**თანდაშვილი, ფურცხვანიძე 2014:** მ. თანდაშვილი, ზ. ფურცხვანიძე, კორპუსლინგვისტური პარადიგმა ენათმეცნიერებაში, ფრანგურტის ლინგვისტური წრე, თბილისი 2014.

**ლობჟანიძე 2019:** I. Lobzhanidze, Computational Model of the Modern Georgian Language and Search Patterns from an Online Dictionary of Idioms. In: *Silva A., Staton S., Sutton P., Umbach C. (eds) Language, Logic, and Computation. TbiLLC 2018. Lecture Notes in Computer Science, vol 11456*, 187-208.

**ლობჟანიძე 2021:** ი. ლობჟანიძე, ქართული ენის მორფოსინგვაქსური ანოტირებისა და სახელური პოზიციის ანალიზის პრიციპები, იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.

**მარი 2010:** Н. Я. Mapp, *Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем*, СПб.

**მაჭავარიანი 1963:** გ. მაჭავარიანი, ხმოვანთა სისტემის დახასიათებისათვის სვანურში, თსუ მრომაბი, ტ. 96. გვ. 139-150

**მახარობლიძე 2018:** T. Makharoblidze. On Georgian Preverbs, June 2018, *Open Linguistics* 4(1):163-183; DOI: 10.1515/opli-2018-0009. License CC BY-NC-ND 4.0.

**მელიქიშვილი 2010:** ი. მელიქიშვილი ფლექსურობის (ფუნიურობის) შესახებ ქართველურ ენებში. ენათმეცნიერების საკითხები, I-II, გვ. 84-106.

**„მორფოსინგვაქსური ანოტირების ჩარჩო“ 2012:**

[http://corpora.iliauni.edu.ge/?q=ka/proeqtis\\_shesaxeb](http://corpora.iliauni.edu.ge/?q=ka/proeqtis_shesaxeb)

**ქავლ 1950-1964:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, რედ. არნ. ჩიქობავა. თბილისი.

**ქავლ 2008:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, რედ. ა. არაბული. თბილისი.

**ყიფშიძე 1914:** И. А. Кипшидзе, *Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем*. СПб.

**შანიძე 1980:** ა. შანიძე, თხზულებანი, ტ. III, ქართული ენის გრამატიკის საფუძლები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

**ჩიქობავა 1942:** ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უმცვლესი აგებულება ქართველურ ენებში, საქ სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

**ჩიქობავა 1950-1964:** ა. ჩიქობავა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.

**ჩხერებელი 1965-1974:** K. Tschenkeli, *Georgisch-Deutsches Wörterbuch*, 3 vol., Amirani, Zurich.

**ცოცანიძე და სხვ. 2014:** გ. ცოცანიძე, ნ. ლოლაძე, ქ. დათუკიშვილი, ქართული ლექსიკონი, ბაქურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი.

**ჯორბენაძე 1988:** ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფებისა და მოდალური ლექსების ლექსიკონი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

**პასუღმათი 2020:** M. Haspelmath, The Morph as a Minimal Linguistic Form. *Morphology*. <https://doi.org/10.1007/s11525-020-09355-5>. Published online: 06 May 2020

© 2008 Cambridge University Press This is an automatically generated page. In case of formatting errors, you may want to look at the PDF edition of the book. 2009-04-07. <https://nlp.stanford.edu/IR-book/>

<https://nlp.stanford.edu/IR-book/html/htmledition/stemming-and-lemmatization-1.html>

<http://corpora.iliauni.edu.ge/?q=ka> (GNC) – 07.02.2022

<http://gnc.gov.ge/gnc/static/portal/gnc.html> (GLC)]; 07.02.2022.

*Rusudan Gersamia*

### **Corpus-based Lemmatization**

(An Analysis of Corpora of Contemporary Georgian)

#### Summary

A lemma is a stable formal entity of a paradigm being established by means of stemming, that is, by means of removing syntagmatically and paradigmatically substitutable bound inflectional morphemes followed by the transformation of a resulting entity into a dictionary entry. In the Georgian corpora (GNC; GLC), lemmas are distinct entities, this being conditioned by different approaches to head words.

In Georgian, as a morphologically rich but agglutinating language, whereby inflectional and derivational morphemes are bound ones, stemming is problematic since it is associated with the issues of establishing a root and a stem and with an explicit demarcation of inflectional and derivational morphemes. Automated processes in a corpus do not allow for assuming a different hypothesis; generation of data requires precise lists of affixal and base morphemes and rigorously established consistent grammatical rules.

Lemmas beyond (in paper dictionaries) and within corpora may be presented differently as far as, while the former ones are aimed at registering the finite number of lemmas, the latter ones are concerned with establishing minimum sequences of such lexico-grammatical (non-reflexive) meanings which are automatically associated with all the rest finite (derived) entities.

The present paper compares data from the corpora of contemporary Georgian (GLC);<sup>17</sup> [(GNC)],<sup>18</sup> analyzes the lemmatization principles, and, in terms of establishing a verbal lemma, suggests a view with respect to some linguistic aspects.

**1. Lemmatization of substantives:** A nominal lemma is received as a result of removal of case and number markers and giving back a form of a dictionary entry to it, that is, putting it in the nominative. The rule in question should be operational with all derivative substantives, including the forms of the degrees of comparison and groups of numerals because they are formed by means of regular derivational circumfixes, and inflectional markers occur outside a stem; a rule for establishing a stem is common for all substantives.

---

<sup>17</sup> <http://corpora.iliauni.edu.ge/?q=ka>

<sup>18</sup> <http://gnc.gov.ge/gnc/static/portal/gnc.html>

The rule in point is not operational with the groups of pronouns in which particles (resp. morphemoids) are involved in their combinations with the derivational function; an outcome is similar to the lemmatization of adverbs formed diachronically by means of inflection.

*For substantives:*

simple lemma = stem [NOM.SG] or non-declinable form

lemma = root [R – unstructured entity]

/ showing morphonological alternation

**2. Lemmatization of verbs:** For Georgian, as an agglutinating language, a masdar is not an entity similar to an infinitive; it is derived from a verb, and the grammatical categories of voice and version, relevant for the formation of verbal paradigms, are hardly encoded in it. Their function of distinguishing between verbal meanings is not available; a nominal form of a verbal paradigm, a form of PRS.S3SG can be considered as such which, as a basic sequence, appears at the beginning of a paradigm.

In the annotation of simple verb forms of Georgian, as an agglutinating language, a representation of a root, alongside that of a stem, is nonetheless significant since it shows a corpus user a way from a basic minimum structure entity to a lexicalized form, that is, demonstrates the opportunities of grammatical derivation in Georgian.

*For a simple verb form:*

simple lemma = PRS/FUT.S3SG

lemma = paradigm stem / root (R)

*For a 3<sup>rd</sup> person form with an auxiliary verb:*

simple lemma = declinable substantive: masdar of AUX

lemma = PRS/FUT.S3SG / roots [of substantive: of AUX]

POS: V

A root is a minimum lexical entity to be combined with all derivational and inflectional morphemes; a root-based head entity of a grammatically derived paradigm is the base for a lexicalized lemma; schematically the process has the following representation: *root > modeled stem, that is, grammaticalized form > lexicalized form, that is, lemma*. Establishing the feasibility, restrictions or prohibitions of combinations represents a systemic description of rules (corpus grammar) which forms a basis of automation of processes within a corpus; a theoretically assumed hypothesis may be verified by means of automated solution of morpho-syntactic tasks.

## მართვადების საკითხების საკითხები

### რასმუს რასკი ქართული ჭრისა და ტრანსლიტერაციის შესახებ და მის მიზან თბილისში შემანიშვილი ჭიგნები<sup>1</sup>

რასმუს რასკის საფლავის ქვაზე კოპენჰაგენში წარწერებია არაბულად, ძველსკანდინავიურად, სანსკრიტზე და დანიურად. ქართულად ასე იკითხება: „თუ გურას, იყო სრულყოფილად განათლებული, უნდა შეისწავლო კვლა ენა, ოღონდ არ უნდა უარყო შენი მშობლიური ენა და ძეტყველება“.

#### შესავალი

წინამდებარე სტატიის თემით ჩემი დაინტერესება განაპირობა უურნალ „ენათ-მეცნიერების საკითხების“ 2016 წლის ნომერში დაბჭყლილმა ლეონიდ ჩეკინის წერილმა „Расмус Раск в Грузии“, რომელიც წარმოადგენს რ. რასკის რუსთის იმპერიაში მოგზაურობის ჩანაწერებიდან საქართველოსთან დაკავშირებული ფრაგ-მენტების (ქართული ენის, სხვა ენებთან მისი კავშირის, ქართული წერითი სის-ტემისა და შესაძლო ტრანსლიტერაციის, სამხედრო გზაზე მოგზაურობის შთა-ბეჭდილებების, კავკასიაში პოლიტიკური ვითარების, თბილისური ცხოვრებისა და სხვა ყოფითი საკითხების) დანიურიდან თარგმანს ავტორის ამომწურავი კომენ-ტარებით. ლ. ჩეკინის ცნობით, რ. რასკის სხვა ხელნაწერები, რომლებიც მოიცა-ვნ ქართულ ფონეტიკურ, ლექსიკურ და გრამატიკულ მასალას, ჯერჯერობით გამოცემული არ არის (Чекин 2016:166). ვიმედოვნებ, რომ ამ მხრივ მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება, რაც გაამდიდრებს ქართულ, და არამარტო, ენათმეც-ნიერების ისტორიას გენიალური დანიელი ლინგვისტის, ისტორიულ-შედარებითი მეთოდისა და ინდოევროპეისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის მოსაზრებებით.

რ. რასკის საქართველოში, კერძოდ, თბილისური პერიოდის ჩანაწერებიდან ყურადღება მიიპყრო ორმა საკითხმა: 1. როგორც ჩანს, რ. რასკისთვის ორთოგ-რაფია და ტრანსლიტერაცია მართლაც მნიშვნელოვანი თემები იყო, რამდენადაც ალფაბეტის უნიფიცირება ხელს შეუწყობდა სხვადასხვა ენის მონაცემების შეთა-ნადების გამარტივებას, განსხვავებულ ენათა ფონეტიკური და ფონოლოგიური სისტემების შედარებით შესწავლას; 2. კოპენჰაგენის უნივერსიტეტის ბიბლიოთე-კის დირექტორისადმი, რასმუს ნიუეროპუსადმი, თბილისიდან 1820 წლის 9 იან-

<sup>1</sup> მოხსენება წაკითხულია რასმუს რასკისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე – „იდეოლოგია და ლინგვისტური იდეები“ (Ideology and Linguistic Ideas), თბილისი, თსუ, 12-14 ოქტომბერი, 2019.

ვარს გაგზავნილ წერილში (ნიუეროპუ 1820:1, 298-299) რასმუს რასკი უზიარებს შთაბეჭდილებას თბილისის ტიპოგრაფიის შესახებ და ურთავს ბიბლიოთეკისთვის გაგზავნილი წიგნების სიას, რომელთა შორის ასახელება: 1. 1802 წელს გამოცემულ „ქართული ენის მოკლე გრამატიკას“, რომელიც შედგენილია არქიეპისკოპოს ვარლამის (ერისთავის) მიერ (1763-1830, 1811 წლიდან მცხეთის მიტროპოლიტი, საქართველოს პირველი ეგზარქისი) და 2. 1819 წელს დაბეჭდილ რუსულ-ქართულ სასაუბროს.

რასმუს რასკი საქართველოში 4 თვეს, 1819 წლის ნოემბრიდან 1820 წლის მარტამდე, იმყოფებოდა. თბილისში მან დაასრულა თავისი ხანგრძლივი მოგზაურობა რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხთა ენების გაცობის მიზნით, საიდანაც ის შემდეგ გაემგზავრა ირანში, ინდოეთსა და ცეილონზე.



თბილისში რ. რასკი დაბინავებულა გერმანელ მერავთან, ფრედრიკ ვინტერფელდტთან, რომელსაც ადრე უმუშავია კოპენჰაგენში და ცოტაოდენი დანიურიც ესმოდა. ასტრახანიდან 1820 წლის 22 იანვრით დათარიღებულ ჯონ მიტჩელის მიერ რასკისადმი გამოგზავნილ წერილს ზემოდან რუსულად აწერია შემდეგი მისამართი: „Его благородию Милостливому Государю Господину Профессору Rasku у нѣмецкаго портнаго Винтерфелта близъ Русской церкви на базарѣ въ Тифлисѣ“ (Breve fra ogtil Rasmus Rask B. II. S. 4, ix. Чекин 2016:177). რასკის სამყოფელი თბილისში უნდა ყოფილიყო კალოუბანში, მთავარმართებლის – დღევანდელი მოსწავლეთა სასახლისა და ისტორიის მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ, რუსთაველის პროსპექტისა და ფურცელაძის ქუჩის კუთხეში, მაშინდელი პაუპტვახტის (კომისარიატის) შენობის უკან. აქ მდებარეობდა ადრინდელი შუა საუკუნეების ძეგლი, წმ. გიორგის სახელობის კალოუბნის ტაძარი (XVI ს.), რომლისთვისაც, XIX საუკუნის რუსულ ეკლესიად გადაკეთების შემ-

დეგ, დაუშენებით რუსული ტიპის გუმბათი. ეკლესიაც და პაუპტვახტის შენობაც ბოლშევიკებმა ააფეთქეს გასაძჭოების შემდეგ და მათ ადგილას კინოთეატრი „რუსთაველი“ და ფურცელაძის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლი აიგო. რაც შეეხება ბაზარს, XIX საუკუნის დასაწყისში თბილისში რამდენიმე დიდი ბაზარი იყო: მეფის მოედანზე (ახლანდელი სიონისა და ანჩისხატის ეკლესიებს შორის, ერეკლეს მოედნის მახლობლად), თათრის მოედანზე და მეტებთან. ჩვენს შემთხვევაში, კალოუბანთან უახლოესი მეფის მოედნის ბაზარი უნდა ყოფილიყო.

XIX საუკუნის დასაწყისის 10-20-იანი წლების თბილისს, როგორც რ. რასკის ჩანაწერებიდან ჩანს, მასზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, რის შესაძლო მიზეზებზე წერს კიდეც და. ჩეკინი თავის ნაშრომში. ვწუხვარ, რომ განთქმული ქართული სტუმართმოყვარეობის (რომელზეც წერდნენ სტრაბონიდან მოყოლებული, აღ. დიუმა, გრიბოედოვი, პუშკინი, ლერმონტოვი, ტოლსტიო, ალარაფერს ვამბობ XX საუკუნის რუს და უცხოელ მოგზაურებზე, პოეტებსა და მწერლებზე) ნაცვლად, დანიელ სტუმარს შერჩა, როგორც დღიურში თავად წერს: „სახლის მეპატრონე, ქართველი თავადი – ძუნწი, უცხვირპირო, უსიამო ადამიანი“ (Чекин 2016: 171). ლ. ჩეკინი რასკის ამგვარი განწყობის მიზეზად ასახელებს იმდროინდელი კოპენჰაგენის ცხოვრების მაღალ დონესა და ლიტერატურულ გემოვნებას, სკანდინავიურ სოციალურ სატირას (Чекин 2016: 167-168), მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ 20 წელიც არ არის გასული რუსეთის მიერ საქართველოს სამეფოს გაუქმებიდან, ჩრდილო კავკასიაში ჯერაც მიმდინარეობს ომები, საქართველოში მეფის რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებები, ანუ „მათრახის პოლიტიკას“ ჯერ არ მოჰყოლია „თაფლაკვერის ხანა“, რომელიც უკავშირდება გარკვეული ლიბერალიზმით, განათლებით, გონიერებითა და გამჭრიახობით გამორჩეულ კავკასიის მეფისნაცვალ მიხაილ სიმონის ძე ვორონცოვის მმართველობის პერიოდს (1844-1854), რასკის შთაბეჭდილებების მიზეზი გასაგები ხდება.

## 1. რასკი ქართული წერისა და ტრანსლიტერაციის შესახებ

ჯერ კიდევ 1811 წელს 24 წლის რასმუს რასკი თავისი პირველი გამოქვეყნებული ისლანდიური ენის სახელმძღვანელოს (Introduction to the Icelandic or Old Norse Language 1811) წინასიტყვაობაში წერდა: გრამატიკის ამოცანა იმის მითითება კი არ არის, თუ როგორ უნდა შეადგინო სიტყვები, არამედ აღწერო, თუ როგორ წარმოიქმნებიან და იცვლებიან ისინი“ (Лоя 1968: 49).

რასკი ენათა ნათესაობის დადგენისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას (ძირითად ლექსიკურ ფონდსა და გრამატიკულ შესატყვისობებთან ერთად) ანიჭებდა ბგერათა კანონზომიერ შესატყვისობებს, მისი ტერმინოლოგით, ბგერათა გადაწევის (გადასვლის) წესებს. მან მრავალი ენა იცოდა და შედარებითი კვლევის დროს დიდ ყურადღებას აქცევდა ბგერათა სწორ ფონეტიკურ ჩაწერას. ორთოგრაფიისადმი ინტერესმა უბიძგა რასკს, განევითარებინა დანიური ენის მართლწე-

რის სისტემა, მაქსიმალურად მიეახლოებინა წარმოთქმასთან, ასე განსაჯეთ, თავისი გვარიც კი შეიცვალა – “Rasch”-იდან “Rask”-ით.

რ. რასკის ძირითადი ნაშრომია „გამოკვლევა ძველი ჩრდილოური, ანუ ისლანდიური ენის წარმოშობის შესახებ“ (Undersögelse om det gamle nordiske eller islandske sprogs oprindelse” 1818; Investigation of the Origin of the Old Norse or Icelandic Language, 1818), რომელიც დაიწერა 1814 წელს, ხოლო გამოქვეყნდა 1818 წელს. აյ რასკი ამტკიცებდა გერმანიკულ, ლიტურ, სლავურ, ლათინურ და ბერძნულ ენათა ნათესაობას. რაც მთავარია, ამ ნაშრომში ის პირველად აღმოაჩენს გერმანიკულ ენებში თანხმოვანთა გადაწევას, რასაც შემდგომში იყენებს იაკობ გრიმი თავის ბერძნობაზევის კანონის ფორმულირებისას. აღნიშნული ნაშრომის მე-2 ნაწილის გერმანული თარგმანი გამოქვეყნდა 1822 წელს სახელწოდებით „თრაკიული ენობრივი ჯგუფის შესახებ“, სადაც რასკი ასაბუთებს გერმანიკული ენების ნათესაობას თრაკიულთან (ბერძნულსა და ლათინურთან). რასკის შრომები – *Udvalgte afhandlinger* – გამოიცა 3 ტომად კოპენჰაგენში 1932-35 წლებში.

ამ წიგნების მოპოვებასთან დაკავშირებით მიეწერე ჩემს უძვირფასეს მეგობარსა და გამოჩენილ გერმანულ ქართველოლოგს, ვინფრიდ ბოედერს, რომელიც ჩვეული გულისხმიერებით მაშინვე გამომეხმაურა და აი, რა მომწერა: „...რასმუს რასკმა ერთი გამოკვლევის პირველი ვერსია (De Islandske Sprogs Slaegtskab med de asiatiske tungenmaal) თბილისში დაწერა 1819 წელს! ქართულზე არაფერს ამბობს, მაგრამ აინტერესებს ენების კლასიფიკაცია Linné-ს ბოტანიკური (მცენარეების!) მაგალითის თანახმად. თეორია, რომ კავკასიური ენები „ალათაურია“, რომელიც, ჩიქობავას მიხედვით, მაქს მიულერის აზრია, სინამდვილეში უკვე რასკთან იპოვება. „კავკასიური“ მისთვის ჯერ კიდევ ინდოირანული იყო, მერე გადავიდა (ეტყობა, 1818-1819) დღევანდელ ტერმინოლოგიაზე. ადრე მისი ტერმინოლოგია ბლუმენბახის (1800: ‘kaukasische Rasse’) ტერმინით იყო გამოწვეული. პატარა სტატიის ღირსია. თუ იცით, რომ რასკის ნაშრომების გამოცემა ლურ იელმსლევს ეკუთვნის?..“ (23.11.2015, სტილი დაცულია) „...რასკმა კი გაატარა დრო თბილისში, მაგრამ არ მგონა, რომ ქართველებთან საერთოდ ჰქონდა კონტაქტი: დაბეჭდილი ნაშრომების მიხედვით, სპარსულის სათები ჰქონდა სპარს კაცთან და ალბათ სომხებთან (ვინაიდან ორივე ინდო-ევროპული ენებია და ქართულის (რამდენიმე სიტყვის!) მისი ცოდნის წყარო ალბათ იყო კლაპროთი და განსაკუთრებით იტალიელი მაჯო (რომლის გრამატიკიდან ბევრი ინფორმაცია გამოიყენა თავის ნაშრომში ქართული (და სომხური) ანბანის ტრანსკრიფციაზე Nonnulla de pleno systemate sibilantium in lingvis montanis, item de methodo Ibericam et Armenicam lingvam literis Europaeis exprimendi (1832). მაგრამ, რა თქმაუნდა, არ მინახავს კოპენჰაგენში დაცული მისი ხელნაწერი, რომელშიც გამზადა თბილისში დაწერილი თავისი გამოკვლევა. საინტერესოა მისი ზოგადი კომპარა-

ტივისტული მიდგომა და კავკასიური ენების ცვალებადი ცნება...“ „...მე-2 ტომში, გვ. 1-45 გამოცემულია “Underscglelse om det gamle Nordiske eller Islandske Sprogs Slægtskab med de asiatiske Tungemaal” „გამოკვლევა ძველ ნორდულ ან ისლანდიურ ენის ნათესაობაზე აზიურ ენებთან“ და იქ ქართული სიტყვები ბოლო გვერდზეა (მხოლოდ გვ. 45, Klaproth-is Reise in den Kaukasus-იდან). რასკ პგონია, რომ ქართული „თურანული“ ენა (როგორც შემდეგ, მაგალითად, მაქს მიულერი 1850-იან წლებში), ამიტომ თურქული, თათრული, უნგრული, და სხვა ენების სიტყვებს ადარებს. 1832 წლის სტატია თუ გაინტერესებთ? რასკი არა მხოლოდ პროფესორი, არამედ ბიბლიოთეკარიც იყო, ამიტომ პრაქტიკული მიზეზის გამო ტრანსკრიფცია შექმნა (ხელნაწერებისა და წიგნების კატალოგისთვის), მაგრამ ვრცლად ლაპარაკობს ასოების ფონეტიკურ თვისებებზე და – მაჯოს მასალის ახსნების საფუძველზე, რაც, რა თქმა უნდა, არასაკმარისია, მაგრამ იმას ნიშნავს, რომ თბილისში ქართული ლაპარაკი თოთქმის არ მოუსმენია ან არ აინტერესებდა. თავისი შეხვედრები თბილისში აღწერა ერთ ვრცელ წერილში (მესამე ტომში – ესეც დანიური ტექსტია)...“ (16.2.2019).

ამ მშვენიერი ინფორმაციის მიღების შემდეგ, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუხდი ძვირფას ვინფრიდ ბოედერს, შევეცადე დანიური წყაროების მოპოვება. ჩემი შვილის, ნათია დუნდუას დახმარებით მივწერე მის კოლეგას, სამხრეთ დანიის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის ასოცირებულ პროფესორს, კრისტიან პოგელს, რომელმაც გამომიგზავნა ჩემთვის სანდორესო ზემოთ დასახელებული გვერდების ქსეროასლები (რომლებიც მითითებული ჰქონდათ ბოედერს და ჩეკინს), რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ მას. კერძოდ: Rasmus Rask, Undersøgelse om det gamle Nordiske eller Islandske Sprogs Slægtskab med de asiatiske Tungemaal, Ausgewählte Abhandlungen, Band II, Copenhagen, Levin&Munksgaard, 1932-33, (,ძველი სკანდინავიურის ანუ ისლანდიური ენის ნათესაობის შესახებ აზიურ კილოებთან“, რომელიც დაწერილია თბილისში 1819 წლის ბოლოს) – კავკასიური, ქართული მასალა, როგორც ბოედერი და ჩეკინიც აღნიშნავდნენ, წარმოდგენილია 43-45 გვერდებზე. რ. რასკი აქ იძლევა ქართული სიტყვების ლათინურ ტრანსლიტერაციას და ურთავს დანიურ თარგმანს, ასევე, თურქულ და ფინურ-უგარულ შესატყვისობებს, ვინაიდან ის ქართულ ენას აკუთვნებდა „სკვითურ“ (ალათაურ ენათა) ერთობას:

*mama* „მამა“ თურქ. -ში *baba*, რომელიც ასევე დასტურდება რამდენიმე

ლეზგიურ ენაში;

*mta* „მთა“ თურქ. طا تو ჩუვ. *tuv*;

*kva* „ქვა“ უნგრ. *kö* ფინ. *kivi* მორდ. *kyev*;

*śina* „ში“ ჩუვ. *sina*;

*kheli* „ხელი“ ფინ. *käsi* უნგრ. *kéz* ავარ. *kver, ker* ბერძ. *χειρ* თათრ. *لھ*;

*dse* „ძე“ მანჯ. *dsui*;

*da* „და“ თურქ. თათრ. ფ სინგალ. *da*;  
*me* „მე“ თათრ. ცა თურქ. ცა ჩუგ. *abi* ყალბ. *bi* პერმ. *me*;  
*šen* „შენ“ თათრ. ცა ფინ. *sinä*;  
*is* „ის“ პერმ. *isya* სირჯ. *sya*;  
*šeni* „შენი“ მანჯ. *sini*.

რაც შეეხება კრისტიან პოგელის მიერ გამოგზავნილ რ. რასკის მეორე პროგრამულ, მის უკანასკნელ ნაშრომს: Rasmus Rask, *Nonnulla de pleno systemate Sibilantum in lingvis montanis, item de method Ibericam et Armenicam lingvam literis Europaeis exprimendi*, typis Schultzii, Hauniæ, 1832, აქ, რ. რასკი განიხილავს ქართული და სომხური ტექსტების „ევროპული ასოებით“ გამოსახვის, ანუ ლათინურით ტრანსლიტერაციის საკითხს ეტიმოლოგიური და კომპარატივისტული კვლევის მიზნით.

რასმუს რასკი თბილისიდან 1819 წლის 20 დეკემბერს რ. ნიუერუპუსადმი მიწერილ წერილში (შესაძლოა, გაუგზავნელში) მსჯელობს ქართული წერითი სისტემის სასურველ „ევროპეიზაციასთან“ დაკაგშირებით, რაც საშუალებას მისცემს „შედარებით მცირე ხალხს“, რომელსაც „ორი ძალიან განსხვავებული ანბანი, შეიძლება ითქვას, სამიც კი აქვს, ადვილად ჩაერთოს მსოფლიო კულტურაში. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გადაწყდეს, რომელი დამწერლობის არჩევა აჯობებს – რუსულის, ბერძნულის თუ ლათინურის“. რასკი იხრებოდა მოდიფიცირებული ლათინური დამწერლობისკენ (Breverp 1941 I:456-457, Чекин 2016: 167).

რ. რასკს ზემოთ აღნიშნული ნაშრომის მე-14 გვერდზე წარმოდგენილი აქვს ქართული ანბანის (სულ 37 ლიტერა) შესაბამისი ლათინურ შესატყვისთა ცხრილი, რომელსაც იყენებს ქართული ტექსტების ჩასაწერად:

a	b	g	d	e	v	z	h	þ
ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ჸ	ჴ	თ
ი	კ	ლ	მ	ნ	ჟ	ო	პ	ჵ
ო	ბ	ლ	ბ	ნ	ო	ო	ჰ	ჸ
რ	ს	თ	უ	ფ	ქ	გ	ყ	ჸ
რ	ს	ტ	უ	ვ	ჸ	ღ	ყ	ჸ
ć	ž	ž	c	č	x	hj	ž	hj
ń	ç	đ	ń	ć	ň	ž	ž	ž

ქართული ენათმეცნიერებისათვის, ვფიქრობ, საინტერესო იქნება ამავე ნაშრომში რ. რასკის მიერ მოყვანილ იმ მაგალითებზე ყურადღების გამახვილება, რომლებიც, კომპარატივისტული კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ენათა ფონეტიკური სისტემების ანალიზის დროს მაჯოს მასალაზე დაყრდნობით აქვს მას

მოხმობილი. კერძოდ, ქართულ ბგერათა სწორად წარმოსათქმელად იგი ხსნის ან უთითებს სხვადასხვა ენის შესაბამის შესატყვისებს: puri (Phuri), „ძროხა“, pexi (Phecchi) „ფეხი“, hiylis / hiflis „იძერის დედაქალაქი“ვ(გვ. 17), zoli „ცოლი“, ვxeni „ცხენი“ (Zzoli, Zzchheni) (გვ. 18), xeli „ხელი“, ბერძნ. ჯლη, γνίνο „ღვინო“ იონი, kaži „კაჭი“ სპარს. کسی (kesí), šen „შენ“ ოურქ. نس (sen), cminda „წმინდა“, šavi „შავი“, zyva „ზღვა“ თათრ. سو (çú) (გვ. 20).

ბგერათა ფონეტიკურ ანალიზს მოსდევს სახარებიდან მამაო ჩვენოს ლათინურ-ქართული პარალელური ტექსტი:

*Pater-o noster, qvi es cælo-in medio sanctum-fiat nomen tuum  
Mamao ćveno, romeli xar zapha šina, cminda<sup>2</sup>-iqávn<sup>3</sup> saheli<sup>4</sup> šeni.  
Veniat regnum tuum  
Movedin sufeva šeni.  
Fiat voluntas tua, sicut cælo-in medio ita terra super  
Iqávn neba šeni, viþarza zapha šina egreza kúhganasa zeda<sup>5</sup>  
Panem nostrum necessarium da nobis hodie  
Puri ćuhni arsobisa moméz ćuhn dyes;  
et remitte nobis debita nostra sicut nos remittimus  
da momitevén ćuhn þana-nadebni ćuhnni, viþarza ćuhn miutevebb  
debitoribus nostris  
þana-mdebba maþ ćúhnþa;  
et ne inducas nos (in)tentationem sed libera nos malo-a  
da nú ſemi-quaneb ćuhn gansazdelsa; aramed mihsnén ćuhn<sup>6</sup> borotisagan.  
nam tuum est regnum, et potestas et magnitudo æternum-in usque(?)  
Rameþu šeni ars sufeva, da ȝali da didiba, sauküneþa mimarþ, amin.*

ზემოთ წარმოდგენილ ცხრილში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ყრუ ხშულ თანხმოვანთა ტრანსკრიფციებმა. ამ პრობლემას ხანგრძლივი ისტორია აქვს (ასათიანი... 2018), ყველა ავტორი განსხვავებულ ტრანსკრიფციას გვთავაზობს ქართულ ყრუ ხშულთა ჩაწერისას. აღნიშნულ საკითხს თუ ფონეტიკური თვალსაზრისით განვიხილავთ, ყრუ ხშულებში ჩქმის გრძლივობა, რასაც, ძირითადად, უკავშირდება ფშვინის ხარისხი, ენათა მიხედვით განსხვავებულია. ქართულ საენათმეცირო ლიტერატურაში გავრცელებულია თვალსაზრისი, რომ ქართული ფშვინვიცერები მეტად ასპირირებულნი არიან, ვიდრე, მაგალითად, ინგლი-

<sup>2</sup> Lit. cmida.

<sup>3</sup> The accent markers on the vowels presented in the text of Pater Noster are noteworthy, which should probably be a sign of raising the voice during the liturgy.

<sup>4</sup> Saxeli according to Maggio.

<sup>5</sup> zeda according to Maggio.

<sup>6</sup> ćun.

სური და გერმანული ყრუები. შეინიშნება ტენდენცია, რომ ინგლისური და გერმანული ყრუ თანხმოვნები, რომლებსაც, გარკვეულწილად, ასპირაცია ახასიათებთ, ქართული ფშვნვიერებით იყოს გადმოცემული. საზოგადოდ, უცხო სიტყვათა გადმოტანისას, გარდა ბგერათა ფიზიკური მახასიათებლებისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მსესხებელი ენის თანხმოვანთა სისტემის პარალიგმატიკას, ქართულის შემთხვევაში – ხშულთა სამუშავების არსებობას. რაც შეეხება გლოტალიზებულებს, გლოტალიზაცია რთული დიფერენციალური ნიშანია და რამდენიმე ფონეტიკურ მახასიათებლს აერთიანებს. გლოტალიზაციის ნიშნის კომპონენტები სხვადასხვაგვარად კომბინირებენ ენებში, ენათა მიხედვით განსხვავებულია ამ კომპონენტების გამოვლენის ხარისხიც. ასევე შეზღუდულია გლოტალიზებული ფონეტების სინტაგმატური კომბინირების უნარი სხვა ნიშნებთან. ყოველივე ეს ართულებს გლოტალიზებულთა წარმოებას და განაპირობებს მათ მარკირებულ ხასიათს – შედარებით მცირე გაგრცელებულობას ენებში, ხოლო იმ ენებში, სადაც ისინი წარმოდგენილნი არიან – მათ დაბალ სიხშირესა და დისტრიბუციულ შეზღუდულობას. სწორედ ეს არის მიზეზი ქართულ ხშულ თანხმოვანთა სხვადასხვაგვარი აღქმისა და ჩაწერისა.

ქრონოლოგიას თუ მივყებით, რასმუს რასკის მიერ ქართულ თანხმოვანთა ტრანსკრიბირებისას შევნიშნავთ შემდეგ განსხვავებებს: კლაპროთის შრომებზე დაყრდნობით მოცემული რამდენიმე სიტყვის ჩაწერისას იგი იყენებს:

ხ-სთვის kh-ს (kheli „ხელი“), ძ-სთვის ds-ს (dse „ძე“), თ-სთვის t-ს (mta „მთა“), ქ-სთვის k (kva „ყვა“) (1819), ხოლო 1832 წლის ნაშრომში (იხ. ცხრილი): ხ-სთვის x-ს (xeli „ხელი“), ძ-სთვის z-ს (zali „ძალი“), თ-სთვის þ-ს (vipharza „ვითარცა“), ქ-სთვის k-ს (kúhganasa „ქუცყანასა“).

ეს ნაშრომი აღმოჩნდა ერთდროულად რასმუს რასკის როგორც პირველი მნიშვნელოვანი პუბლიკაცია ქართულ მასალასთან მიმართებით, ასევე ბოლო, სიცოცხლეში გამოქვეყნებული კვლევა. რ. რასკი გარდაიცვალა 1832 წლის 14 ნოემბერს. ბოლო მოგონება რასკზე ასევე დაკავშირებულია კავკასიონლოგიურ ინტერესებთან. როგორც მისი მეგობარი ქლასიკოსი ფილოლოგი რ. ი. ფ. ჰენრიქსი იხსენებს, სიკვდილმდე ერთი თვით აღრე მან მოინახულა რასკი, რომელსაც ხელში ქართული ბიბლია სჭერია (Henrichsen 1861 ციტატა: Jespersen-ის მიხედვით 1918:58, Чекин 2016:168).


## 2. თბილისში შეძენილი წიგნები

2.1 „ქართული ენის მოკლე გრამატიკა“, შედგენილი არქიეპისკოპოს ვარლამის (ერისთავის) მიერ (1763-1830, 1811 წლიდან მცხეთის მიტროპოლიტი, საქართველოს პირველი ეგზარხოსი) – Краткая грузинская грамматика сочинённая на Российском языке съ дозволенія Санктпетербургской цензуры: въ Санктпетербургъ при императорской Академии Наукъ 1802 года.

საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულია რამდენიმე ეგზემპლარი. წიგნი მოიცავს 64 გვერდს. ოწყება შემდგენლის მოკლე წინასიტყვაობით, რასაც მოსდევს ქართულის გრამატიკისა და მისი ნაწილების (წიგნი, მარცვალი, ლექსი, სიტყუა – სახელები მოცემულია ნუსხურად) აღწერა. წარმოდგენილია ქართული ანბანი რიგზე: ასომთავრული, ნუსხური, ასოს სახელწოდება და რუსული შესატყვისი. ბეგერებისა და მარცვლების შესახებ მოკლე ინფორმაციის შემდეგ გადადის პუნქტუაციის ნიშნებზე. შემდეგი თავი ეძღვნება მეტყველების ნაწილებს (8 მეტყველების ნაწილს გამოყოფს: არსებითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, მიმღეობა, ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, შორისძებული), ზოგადად ახასიათებს მათ შინაარსისა და წარმოების მიხედვით. მოპყავს სახელების ბრუნვათა (გამოყოფს 8 ბრუნვას: წრფელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, შემასმენელობითი, დაწევითი, მოთხოვითი, მოქმედებითი, წოდებითი) და ზმნის უღლების (გამოყოფილი აქვს უღლების 3 ტიპი) პარადიგმები მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში. ბოლოში იძლევა სიტყვათა წარმოების 7 წესს.

ეს, რა თქმა უნდა, მოკლე ინფორმაციაა აღნიშნული გრამატიკის შესახებ, სამომავლოდ მისი გამოწვლილიღვით შესწავლა საინტერესო იქნება ქართული გრამატიკული აზრის განვითარების ისტორიის თვალსაზრისით.

2.2 „შეკრება რუსულთა უბნობათა საზოგადოდ ცხოვრებასა შინა სახმარებელთა და როგორ ქართულისა თარგმნისათა სასარგებლოდ კეთილშობილთა ყრმათა“ – Собрание российских разговоров, в общежитии употребляемых, с приобщением грузинского перевода, в пользу благородного юношества. Тифлис: При Военно-походной тип., 1819.



სასაუბრო თბილისში რუსულ ენაზე დაბეჭდილი პირველი წიგნია, ამდენად, იშვიათ გამოცემათა რიცხვს მიეკუთვნება. მოიცავს 159 გვერდს. ზომაა 18x13. სატიტულო ფურცელი და ტექსტი პარალელურია რუსულ და ქართულ ენებზე. შემდგენლის ვინაობა უცნობია. გვხვდება სავარაუდო მფლობელთა ჩანაწერები (მაგ., ნინა სოკოლოვა 1907 წ.), ხაზგასმები, შენიშვნები ტექსტში, ლაქები, ნესტის კვალი, გვერდების ბოლოები ზოგან მოცვეთილია, წაშლილი ნაწერი ადგილ-ადგილ გაცხოველებულია.

ამ პერიოდში კავკასიას მართავდა ა. პ. ერმოლოვი. წიგნი აგებულია პეტრე I-ის დროინდელი „Юности честное зерцало“-ს მიხედვით, რომელიც ეხმარებოდა ადგილობრივ მოსახლეობას არა მხოლოდ რუსული ენის დაუფლებაში, არა-მედ აცნობდა ახალგაზრდა მკითხველს ქცევის დახვეწილ მანერებს.

წიგნის ძირითადი ნაწილი უკავია 100 სასაუბრო თემას (საყოფაცხოვრებოს და დარბასისლურს), ერთვის რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ანბანები, რაოდენობითი რიცხვითი სახელები, რიგობითი რიცხვითი სახელები, კვირის დღეების, თვეების სახელები და სხვ.

სასაუბრო (უბნობის) თემებია: როგორ უნდა ჰქითხოს და შეატყობინოს სიმრთელე, როგორ უნდა გამოეთხოოს, როგორ ეკითხება, სად მიდის ვინმე და საიდამ მოდის, როგორ იკითხების ახალი ამბავი, როგორ უნდა ჰქითხოს რამე და სხვანი, დრო სათვის, როგორ უნდა უბრანოს, როგორ უნდა დაუმტკიცოს, უკუსთქუას, ეთანხმოს და სხუანი, როგორ უნდა სთხოვოს, როგორ უნდა ბოდიშის მოხდა, სწავლისათვის, წერისათვის, კოხვისათვის, სანახავად მისულისათვის, დარისა თუ ტაროსისათვის, გაზაფხულისათვის, სოფელი და სტიხინი, სყიდუა რისამე ტანისამოსისათვის (ხელთამანი – ელჯაგები), ლაპარაკი მკერვალთან, ლაპარაკი მრეცხელთან, ლაპარაკი ბაშმასჩთან, ლაპარაკი მესათესთან, ლაპარაკი აქმისა სნეულთან (კბილის, დაჭრილის), ლაპარაკი დაღაქთან, სყიდვა ან ქირით დაჭერა სახლისა ან რამდენიმე ოთახისა, სადილისათვის, ცხელთა საჭმელთათვის, მგზავრობისათვის, ლაპარაკი გზაზედ ფოსტალიონთან, ლაპარაკი ქარაგანსარაიაში, ფოჩტისათვის, კახშმისათვის, ძილად დაწოლისათვის, ღუთაებისა და ღუთისმსახურებისა...

146-ე გვერდიდან მოცემულია შეკრება უსახმარებელთა ლექსთა (კერძონი სხეულისანი), შესაბამისნი მათდამი ზმნანი და სხვ. ბოლოს სასაუბროს ერთვის Օპეчатკი.

გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ ამ წიგნის გაცნობამ განსაკუთრებული სიამოვნება მომანიჭა, გადამიყვნა მე-19 საუკუნის დასაწყისის თბილისში, მაზიარა იმდროინდელ მეტყველებას, ასე რომ, თუ ვინმე დაინტერესდება და შეისწავლის წიგნებს, რომლებიც შეიძინა რასმუს რასკმა თბილისში ყოფნის დროს, მისალოცია.

## **ლიტერატურა:**

**ასათიანი... 2018:** რ. ასათიანი, გ. ივანიშვილი, ი. ლეუავა, ე. სოსელია, ინდოევროპულ ყრუ ხმულ თანხმოვანთა გადმოცემა ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 21-26, თბილისი.

**ახვლედანი 1999:** გ. ახვლედანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძლები, თსპუ გამომცემლობა, თბილისი.

**მელიქშვილი... 2011:** ი. მელიქიშვილი, გ. გამყრელიძე, ი. ლეუავა, ლ. ლორთქიფანიძე, ქ. მარგიანი, ი. ქობალავა, ვლოტალიზაციის ნიშანი ქართველურ ენებში აკუეტიკური და ვუნქციონალური თვალსაზრისით, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

**Краткая грузинская грамматика 1802:** Краткая грузинская грамматика сочинённая на Российском языке съ дозволенія Санктпетербургской цензуры: въ Санктпетербургѣ при императорской Академии Наукъ.

**Лоя 1968:** Я. В. Лоя, История лингвистических учений, "Высшая школа", Москва.

**Собрание российских разговоров 1819:** Собрание российских разговоров, в общежитии употребляемых, с приобщением грузинского перевода, в пользу благородного юношества. При Военно-походной тип., Тифлис.

**Чекин 2016:** Л. Чекин, Расмус Рак в Грузии, ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 165-179, თბილისი.

**Rask 1818:** R. Rask, *Investigation of the Origin of the Old Norse or Icelandic Language*, Copenhagen.

- 1819: *De Islandske Sprogs Slaegtskab med de asiatiske tungemaal*, København.
- 1932-33: Undersøgelse om det gamle Nordiske eller Islandske Sprogs Slægtskab med de asiatiske Tungemaal, *Ausgewählte Abhandlungen*, Band II, Kopenhagen, Levin&Munksgaard.
- 1832: *Nonnulla de pleno systemate Sibilantum in lingvis montanis, item de method Ibericam et Armenicam lingvam literis Europaeis exprimendi*, typis Schultzii, Hauniæ.

*Marine Ivanishvili*

### **Rasmus Rask about the Georgian Writing and Transliteration and the Books Bought by him in Tbilisi**

#### **Summary**

Rasmus Rask, a brilliant Danish linguist, one of the founders of the comparative-historical method and Indo-europeistics, stayed in Georgia for four months, from November 1819 till March 1820. In Tbilisi he completed his long journey, which aimed at getting familiar with the languages of the nations residing in the Russian Empire, and from here he traveled to Iran, India and Ceylon.

Among R. Rask's Tbilisi period records, our attention was attracted by two issues:

1. As it seems, for Rask orthography and transliteration were important topics, as the unification of alphabets contributed to the correlation of the data of different languages. This problem is still relevant today, and Rask's opinion about the Georgian writing and transliteration is notable in relation to the norms of the modern Georgian standard language.
2. In his letter sent to Rasmus Newerupu, the director of the University of Copenhagen, from Tbilisi on January 9, 1820 (*Magazin for Rejseiagttagesler* 1820, I:298-299), Rasmus Rask shares his impression about the typography of Tbilisi and lists the rare books which he sent from Petersburg and Moscow to the University library; among them are mentioned the Russian-Georgian phrase-book (*šek'reba rusulta ubnobata, sazogadod cxovrebasa šina saxmarebeta, dartvita kartulisa targmanisata, sasargeblob ketilšobilta q'rmata* the title can be literally translated as follows: *Russian phrases used in everyday life, with Georgian translations that are very useful for young people*) published in Tbilisi in 1819, and “A Short Grammar of Georgian Language” composed by Archbishop Varlam (Eristavi) (1763-1830, First Exarchos of Georgia).

## გ02 კვაშილავა

### მათემატიკური და ეპონომიკური აღრიცხვის სისტემების საკითხისათვის

(ქვ.წ. IX-I ათასწლეულებით დათარიღებული  
არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით)

#### შესავალი

ქვ.წ. IX-I ათასწლეულებით დათარიღებული არქეოლოგიური მასალის შესწავლის შედეგად შრომაში პასუხი გაცემულია შემდეგ კითხვებზე: სად, როდის, რატომ და როგორ გაჩნდა და განვითარდა ეკონომიკური აღრიცხვის სისტემა, მათემატიკა, წერის ხელოვნება და დამწერლობა, რამაც გამოიწვია სოციალურ-ეკონომიკური რევოლუცია.

შრომაში განხილულია ეკონომიკური აღრიცხვის სისტემა, რომელიც ნეოლითის ხანიდან გავრცელებული იყო ახლო აღმოსავლეთში. აღრიცხვა ხორციელდებოდა თიხის ფიგურა-სიმბოლოების, საანგარიშო კოჭების სისტემის (“system of counters of geometric shapes”) მეშვეობით, რომლებიც რიცხვებსა და სხვადასხვა ტიპის საქონლს აღნიშნავდა. გარკვეულ პერიოდში ფიგურა-სიმბოლოები თიხის გუნდაზე მატყლის ბაწარზე ასხმული მაგრდებოდა ან ბურთისებური ყულაბების შიგნით იყრებოდა და იღლუქებოდა. ზოგ შემთხვევაში ისინი თიხის ფულაბების გარეთა ზედაპირზე იბეჭდებოდა, რაც ყულაბებში მოთავსებული კოჭების, ანუ „პროტო-ფულადი ნიშნების“ (“proto-monetary tokens”) რაოდენობას აღრიცხავდა.

თიხის ყულაბების გარეთა ზედაპირზე ფიგურა-სიმბოლოების ბეჭდვის პროცესში ჩამოაყალიბა ნახატ-ნიშნიანი, ხაზოვანი და ლურსმული დამწერლობები, რომლებიც ქვ.წ. 3500-2800 წლებში ჩნდება. ამ დამწერლობებითაა შესრულებული უამრავი თიხის ფირფიტა, რომელთა გაშიფრვით დასტურდება, რომ წერა საქონლის, ანუ შრომის პროდუქტის დათვლის პირდაპირი შედეგია და გამოიყენებოდა სამურნეო-აღმინისტრაციული აღრიცხვა-ანგარიშების შესაქმნელად.

შრომას თან ერთვის დანართი, რომელშიც უფრო დაწვრილებით წარმოდგენილია მიმართებები რამდენიმე შუამდინარეთულ და საერთო-ქართველურ ფორმას შორის.

#### სასაქონლო პროდუქციის აღრიცხვისა და წერითი სისტემების შესახებ

ეკონომიკის, მათემატიკის, წერის ხელოვნებისა და დამწერლობის ერთდროულად გაჩენა-განვითარება დასტურდება ქვ.წ. 3500-2340 წლებით დათარიღებული

3709 ცალი თიხის ფირფიტით, რომელიც 1928-1976 წლებში აღმოჩნდა შუმერულ ქალაქ ურუქში, ეანას კომპლექსის, ღვთაება ანისა და ქალღვთაება ინანას ტაძრების არქეოლოგიურ ადგილას (შდრ. Jordan 1930:4-5; CDLI 2020). ურუქის არქეოლოგიური ადგილი, რომელიც დაახლოებით არის 250 ჰა, მდებარეობს შუამდინარეთში, ერაყის რესპუბლიკის სამხრეთ პროვინციაში, ქალაქ სამავასთან (السماء) ახლოს, მდინარე ბურანუნიდან (დრავიდული \*puṣ-) – ევფრატიდან აღმოსავლეთით, 35 კმ-ის დაშორებით (იხ. დანართი, სურ. 1). ურუქი, რომელსაც უწოდებენ „პირველ ქალაქს მსოფლიო ისტორიაში“, დაარსდა დაახლოებით ძვ.წ. IV ათასწლეულში. ის წერილობით ძეგლებში ცნობილია როგორც შუმერული „უნუგ“-ი, აქადური „ურუქ“-ი, ებრაული „ერექ“-ი / „ერეხ“-ი, ბერძნული „ორექ“-ი და არაბული „ალ-ვარქა“. ვარაუდობენ, რომ სიტყვა „ერაყ“-ი მიღებულია „ერეჟ“-ი („ერექ“-ი, „ერეხ“-ი) ფორმიდან (Mark 2011). შუმერები თავიანთ ქვეყანას „ქიენგი“-ს / „ქიენგირა“-ს უწოდებდნენ და თავიანთ ენას – „ემეგირ“-ს / „ემეგი“-ს. აქადელი სემიტები წერდნენ „შუმერი“-ს / „შუმერუ“-ს, ძველი ალთქმის წიგნების ჩამწერები – „შინყარ“-ს, „სენნაარ“-ს. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ზემოხსენებული შუმერული, დრავიდული და სხვა ენის სიტყვების დაწერილობა, შედარება და აგრეთვე დათარიღება იხილეთ ქვემოთ, დანართში, 1-5 ცხრილებში.

1929-1930 წლებში, ურუქის ტაძრის გათხრებისას, გერმანელმა არქეოლოგმა, იულიუს იორდენმა (Julius Jorden 1877-1945) აღმოაჩინა  $1,25 \div 3,25$  სმ სიგრძის თიხის ფიგურა-სიმბოლოები (შდრ. SC 2020). ამ პატარა სამგანზომილებიანი ფიგურა-სიმბოლოების (შუმერული [na<sub>4</sub>im-na], [im-na<sub>4</sub>na] – “clay pebble(s)”; “clay token(s)”, «jeton(s) d’argile») საშუალებით აბსტრაქტულად გამოისახებოდა გარკვეული ობიექტები, მაგ., „შინაური ფრინველი“, „თევზი“, „ლომი“, „ძაღლი“, „ძროხა“, „ხარი“, „ვირი“, „ლორი“, „თხა“, „ცხვარი“, „ცხვრის რძე“, „ქრავი“, „მატყლი“, „ქსოვილი“, „პური“, „მარცვლეული“ („ქერი“, „ხორბალი“), „ზეთი“, „თაფლი“, „ლუდი“, „ჭურჭელი“ ან სხვა რამე (Schmandt-Besserat 1996:72-78, 128-157). ფიგურა-სიმბოლოები არის სხვადასხვა ფორმის გეომეტრიული სხეულები, – „სამკუთხედი“, „ოთხკუთხედი“, „დისკი“, „ბირთვი“, „ნახევარბირთვი“, „ცილინდრი“, „ტეტრაედრი“, „ოვოიდი“, „კონუსი“, „ბიკონუსი“, „პარაბოლოიდი“, „პიპერბოლოიდი“, „პირამიდა“ და სხვა, რომელთა შორის ზოგს ხაზები და წერტილები აღნიშნება<sup>1</sup> (იხ. დანართი, სურ. 2).

1958 წელს ამერიკელმა არქეოლოგმა, ვივიან ბრომან-მორალესმა (Vivian Broman Morales 1925-2017) თავის სამაგისტრო შრომაში წარმოადგინა მასალა

<sup>1</sup> Schmandt-Besserat 1992, I:17; Schmandt-Besserat 1992, II:xxi–xxxiii; Schmandt-Besserat 1996:15, 16, 18, 20-21, 40, 43, 49, 52, 53, 69-70, 72-78, 128-157; Schmandt-Besserat 1977:4, Chart 1; 26, Chart 7; Schmandt-Besserat 1979:27-49; გამყრელიძე და სხვ. 2008:504-505.

თიხის ფიგურა-სიმბოლოების, მაგ., „კონუსის“, „ტეტრაედრისა“ და „მინიატურული ჭურჭლის“ შესახებ, რომლებიც აღმოჩნდა ერაყში, ქალაქ ქირქუქის (კრკ) აღმოსავლეთით მდებარე ჯარმოში (جرو), ნეოლითური ზანის ნასოფლარის არქეოლოგიურ ადგილას (Broman Morales 1983:387, 388, 390, 396, Plate 168.3–7, Plate 170.4). აქ იარვეს სულ 2022 ცალი განსხვავებული ფორმის თიხის ფიგურა-სიმბოლო (Schmandt-Besserat 1996:179). ამავე ზანის 114 ცალი თიხის ფიგურა-სიმბოლო აგრეთვე გამოვლინდა თევზე სარაბში (سراب), ირანში (შცჰმანდტ- ესსერატ 1996:140; შდრ. Broman Morales 1990:ix, 23–24, 54, Plate 16, i–o, p–s). ისინი უმეტესად ნაპოვნია თიხის ბურთისებურ, ღრუიან ფულაბებში (შუმერული  [šab] – “clay sealing, sealed bulla”; «bulle-enveloppe»), რომელთა დიამეტრი 2,5÷6,9 სმ-ია (შდრ. SC 2020).

შუმდგომში თხუთმეტი ქვეწის ოცდაათ მუზეუმსა და აგრეთვე კურძო კოლექციებში შეგროვდა ძვირფასი არქეოლოგიური ძეგლები: 8162 ცალი თიხის ფიგურა-სიმბოლო (Schmandt-Besserat 1996:20) და 235 ცალი თიხის ფულაბა<sup>2</sup> (SC 2020). ამგვარი სამგანზომილებიანი ფიგურა-სიმბოლოები და ფულაბები ახლო აღმოსავლეთის ქვეწის, – ირანის, ერაყის, სირიის, თურქეთის, იორდანიის, ისრაელისა და პალესტინის 116 არქეოლოგიურ ადგილას აღმოჩნდა, რომლებიც ძვ.წ. IX-III ათასწლეულებით დათარიღებულია (შდრ. Schmandt-Besserat 1996: xi, 26–27). მსგავსი ფიგურა-სიმბოლოები გათხრების შედეგად აგრეთვე გამოვლინდა ჩინეთის, ევროპის, აფრიკისა და მესოამერიკის რეგიონებში (Schmandt-Besserat 2012; Schmandt-Besserat 1978; CA 2008; Budja 1998; Morter 1994; Manzanilla 2009:30). „მეცნიერებისათვის მათი დანიშნულება დიდი ხნის განმავლობაში გაურკვეველი რჩებოდა და ისინი თავდაპირველად რაღაც უმნიშვნელო საკულტო საგნებად მიიჩნეოდა“ (გამყრელიძე და სხვ. 2008:503).

1970-2020 წლებში ამ არქეოლოგიური მასალების სისტემური შესწავლის შედეგად, ფრანგ-ამერიკელმა, ზელოვნების ისტორიკოსმა, დენიზ შმანდტ-ბერამ (Denise Schmandt-Besserat; იხ. Schmandt-Besserat 2020) უახლესი მეცნიერული კონცეფცია შეიმუშავა და გამოაქვეყნა თავისი ფუნდამენტური შრომები (იხ. Schmandt-Besserat 1977-2020), რომლებშიც სავსებით დამაჯერებლად და დასაბუთებულადაა გადმოცემული საკვლევი საკითხები, მაგ., ეკონომიკური ტრანსაქციების, ეკონომიკური აღრიცხვისა და ანგარიშსწორების სპეციალური სისტემების, მათემატიკის, წერისა და დამწერლობის წარმოშობისა და განვითარების შესახებ (Schmandt-Besserat 1996:xi, xii, 37, 39, 81, 98, 101, 102, 111, 119-125). მისი კვლევის მიხედვით, მცირე ზომის თიხის ფიგურა-სიმბოლოები და ბურთისე-

<sup>2</sup> 2008-2019 წლების სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიციების დროს ჩვენ, ამ შრომის ავტორმა, არქეოლოგიური ძეგლების ფოტომასალა მოვიპოვეთ ევროპის, ჩრდილოეთი ამერიკისა და აზიის ქვეწის მუზეუმებიდან.

ბური ფელაბები გამოიყენებოდა აუცილებელი ეკონომიკური, აღმინისტრაციული, სოციალური, რელიგიური, სატაძრო და სასახლის საქმიანობების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, საფეიქრო და სახელოსნო ნაწარმის აღრიცხვისათვის (Schmandt-Besserat 1996:1, 7, 30, 31, 44, 45, 57, 83, 102, 105, 106, 108, 110, 123). საქონლის, ანუ გასაცვლელი პროდუქტის თითოეული კატეგორიის დასათვლელად საჭირო იყო სხვადასხვა ფორმის თიხის ფიგურა-სიმბოლოების გამოყენება (Schmandt-Besserat 1996:124). ეს სამგანზომილებიანი ფიგურა-სიმბოლოები იყო საანგარიშო კოჭები (აბაკ, აბაკოს, «abacus»: Schmandt-Besserat 2020), რომელთა დათვლით საქონლის რაოდენობა დგინდებოდა (Schmandt-Besserat 1996:1). მიწათმოქმედთა ადრეული საზოგადოებები, „ფერმერები“ (“farmers”) მარცვლეულს ანგარიშობდნენ კონუსისა და ბირთვის ფორმის თიხის ფიგურა-სიმბოლოების გამოყენებით. „ერთი კონუსი“, რომელიც „მცირე რაოდენობის მარცვლეულს [ქერს]“ გამოხატავდა, რიცხვს „ერთს“ აღნიშნავდა. „ერთი ბირთვი“, რომელიც „დიდი რაოდენობის მარცვლეულს [ქერს]“ გამოხახავდა და უდრიდა „ათ ცალ კონუსს“, რიცხვს „ათს“ აღნიშნავდა და ა.შ. (იხ. დანართი, სურ. 3; შდრ. Schmandt-Besserat 1992, I:6; Schmandt-Besserat 1996:7, 95, 119; გამყრელი- ძე და სხვ. 2008:501, 503). შინაური ცხოველები აღირიცხებოდა ცილინდრისა და დისკოს ფორმის ფიგურა-სიმბოლოების მეშვეობით. „ერთი ცილინდრი“ გამოხატავდა „ერთ ცხოველს“. „ათი ცალი ცილინდრი“, რომელიც უდრიდა „ერთ დისკოს“, გამოხახავდა „ათ ცხოველს“ და ა.შ. (იხ. დანართი, სურ. 6; შდრ. Schmandt-Besserat 1996:116). ერთი ოვოიდის ფორმის ფიგურა-სიმბოლო აღნიშნავდა „ერთ ქილა ზეთს“, „ორი ცალი ოვოიდი“ – „ორ ქილა ზეთს“, „სამი ცალი ოვოიდი“ – „სამ ქილა ზეთს“ და ა.შ. (შდრ. Schmandt-Besserat 1996:53, 115, 124). ზემოაღწერილი თვლის სისტემის მიხედვით ჩანს, რომ თიხის ფიგურა-სიმბოლოში შერწყმული იყო აღნიშნული, ასტრაქტული საქონელი და მისი რაოდენობის გამომხატველი რიცხვი.

ასე რომ, ამ ფიგურა-სიმბოლოების, ანუ საანგარიშო კოჭების რაოდენობა, დამატება ან გამოკლება შესაბამისი საქონლის რიცხვს აჩვენებდა. ამ აღრიცხვის ვაზუალურმა კოდურმა სისტემამ კომუნიკაციების, კორესპონდენციების, მონაცემების დამუშავების, ინფორმაციის გადაცემისა და შენახვის ფორმები გააუმჯობესა, რაც აუცილებელი იყო ოპტიმალური, საუკთესო გადაწყვეტილების მისაღებად (შდრ. Schmandt-Besserat 1996:xii, 55, 85, 94, 96, 98, 124). როგორც დენიზ შმანდტ-ბესერა ამბობს, თიხის საანგარიშო კოჭები „იყო ნეოლითის ფენომენის შემადგენელი ნაწილი, რამაც ეწ. აგრიკულტურული რევოლუცია“ გამოიწვია<sup>3</sup> (Schmandt-Besserat 1992, I:42, x).

<sup>3</sup> “[The tokens] were part and parcel of the Neolithic phenomenon; that is, the so-called agricultural revolution” (Schmandt-Besserat 1992, I:42).

ქვე IV ათასწლეულიდან შუამდინარეთში მიწათმოქმედთა და მესაქონლეთა ადრეულმა საზოგადოებებმა თანდათანობით გაამარტივეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, პროდუქტების (მაგ., მარცვლეულის, საქონლის ხორცის, რძის, რძის ნაწარმის, ზეთისა და სხვა), მიწის ფართობებისა და შრომადღების სააღრიცხვო სისტემები (მაგ., თვლის სამოცობითი სისტემები, თვლის ორსამოცობითი სისტემები და სხვა). ამ პერიოდის არქეოლოგიური მასალის დამუშავებისას გამოიყოფა შემდეგი ორი საფეხური (შდრ. Schmandt-Besserat 1992, I:166; Schmandt-Besserat 1996:54):

- I. შრომის პროდუქტების აღრიცხვა თიხის ფიგურა-სიმბოლოების საშუალებით;
- II. შრომის პროდუქტების აღრიცხვა თიხის ფირფიტებზე ნახატ-ნიშნების გამოსახვის საშუალებით.

პირველ საფეხურზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და სხვა სახის საგანთა დასათვლელად სათანადო ფორმის თიხის ფიგურა-სიმბოლოები გამოიყენებოდა. ზოგ შემთხვევაში ფიგურა-სიმბოლოები იხვრიტებოდა, რათა მატყლის ბაწარზედ ასხმული თიხის გუნდაზე მიემაგრებინათ (იხ. დანართი, სურ. 4). ისინი ხშირად იყრებოდა თიხის ბურთისებურ, ღრუიან ყულაბაში, კოჭების სათავსში, რომელიც იხურებოდა და ილუქებოდა (იხ. დანართი, სურ. 5). დამრადასმული და დახურული ყულაბები, რომლებიც ურუქელმა „მოანგარიშებმა“ (“accountants”) გამოიგონეს, შემდგომ უნდა გახსნილიყო, რათა მასში მოცემული ფიგურა-სიმბოლოების რაოდენობა შეემოწმებინათ. თუ ყულაბა ნოტიო, გამოუმრავლი თიხისგან იყო დამზადებული, მაშინ მის გარეთა ზედაპირზე სამგანზომილებიანი ფიგურა-სიმბოლოების მაგრად მიჰერით აღიბეჭდებოდა შესაბამისი გეომეტრიული გამოსახულებები – სამგანზომილებიანი ჩაზნექილი ფიგურები, რაც გადმოსცემდა იმას, თუ რა რაოდენობის ფიგურა-სიმბოლო იყო მოთავსებული ყულაბაში (იხ. დანართი, სურ. 6). ეს სამგანზომილებიანი ჩაზნექილი ფიგურები შესაბამის საქონელს, ანუ შრომის პროდუქტსა და მის რაოდენობას აღრიცხავდა, რაც იყო წინგადადგმული ნაბიჯი წერის ხელოვნების გაჩენის მიმართულებით.

მეორე საფეხურზე სამგანზომილებიანი ფიგურა-სიმბოლოების თიხის ყულაბებში ჩაყრა და შენახვა უმეტესწილად შეწყდა. სამაგიეროდ დაიწყო ნედლი თიხის გუნდებისა და ყულაბების გაბრტყელება და სათანადო ფორმის ფიგურა-სიმბოლოების ნოტიო თიხის ფირფიტის უკვე სწორ ზედაპირზე დაბეჭდვა, რითაც გამოისახებოდა შესაბამისი სამგანზომილებიანი ჩაზნექილი ფიგურები, რომლებიც აღრიცხავდა მიღებული ან გაცემული სხვადასხვა ტიპის საქონლის რაოდენობას. მაგ., კონუსისა და ბირთვის ფორმის თიხის ფიგურა-სიმბოლოებს, რომელთა გამოყენებით მარცვლეული ითვლებოდა, ნელ-ნელა ჩაენაცვლა თიხის ფირფიტებზე დაბეჭდილი შესაბამისი სამგანზომილებიანი ჩაზნექილი ფიგურები:  ‘სოლი‘ და  ‘წრე‘, რომლებსაც იგივე მნიშვნელობა მიენიჭა, რასაც „კონუსი“ და „ბირთვი“ აღნიშნავდა (იხ. დანართი, სურ. 7).

ასე რომ, თანდათანობით წინ წამოიწია თიხის ფირფიტების დამზადებისა და ბეჭდვის ხელობები, რომლებიც გაუმჯობესდა და გავრცელდა ძველი შუამდინარეთის გარკვეულ აღგილებში.

23	<p>პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვები შუმერულ წარწერებში; შუმერული და ქართველური ფორმების შედარება</p> <p> [ugula] – 1. “instructor”; 2. “overseer”, “foreman”, “supervisor” (ePSD 2005:274; ORACC 2014; CDLI 2020; შდრ. მელიქიშვილი და სხვ. 1988:52; Rubio 1999:5; იხ. მესხი 2009:60–83; Meskhi 2011:55–77);</p> <p> [tibira] – “sculptor” (ePSD 2005:260; ORACC 2014; CDLI 2020; შდრ. შარაშენიძე, თოფურია 1973:122; Rubio 1999:4)</p> <p> [ibira (tibira<sub>2</sub>)],  [ibira<sub>2</sub>] – “merchant”, “businessman” (ePSD 2005:120; ORACC 2014; CDLI 2020)</p>	<p>თიხის ფირფიტების დათარიღება</p> <p>ძვ.წ. 2900-1600 წწ.</p> <p>ძვ.წ. 2900-1000 წწ.</p> <p>ძვ.წ. 912-539 წწ.</p>
	<p>შდრ. შუმერული  [tibira] – 1. “sculptor”; 2. “metal woker”; შუმერული  [ibira (tibira<sub>2</sub>)],  [ibira<sub>2</sub>] – “merchant”, “businessman”: ებრაული  [t<sup>h</sup>uval] (შდრ. Genesis 4.22, 10.2; HEB 1997:6, 13); ბერძული თიბელ [t<sup>h</sup>obél] (შდრ. Genesis IV.22, X.2; Brooke and McLean 1906:10, 23); თობელი [t<sup>h</sup>obelí] (შდრ. Кипшиძე 1914:xiii–xiv), თიბარი [t<sup>h</sup>ibari], იბერი [iberi] (შდრ. ჯავახიშვილი 1908:22–23) – ერთ-ერთი ქართველური ტომის აღმნიშვნელი სახელები (გ. კვაშილავა).</p>	

24	<p>პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვები შუმერულ წარწერებში</p> <p> [dam-gar<sub>3</sub>] – “merchant”, “trader” (ePSD 2005:43; ORACC 2014; CDLI 2020; შდრ. შარაშენიძე, თოფურია 1973:122)</p> <p> [dam-gar<sub>3</sub>-gal] – “chief merchant” (ePSD 2006; CDLI 2020)</p>	<p>თიხის ფირფიტების დათარიღება</p> <p>ძვ.წ. 2900-1000 წწ.</p> <p>ძვ.წ. 2600-2200 წწ.</p>
----	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------------------

[ga-eš₈] – 1. “a long distance trader”; 2. “tax collector, customs collector” (ePSD 2005:74; ORACC 2014; CDLI 2020)	dʒ-ڻ. 2900-1600 ڻڻ.
[kindagal] – 1. “leader”, “expert”; 2. “inspector of slaves” (ePSD 2005:143; CDLI 2020)	dʒ-ڻ. 2900-1600 ڻڻ.
[šita₅-du₃] – “accountant” (ePSD 2005:246; CDLI 2020)	dʒ-ڻ. 2000-1600 ڻڻ.
[saḡ-en₃-tar (sag-en₃-tar)] – “supervisor” (ePSD 2005:215; CDLI 2020)	dʒ-ڻ. 2000-63 ڻڻ.
[nu-banda₃] – “overseer”, “captain” (ePSD 2005:201; ORACC 2014; CDLI 2020; ڦڳڻ. ڇڙڻ. 1988:51, 52)	dʒ-ڻ. 2900-1600 ڻڻ.
[ku₃-gal₂] – “canal inspector” (ePSD 2005:91; CDLI 2020)	dʒ-ڻ. 2900-1600 ڻڻ.
[dumu-da-ba] – “an agricultural worker” (ePSD 2005:54; CDLI 2020)	dʒ-ڻ. 2100-2000 ڻڻ.

<p> [dub-sar] – “scribe”, “writer” (ePSD 2005:51; CDLI 2020)</p>	<p>ԺՅ. 2900-63 ՎՎ.</p>
<p> [dub-<math>\hat{g}</math>al<sub>2</sub>] – “a scribe or scribe’s assistant” (ePSD 2006; CDLI 2020)</p>	<p>ԺՅ. 2340-1600 ՎՎ.</p>


26	<p>სამეცნიერო-აღმინისტრაციულ აღრიცხვა-ანგარიშგებასთან დაკავშირებული სიტყვები შუმერულ წარწერებში</p>	<p>თიხის ფირფიტების დათარიღება</p>
	<p> [dub] – “(clay) tablet” (შდრ. ePSD 2005:50; ORACC 2014)</p>	ძვ.წ. 2900-539 წწ.
	<p> [dub-bala] – “to go over an account” (ePSD 2005:50; CDLI 2020)</p>	ძვ.წ. 2100-2000 წწ.
	<p> [e2-dub] – “storehouse”, “magazine” (ePSD 2005:59; CDLI 2020)</p>	ძვ.წ. 2340-1600 წწ.
	<p> [e2-dub-ba] – “scribal school” (ePSD 2005:59; CDLI 2020)</p>	ძვ.წ. 2100-539 წწ.



27	<p>մատեմատիկյան թերմինեօն Մաթերյալ Շարժյանընթի</p>	<p>տոնես գործոցներուն գործոցներուն</p>
	<p>ԱՐԳՈԲԱ [a-ra<sub>2</sub>-gub-ba] – “a mathematical term” (ePSD 2006; ORACC 2014; CDLI 2020)</p>	ԺՅ.Վ. 1900-1600 ՎՎ.
	<p>ԱՐՀԻ [a-ra<sub>2</sub>-hi] – “a mathematical term” (ePSD 2005:21; CDLI 2020)</p>	ԺՅ.Վ. 1900-1600 ՎՎ.
	<p>Ի [igi] – “a mathematical term (math.)” (ePSD 2006; ORACC 2014; CDLI 2020)</p>	ԺՅ.Վ. 2100-539 ՎՎ.
	<p>Ի-ԵՆ [igi-te-en] – 1. “fraction (math.)”; 2. “proportion” (ePSD 2005:124; ORACC 2014; CDLI 2020)</p>	ԺՅ.Վ. 1900-1600 ՎՎ.
	<p>ՏԵՐ [sağ-du<sub>3</sub>, sağ-KAK] – “triangle” (ePSD 2006; ORACC 2014; CDLI 2020)</p>	ԺՅ.Վ. 2500-1600 ՎՎ.


	[saĝ-ki-gud] – “a geometric shape; trapezium (math.)” (ePSD 2006; ORACC 2014)	ԺՅ. 1900-1600 ՎՎ.
	[ba-si] – “square (math.)” (ePSD 2006; ORACC 2014; CDLI 2020)	ԺՅ. 2500-1600 ՎՎ.
	[ib <sub>2</sub> -si <sub>8</sub> ] – 1. “square (math.”); 2. “square root (math.)” (ePSD 2005:120; ORACC 2014; CDLI 2020)	ԺՅ. 1900-1600 ՎՎ.
	[bar-NUN] – “diagonal (math.)” (ePSD 2006; ORACC 2014; CDLI 2020)	ԺՅ. 2100-2000 ՎՎ.
	[geš-bu <sub>10</sub> ] – “circle”, “ring” (ePSD 2005:103; CDLI 2020)	ԺՅ. 2500-2000 ՎՎ.
	[kilib] – “total”, “sum” (ePSD 2005:143; CDLI 2020; օե. Հաճարու 13)	ԺՅ. 2100-1600 ՎՎ.
	[du <sub>7</sub> ] – “to combine, multiply geometrically (math.)” (ePSD 2006; ORACC 2014)	ԺՅ. 2500-1600 ՎՎ.
	[gin <sub>7</sub> -nam] – “equals (math.)” (ORACC 2014)	ԺՅ. 1900-1600 ՎՎ.


28	Եզրոմիկյան Ծյրմօնեծ Ցամերյալ Շարժյալըն	տօնօև Ցորցությօն Հատարությօն
	+ [maš], ✕ [maš] – 1. “interest (on a loan)”; 2. “an irrigation tax” (ePSD 2005:170; CDLI 2020)	ԺՅ. 2900-539 ՎՎ.
	+◇ [maš <sub>2</sub> ], ✕◇ [maš <sub>2</sub> ] – 1. “interest (on a loan)”; 2. “an irrigation tax” (ePSD 2005:170; CDLI 2020)	ԺՅ. 2900-539 ՎՎ.
	◁◆▽ [eš-de <sub>2</sub> -a] – “a loan” (ePSD 2005:70; CDLI 2020)	ԺՅ. 2000-612 ՎՎ.
	◆◀ [ur <sub>5</sub> -ra], ◆ [ur <sub>5</sub> ] – 1. “interest-bearing loan”; 2. “debt”; 3. “requital”, “favour” (ePSD 2005:284; CDLI 2020)	ԺՅ. 2500-1600 ՎՎ.
	❖ [niğ <sub>2</sub> -kas <sub>7</sub> ] – “account” (ORACC 2014; CDLI 2020)	ԺՅ. 2600-1600 ՎՎ.
	❖ [si-tum] (սյալյան շիտմ) – “balance (of a settled account)” (ORACC 2014; CDLI 2020)	ԺՅ. 2340-1600 ՎՎ.

 [si-i <sub>3</sub> -tum] (այսդպրո šittum) – “balance (of a settled account)” (ePSD 2005:226; CDLI 2020)	Ժ.Վ. 2100-1600 ՎՎ.
 [kug-du <sub>8</sub> ] – “ransom money” (ePSD 2005:149; ORACC 2014)	Ժ.Վ. 2000-1600 ՎՎ.














aš	u	geš₂	geš₂-u	šar₂	šar₂-u	šar₂-gal
1	10	60	600	3 600	36 000	216 000


სურ. 9. თვლის სამოცობითი სისტემის რიცხვები (CDLI 2020)







გვა. კურთულავა, 2008–2022




გვა. კურთულავა, 2008–2022



სურ. 16. ლურსმული დამწერლობით შესრულებული  $\cos c^2\theta$  ტრიგონომეტრიული ფუნქციის ცხრილი თვლის სამოცობით სისტემაში, თიხის ფირფიტა (CULC 460, პლიმპტონის №322), ლარსა (?), ერაყი, ძვ.წ. 1900–1600 წწ., იშვიათი წიგნებისა და ხელნაწერთა ბიბლიოთეკა, კოლუმბიის უნივერსიტეტი, ნიუ-იორკი, აშშ (CDLI 2020)

ესა კვამილავა, 2008–2022



სურ. 17. ლურსმული დამწერლობით შესრულებული  $\cos c^2\theta$  ტრიგონომეტრიული ფუნქციის ცხრილი თვლის სამოცობით სისტემაში, თიხის ფირფიტის (CULC 460, პლიმპტონის №322) მიხედვით (Robson 2008:111)

ესა კვამილავა, 2008–2022

<i>[ta-ki]-il-ti ši-li-ip-tim</i>	<i>[ša 1 in]-na-as-sà-hu-ma SAG i-il-lu-ú</i>	Í.B.SI <sub>8</sub> SAG	Í.B.SI <sub>8</sub> ši-li-ip-tim	MU.BI.IM
[1 59]	15	1 59	2 49	KI 1
[1 56 56]	58 14 50 6 15	56 7	3 12 1	KI 2
[1 55 7]	41 15 33 45	1 16 41	1 50 49	KI 3
1 [53]	10 29 32 52 16	3 31 49	5 9 1	KI 4
1 48 54	1 40	1 5	1 37	KI [5]
1 47 6	41 40	5 19	[8] 1	[KI 6]
1 43 11	56 28 26 40	38 11	59 1	KI 7
1 41 33	45 14 3 45	13 19	20 49	KI 8
1 38 33	36 36	9 1	12 49	KI 9
1 35 10	2 28 27 24 26 40	1 22 41	2 16 1	KI 10
1 33 45		45	1 15	KI 11
1 29 21	54 2 15	27 59	48 49	KI 12
1 27	3 45	7 12 1	4 49	KI 13
1 25 48	51 35 6 40	29 31	53 49	KI 14
1 23 13	46 40	56	53	KI [15]


შეცდომების გასწორება			
		3-12 1 *1 *20 *25	KI 2
	-9-1 *8 1		KI 9
	-7 12-1 *2 *41		KI 13
		-53- *1 *46	KI [15]

სურ. 18.  $\cos c^2 \theta$  ტრიგონომეტრიული ფუნქციის ცხრილი თვლის  
სამოცობით სისტემაში, თიხის ფირფიტის (CULC 460, პლიმპტონის №322)  
ლურსმული წარწერის მიხედვით (შრ. Neugebauer and Sachs 1945:38)

გა კაზაკევა, 2008-2022

$\cos c^2 \theta = \frac{d^2}{b^2} = \frac{d^2}{d^2 - a^2}$	მართვულის გვერდი a	მართვულის დიაგონალი d	№
[1,983402(7)]	119	169	მიწა 1
[1,9491585520886...]	3367	*4825	მიწა 2
[1,918802126736(1)]	4601	6649	მიწა 3
[1,8862479067215...]	12709	18541	მიწა 4
1,81500771604938...	65	97	მიწა [5]
1,78519290123456...	319	[481]	[მიწა 6]
1,71998367626886...	2291	3541	მიწა 7
1,692709418402(7)	799	1249	მიწა 8
1,642669(4)	*481	769	მიწა 9
1,58612256611034...	4961	8161	მიწა 10
1,5625	45	75	მიწა 11
1,4894168402(7)	1679	2929	მიწა 12
1,45001736(1)	*161	289	მიწა 13
1,43023882030178...	1771	3229	მიწა 14
1,38716049382716...	56	*106	მიწა [15]

გა კაზაკევა, 2008-2022

	სურ. 19. $\cos c^2 \theta$ ტრიგონომეტრიული ფუნქციის ცხრილი თვლის ათობით სისტემაში, თიხის ფირფიტის (CULC 460, პლიმპტონის №322) ლურსმული წარწერის მიხედვით
-------------------------------------------------------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

## **ლიტერატურა:**

**აბულაძე 1973:** ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი.

**ასათიანი 2012:** ი. ასათიანი, ლაზური ლექსიკონი, ზმური ძირ-ფუძები, გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი.

**გამყრელიძე და სხვ. 2008:** თ. გამყრელიძე, ჭ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თერთიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

**გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:** თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, საქართო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი.

**გორდეზიანი 2007, I:** რ. გორდეზიანი, მედიტერანულ-ქართველური მიმართებები: I, საწყისები, გამომცემლობა ლოგოსი, თბილისი.

**გახშტი 1941:** ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეცოსა საქართველოსა საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

**თოფურია, ქალდანი 2000:** ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

**კვაშილავა 2010, 2011a:** გ. კვაშილავა, ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე დამწერლობების ნახატ-ნიშნების ამოკითხვის შესახებ (2), ვარდული, ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XII ტ., ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2010, გვ. 144–236; სამეცნიერო ჟურნალი ქართველოლოგია, №1, №2, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011, გვ. 20-55; 5–43.

**კვაშილავა 2011b, 2012a:** გ. კვაშილავა, A ხაზოვანი და მისი მონათესავე დამწერლობებით შესრულებული წარწერების ამოკითხვა პროტო-ქართველურ-კოლხურ ენაზე, ისტორიულ-ეთნოლოგიურიძიებანი, XIII ტ., ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2011, გვ. 161–226; სამეცნიერო ჟურნალი ქართველოლოგია, №2, №3, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2012, გვ. 5–29; 5–50.

**კვაშილავა 2012b, 2013:** გ. კვაშილავა, ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე დამწერლობების ნახატ-ნიშნების ამოკითხვის შესახებ (3), ფრინველი, ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XIV ტ., ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, გვ. 142–164; სამეცნიერო ჟურნალი ქართველოლოგია, №1, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, გვ. 13–28.

**კვაშილავა 2014:** გ. კვაშილავა, A კლასის ხაზოვანი ku-ro და ki-ro ფორმების ამოკითხვა საერთო-ქართველურ ენაზე, სამეცნიერო ჟურნალი ქართველოლოგია, №5, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, გვ. 30–49.

**მელიქშვილი და სხვ. 1988:** გ. მელიქიშვილი, გ. გიორგაძე, ნ. ლომოური, ე. მენაბ-ლე, ნ. ხაზარაძე, მ. ხიდაშელი, დ. ხახუტაშვილი, გ. მამულია, რ. რცხილაძე, ჯ. შარაშენიძე, მ. ხვედელიძე, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, გამომცემ-ლობა მეცნიერება, თბილისი.

**მესხი 2009:** ა. მესხი, ქართველური და შუმერული ენობრივი მხავსებანი, წიგნი I, გამომცემლობა მწიგნობარი, თბილისი.

**მიბჩუანი 1989:** თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგე-ნეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბილისის უნივერსიტეტის ვა-მომცემლობა, თბილისი.

**ორბელიანი 1991:** სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I ტ., გამომცემ-ლობა მერანი, თბილისი.

**სამსონია 2005:** ნ. სამსონია, მიხაკო წერეთელი და ასიროლოგია, თბილისი.

**სამსონია 2018:** ნ. სამსონია, მდინარე ენგურის ეტიმოლოგიისთვის (შუმერული ლი-ტერატურული ტექსტების მიხედვით), აღმოსავლეთმცოდნებება, №7, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, გვ. 159–165.

**ფერიხი, სარკველაძე 2000:** ჰ. ფერიხი, ზ. სარკველაძე, ქართველურ ენათა ეტიმო-ლოგიური ლექსიკონი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმ-წიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

**ქაჯაია 2001, I; 2002, II:** ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, II ტ., გა-მომცემლობა ნეკერი, თბილისი.

**ქველი 1953, III:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, III ტ., არნ. ჩიქობავას რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

**შარაშენიძე, თოფურია 1973:** ჯ. შარაშენიძე, კ. თოფურია, შუმერები და მათი კულ-ტურა, ცისკარი, 1973, №2 (188), თბილისი, გვ. 121–131.

**შარაშენიძე 1983:** ჯ. შარაშენიძე, შუმერები და მათი კულტურა, გამომცემლობა ნა-კადული, თბილისი.

**ჩიქობავა 2008, III, IV:** არნ. ჩიქობავა, შრომები, III, IV ტ., არნოლდ ჩიქობავას სა-ხელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილი-სის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.

**ჩუხუა 2000-2003:** მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, და-მატებითი მასალები ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი.

**ჩუხუა 2007:** მ. ჩუხუა, იბერიულ-თხერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბილისი.

**ჩუხუა 2017:** მ. ჩუხუა, ქართულ-ჩრქეულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძეგლანი (მა-სალები იბერიულ-კავკასიურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის), თბილისი.

**ჭანტურია 2006:** ა. ჭანტურია, მეგრული სახელები და გვარები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუ-ტი, თბილისი.

**ჯავახიშვილი 1908:** ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერთს ისტორია, წიგნი I, ტფილისი.

**ჯავახიშვილი 1930, I:** ი. ჯავახიშვილი, საქართველოს კონომიური ისტორია, ტფ-ლისი: I წიგნი.

- Кипшидзе 1914:** I. A. Кипшидзе, *Грамматика мингрельского (иверского) языка съ хрестоматиєю и словаремъ*, Материалы по яфетическому языкоизнанию, VII, Типография императорской Академии наукъ, Санкт-Петербургъ.
- Клинов 1964:** Г. А. Клинов, *Этимологический словарь картвельских языков*, Издательство Наука, Москва.
- Марръ 1910:** Н. Ѝ. Марръ, *Грамматика чанского (лазского) языка съ хрестоматиєю и словаремъ*, Материалы по яфетическому языкоизнанию, II, Санкт-Петербургъ.
- Меликишвили 1960:** Г. Меликишвили, *Урартские клинообразные надписи*, Издательство Академии наук СССР, Москва.
- Aaboe 1998:** A. Aaboe, *Episodes from the Early History of Mathematics*, The Mathematical Association of America.
- Bomhard 2018:** A. R. Bomhard, *A Comprehensive Introduction to Nostratic Comparative Linguistics: With Special Reference to Indo-European*, 4 Vol-s, Florence, SC.
- Broman Morales 1983:** V. Broman Morales, Jarmo Figurines and Other Clay Objects, *Prehistoric Archaeology Along the Zagros Flanks*, L. S. Braidwood et al., Eds., The Oriental Institute Publications, Vol. 105, Chicago: University of Chicago Press, pp. 369–423.
- Broman Morales 1990:** V. Broman Morales, *Figurines and Other Clay Objects from Sarab and Cayönü*, Oriental Institute Communications, Vol. 25, Chicago: Oriental Institute of the University of Chicago.
- Brooke and McLean 1906:** *The Old Testament in Greek*, Vol. I, Part I, Ed. by A. E. Brooke, N. McLean, Cambridge University Press.
- Budja 1998:** M. Budja, Clay Tokens – Accounting before Writing in Eurasia, *Documenta Praehistorica*, Vol. XXV, pp. 219–235.
- Burrow and Emeneau 1984:** T. Burrow and M. B. Emeneau, *A Dravidian Etymological Dictionary*, 2<sup>nd</sup> Ed., Oxford: Clarendon Press.
- CA 2008:** The Neolithic Site at Shuangdun, Bengbu, *Chinese Archaeology*, Vol. 8, Issue 1, Anhui Provincial Institute of Cultural Relics and Archaeology, Anhui Bengbu Municipal Museum, De Gruyter, pp. 55–68.
- CDLI 2020:** Cuneiform Digital Library Initiative, <https://cdli.ucla.edu>
- Chardin 1686:** J. Chardin, *Journal du Voyages du Chevalier Chardin en Perse & aux Indes Orientales, parla Mer Noire & par la Colchide, Qui Contient Le Voyage de Paris à Ispahan*, Amsterdam.
- Chukhua 2019:** M. Chukhua, *Georgian-Circassian-Apkhazian Etymological Dictionary* (expanded edition), TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics Circassian (Adygian) Culture Center, Tbilisi.
- Dolgopolsky 2012:** A. B. Dolgopolsky, *Nostratic Dictionary*, McDonald Institute for Archaeological Research.
- Fähnrich 1981:** H. Fähnrich, Das Sumerische und die Kartwelsprachen, *Georgica*, Band 4, Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens, Jena-Tbilissi, S. 89–101.

**Fähnrich 2007:** H. Fähnrich, *Kartvelisches Etymologisches Wörterbuch*, Leiden, Boston: Brill Academic Publishers.

**Fowler and Robson 1998:** D. Fowler and E. Robson, Square Root Approximations in Old Babylonian Mathematics: YBC 7289 in Context, *Historia Mathematica*, Vol. 25, Issue 4, pp. 366–378.

**Gamkrelidze and Ivanov 1995, I, II:** Th. V. Gamkrelidze and V. V. Ivanov, *Indo-European and the Indo-Europeans. A Reconstruction and Historical Analysis of a Proto-Language and a Proto-Culture*, Part I: The Text; Part II: Bibliography, Indexes, With a Preface by R. Jacobson. English Version by J. Nichols, Edited by W. Winter, Berlin, New York: Mouton de Gruyter.

**HEB 1997:** *Hebrew-English Bible*, Jerusalem: L.A.D.B.W. and B.S.I.

**Jordan 1930:** J. Jordan, *Erster vorläufiger Bericht über die der Notgemeinschaft der deutschen Wissenschaft in Uruk-Warka unternommenen Ausgrabungen*, aus den Abhandlungen der Preussischen Akademie der Wissenschaften, Jahrgang 1929, Philosophisch-historische Klasse, NR.7, Berlin: Verlag der Akademie der Wissenschaften, pp. 3–43.

**Jordan 1931:** J. Jordan, *Zweiter vorläufiger Bericht über die der Notgemeinschaft der deutschen Wissenschaft in Uruk unternommenen Ausgrabungen*, aus den Abhandlungen der Preussischen Akademie der Wissenschaften, Jahrgang 1930, Philosophisch-historische Klasse, NR.4, Berlin: Verlag der Akademie der Wissenschaften, pp. 3–55.

**Kvashilava 2010:** G. Kvashilava, On Reading Pictorial Signs of the Phaistos Disk and Related Scripts (2), Rosette, *Studies in History and Ethnology*, Vol. XII, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Tbilisi, pp. 237–362.

**Kvashilava 2011:** G. Kvashilava, Decipherment of the Inscriptions of Linear A and its Related Scripts in the Proto-Kartvelian-Colchian Language, *Studies in History and Ethnology*, Vol. XIII, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Tbilisi, 2011, pp. 227–310.

**Kvashilava 2012, 2013:** G. Kvashilava, On Reading Pictorial Signs of the Phaistos Disk and Related Scripts (3), Flining Bird, *Studies in History and Ethnology*, Vol. XIV, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Tbilisi, 2012, pp. 165–209; *Kartvelology*, №1, Ilia State University Press, Tbilisi, 2013, pp. 29–43.

**Kvashilava 2016:** G. Kvashilava, Interpretation of the Common Kartvelian Linear A Script Sequences ku-ro and ki-ro, *Issues of Linguistics*, 2015, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, Tbilisi, pp. 139–161.

**Klimov 1998:** G. A. Klimov, *Etymological Dictionary of the Kartvelian Languages*, Berlin: Mouton de Gruyter.

**Lieberman 1980:** S. J. Lieberman, Of Clay Pebbles, Hollow Clay Balls, and Writing: A Sumerian View, *American Journal of Archaeology*, Vol. 84, Issue 3, pp. 339–358.

**Li et al. 2003:** X. Li, G. Harbottle, J. Zhang and C. Wang, The Earliest Writing? Sign Use in the Seventh Millennium BC at Jiahu, Henan Province, China, *Antiquity*, Vol. 77, Issue 295, Cambridge: Cambridge University Press, pp. 31–44.

- Manzanilla 2009:** L. R. Manzanilla, Corporate Life in Apartment and Barrio Compounds at Teotihuacan, Central Mexico, Craft Specialization, Hierarchy, and Ethnicity, *Domestic Life in Prehispanic Capitals, A Study of Specialization, Hierarchy, and Ethnicity*, Vol. VII, Ed. by L. R. Manzanilla and C. Chapdelaine, Memoirs of the Museum of Anthropology, Ann Arbor: University of Michigan, pp. 21–42.
- Mark 2011:** J. J. Mark, Uruk, <https://www.ancient.eu/uruk>
- Meskhi 2011:** A., Meskhi, *Kartvelian and Sumerian Language Similarities*, Vol. I, Publishing House Mcignobari, Tbilisi.
- Michel and Chemla 2020:** C. Michel and K. Chemla (Ed.), *Mathematics, Administrative and Economic Activities in Ancient Worlds*, Springer Nature.
- Morter 1994:** J. Morter, Four Pieces of Clay: ‘Tokens’ from Capo Alfiere, Calabria, *Journal of Mediterranean Archaeology*, Vol. 7, Issue 1, pp. 115–123.
- Neugebauer and Sachs 1945:** O. Neugebauer and A. Sachs (Ed.), *Mathematical Cuneiform Texts*, with a Chapter by A. Goetze, New Haven, Conn.: American Oriental Society and the American Schools of Oriental Research.
- ORACC 2014:** The Open Richly Annotated Cuneiform Corpus, <http://oracc.iaas.upenn.edu/epsd2/cbd/sux/A.html>
- Parpola 2016:** S. Parpola, *Etymological Dictionary of the Sumerian language*, Parts 1 and 2, Helsinki: Neo-Assyrian Text Corpus Project.
- Robson 1999:** E. Robson, *Mesopotamian Mathematics, 2100-1600 BC: Technical Constants in Bureaucracy and Education*, Oxford: Clarendon Press.
- Robson 2000:** E. Robson, Mathematical Cuneiform Tablets in Philadelphia, Part 1: Problems and Calculations, *SCIAMVS*, Vol.1, pp. 11–48.
- Robson 2008:** E. Robson, *Mathematics in Ancient Iraq: A Social History*, Princeton University Press.
- Rubio 1999:** G. Rubio, On the Alleged ‘Pre-Sumerian Substratum’, *Journal of Cuneiform Studies*, Vol. 51, The University of Chicago Press, pp. 1–16.
- Rudman 2007:** P. S. Rudman, *How Mathematics Happened: the First 50,000 Years*, Amherst, New York: Prometheus Books.
- Rudman 2010:** P. S. Rudman, *The Babylonian Theorem: The Mathematical Journey to Pythagoras and Euclid*, Amherst, New York: Prometheus Books.
- SC 2020:** The Schøyen Collection, <https://www.schoyencollection.com>
- Schmandt-Besserat 1977:** D. Schmandt-Besserat, An Archaic Recording System and the Origin of Writing, *Syro-Mesopotamian Studies*, Vol. I, Issue 2, July, Monographic Journals of the Near East, Undena Publications, pp. 1–32.
- Schmandt-Besserat 1978:** D. Schmandt-Besserat, An Early Recording System in Egypt and the Ancient Near East, *Immortal Egypt*, Ed. by Denise Schmandt-Besserat, Malibu: Undena Publications, pp. 5–12.
- Schmandt-Besserat 1979:** D. Schmandt-Besserat, An Archaic Recording System in the Uruk-Jemdet Nasr Period, *American Journal of Archaeology*, Vol. 83, Issue 1, Jan., pp. 19–48.
- Schmandt-Besserat 1986:** D. Schmandt-Besserat, Tokens: Facts and Interpretation, *Visible Language*, Vol. 20, Issue 3, pp. 250–273.

- Schmandt-Besserat 1992, I, II:** D. Schmandt-Besserat, *Before Writing, Vol. I: From Counting to Cuneiform, Vol. II: A Catalog of Near Eastern Tokens*, Austin: University of Texas Press.
- Schmandt-Besserat 1996:** D. Schmandt-Besserat, *How Writing Came About*, Austin: University of Texas Press.
- Schmandt-Besserat 2007a:** D. Schmandt-Besserat, From Tokens to Writing: the Pursuit of Abstraction, *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences (Moambe)*, Vol. 175, №3, pp. 162–167.
- Schmandt-Besserat 2007b:** D. Schmandt-Besserat, *When Writing Met Art: From Symbol to Story*, Austin: University of Texas Press.
- Schmandt-Besserat 2009:** D. Schmandt-Besserat, Tokens and Writing: The Cognitive Development, *Scripta*, Vol. 1, pp. 145–154.
- Schmandt-Besserat 2010:** D. Schmandt-Besserat, The Token System of the Ancient Near East: Its role in Counting, Writing, the Economy and Cognition, *The Archaeology of Measurement, Comprehending Heaven, Earth and Time in Ancient Societies*, Ed. by I. Morley and C. Renfrew, Cambridge: Cambridge University Press, pp. 27–34.
- Schmandt-Besserat 2012:** D. Schmandt-Besserat, Tokens in China, Europe and Africa – The significance, *Proceedings of the SCRIPTA 2011, Writings and Cognition*, October 7–9, 2011, Seoul National University, Korea, pp. 1–13.
- Schmandt-Besserat 2013:** D. Schmandt-Besserat (Ed.), *Symbols at 'Ain Ghazal*, 'Ain Ghazal Excavation Reports, Vol. 3, Institut für Vorderasiatische Altertumskunde, Freie Universität Berlin.
- Schmandt-Besserat 2020:** D. Schmandt-Besserat, <https://sites.utexas.edu/dsb>
- Tenu 2016:** A. Tenu, Les débuts de la comptabilité en Mésopotamie (The emergence of Accounting in Mesopotamia), *Comptabilités*, Revue d'histoire des comptabilités, pp. 1–21.
- Thomas 1957:** I. Thomas, *Selections Illustrating the History of Greek Mathematics*, Vol. I: From Thales to Euclid, Vol. II: Aristarchus to Pappus, With an English Translation by I. Thomas, Loeb Classical Library, London, William Heinemann Ltd., Harvard University Press.
- Tseretheli 1913, 1914, 1915, 1916:** M. Tseretheli, Sumerian and Georgian: a Study in Comparative Philology, *the Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland*, London, 1913, pp. 783–821; 1914, pp. 1–36; 1915, pp. 255–288; 1916, pp. 1–58.
- Tseretheli 1959:** M. Tseretheli, Das Sumerische und das Georgische, *Bedi Kartlisa (Le Destin de la Géorgie)*, Revue de Kartvélologie, Vol. 32–33, Paris, pp. 77–104.
- Van der Waerden 1950:** B. L. Van der Waerden, *Ontwakende Wetenschap: Egyptische, Babylonische en Griekse Wiskunde*, Groningen: P. Noordhoff.

## **On the Mathematical and Economic Account Systems**

(According to Archaeological Materials Dated Back to the IX–I Millennia BC)

### **Summary**

The analysis of archaeological material made it possible to answer the following questions: when, where, why and how was the system of economic accounting, mathematics, the art of writing and script originated and developed producing the social-economic revolution.

The work describes an accounting system used in Near East since the Neolith Age. The accounting was kept with the help of clay tokens, denoting numbers and various goods. Sometimes the clay tokens were attached to clay bullae hung on wool ropes or were put into spherical bulla-envelopes and then sealed. They were stamped on the outer surface of the clay bullae and denoted the number of tokens in the bullae.

The process of stamping with the tokens on the outer surface of the clay bullae resulted in the appearance of pictographic, linear and cuneiform scripts in 3500–2800 BC. These scripts are found on numerous clay tablets, the deciphering of which proves that writing is an immediate result of counting goods and was used for economic and administrative registration.

The detailed correspondences between several Mesopotamian and Common Kartvelian forms are given in the appendix.

ზაალ პიკვიძე, ლევან გარეულია

## ერთი ადრეული ინგლისურ-ქავკასიური ლექსიკოგრაფიული რესურსის შესახებ

(დ. რ. პიკვიძე და მისი მასალები)<sup>1</sup>

წინამდებარე სტატია ეხება 1887 წელს „სამეფო სააზიო საზოგადოების უკრანიში“ გამოქვეყნებულ ლექსიკოგრაფიულ ნაშრომს „ხუთი დასავლეთკავკასიური ენის ორიგინალური სიტყვარები“, რომლის ავტორიც გახლავთ დემეტრიუს რუდოლფ პიკოკი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაშრომი სხვადასხვა დროს არაერთ ავტორთანაა ნახსენები (მათ ქვემოთ განვიხილავთ), ჩვენი აზრით, ჯერჯერობით მაინც არასაკმარისადაა ხელმისაწვდომი სათანადო ინფორმაცია როგორც ხსენებული ნაშრომის, ისე მისი ავტორის შესახებ. ჩვენ შევეცდებით ზოგიერთი ამ ხარვეზის აღმოფხვრას.

თავდაპირველად უნდა ვისაუბროთ ავტორის შესახებ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენთვის საინტერესო ნაშრომი დაიხეჭდა „დიდი ბრიტანეთისა და ირლანდის სამეფო სააზიო საზოგადოების უკრანიში“; თუკი გადავხედავთ უკრნალის 1887 წლის მე-19 ტომის 1-ელი ნომრის სარჩევს (გვ. III), ვნახავთ, რომ აქ მეხუთე სტატიად იძეჭდება „ხუთი დასავლეთკავკასიური ენის ორიგინალური სიტყვარები“, რომელიც ადგილზე შეუდგენია მისტერ პიკოკს, ვინც გახლდათ „ვიცეკონსული ბათუმში, ამიერკავკასია, სამხრეთი რუსეთი“ (იქვე). ზუსტად იგივე მეორდება უშუალოდ ნაშრომის ტექსტის პირველსავე გვერდზე, სათაურის შემდეგ (პიკოკი 1887:145).<sup>2</sup> ღირსსაცნობია, რომ არც აღნიშნული უკრნალის სხვა რომელიმე ნაწილშია შესაძლებელი დამატებითი ინფორმაციის მიღება ავტორის შესახებ.

მისი სახელი და გვარი გახლდათ დემეტრიუს რუდოლფ პიკოკი. იგი დაიბადა და 1841 წლის 26 სექტემბერს ჩარლზ და კონკორდია პიკოკების ოჯახში, რუსეთში, ტამბოვის გუბერნიაში. როგორ მოხვდნენ მისი წინაპრები რუსეთში? ამ კითხვაზე პასუხი ვიპოვეთ მისი შვილიშვილის, ევგენია პიკოკის მოგონებებში:

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად კავკასიოლოგთა მე-5 საერთაშორისო კონგრესზე „საქართველო კავკასიის კულტურულ-ცივილიზაციურ კონტექსტში (ისტორია, თანამედროვეობა და პერსპექტივები)“ (2019 წლის 4-9 ნოემბერი, თბილისი).

<sup>2</sup> დევანგში შემდგენაირადა: Original Vocabularies of Five West Caucasian Languages. Compiled on the spot by Mr. PEACOCK, Vice-Consul of Batum, Trans-Caucasia, South Russia (პიკოკი 1887:145).

„ჩარლზ პიკოკი ლანკაშირელი ფერმერის ვაჟი გახლდათ და თვითონაც, ძირითადად, ფერმერული საქმიანობით იყო დაინტერესებული. როდესაც იგი დაქორწინდა, სამუშაოს ეძებდა და შემთხვევით წააწყდა განცხადებას, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ვიღაც ეძებდა მოურავს რუსეთში, ტამბოვის გუბერნიაში. ამგვარად, ჩარლზ პიკოკი და მისი ახალგაზრდა მეუღლე გაემგზავრნენ რუსეთში. მათ ძალიან კარგი ურთიერთობა დაამყარეს მემამულესთან, რომელიც მათი დიდი მეგობარი გახდა. მართალია, არ მახსოვს მისი გვარი, მაგრამ სახელად გახლდათ დიმიტრი, და ჩემს ბაბუასაც მის საპატიცემულოდ დაარქვეს ეს სახელი“ (პორ-სბურგ-პორტერი 1993:105). ყმაწვილი პიკოკი სასწავლებლად გააგზავნეს ინგლისში. სკოლის დამთავრების შემდეგ იგი დაპრუნდა რუსეთში და ჩააბარა მოსკოვის უნივერსიტეტში, სადაც სწავლობდა სამართალს. რაც შეეხება მის მოღვაწეობას საქართველოში, თავდაპირველად იგი იყო კონტრაქტორი თბილისი-ფოთის რკინიგზის მშენებლობაზე; მოგვიანებით მსახურობდა იტალიისა და ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულო წარმომადგენლობებში. 1881 წელს კი შევიდა ბრიტანეთის საკონსულო სამსახურში. როგორც ზემოთ დავინახეთ, 1887 წელს იგი უკვე გახლდათ ვიცეპონსული. სამ წელიწადში მას აწინაურებენ კონსულის თანამდებობაზე.<sup>3</sup> მისი რეზიდენცია კვლავ ბათუმშია. ერთი წლის შემდეგ იგი ინიშნება ბრიტანეთის გრინრალურ კონსულად, რის გამოც სამუშაოდ და საცხოვრებლად გადადის ქალაქ ოდესაში, სადაც 1892 წლის 23 მაისს გარდაიცვალა ხანძოკლე ავადმყოფობის შემდეგ. დემეტრიუს რუდოლფ პიკოკი დაკრძალულია ოდესის ბრიტანულ სასაფლაოზე.

ევგენია პიკოკი მოგვითხრობს ბაბუის ლინგვისტური უნარ-ჩვევების შესახებაც: „მასზე ამბობდნენ, რომ იცოდა თხუთმეტი ენა, რაც, ალბათ, გადაჭარბებულია; თუმცა იგი საუბრობდა რამდენიმე ევროპულ ენაზე და მოგვიანებით, როდესაც მსახურობდა ბრიტანეთის საკონსულოში, ბათუმში, მან შეისწავლა რამდენიმე კავკასიური ენაც“ (პორ-სბურგ-პორტერი 1993:105).

1892 წელს ლონდონში დაიბეჭდა დ. რ. პიკოკის ნეკროლოგი, რომელშიც ნათქვამია: „ბათუმში ცხოვრებისას მან სახელი მოიხვეჭა როგორც უაღრესად უნარიანმა საჯარო მოხელემ, ასევე გულგთილმა მეგობარმა და მასპინძელმა. აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ მიმავალ უამრავ მოგზაურს გაახსენდება ბატონი პიკოკისაგან მიღებული დახმარება და სიკეთე. რაღაც რუსულს მშობლიურივთ ფლობდა, მას შეეძლო, სრულიად თანასწორად და შინაურულად ემოქმედა

<sup>3</sup> 1890 წლის 28 იანვრის ნოტიურ „ლონდონის გაზეთმა“ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა მისი დანიშვნის შესახებ: “The Queen has also been graciously pleased to appoint Demetrius Rudolph Peacock, Esq., now Her Majesty's Vice-Consul in Batoum, to be Her Majesty's Consul for Transcaucasia, that is to say, the Governments, Districts, and Provinces of Baku, Elizavetpol, Daghestan, Erivan, Tiflis, Zakatali, Kars, Kutais, and Tchernomoria, to reside in Batoum” (The London Gazette; Tuesday January 28, 1890).

რუსულ საზოგადოებაში, ხოლო რუსული კანონების ცოდნა კარგ სამსახურს უწევდა ბათუმში დროდადრო წამოჭრილი რთული საკითხების გარკვევისას. მას ერთნაირად კარგი ურთიერთობა ჰქონდა თბილისის ოფიციოზთან და ადგილობრივ თავადაზნაურობასთან, ხოლო მისი სახელი ერთგვარ საშვას წარმოადგენდა ქვეყანაში გადაადგილებისას“ (ნეკროლოგი 1892:563).

ოლივერ უორდოპი გახლავთ ერთ-ერთი პირველი ავტორი, რომელიც ასევე მოგვითხრობს პიკოკის პიროვნული თვისებების შესახებ საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით: „[პათუმში] მე თავიდანვე ვისარგებლე შესაძლებლობით, რომ წარმედგინა ჩემი თავი ბრიტანეთის საკონსულოში [...]. ბრიტანეთის ინტერესების ერთადერთი წარმომადგენელი ბატონი დემეტრიუს რ. პიკოკი არის ადამიანი, რომლის მოღვაწეობა უფრო დიდ აღიარებას იმსახურებს. მნელად მოიძებნება ისეთი თანამდებობა, რომლისთვისაც უფრო მეტი დიპლომატიური ტაქტი იქნებოდა საჭირო; და მაინც, იგი ახერხებს იმას, რომ მას პატივს სცემდეს და მისით აღფრთოვანებული იყოს ყველა იმ სხვადასხვა რასის წარმომადგენელი, ვისთანაც მას ყოველდღიური კონტაქტი უწევს. ბატონი პიკოკი დაიბადა რუსეთში და მან თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ამ იმპერიაში გაატარა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი სულით ხორცამდე ინგლისელია. თბილისში მასზე კარგი რამ მიამბეს. ერთხელ საფრანგეთის გენერალურ კონსულს ხუთქამს მისთვის: ‘პიკოკ, თქვენ ინგლისელი არ ხართ, რუსეთში დაიბადეთ.’ ამაზე ჩევნმა წარმომადგენელმა უპასუხა, ‘ჩვენი მაცხოვარი თავდაში დაიბადა, მაგრამ ამის გამო ცხენად არ გადაქცეულა’“ (უორდოპი 1888:1-2).<sup>4</sup> არსებობს ინფორმაცია, რომ, გარდა ზემოდასახელებული ნაშრომისა, მას დაწერილი ჰქონდა წიგნი კავკასიის შესახებ, რომელიც გამოსაცემად არ დამტკიცა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, თუმცა მისმა ქვრივმა<sup>5</sup> განაცხადა, რომ თვითონ გამოსცემდა წიგნს (მორფილი 1895:138). სამწუხაროდ, ამ ნაშრომის კვალი არსად ჩანს.<sup>6</sup>

დემეტრიუს რუდოლფ პიკოკის ცხოვრების გზის გაცნობის კვალად უნდა დავინტერესდეთ იმითაც, როგორ არის წარმოდგენილი და შეფასებული მისი ნაშრომი სამეცნიერო ლიტერატურაში.

<sup>4</sup> როდესაც დევიდ მარშალ ლანგი მოგვითხრობს ოლივერ უორდოპის ვიზიტის შესახებ ბათუმში, იგი ახსნებს პიკოკსაც: „ბრიტანეთის წარმომადგენელი კავკასიაში იყო მარტო ადგილობრივი ვიცე-კონსული მისტერ დიმეტრიუს რ. პიკოკი, რომელიც ორსართულიან კოტეჯში ცხოვრობდა“ (ლანგი 1957:142). აქ არაფერია ნათქვამი პიკოკის ლექსიკოგრაფიული მასალების შესახებ.

<sup>5</sup> ქალიშვილობაში – ტატიანა ბაკუნინა.

<sup>6</sup> აღნიშნულთან დაგავშრებით უინტერესო არ უნდა იყოს ის, თუ რას წერს გერმანელი მოგზაური და გეოგრაფი ვ. გ. რ. რიკმერის: „ჩემი პირველი მოგზაურობის დროს პიკოკი, რომელიც ბრიტანეთის კონსული გახლდათ ბათუმში, უკვე აღარ იყო ცოცხალი. როდესაც მეგობრებმა მიამბეს კარჩხალზე მისი ლაშქრობის შესახებ, მე მივწერე მის ქვრივს [...]“. მან მიპასუხა, რომ მისი განსვენებული ქმარი ავიდა ამ მთაზე, მაგრამ მისი დღიურები ცეცხლმა გაანადგურაო“ (რიკმერი 1934:475).

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, პიკოკის ნაშრომი ყველაზე ადრე ნახსენებია მისივე თანამემამულის, დაგლას ფრეშფილდის წიგნში კავკასიის შესახებ (ფრეშფილდი 1896:212-222).

დ. რ. პიკოკის ლექსიკოგრაფიულ მასალაზე ერთ-ერთ ადრეულ ცნობას ვხვდებით 1898 წელს. სწორედ ამ წელს პრაჩია აჭარიანმა გამოაქვეყნა თავისი ცნობილი ნაშრომი ლაზური ენის შესახებ, რომელშიც დაწერა: „როდესაც წინამდებარე გამოკვლევა იძებულია, შევიტყვე ლაზური ენის თაობაზე არსებული კიდევ ერთი ნაშრომის შესახებ. ეს გახლავთ ასეული სიტყვის სია, რომელიც გამოქვეყნებულია „ლონდონის სააზიო ჟურნალის“ XIX ტომში ბათუმში ინგლისის კონსულის, ბატონი პიკოკის მიერ. [...] მომეცა შესაძლებლობა, რომ შემეტანა ბატონი პიკოკის მიერ მოცემული ფორმების ნაწილი ლექსიკონში და მოვნიშნე ისინი P ასო-ნიშნით. დანარჩენები წარმოდგენილია ქვემოთ, „დამატებებში“ (Addenda). ბატონი პიკოკის გრამატიკული ფორმები მოყვანილია გრამატიკულ ნაწილში“ (აჭარიანი 1898:447).<sup>7</sup> ნიშანდობლივია, რომ ამ ნაშრომზე დაწერილ რეცენზიებში მომდევნო წელს ანტუან მეიე, ხოლო სამი წლის შემდეგ პუგო შუხარდტი მოიხსენიებენ პიკოკს იმ ავტორებს შორის, რომელთა მასალებიც გამოიყენა ჰ. აჭარიანმა თავისი ლექსიკონის შედეგისას (მეიე 1899:516; შუხარდტი 1902:380).

როდესაც ნ. მარი იხილავს ლაზური ენის შესახებ არსებულ ლიტერატურას, იგი ახსენებს პიკოკს და აღნიშნავს: „პიკოკის ნაშრომი მეტისმეტად უმნიშვნელოა იმისათვის, რომ მასზე რაიმე ითქვას. ერთი უპირატესობა აქვს: იგი იყო ლაზეთში და მოუსმინა ნამდვილ ლაზებს“ (მარი 1910:XXIV); სქოლიობში ავტორი ასევე გვაძლობს, რომ „არქაბეში იგი შეხვდა ერთ ლაზს, რომელსაც პიკოკის იქაურ საქმიანობაში მიეღო მონაწილეობა: პიკოკს იქ სამი დღე დაუყვია“<sup>8</sup> (იქვე). იოსებ ყიფშიძის მიერ მეგრულის შესახებ არსებული შრომების მიმოხილვაში პიკოკის პუბლიკაცია არ ჩანს; მხოლოდ გამოყენებული ლიტერატურის სიაში უთითებს მას ავტორი (ყიფშიძე 1914:XXXI). თითქმის იგივე ვითარება გვაქვს თ. კლუგეს „ლაზურის გრამატიკულ მასალებში,“ სადაც იგი მანამდე არსებული ნაშრომების ჩამონათვალშია მოხსენიებული (კლუგე 1913: 265).

აღსანიშნავია, რომ ოლივერ უორდროპი ერთ-ერთი პირველია იმ ავტორებს შორისაც, ვინც ჩვენთვის საინტერესო ნაშრომის შესახებ საუბრობს; თავის „ინგლისურ-სკანურ ლექსიკონში“ იგი ამბობს: „ოცხე მეტი წლის წინათ აწ განსვე-

<sup>7</sup> „დამატებებში“ (Addenda) წარმოდგენილია 24 ლექსიკური ერთეული, რომელთაგან 19 პიკოკის მასალებიდანაა აღებული (აჭარიანი 1898:447-448).

<sup>8</sup> «Работа Peacock'a слишкомъ незначительна, что бы сказать что либо. Одно его преимущество: онъ былъ в Лазистанѣ, слышаль настоящихъ лазовъ» (XXIV); სქოლიობ: «Въ архавѣ я видѣлъ лаза, принимавшаго участіе въ занятіяхъ Peacock'a: по его словамъ, онъ тамъ пробылъ три дня» (იქვე).

ნებულმა ბატონმა დ. პიკოგმა სვანური იმ ზუთ ენაში შეიყვანა, რომელთა ლექსიკაც გამოაქვეყნა „სამეფო სააზიო საზოგადოების უურნალში,“ მაგრამ მასალა მწირი იყო და მასში დიდი რაოდენობით გვხვდება შეცდომები“ (უორდროპი 1911:589). აღნიშნულ ნაშრომზე დაყრდნობით ქ. გენებაშვილი (2000:120) აცხადებს, რომ „დ. პიკოგის სახელი ქართველოლოგთა და კავკასიოლოგთა საზოგადოებისათვის ცნობილი გახადა ოლივერ უორდროპმა [...]. სამწუხაროდ, მას შემდეგ დ. პიკოგის ამ ნაშრომით არავინ დაინტერესებულა.“ როგორც უკვე დავრწმუნდით, პიკოგის მასალები 1911 წლამდეც იყო ხელმისაწვდომი არაერთი ავტორისათვის. რაც შეეხება მის შემდგომ პერიოდს, პიკოგის შესახებ არსებული ლიტერატურის სია უფრო მოცულობითია და მათში უფრო ვრცლადაცაა მსჯელობა წარმოდგენილი.

ნატალია ორლოვსკაია სხვადასხვა ნაშრომში შეეხო დ. რ. პიკოგის ლექსიკოგრაფიულ მემკვიდრეობას. 1994 წელს მან რამდენიმე აპზაცი მოუძღვნა პიკოგის რესურსის შედეგნილობას, ტრანსკრიფციის, თარგმანისა და ტექნიკურ ხარვეზებს (ორლოვსკაია 1994:175). მოგვიანებით, 2013 წელს გამოცემულ წიგნში მან ცალკე თავად შეიტანა „პირველი ცნობები ქართული ენის შესახებ მე-19 საუკუნეში,“ სადაც უკვე უფრო ვრცლად მსჯელობს პიკოგის ლექსიკოგრაფიულ მემკვიდრეობაზე; აქ, ძირითადად, განხილულია ქართული ენის მასალა (ორლოვსკაია 2013:151-153).

თავის მონოგრაფიაში „ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის“ მარიკა ოძელი ჯეროვან ყურადღებას უთმობს ამ ურთიერთობების საენათმეცნიერო კომპონენტებსაც და გვთავაზობს პიკოგის ნაშრომის მოკლე მიმოხილვას (ოძელი 1998:33-34). აღნიშნული ნაშრომი ასევე დასახელებულია თ. მარგალიტაძის (2014) ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიულ მიმოხილვაში.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე სამეცნიერო პუბლიკაცია მიეძღვნა პიკოგის ლექსიკონში მოცემული სხვადასხვა ენის მასალის ანალიზს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნ. ორლოვსკაიასთან (1994; 2013) ვეცნობით, როგორ არის წარმოდგენილი იქ ქართული ენის ლექსიკური და გრამატიკული მონაცემები. სვანური ლექსიკა გამოწვლილვით განიხილა ქ. გენებაშვილმა (2000).<sup>9</sup> ამ ბოლო დროს გამოქვეყნდა ჩვენი სტატია, რომელშიც დაწვრილებითაა გაანალიზებული პიკოგის

<sup>9</sup> აღსანიშნავია, რომ ამ სტატიაში ავტორი ღირსსაცნობ ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას გვაწვდის; იგი გვაუწყებს, რომ უურნალის ნომერი, რომელშიც პიკოგის მასალაა დაბეჭდილი, „დაცულია ივნე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდში. ლექსიკონი ცალკე ამონაბეჭდის სახით ინახება აგრეთვე მარჯორი უორდროპის მასალებში (Wardrop 16.2 (1)) ოქსფორდში, სადაც იგი, პროფ. იზ. ჩანტლაძის თხოვნით, საგანგებოდ მოიძია პროფ. ელგუჯა ზინთიბიძემ და სპეციალურად ჩვენთვის გადმოიღო ფოტოპირი, რისთვისაც ულრმეს მოვახსენებთ“ (გენებაშვილი 2000:120).

პუბლიკაციაში წარმოდგენილი მეგრული მასალა ინგლისურ-მეგრული ლექსიკოგრაფიის ისტორიის კონტექსტში (კიკვიძე, ფაჩულია 2018).<sup>10</sup>

ამჯერად კი უნდა გადავიდეთ დ. რ. პიკოკის ნაშრომის განხილვა-დახასიათებაზე. ეს პუბლიკაცია მოიცავს თორმეტ გვერდს (პიკოკი 1887:145-156). საკუთრივ ლექსიკოგრაფიულ მასალას წინ უძღვის სამეფო სააზიო საზოგადოების სწავლული მდივნის, რობერტ ნიდჰემ კასტის შენიშვნა, საიდანაც ვიგებთ, რომ სწორედ მას შეუგულიანებია დ. რ. პიკოკი ამ სიტყვარის შესადგენად, მასვე მიუწოდებია სიტყვანი; იგი წერს: „როდესაც ვესტუმრე ამიერკავკასიას 1882 წელს კავკასიის ენგბის შესახებ ინფორმაციის შეკრების მიზნით, რომლის შედეგიც დაიგვებდა ჩვენი უკრანალის მე-17 ტომში, ჩემთვის ცხადი გახდა არსებული სიტყვარების სიმწირე და მოვახსენე ეს ბატონ პიკოკს – მისი ბრიტანული უდიდებულესობის ვიცეკონსულს ბათუმში, ვისაც გარკვეული დროით უცხოვრია ფოთში და მოვლილი ჰქონდა ისეთი შხარები, რომელთაც იშვიათად თუ ესტუმრებოდა ვინმე. მან საკმაოდ კარგად გაართვა თავი ლექსიკის შეგროვების საქმეს, მე კი გავუგზავნე მას ბენგალის სააზიო საზოგადოების მიერ შემუშავებული „სიტყვებისა და წინადადებების სტანდარტული ფორმის“ პირი. გარკვეულხნიანი დაყოვნებისა, რაც გამოწვეული იყო მისი ოფიციალური მოვალეობების სიმძიმით და ინგლისში ვიზიტით, რომლის დროსაც მე მქონდა მასთან შეხვედრის სიამოვნება, და ამ საკითხზე კიდევ ერთხელ შეგულიანების შემდეგ მან გამომიგზავნა შედეგნილი სიტყვარები, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანია“ (პიკოკი 1887:145).

რ. კასტის წინასიტყვაობას მოსდევს „სიტყვებისა და წინადადებების სიის შედეგნის ინსტრუქცია,“ რომელიც შეუქმნიათ ბენგალის სააზიო საზოგადოება-ში: „ინგლისური სიტყვებისა და წინადადების თანდართული სია შემუშავებულია ბენგალის სააზიო საზოგადოების მიერ, რათა საშუალება მოგვეცს, ამომწურავად აღვნუსხოთ ნებისმიერ შხარეში გავრცელებული ენის ნიმუშები. თითოეულ ფურცელში შეტანილია ხუთი ენა და ეს ენები უნდა შეირჩეს ერთმანეთთან ნათესაობის პრინციპის მიხედვით. როდესაც ველაფერი შეივსება და დაიბეჭდება, იგი გახდება საფუძველი შემდგომი ნაბიჯებისათვის იმ ენებთან დაკავშირებით, რომელთა გრამატიკები და ლექსიკონები არ მოგვეპოვება. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ამოღებულ იქნეს ყველა ინგლისური, არაბული, პორტუგალიური და ა.შ. ნაერსხები სიტყვა. უნდა შევიტანოთ მხოლოდ „სუფთა“ სიტყვები თითო-

<sup>10</sup> წინამდებარე სტატიაში გვერდს ვუკლით იმ პუბლიკაციებს, რომლებშიც დ. რ. პიკოკის ნაშრომი გაკვრითაა ნახსენები ან ოდენ გამოყენებული ლიტერატურის სიაში გვხვდება. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ რ. ლაკრუას დისერტაცია, რომელშიც ორად ორი წინადადება ეძღვნება ჩვენთვის საინტერესო მასალას: „პიკოკმა (1887, ინგლისურ ენაზე) თარგმნა 200 სიტყვა და ფრაზა ქართულად, მეგრულად, ლაზურად, სვანურად და აფხაზურად. თავისი წინამორბედების მსგავსად, პიკოკიც არ აღნიშნავს თანხმოვანთა სიმკეთრეს“ (ლაკრუა 2009:6).

ეული ენიდან. უნდა შემოვიღოთ ტრანსლიტერაციის ერთიანი სისტემა: მათგან საუკეთესო ლექსიუსისეულია; ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ ერთი სისტემა უნდა შემოვიღოთ ერთ ფურცელში შეტანილი ენებისათვის. თუკი არ იქნება მიღებული ლექსიუსის სისტემა, უნდა დავურთოთ განმარტებითი შენიშვნები, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება თითოეული სიმბოლოს ან დიაკრიტიკული ნიშნის მნიშვნელობა“ (პიკო 1887:145).

ღირსსაცნობია, რომ მათი შედარების მიზნით სხვადასხვა ენის სიტყვარების შეკრება-შედგენის ტრადიციას გაცილებით ადრე დაედო სათავე. ჯერ კიდევ მე-14 საუკუნის დასაწყისში თავის ტრაქტატში „ხალხური მჭევრმეტყველების შესახებ“ დანტე ალიგირი გვთავაზობს უვროპული ენების თავისებურ კლასიფიკაციას იმის მიხედვით, თუ როგორი იყო სიტყვა „დიახ“ ამ ენებში. მოგვიანებით კიდევ ერთმა იტალიელმა (უფრო ზუსტად, გაფრანგებულმა იტალიელმა) იოზევ სკალიგერმა (1540-1609) შეადგინა სიტყვანი, რომელშიც შედიოდა „ღმერთის“ აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები, რის საფუძველზეც გამოყო „Deus ენები“ (ლათინური და რომანული), „Gott ენები“ (გერმანიკული), „Bogе ენები“ (სლავური) და „Theos ენა“ (ბერძნული). ეს და სხვა, მსგავსი ცდები თავისთავად საინტერესო გახლდათ, მაგრამ ისინი მეტისმეტად ფრაგმენტული და, შესაბამისად, არაეფექტური ხასიათისა იყო. უფრო სისტემური მიღომა მოგვიანებით ჩამოყალიბდა, რაც უკავშირდება გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცის (1646-1716) სახელს, რომელიც დაინტერესებული გახლდათ იმის წარმოჩენით, როგორ შეიძლებოდა ცალკეული ენის მონაცემთა გამოყენება ენებსა და მათზე მოღაპარაკე ხალხებს შორის არსებული გენეალოგიური კავშირების დასადგენად. სწორედ ამ მიზნით დაუდო მან სათავე ენათა მონაცემების შეგროვებასა და შედარებას მე-18 საუკუნის ეპირიულ ენათმეცნიერებაში. „იმისათვის, რომ მოეპოვებინა მასალები თავისი კვლევისათვის, ლაიბნიცმა მოუწოდა ყველას, შეედგინათ სიტყვარები და ლოცვების თარგმანები ენათა შედარების მიზნით“ (გულია 1974:258). ნიშანდობლივია, რომ ამ მოწოდებას მან დაურთო იმ სიტყვების სია, რომლებიც, მისი აზრით, მნიშვნელოვანი იყო ენათა შედარების თვალსაზრისით: „რიცხვითი სიტყვები: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, ოცი, ოცდაათი, ორმოცი, ორმოცდაათი, ასი, ათასი. ნათესაობა, ასაკი: მამა, დედა, ბიძა, ძე, ასული, მმა, და. ...სხეულის ნაწილები: სხეული, ხორცი, კანი, სისხლი, ძვალი, თავი. ...მოთხოვნილებები: საკვები, სასმელი, პური, წყალი. ...ბუნებრივი მოვლენები: ღმერთი, ადამიანი, ცა, მზე, მთვარე, ვარსკვლავი, ჰაერი, წვიმა, მეხი, ელვა, ღრუბელი, ყინვა, სეტყვა, თოვლი, ყინული, ცეცხლი... ქვა, ქვიშა... ძაღლი, მგელი, ირემი, მელა, ჩიტი, გველი, თაგვი. მოქმედება: ჭამა, სმა, საუბარი, ხელვა, ყოფნა, დგომა, სვლა, დარტყმა, სიცილი, ძილი, ცოდნა, მოწყვეტა და ა.შ. (გულია 1974:258-259). თანდათან ლაიბნიცის ინიციატივა მძღავრ ტენდენციად გადაიქცა. ადვილი მისახვედრია, რომ ბენგალის სააზიო საზოგადოების სიაც ამ

ტენდენციით იყო ნასაზრდოები.<sup>11</sup> ეს უფრო თვალნათლივ გამოჩნდება, თუ გავეცნობით პიკოკის სიტყვარებს.

აღნიშნული პუბლიკაციის საკუთრივ ლექსიკოგრაფიული ნაწილი შეიცავს 224 სალექსიკონო სტატიას; მათ შორისაა 99 სიტყვა (სხვადასხვა მეტყველების ნაწილი და ლექსიკოსებანტიკური ჯგუფი), 103 სიტყვაფორმა და 22 წინადადება. მეთაური სიტყვები ინგლისურ ენაზე მოცემული, რომლებსაც ახლავს ქართული, მეგრული, ლაზური, სვანური და აფხაზური შესატყვისები.

რადგანაც ჩვენთვის საინტერესო მასალა დიდი წინ დაიბეჭდა და იმდროინდელი ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამო ყველა ენობრივი ერთული საკმარისად გამოკვეთილად არ იკითხება, ჩვენ გადავწყვიტეთ პიკოკის ლექსიკოგრაფიული მასალის გადმოტანა რეპროდუქციის სახით, რათა იგი უკეთ იქნეს აღქმული და გააზრებული იმ სპეციალისტების მიერ, რომლებიც მომავალში მოკიდებენ ხელს აქ წარმოდგენილი მასალის დამუშავებას.

English	Georgian	Mingrelian	Laz	Swanetian	Abkhazian
One	Erti	Arti	Ar	Eshkhvi	Aké
Two	Ori	Jiri	Jūr	Yervi	Ubha
Three	Sami	Sumi	Sum	Semi	Khpa
Four	Otkhi	Otkhi	Otkhu	Voshtkhv	Tshba
Five	Khuti	Khuti	Khut	Vokhvishd	Kpa
Six	Eksfi	Amshvi	Ashi	Usgva	Fba
Seven	Shvidi	Shvitki	Shkit	Tshgvid	Bjba
Eight	Rva	Rua	Orvo	Ara	Ahba
Nine	Tskhra	Tchkhorο	Tchkholo	Tchkhara	Iba
Ten	Ati	Wetti	Vit	Eshd	Iaba
Twenty	Otsi	Etchi	Etchi	Yarveshd	Waja
Fifty	Ormotsi da ati	Jarnetchi da wetty	Jurnetchi da vit	Vokhvishdeshd	Uneujajaba
Hundred	Asi	Oshi	Oshi	Ashir	Shke
I	Me	Ma	Ma	Mi	Sara
ამ ნიშნებით ხასიათდება ომონიმების ჯგუფი, რომელსაც ომოფორმებს უწოდებენ.<sup>4</sup> ეს არის განსხვავებული ლექსიკური ერთეულების კონკრეტული

<sup>2</sup> აქ კიდევ მრავალი ციტატის მოტანა შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, მოცემული ამონარიდები საკმარისია არაერთგვაროვნების საჩვენებლად. განსხვავებული მოსაზრებები კი ქვემოთ არის შეჯმებული.

<sup>3</sup> როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა მეცნიერი იზიარებს დებულებას მნიშვნელობებს შორის სხვაობაზე, ამიტომ ეს არ არის მათი შეხედულებების განმასხვავებელი ნიშანი.

<sup>4</sup> ყველა ტაბის ომონიმის აღმნიშვნელი ტერმინი იწყება თავსართით ომო-, რომელიც მოდის ბერძნული სიტყვიდან სტრუქტურული „საერთო, ერთნაირი, მსგავსი“. ქართულ სამეცნიერო მეტანაში დაგვიდრებულია ტერმინი „ომონიმი“, მაგრამ გხვდება „პომოფო-


ფორმების ფონემური იდენტურობა, მაგალითად, ფრანგ. *ét é „ზაფხული“* და „*ყოფნა*“, თვალი „*მცირებასი ქვა*“ და „*მხედველობის ორგანო*“. ამ ტიპის ომონიმებს უპირისპირებები ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც მნიშვნელობით განსხვავდებიან, მაგრამ მათი გრამატიკული მახასიათებლები და გრამატიკული ფორმები სრულად ემთხვევა ერთმანეთს.<sup>5</sup> ამ შეპირისპირების საფუძველზე აღნიშნული ტიპის ომონიმებს სრულ ომონიმებად მიიჩნევთ, ხოლო ომოფორმებს არასრულ ომონიმებად. არასრულ ომონიმებს აგრეთვე ლექსიკურ-გრამატიკულ ომოფორმებს უწოდებენ (გამყრელიძე, კიკნაძე, შალური, შენგელაია 2008:363).

## 2. ერთნაირი ბგერათმიმდევრობისა და განსხვავებული მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულები

სწორედ ამ ჯგუფში შეიძლება გაერთიანდეს წინა პუნქტში ნახსენები სრული ომონიმები. საკვალიფიკაციო ერთეულად ლექსიმების განხილვა ნიშნავს, რომ ომონიმად მიიჩნევა არა კონკრეტული სიტყვაფორმა, არამედ მთელი ფლექსიური პარადიგმა. მაგალითად, ჯამი „*ღრმია ჭურჭელი*“ და „*მიმატების შედეგი*“, ინგ. *plane „სიბრტყე“* და „*თვითმფრინავი*“, რუს. *брюк „წუნი“* და „*ქორწინება*“.

## 3. ერთნაირი ბგერათმიმდევრობისა და განსხვავებული მნიშვნელობის მქონე ენობრივი ერთეულები როგორც ლექსიკურ, ისე მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეზე

მეცნიერთა ნაწილი ომონიმის უფრო ფართო ცნებად გაიაზრებს და ლექსიკური ერთეულების გარდა ომონიმიად განიხილავს მორფოლოგიური და სინტაქსური დონის ერთეულებსაც. მაგალითად, სინტაქსიში ძირდარი კაცი და ქალი ძირდარი შეიძლება განსაზღვრავდეს როგორც მხოლოდ კაცის, ისე კაც სა და ქალ ს ერთდროულად. შედეგად ერთი და იგივე ბგერათმიმდევრობა დაკავშირებულია ორ განსხვავებულ მნიშვნელობასთან და, შესაბამისად, გვაქვს ორი განსხვავებული სინტაქსური ერთეული:



ნი „*პომოგრაფი*“ და „*პომოფორმები*“. ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ ამ ტერმინების სისტემატიზება და ამოსავალი ტერმინის („ომონიმი“) ანალოგით ყველა სხვა ტერმინსაც ომო-თავსართით გამოვიყენებთ, ე. ი.: ომოფონი, ომოგრაფი და ომოფორმები.

<sup>5</sup> ამ უკიდურესი ტერმენციით, მეცნიერთა ნაწილი სრულ ომონიმებად მიიჩნევს განსხვავებული მნიშვნელობისა და ერთნაირი გრამატიკული მახასიათებლების, გრამატიკული ფორმების, ედერადობისა და დაწერილობის ლექსიკურ ერთეულებს (ლობნერი 2002).

წარმომშობი გრამატიკის თვალსაზრისით, ამგვარ ომონიმიას ეწოდება კონ-სტრუქციული ომონიმია, ხოლო ლექსიკოლოგიაში მას აღნიშნავენ ტერმინით – სინტაქსური მრავალმნიშვნელიანობა.<sup>6</sup>

მორფემულ დონეზე ომონიმის საილუსტრაციოდ მოვიტანთ ომონიმური მორფემის ერთ შემთხვევას. /დ/ ფონემა წარმოადგენს როგორც ვითარებითი ბრუნვის, ისე ვნებითი გვარისა და უწყვეტლისა და მყოფადის კავშირებითის მწვრთვების მავრცობი მორფემების გმოხატულების პლანს:

ვითარებითი ბრუნვის ნიშანი	გნებითი გვარის ნიშანი	ზმნური სავრცობი
კატა-დ	შენ-დ-ება	კწერ-დ-ი გავაკეთებ-დ-ე

4. ერთნაირი დაწერილობის, ერთნაირი წარმოთქმისა და განსხვავებული მნიშვნელობის მქონე ერთეულები

განარჩევენ ერთნაირი და განსხვავებული დაწერილობის ომონიმებს. ერთნაირი დაწერილობის მქონე ომონიმები ომოგრაფებია. მაგალითად, ორი განსხვავებული ლექსიკური ერთეულის, *axis* „ნაჯახი“ და *axis* „ღრძი“, მრავლობითი რიცხვის ფორმა წარმოთქმის (‘aksis) და იწერება (ახეს) ერთნაირად.<sup>7</sup> თუმცა ომოგრაფები ყოველთვის ომონიმები არ არის, რადგან შესაძლებელია, რომ ერთნაირი დაწერილობისა და განსხვავებული მნიშვნელობის მქონე ერთეულები განსხვავებულადაც წარმოითქმოდეს. მაგალითად, ინგლ. *perfect* „სრულყოფილი“ და *perfect* „დახვეწა“ წარმოთქმისას განსხვავდებიან სიტყვათმახვილით. ამავე დროს, შეიძლება ერთსა და იმავე დაწერილობასა და მნიშვნელობას უკავშირდებოდეს რამდენიმე წარმოთქმა. მაგალითად, *vase* „ვაზა“ წარმოითქმის ორნაირად: [va:z] და [veɪz].

5. განსხვავებული დაწერილობის, ერთნაირი წარმოთქმისა და განსხვავებული მნიშვნელობის მქონე ერთეულები<sup>8</sup>

ერთნაირი წარმოთქმა და განსხვავებული მნიშვნელობები ზოგადად ომონიმების საკლასიფიკაციო მახასიათებლებია. ერთნაირი წარმოთქმის ერთეულების

<sup>6</sup> მრავალმნიშვნელიანობა (Ambiguity) უფრო ფართო მნიშვნელობის ტერმინია და აერთიანებს ყველა იმ შემთხვევას, როდესაც გამოსახულებას თუ ბერათმიმდევრობას უკავშირდება ორი ან მეტი მნიშვნელობა, ე.ი. ის, სინტაქსური მრავალმნიშვნელიანობის გარდა, მოიცავს ომონიმიასა და პოლისემიასაც.

<sup>7</sup> წინამდებარე ნაშრომში ყველა ფონეტიკური ტრანსკრიფცია მოცემულია საერთაშორისო ფონეტიკური ანბანით (IPA).

<sup>8</sup> უნდა აღინიშვნოს, ჯგუფების ამგვარად დაყოფა არ გულისხმობს, რომ თითოეული ჯგუფი კონკრეტული მეცნიერის მოსაზრებას შეესაბამება. სხვადასხვა მეცნიერი ომონიმებს ახასიათებს მოცემული ჯგუფებიდან რამდენიმეს შესაბამისად.

დამოუკიდებელ ჯგუფად წარმოდგენის საჭიროება გაჩნდა დამატებითი კრიტერიუმის დაწერილობის შემოტანის გამო. შედეგად, ომოგრაფ ომონიმებთან შეპირისპირებით გამოყოფენ ისეთ ჯგუფს ომონიმებისას, რომლებიც განსხვავებულად იწერება. მაგალითად, ფრანგ. *vin* „ღვინო“, *vingt* „ოცი“, *vint* „მოვიდა“ და *vain* „ფუჭი“ განსხვავებულად იწერება, თუმცა ყველა იკითხება როგორც [vɛ]. ასეთ ომონიმებს ეწოდებათ ომოფონები.<sup>9</sup> ომოფონების განსხვავებული დაწერილობა შეიძლება იყო წერილობით ვარიანტში სიტყვის წარმომავლობის შეარჩენების შედეგი. მაგალითად, რუს. *лестъ* „პირფერობა“ და *лестъ* „ძვრომა“ – ორივე წარმოითქმის როგორც [ljetst̩], მაგრამ იწერება სხვადასხვანაირად, რადგან, ზოგადად, ომოფონები, რომლებიც, მნიშვნელობის გარდა, დაწერილობითაც განსხვავდება, გვხვდება ღრმა ორთოგრაფიის შემთხვევაში, ხოლო მეჩხერი ორთოგრაფიის დროს ომოფონების დაწერილობით განსხვავება შეუძლებელია.<sup>10</sup> ასევე, დაწერილობით განსხვავებული ომონიმები გვხვდება ისეთ ენბში, სადაც გამოიყენება მეთაური ასოები. მაგალითად, *Turkey* „თურქეთი“ და *turkey* „ინდაური“.<sup>11</sup>

ჩვენი აზრით, ჩამოთვლილი ჯგუფებიდან, ომოგრაფების გარდა, ყველა შეიძლება მივიჩნიოთ ომონიმად, რადგან ყველა მათგანი ლინგვისტური ნიშნითაა გა-

<sup>9</sup> XX საუკუნის პირველ ნახევარში შეიქმნა სრულად ომოფონებისგან შემდგარი წინადაღები, ლექსებიც კი, სადაც ყოველი სიტყვა ერთნაირად წარმოითქმის, მაგრამ აქეს განსხვავებული მნიშვნელობები. მაგალითად, 1930 წელს ჩინელმა ლინგვისტმა ჩეაო იუანენმა კლასიკურ ჩინურზე დაწერა ლექსი, რომელიც 92 სიტყვისგან შედგება და ყოველი სიტყვა იკითხება როგორც [ɛ]. კლასიკურ ჩინურში 2500 წლის განმავლობაში მომხდარმა ცვლილებებმა მკვეთრად გახარდა ომოფონების რაოდენობა, რისი ილუსტრაციაცა ეს ლექსი, რომელიც წერილობითი სახით მეტ-ნაკლებად გასაგებია ენის მცოდნისათვის, ხოლო გაედერებული – პრაქტიკულად გაუგებარია.

<sup>10</sup> ანბანურ დამწერლობებს განასხვებენ ორთოგრაფიული სიღრმის მიხედვით. ორთოგრაფიული სიღრმე აღნიშნავს ფონეტისა და გრაფის შესაბამისობის ხარისხს. თუ ერთ ფონემას ერთი გრაფემა შეესაბამება, მაშინ გვაკვს მეჩხერი (გამჭვირვალე) ორთოგრაფია, ხოლო თუ ერთ ფონემას შეესაბამება რამდენიმე გრაფემა, მაშინ ორთოგრაფია ღრმა. მეჩხერი ორთოგრაფიის დამწერლობები აქვთ თურქულს, იტალიურს, ქართულს და ა.შ. ასეთი დამწერლობებით შედგენილი ჩანაწერის წაკითხვა ადვილია, რადგან წაკითხვის წესები სისტემური და თანმიმდევრულია. ღრმა ორთოგრაფიის მქონე დამწერლობების სწავლისას კი საჭირო ხდება მრავალი უწეველო, გამონაკლისი წაკითხვის სწავლა. ღრმა ორთოგრაფია შეიძლება იყოს ეტიმოლოგიის შენარჩუნების შედეგი, როგორიცაა, მაგალითად, ფრანგულის ან ტაილანდურის შემთხვევაში, ან მორფოფონების (როდესაც წაკითხვის მიუხდავად მორფემა ყველა შემთხვევაში ერთნაირად იწერება) შედეგი, როგორც, მაგალითად, კორეულისა და ინგლისურის შემთხვევაში.

<sup>11</sup> არსებობს სიტყვები, რომლებიც ასევე განსხვავდება მნიშვნელობით, რომელთა დაწერილობა ასევე მეთაური ასოთი განირჩება, მაგრამ, ამავე ღროს, წარმოითქმა არ არის ერთნაირი (რის გამოც ისინი არ არიან ომონიმები). მაგალითად *Polish* „პოლონური“ და *polish* „გაპრიალება“.

მოყოფილი (მნიშვნელობა – წარმოთქმა), ომოგრაფები კი – შერული ლინგვისტური და გრამატიკული კრიტერიუმებით (მნიშვნელობა – დაწერილობა). მნიშვნელობისა და წარმოთქმის საშუალებით შეიძლება ყველა სახის ომონიმის დახასიათება (განსხვავებული მნიშვნელობა – ერთნაირი წარმოთქმა) და მათი სხვა ენობრივი ერთეულებისგან გამოჯვნა. მნიშვნელობასა და წარმოთქმასთან ერთად ენობრივი ერთეულების დაწერილობის მიხედვით დახასიათებისას კი დამატებით ისეთი ჯგუფები გამოიყოფა, რომლებიც ყოველთვის არ ემთხვევა სხვა ჯგუფებს:

წარმოთქმა	+	-	-	+	+	+	-	-
მნიშვნელობა	+	-	+	-	+	-	+	-
დაწერილობა	+	-	+	+	-	-	-	+
მაგალითი	სრული პომოგენურობა (ერთი და იგივე სიტყვა)	სრული ჰეტეროგენურობა (არ არის ომონიმი, ომოგრაფი, ომოფონი)	Vase [va:z] [veɪz]	Axes	შექმნა Colour Color	Vin Vingt Turkey Turkey	ბაბუა პაპაზ აბლატივი ხმოვანმონაცლებობა	pérfect perféct
ომონიმი			-	+	-	+	-	-
ომოგრაფი			+	+	-	-	-	+
ომოფონი			-	+	+	+	-	-

მაგალითად, წარმოთქმითა და მნიშვნელობით განსხვავებული ერთეულები (*pérfect* და *perféct*), ან წარმოთქმით განსხვავებული, მაგრამ მნიშვნელობით ერთნაირი სიტყვები (vase), არ არიან ომონიმები, მაგრამ არიან ომოგრაფები, თუმცა ომოგრაფები გარკვეულ შემთხვევებში ომონიმებიც შეიძლება იყოს და, პირიქით, ომონიმები შეიძლება ამავე დროს ომოგრაფები იყოს (შექმნა, axes).

ომოგრაფებისა და ომონიმების იგივეობას ეწინააღმდეგება სხვა ფაქტორიც, რასაც თურქული ენისთვის გამოყენებული დამწერლობების მაგალითზე აკტივირდა. თავის მიხედვის მიხედვის გამოყენებული დამწერლობების მაგალითზე აკტივირდა არა-ბული კონსონანტური დამწერლობა. განსხვავებული ლექსიკური ერთეულები დამთავრება და ჩუქება იწერებოდა როგორც صون. იმპერიის დაშლის შემდეგ ლათინური დამწერლობის საფუძველზე თურქული ენისთვის შეიქმნა ანბანური დამწერლობა და ამ დამწერლობით აღნიშნული ლექსიკური ერთეულები იწერება როგორც Son და Sun. ე.ი., თუ დამწერლობას ომონიმის საკვალიფიკაციო კრი-

ტერიუმად მივიჩნევთ, მაშინ ერთი და იგივე ლექსიკური ერთეული ერთი დამწერლობით ჩატერისას იქნება ომონიმი, ხოლო სხვა დამწერლობით გაკეთებული ჩანატერის მიხედვით – არა.

მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე, ომონიმის განსაზღვრება შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

ტერმინი ომონიმია აღნიშნავს მოვლენას, როდესაც ერთსა და იმავე ბერძნობით დაკავშირებულია ორი ან მეტი განსხვავებული მნიშვნელობა.

სხვაგვარად:

ომონიმები არის ერთნაირი გამოხატულების პლანისა და განსხვავებული შინაარსის პლანის მქონე ენობრივი ერთეულები.

ზემოთ მოტანილ განმარტებებში ომონიმად კვალიფიკაციისთვის ასევე მოცემულია სხვა ტიპის კრიტერიუმებიც: წარმოშობით განსხვავებულობა, მნიშვნელობებს შორის კავშირის არარსებობა. ამ მახასიათებლების მოხმობა საჭირო გახდა ომონიმის პოლისემისგან გასამიჯნად, მოვლენისგან, როდესაც ერთ ენობრივ ერთეულს აქვს რამდენიმე მნიშვნელობა.

როგორც ომონიმია, ისე პოლისემია ერთ ბერძნობით დაკავშირებულ ორ ან მეტ მნიშვნელობას გულისხმობს, მაგრამ ომონიმის შემთხვევაში განსხვავებული მნიშვნელობები წარმოადგენს დამოუკიდებელ ერთეულებს, ხოლო პოლისემის შემთხვევაში რამდენიმე მნიშვნელობა ერთ ერთეულს შეადგენს. იმის დასადგენად, თუ როდის გვაქვს საქმე დამოუკიდებელ მნიშვნელობებთან და როდის ერთი ერთეულის რამდენიმე მნიშვნელობასთან, შემუშავებულია ომონიმისა და პოლისემის გამიჯვნის მეთოდები:

1. თუ მოლაპარაკე მნიშვნელობებს შორის კავშირს გრძნობს, პოლისემიასთან გვაქვს საქმე, თუ არ გრძნობს – ომონიმიასთან.<sup>12</sup>

ჩვენი აზრით, გაუმართლებელია, ამგვარი ღრმა მენტალური მოვლენების კვლევა დავაფუძნოთ მეტყველის შეფასებაზე. ენა არ არსებობს ადამიანისგან დამოუკიდებლად, ამიტომ, ბუნებრივია, ენის კვლევა ადამიანებთან ინტერაქციას უნდა ეფუძნებოდეს. თუმცა მასალის მოპოვება უნდა იყოს მეთოდოლოგიურად გამართული. არ არსებობს საფუძველი ვარაუდისთვის, რომ თუნდაც სპეციალური ცოდნის მქონე ცდისპირს აქვს საკუთარი მენტალური პროცესების ამ ექსპერიმენტისათვის საჭირო ხარისხით წვდომის უნარი.

2. თუ მნიშვნელობებს შორის ერთი „აზრობრივი დერძი“ არსებობს, გვაქვს პოლისემია, თუ არა – ომონიმია. თუ მნიშვნელობებს შორის კავშირი მოიშალა

<sup>12</sup> ამ მოსაზრებას იზიარებს ლორქტო ტოდი (ტოდი 1987:80), ლეონიდ ბულახოვსკი (ბულახოვსკი 1953:46-48) და ა.შ.

(არ აქვთ ერთი აზრობრივი ლერძი) ვიღებთ ომონიმიას. თუ მნიშვნელობებს შორის კავშირი ჯერ კიდევ არსებობს (აქვთ ერთი აზრობრივი ლერძი), გვაქვს პოლისემია.<sup>13</sup>

„აზრობრივი ლერძის“ ცნებაში ივარაუდება ყოველი ახალი მნიშვნელობის წარმოება უშუალოდ პირველი მნიშვნელობიდან. ამ მეთოდის მიღების შემთხვევაში საჭირო ხდება დამატებითი წეს(ები) თავად აზრობრივი ლერძისა და მასთან მნიშვნელობების მეტ-ნაკლები დაშორებულობის, კავშირის განსასაზღვრავად, შესაბამისად, მისი მეშვეობით ვერ მოხერხდება ომონიმიისა და პოლისემიის გამიჯვნა.

3. თუ მნიშვნელობებს ჩავნაცვლებთ სინონიმებით, რომლებიც, თავის მხრივ, ერთმანეთთან სინონიმურ მიმართებას ამყარებენ, საქმე გვაქვს პოლისემიასთან, თუ ვერა – ომონიმიასთან.<sup>14</sup>

ამ მეთოდის გამოყენებას ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი ზღუდავს. ყოველ სიტყვას, რომელთა ომინიმად კვალიფიკაციის საკითხი დაისმის, არ მოეპოვება სინონიმები (მაგ., ლამა – ცხოველი; ლამა – ბუდისტი ბერი). ასევე გვხვდება ისეთი სიტყვები, რომლებიც აშკარად პოლისემიურია და მათ სხვადასხვა მნიშვნელობა მოეპოვებათ სინონიმები (მაგ., ბალანი: 1. ბეწვი; 2. თმა).

მეცნიერთა გარკვეული ნაწილი (იხ. ფოჩხუა 1953, ლაიონზი 1977, ვანდრიე-სი 1937, ბალი 1955) მიიჩნევს, რომ ომონიმია და პოლისემია სხვადასხვა პრინციპით გამოყოფილი ცნებებია. პოლისემია ისტორიული ენათმეცნიერების ცნებაა, რადგან სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა შეძენილი აქვს ენის განვითარების პერიოდში, ხოლო ომონიმია სინქრონიული ენათმეცნიერების კუთვნილებაა. ამრიგად, მრავალმნიშვნელობიან სიტყვაში ომონიმიისა და პოლისემიის გარჩევის ცდა ორი ურთიერთგამომრიცხველი თვალსაზრისის აღრევას ნიშნავს.

ჟ. ვანდრიესი და შ. ბალი (ვანდრიესი 1937:168-169, ბალი 1955:208-209) თვლიან, რომ პოლისემია არსებულისგან განსხვავებული, ახალი მნიშვნელობის წარმოქმნაა, ანუ პროცესია, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში ვითარდება, შემდგომ სრულდება და ენის სინქრონიულ ჭრილში ამ პროცესის მხოლოდ შედეგი, განსხვავებული მნიშვნელობა, არსებობს. ყველა განსხვავებული მნიშვნელობა კი, რომელთაც ერთი და იგივე ბერითი მიმდევრობა შეესაბამება, დამოუკიდებელი ერთეულებია და ეს დამოუკიდებელი ერთეულები ერთმანეთის მიმართ ომონიმებია. აქედან გამომდინარე, ამ მოსაზრების ფარგლებში ომონიმიისა და

<sup>13</sup> იგივე მოსაზრება აქვთ გამოთქმული ვიქტორ ვინოგრადოვს (ვინოგრადოვი 1938:114), რუბენ ბუდაგოვსა (ბუდაგოვი 1953) და სხვ.

<sup>14</sup> ამ მეთოდს ემხრობა ფრენკ პალმერი (პალმერი 1995), ევლოკია გალკინა-ფედორუკი (გალკინა-ფედორუკი 1954:16) და ა.შ

პოლისემიის გამიჯვნის საკითხი საერთოდ არ დგას დღის წესრიგში.<sup>15</sup> უ. ვანდრი-ესისა და შ. ბალისგან განსხვავებით, ჯ. ლაიონზი თავის ადრინდელ ნაშრომში (ლაიონზი 1977) გვთავაზობს პოლისემიის მაქსიმიზაციას, ე.ი. ყველა მრავალმნიშვნელობიანი გამოსახულების პოლისემიად მიჩნევას.


ბ. ფოჩხუა ამ პრობლემას წყვეტს ომნიმიისთვისაც ისტორიული თვალსაზრისით მიღვომით, ე.ი., მისი აზრით, ომნიმებად უნდა ჩაითვალოს ერთგვარად მბგერი სხვადასხვა წარმომავლობისა და მნიშვნელობის მქონე სიტყვები, თუმცა იგი აქვე აღნიშნავს, რომ ამგვარ მიღვომას, მეთოდოლოგიური გამართულობის მიუხედავად, აქვს ნაკლი – დასკვნის გამოსატანად საჭირო მონაცემების სიმცირე.<sup>16</sup> ამ კრიტერიუმით კვალიფიკაციას სჭირდება საანალიზო ერთეულების წარმომავლობისა და სემანტიკური განვითარების ცოდნა, რაც შესაძლებელია, ერთი მხრივ, წერილობითი წყაროების, ხოლო, მეორე მხრივ, რეკონსტრუქციის წყალობით. თუმცა ხანგრძლივი და მდიდარი წერილობითი ტრადიციის მქონე ენების შემთხვევაშიც კი ენის ლექსიკური მარაგის მხოლოდ მცირე ნაწილის ზუსტი წარმომავლობისა და სემანტიკური ცვლილების ეტაპების დადგენაა შესაძლებელი. უმწერლობო ენებისთვის კი ასეთი ენობრივი ერთეულების რაოდენობა კიდევ უფრო მცირეა.

ჯონ ლაიონზი ეტიმოლოგიური მიღვომის სხვა ხარვეზსაც ასახელებს (ლაიონზი 1977:550-569). ეტიმოლოგიური მეთოდისასაც საჭირო ხდება დადგენა, რამდენად სიღრმისეული უნდა იყოს ეტიმოლოგიური ძიება. მაგალითად, ონგლისური სიტყვა *Port<sub>1</sub>* „ნავსადგური“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან პორტუს, ხოლო *Port<sub>2</sub>* „პორტვაინი“ პორტუგალიის იმ ქალაქის სახელიდან, საიდანაც ეს ღვინო იყო იმპორტირებული, თუმცა, პორტუგალიის ამ ქალაქის სახელი პორტო, თავის მხრივ, ეფუძნება ფრაზას *o porto*, რაც ასევე ნავსადგურს ნიშნავს და ასევე ლათინური სიტყვიდან *portus* მომდინარეობს. ამრიგად, ეტიმოლოგიური მეთოდის შესაბამისად *Port<sub>1</sub>-ისა* და *Port<sub>2</sub>-ის* კვალიფიკაცია დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შორეულ ეტიმოლოგიას დავუყრდნობთ.

ამჟამად კონიტიური ლინგვისტიკის, ფსიქოლინგვისტიკისა და კორპუსლინგვისტიკის სფეროებში ყალიბდება მრავალგანზომილებიანი სემანტიკური სივრცის თეორია (grisi 2015; ტეილორი 2012; გრისი 2010; როდი, გასკელი, მარლსენ-უილ-სონი 2004:89). გრაფიკული თვალსაზრისით, მრავალგანზომილებიანი სემანტიკური სივრცე შეიძლება ასე იყოს წარმოდგენილი:

<sup>15</sup> იგივე მოსაზრება აქვთ გამოთქმული ჯეროლდ კაცსა და ჯერი ფოდორს (კაცი, ფოლორი 1963; კაცი 1972).

<sup>16</sup> ამ პოზიციას ემხრობიან არნოლდ ჩიქობავა (არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 2008), სებასტიან ლობნერი (ლობნერი 2002), ჯონ ლაიონზი (ლაიონზი 1996: 58-60).



სურათი 1. სემანტიკური სივრცე

ამ სურათზე მოცემული თითოეული წერტილი შეესაბამება მნიშვნელობის კონკრეტულ რეალიზაციას, ხოლო კუბი – მათი ხედვის განსხვავებულ კუთხეების. მარცხნა კუბში მოცემულია მნიშვნელობის რეალიზაციები, რომლებიც ერთ მნიშვნელობას შეადგენს; დანარჩენ ორ კუბში წარმოდგენილია ხედვის განსხვავებული კუთხიდან (განსხვავებული კონტექსტიდან) დანახული მნიშვნელობის იგივე რეალიზაციები, რომლებიც, შეესაბამისად, ორ და ოთხ მნიშვნელობას ქმნიან. ე.ო. სემანტიკური სივრცის ერთსა და იმავე ზონაზე, მნიშვნელობის რეალიზაციების ერთსა და იმავე სიმრავლეზე წყდომა შეესაძლებელია განსხვავებული ხედვის კუთხიდან, კონტექსტიდან. ამიტომ თეორიის ავტორთა მოსაზრებით, „განსხვავებული მნიშვნელობების ცნება უფრო მეტად დესკრიფციულ მექანიზმს წარმოადგენს, ვიდრე ფიქტური გვისტური სინამდვილის ასახვას“ (გრისი 2015:482).

ომონიმისა და/ან პოლისემის უგულებელმყოფელ, ან რომელიმე მათგანის მაქსიმიზაციის მომხრე თეორიებს ეწინააღმდეგება ფიქტური და ნეიროლინგვისტური კვლევები. თვალის მოძრაობის ანალიზის, პრაიმინგის თუ სხვა მეთოდებით ჩატარებულმა ექსპრიმენტებმა აჩვენა, რომ პოლისემიური სიტყვის აღქმას სჭირდება ომონიმზე ნაკლები დრო (პიკერინგი, ფრისონი 2001; ბერეტა, ფიორენტინო, პოეპელი 2005; როდი, გასკელი, მარლსენ-ვილსონი 2004; როდი, გასკელი, მარლსენ-ვილსონი 2002; აზუმა, ვან ორდენი 1997; ბრისარდი, რილაქრი, დომინიეკი 2001; ვილსონი 1992; ფრაიზერი, რაინერი 1990), რაც განპირობებულია პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობებს შორის უფრო მჭიდრო კავშირით ომონიმურ მნიშვნელობებთან შედარებით. აქედან გამომდინარე, პოლისემია და ომონიმია არის არა რაიმე თეორიული ჩარჩოს ფარგლებში შემუშავებული ცნებები, არამედ ონტოლოგიური მოცემულობა.

ომონიმისა და პოლისემიის მიმართებასთან დაკავშირებით არსებობს ვარაუდი, რომ მათი გარჩევა ხშირად რთულია იმიტომ, რომ ისინი არ გამორიცხავენ ერთმანეთს და მათ შორის არსებობს გრადაცია (ლიპკა 1992; კავი 1982; ლაიონზი 1977, ლაიონზი 1981), ე.ო. პოლისემია და ომონიმია წარმოადგენს „სკალის ორ უკიდურეს წერტილს, რომელთა შორის განთავსებულია კონტინუუმი“ (ლიპკა 1992:139). კონიტიურ მეცნიერებებში ამ მოსაზრებას შეესაბამება კოგნიტიური კატეგორიების ბუნდოვანი საზღვრების თეორია (ლევანდოვსკა-ტომასჩუკი 2007:144-

146; კროფტი, კრუზი 2004:89-91; ლობნერი 2002:174-183), რომლის მიხედვითაც, კოგნიტიურ კატეგორიებს შორის საზღვრები არ არის მკაფიო, გარდამავალია. აქედან გამომდინარე, ენის შინაარსის პლანის მომიჯნავე ელემენტები არ არიან ერთმანეთისგან მკეთრად გამოიჯნული. კატეგორიების ერთმანეთისგან მკაცრად გარჩევის საშუალებას იძლევა მათი ერთმანეთისგან დაშორება, ხოლო მომიჯნავე კატეგორიების შემთხვევაში ეს შეუძლებელია, რადგან მათ შორის მკეთრი ზღვარი არ არსებობს. ამიტომაც ვერ შეიქმნა ისეთი ლინგვისტური მეთოდი, რომელიც ყოველი სიტყვაფორმის ომონიმად ან პოლისემად კატეგორიული კვალიფიკაციის საშუალებას მოგვცემდა. მოცემული ვითარებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე ნეიროლინგვისტური კვლევები პრობლემის გადაწყვეტის შედარებით სარწმუნო საშუალებაა. თუ საანალიზო ერთეულების პერცეფციისას აქტიურდება ტვინის სხვადასხვა უბანი, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი განსხვავდებული სემანტიკური ერთეულებია (ლუკკერი 2007), ამიტომ შეიძლება იყვნებ ომონიმები, მაგრამ არა პოლისემები.

#### **ლიტერატურა:**

**აზუმა, კან ორდენი 1997:** T. Azuma, G. C. Van Orden, Why *safe* is better than *fast*: The relatedness of a word's meanings affects lexical decision times, *Journal of Memory and Language* 36(4), Academic Press Inc., pp. 484-504.

**ბალი 1955:** Ш. Балли, *Общая лингвистика и вопросы французского языка*, Москва.

**ბერეტა, ფიორენტინო, პოეპელი 2005:** A. Beretta, R. Fiorentino, D. Poeppel, The effect of homonymy and polysemy on lexical access. *Cognitive Brain Research*, 24(1), Elsevier, pp. 57-65.

**ბრისარდი, რილარი, დომინიეკი 2001:** F. Brisard, G. Van Rillaer, S. Dominiek, Processing polysemous, homonymous, and vague adjectives, *Polysemy in cognitive linguistics*, John Benjamins Publishing Company, pp. 261-284.

**ბულაховский 1938:** Л. Булаховский, *Введение в языкознание*, Москва.

**бұдагов 1953:** Р. Будагов, *Очерки по языкоznанию*, Москва.

**галькина-федорук 1954:** Е. Галькина-Федорук, *К вопросу об омонимах в Русском языке*, Москва.

**გამყრელიძე და სხვ. 2008:** თ. გამყრელიძე, ზ. კინაძე, ი. შადური, ნ. შენგელაძა, თერიოული ენათმეცნიერების კურსი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

**გრისი 2015:** S. Th. Gries, Polysemy, *Handbook of Cognitive Linguistics*, De Gruyter, pp. 472-495.

**გრისი 2010:** S. Th. Gries, Behavioral Profiles: A fine-grained and quantitative approach in corpus-based lexical semantics. *The Mental Lexicon* 5(3), John Benjamins Publishing Company, pp. 323-346.

- զանգային 1937:** Ж. Вандриес, *Язык*, Москва.
- զորոամբ 1992:** J. N. Williams, Processing polysemous words in context: Evidence for interrelated meanings, *Journal of Psycholinguistic Research* 21(3), Springer, pp. 193-218.
- զօջազգություն 1938:** В. Виноградов, *Современный Русский язык*, Москва.
- յազու 1982:** A. Cowie, Polysemy and the Structure of Lexical Fields. *Nottingham Linguistic Circular*, 11(2), University of Nottingham, Nottingham, pp. 51-65.
- յացու 1972:** J. Katz, *Semantic theory*, Harper and Row, New-York.
- յացու, ֆոդոր 1963:** J. Katz, J. Fodor, The structure of semantic theory, *Language*, 39, Linguistic Society of America.
- յայնաշխատ լայնաշխատ 2020:** *Cambridge Dictionary*, Cambridge University Press, <https://dictionary.cambridge.org/>
- յառաջիկություն, յառաջություն 2004:** W. Croft, D. A. Cruise, *Cognitive linguistics*, Cambridge University Press, Cambridge.
- լաստենքություն 1996:** J. Lyons, *Linguistic semantics: An introduction*, Cambridge University Press, Cambridge.
- լաստենքություն 1981:** J. Lyons, *Language, meaning and context*, Fontana, Bungay.
- լաստենքություն 1977:** J. Lyons, *Semantics*, vol. 1, Cambridge University Press, Cambridge.
- լայնաճափություն-գործականություն 2007:** B. Lewandowska-Tomaszczyk, Polysemy, prototypes and radial categories, *The Oxford handbook of cognitive linguistics*, Oxford University Press, pp. 139-170.
- լուսական 1992:** L. Lipka, *An Outline of English Lexicology*. Tübingen: Max Niemeyer Verlag.
- լուսենքություն 2002:** S. Löbner, *Understanding Semantics*, Hodder Education, An Hachette UK Company, London.
- լուսենքություն 2007:** S. J. Lupker, Representation and processing of lexically ambiguous words, *The Oxford Handbook of Psycholinguistics*, Oxford University Press, Oxford, pp. 159-175.
- միտույնություն 2007:** P. H. Matthews, *The Concise Oxford Dictionary of Linguistics*, Oxford University Press.
- ձալմերություն 1995:** F. Palmer, *Semantics*, Cambridge University Press, Cambridge.
- ձոյցրություն, զրոնթություն 2001:** M. J. Pickering, S. Frisson, Processing ambiguous verbs: Evidence from eye movements, *Journal of Experimental Psychology: Learning, Memory, and Cognition* 27(2), American Psychological Association, pp. 556-573.
- րուժություն, զանցըլություն, մարլեյն-յուլնենթություն 2004:** J. M. Rodd, G. Gaskell, W. D. Marslen-Wilson, Modelling the effects of semantic ambiguity in word recognition, *Cognitive Science*, 28(1), Elsevier, pp. 89-104.
- րուժություն, զանցըլություն, մարլեյն-յուլնենթություն 2002:** J. M. Rodd, G. Gaskell, W. D. Marslen-Wilson, Making sense of semantic ambiguity, *Journal of Memory and Language* 46(2), Elsevier, pp. 245-266.
- Ծյոլություն 2012:** J. R. Taylor, *The Mental Corpus*, Oxford University Press, Oxford.

**ტოდი 1987:** L. Todd, *An introduction to linguistics*, York press, Harlow.

**ფრეიზერი, რაინერი 1990:** L. Frazier, K. Rayner, Taking on semantic commitments: Processing multiple meanings vs. multiple senses, *Journal of Memory and Language*, 29(2), Elsevier, pp. 181-200.

**ქართული ენა – ენციკლოპედია 2008:** რედ.: გ. კვარაცხელია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი.

**ჩიქობავა 2008:** არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

წარმოადგინა ასოცირებულმა პროფესორმა რუსულან ასათიანმა

*Irakli Salia*

## **Homonymy – Qualification Criteria and Methods of Differentiation for Homonymy and Polysemy<sup>17</sup>**

### Summary

Scientific literature regarding homonymy characterizes homonymy inconsistently. Some authors consider homonyms as lexical items or language units, others pay attention to pronunciation or even to the spelling. Hence it is unclear:

- What type of language units should be qualified as homonyms?
- When evaluating language unit should only pronunciation be considered or spelling as well?
- How should one determine distinctiveness or different origin of meanings?

The absence of consensus causes methodological problems not only regarding the qualification of homonyms, but also of polysemes. If there is no method to distinguish individual meanings from the variants of one meaning, homonyms and polysemes cannot be distinguished either. Therefore, if there are no answers to the aforementioned questions, the study of any aspect of homonymy will be devoid of any logic, meaning and consistency.

In this paper we examine opinions, theories and methods regarding homonymy and propose our opinion on what linguistic units should be qualified as homonyms and how homonyms and polysemes should be differentiated.

*Presented by Prof. Rusudan Asatiani*

---

<sup>17</sup> The study PHDF-21-1908 was conducted with the support of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.

„პირის გლოტოქონოლოგია“ ანუ  
„ეტიმოლოგიური ლექსიკოსთატისტიკა“

გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში შედარებით-ისტორიულ ენათ-მეცნიერებაში „შემოიჭრა“ მორის სვოდეშის გლოტოქრონოლოგიური მოდელი (სვოდეში 1952), რომელიც მონათესავე ენათა ოჯახისთვის ფუძეენის დათარიღების საშუალებას იძლეოდა, ანუ აღნიშნული მოდელი გვთავაზობდა მეთოდს, რომლის საშუალებითაც გამოითვლებოდა ის ქრონოლოგიური სიღრმე, რაც მოცემულ ენას (ენებს) უშუალო წინაპარი ფუძეენისგან აშორებდა.

მ. სვოდეშის შრომას გამოქვეყნებისთანავე დიდი გამოხმაურება მოჰყვა: გლოტოქრონოლოგიური გამოთვლები სრულდებოდა სხვადასხვა მონათესავე ენის მიმართ, განიხილებოდა გლოტოქრონოლოგიური მოდელის თეორიული წანამძღვრები, აღინიშნებოდა მისი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

მ. სვოდეშის გლოტოქრონოლოგიური მოდელი გვთავაზობს მონათესავე ენებისთვის მათი წინაპარი ფუძეენის დათარიღების მეთოდს, რომელიც ანალოგიურად არქეოლოგიაში ფართოდ გამოყენებული ე.წ. რადიოკარბონული დათარიღების მეთოდისა. აღნიშნული ანალოგია გულისხმობს მსგავსებას იმ პროცესებს შორის, რომელთაც ემყარება გამოთვლები, ერთი მხრივ, არქეოლოგიაში და, მეორე მხრივ, გლოტოქრონოლოგიაში, კერძოდ:

პროცეს შემთხვევაში ეს პროცესი გულისხმობს, რომ ცოცხალ ორგანიზმში მისი სიცოცხლის განმავლობაში თანაფარდობა ნახშირბადის რადიოაქტიურ (არა-მდგრად) და სტაბილურ (მდგრად) იზოტოპებს შორის მუდმივია. როცა ცოცხალი ორგანიზმი სიცოცხლეს წყვეტს, ეს თანაფარდობა ირღვევა, რადგან რადიო-აქტიური ნახშირბადის დაშლა გრძელდება და, რაც მნიშვნელოვანია, დაშლის პროცესი თანაბარი სიჩქარით მიმდინარეობს.

მეორე შემთხვევაში, გლოტოქრონოლოგიური მოდელი გულისხმობს, რომ არსებობს ბაზისური ლექსიკონი უნივერსალური მნიშვნელობებისა, რომლებიც ყველა ენაშია ლექსიკალიზებული. ასეთი ლექსიკონი, სავარაუდოდ, არსებობდა ფუძეენაშიც, მაგრამ დროთა განმავლობაში ლექსიკონი „იცვითება“, – ზოგი სიტყვა საერთოდ იკარგება (ხმარებიდან გამოდის), ზოგიც ახალი სიტყვით ჩაინაცვლება. აქაც, ივარაუდება, რომ ბაზისური ლექსიკონის ცვეთის პროცესი თანაბარი სიჩქარით მიმდინარეობს.

წარმოდგენილი გლოტოქრონოლოგიური მოდელი აუცილებლობით გულისხმობდა უნივერსალურ მნიშვნელობათა სიის დადგენასა და ბაზისური ლექსიკონის ცვლილების სიჩქარის განსაზღვრას. განსხვავებული ენების ვრცელი ენობრი-

ვი მონაცემების კვლევის შედეგად ამგვარი სია შედგა<sup>1</sup>, რომელიც ცნობილია სვოდეშის სიის სახელწოდებით. ცნობილია სვოდეშის სიის ორი ვარიანტი: 100-სიტყვიანი და 200-სიტყვიანი სიები. ასევე, ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით განისაზღვრა ბაზისური ლექსიკონის ცვლილების სიჩქარე, თუმცა თავის გამოთვლებში მ. სვოდეში შენარჩუნების ზომას ემყარება (ეს არის ამოსავალი ბაზისური ლექსიკონიდან შენარჩუნებულ ფორმათა წილი), რომელსაც აღნიშნავს  $r$  სიმბოლოთი:  $r = 0,86$  (ათასწლეულში) 100-სიტყვიანი სიისთვის და  $r = 0,81$  (ათასწლეულში) 200-სიტყვიანი სიისთვის.

ქრონოლოგიური სიღრმის გამოსათვლელი ფორმულა საბოლოოდ შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

$$t = \frac{\log c}{\log r}, \quad (1)$$

სადაც  $t$  აღნიშნავს ქრონოლოგიურ სიღრმეს,  $c$  აღნიშნავს მოცემულ ენაში ფუძეების ბაზისური ლექსიკონიდან შენარჩუნებული ფორმების რაოდენობას,  $r$  – შენარჩუნების ზომას.

ფორმულა (1) გამოიყენება ერთი ენის მიმართ, ხოლო  $n$  რაოდენობის მონათვესავე ენათა შემთხვევაში ქრონოლოგიური სიღრმის გამოსათვლელი ფორმულა შემდეგი სახისაა:

$$t = \frac{\log c}{n \log r}. \quad (2)$$

ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად, დათარიღდება მოცემულ მონათვესავე ენათა წინაპარი ფუძეების დაშლის წინა პერიოდი.

მ. სვოდეშის მოდელი გამოჩენისთანავე კრიტიკის საგანი გახდა მკვლევართათვის; იყო ერთგვარი კრიტიკული დამოკიდებულება ბაზისური ლექსიკონის მიმართ, მაგრამ კიდევ უფრო მკაცრ კრიტიკას იმსახურებდა ბაზისური ლექსიკონის ცვლილების („ცვეთის“) სიჩქარის სიდიდე: არის ის მუდმივი და უნივერსალური სიდიდე, ერთნაირად დამახასიათებელი ყველა ენისათვის? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად იკვლევდნენ სხვადახვა ოჯახის ენებს და ცდილობდნენ გლობური მეთოდის რამდენადმე დაზუსტებას.

მ. სვოდეშის მოდელის დახვეწა-დაზუსტებაში დიდი როლი შეასრულა ნოსტრატული ენების ცნობილმა მკვლევარმა ს. სტაროსტინმა. თავის ნაშრომში (სტაროსტინი 1989) იგი დაწერილებით განიხილავს სვოდეშის მოდელს და მას არსობრივად სწორად მიიჩნევს, რადგანაც თვლის, რომ ენის ერთადერთი სფერო,

<sup>1</sup> აღნიშნული სია მოიცავს ისეთ მნიშვნელობებს, როგორებიცაა: სხეულის ნაწილები, რიცხვები (მცირე რაოდენობის შესაბამისი), ნათესაობის მარტივ ტერმინთა შესაბამისი მნიშვნელობები, ტოპოგრაფიულ ტერმინთა შესაბამისი მნიშვნელობები, ბუნებრივი მოვლენები, პირის, ჩვენებითი და კითხვითი ნაცვალსახელები, ადამიანის ძირითადი (სასიცოცხლო) აქტივობები და ა.შ.

რომელშიც ცვლილების სიჩქარე მეტ-ნაკლებად თანაბარია და რომელიც, ამავე დროს, მოსახერხებელია რაოდენობრივი თუ სტატისტიკური შეფასებისთვის, არის სწორედ ლექსიკა. მიუხედავად იმისა, რომ გლობოქრონოლოგიის მეთოდი-კა გარკვეულ მკვლევართა მხრიდან საცმაოდ მკაცრი კრიტიკის საგანი გახდა, ს. სტაროსტინის აზრით, მასზე უარის თქმა გამართლებული არაა. ავტორი აღნიშნავს, რომ: „ნებისმიერმა კომპარატივისტმა, რომელსაც გლობოქრონოლოგიურ გამოთვლებთან ჰქონია საქმე, იცის, რომ ახლომდგომ დიალექტებს სვოდეშის 100-სიტყვინ სიაში 90%-იანი თანხვედრა აქვთ; ახლომძნათესავე ენები (სლავური, რომანული, გერმანიკული, თურქული თუ სხვ.), რომლებიც დაახლოებით 1,5-2 ათასწლეულის წინათ ჩამოყალიბდნენ, ამ სიაში 70-80%-იან თანხვედრას ავლენენ; დაბოლოს, ამავე სიის მიხედვით, ზოგიერთ ინდოევროპულ ენათა შორის (რომლებიც 5-6 ათასწლეულის წინათ გამოეყვნენ) თანხვედრა შეადგენს დაახლოებით 30%-ს“ (სტაროსტინი 1989:13).

ბევრი სხვა მკვლევრის მსგავსად, ს. სტაროსტინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გლობოქრონოლოგიის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს, რომ ბაზისური ლექსიკონის ცვლილების სიჩქარე მუდმივი სიდიდეა (თავის გამოთვლებში სტაროსტინი მას აღნიშნავს λ სიმბოლოთი).

როგორც ზემოთ აღინიშნა, გლობოქრონოლოგიური მოდელი არის ზუსტი ან-ალოგი არქეოლოგიაში გამოყენებული დათარიღების მეთოდისა, რომელიც, თავის მხრივ, რადიოაქტივური დაშლის პროცესს ემყარება. მაგრამ, როგორც ს. სტაროსტინი შენიშნავს, სიტყვები ნეიტრონებისგან განსხვავდება: დროის გარკვეული t მონაკვეთის შედეგ კონკრეტული ნეიტრონი ან გადარჩება, ან არა. ნეიტრონებისგან განსხვავებით, სიტყვა შეიძლება „დაძველდეს“ („მოძველდეს“); ფონეტიკური ცვლილებების გარდა, შეიძლება შეიცვალოს სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა (დავიწროვდეს ან გაფართოვდეს, ან, სულაც, დამეტრულად შეიცვალოს), შეიძლება მისი გამოყენების არეალი შეიზღუდოს, ან შედარებით იშვიათად გამოიყენებოდეს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ბუნებრივია, ჩნდება იდეა, რომ λ-ს მნიშვნელობა დამოკიდებული უნდა იყოს t დროის სიდიდეზე. სწორედ ამ დამოკიდებულებას ასახავს ქრონოლოგიური სიღრმის გამოსათვლელი ფორმულა, რომელსაც ს. სტაროსტინი გვთავაზობს (მათემატიკურ აპარატს აქ დაწვრილებით არ განვიხილავთ):

$$t = \sqrt{\frac{\ln N(t)}{-\lambda N_0}}, \quad (3)$$

სადაც ln-ით აღინიშნება ნატურალური ლოგარითმი, N(t) აღნიშნავს t დროისათვის მოცემულ ენაში 100-სიტყვიანი სიიდან შემორჩენილ სიტყვათა წილს, N₀ შეესაბამება ამოსავალ ბაზისურ ლექსიკონს<sup>2</sup>, λ კი აღნიშნავს ბაზისური ლექსიკონის ცვლილების სიჩქარეს (იხ. ზემოთ).

<sup>2</sup> 100-სიტყვიანი სიისათვის  $N_0 = 1$  (მაგრამ თუ N(t)-ს პროცენტებში გამოვსახავთ, მაშინ  $N(t) = 100$ ).

ფორმულა (3)-ის გამოყენებით, იმ ენათა მონაცემებზე დაყრდნობით, რომელ-  
თა ქრონოლოგიური სიღრმე მეტ-ნაკლებად ცნობილი იყო, ს. სტაროსტინმა ცა-  
და დაეზუსტებინა λ-ს მნიშვნელობა და მიღებული შედეგები შემდეგი ცხრილის  
სახით წარმოადგინა (სტაროსტინი 1989:14):

<i>ენები</i>	<i>t<sup>3</sup></i>	<i>λ</i>
იაპონური	1,2	0,05
ინგლისური	1,3	0,08
ჩინური	2,6	0,04
გერმანული	1,2	0,04
ფრანგული	1,5	0,05
ისლანდიური	1	0,06
რიკსმოლი <sup>4</sup>	1	0,05

მოცემული ცხრილის მიხედვითაც, ასევე, დამატებით ემპირიულ მასალაზე  
დაყრდნობით, λ-ს მნიშვნელობა განისაზღვრა 0,05-ით.

კლევის მომდევნო ეტაზზე ს. სტაროსტინი მიუბრუნდა თავად ბაზისური  
ლექსიკონის შემადგენლობას. გლოტოქრონოლოგიური მოდელი ვარაუდობს, რომ  
ბაზისური ლექსიკონიდან სიტყვების შენარჩუნების ალბათობა, დროის რაღაც  
კონკრეტული მონაკვეთისთვის, თანაბარია. თუმცა ნებისმიერი მკვლევრისთვის,  
რომელიც გლოტოქრონოლოგიაში მუშაობს, ცხადია, რომ ყველა სიტყვას (თუნ-  
დაც სვოლების 100-სიტყვიანი ბაზისური ლექსიკონის მიხედვით) შენარჩუნების  
ერთნაირი შანსი არა აქვს. მოცემული კონკრეტული მნიშვნელობის სიტყვისთვი-  
საც კი ცვლილების სიჩქარე განსხვავებული იქნება ენების მიხედვით, რამდენა-  
დაც იგი კულტურულ გარემოცვაზეც უნდა იყოს დამოკიდებული. აქ შეიძლება  
მოვიხმოთ ს. სტაროსტინის მაგალითი: 100-სიტყვიანი სიიდან სიტყვებს მნიშვნე-  
ლობით „მე“, „შენ“, „ყური“ შენარჩუნების უფრო მეტი შანსი აქვთ, ვიდრე  
სიტყვებს მნიშვნელობით „პატარა“ ან „პანი“; ან, თუნდაც, ის ფაქტი, რომ  
სიტყვები მნიშვნელობით „ღრუბელი“ და „კუდი“ უფრო მდგრადია თურქულ  
ენებში, ვიდრე სლავურში; ამასთანავე, არსებობს სიტყვები უნივერსალურად მა-  
დალი მდგრადობით (მაგალითად, მნიშვნელობებით: „მე“, „შენ“, „მზე“, „თვალი“,  
„ყური“ და სხვ., სტაროსტინი 1989:15). ამგვარად, სტაროსტინის აზრით, ბაზი-  
სურ ლექსიკონში სიტყვათა გარკვეულ ჯგუფებს ცვლილების მიმართ<sup>5</sup> მდგრადო-  
ბის განსხვავებული კოეფიციენტები ახასიათებთ. შესაბამისად, შეიძლება წარმო-  
ვიდგინოთ, რომ ბაზისურ ლექსიკონში სიტყვები დალაგებულია მდგრადობის კო-

<sup>3</sup> დრო მოცემულია ათასწლეულებში.

<sup>4</sup> სალიტერატურო ნორვეგიული ენა.

<sup>5</sup> გავითხენოთ: ამ შემთხვევაში ცვლილება გულისხმობს, რომ სიტყვა შეიძლება ამოვარდეს  
ბაზისური ლექსიკონიდან – მას სხვა სიტყვა ჩაენაცვლოს, ან, სულაც, დაიკარგოს.

ეფიცინტების ზრდის (ან თუნდაც – კლების) მიხედვით. შესაბამისად, დროის (t) მიმდინარეობასთან ერთად, ბაზისური ლექსიკონიდან ჯერ ამოვარდება შედარებით ნაკლებად მდგრადი სიტყვები, შემდეგ – ცოტა უფრო მეტად მდგრადი, შედგომ – კიდევ უფრო მეტად მდგრადი და ა.შ. ამავე დროს, რაც უფრო იზრდება t, ბაზისური ლექსიკონის ცვლილების სიჩქარე უფრო და უფრო კლებულობს.

ბაზისური ლექსიკონის ამგვარ წარმოდგენას ს. სტაროსტინმა მიუყენა გარკვეული მათემატიკური აპარატი (დაწვრილებით იხ. სტაროსტინი 1989:14-16) და ქრონოლოგიური სიღრმის გამოსათვლელი ფორმულა (ერთი ფუმეუნიდან მოძლინარე თ რაოდენობის ენებისათვის) შემდეგი სახით წარმოადგინა:

$$t = \sqrt{\frac{\ln N_n(t)/N_0}{-n\lambda \sqrt[n]{N_0(t)}}}, \quad (4)$$

სადაც თ აღნიშნავს ენათა რაოდენობას,  $N_n(t)$  კი – t დროის შემდეგ ამ ენტში შემორჩენილი თანხვედრების წილს (ფონეტიკურად შესატყვისი სიტყვების წილს).

ს. სტაროსტინი მიიჩნევს, რომ: „დათარიღება (4) ფორმულის მიხედვით ბევრად უფრო სანდოა, ვიდრე დათარიღება კლასიკური გლოტოქრონოლოგიის მიხედვით“ (სტაროსტინი 1989:17). იმ ნაკლოვანებების დასაძლევად, რაც ბაზისურ ლექსიკონს უკავშირდება (მაგალითად, პრობლემები სინონიმების შემთხვევაში) და იმის გამოსასწორებლად, რომ გლოტოქრონოლოგიაში სტატისტიკა თითქმის არა გვაქვს (მიიღება ერთი შედეგი, დაზუსტების მიზნით შედეგების სერიის მიღების შესაძლობლობას გლოტოქრონოლოგია არ იძლევა), სტაროსტინი გვთავაზობს მეთოდიკას, რომელსაც უწოდებს ძირის გლოტოქრონოლოგიას, ანუ ეტომოლოგიურ ლექსიკოსტატისტიკას და აყალიბებს მის ძირითად პოსტულატებს (სტაროსტინი 1989:18):

1. ყოველ ენაში არსებობს გარკვეული რაოდენობის ორიგინალური – ე.ი. მოცემული ენის დამოუკიდებლად არსებობის განმავლობაში არანასესხები – ძირეული მორფები (წინასწარი გამოთვლებით, ამგვარი მორფების რაოდენობა ნებისმიერ ცოცხალ სალაპარაკო ენაში არ აღემატება 2-3 ათასს).
2. ამგვარი ძირეული მორფები ხასიათდებიან განსხვავებული სიხშირით – ე.ი., ნებისმიერ ტექსტში მათი გამოჩენის ალბათობები განსხვავებულია.
3. ყოველი კონკრეტული ძირეული მორფების სიხშირე მოცემულ ენაში დროის მოცემული t მომენტისათვის სტაბილური სიდიდეა, რომელიც არ არის (ან ნაკლებად არის) დამოკიდებული იმაზე, თუ რა სახისაა ამორჩეული ტექსტი.
4. ყველა ძირეული მორფება „ძველდება“, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი სიხშირე თანდათან კლებულობს და შეიძლება 0-საც გაუტოლდეს (ამის შემდეგ მოცემული ძირი ენიდან ქრება, იკარება); ამავე დროს, განსხვავებული ძირების დაკარგვის სიჩქარე ერთნაირი არ არის (სიტყვების მსგავსად, ძირებიც იყოფა მდგრადებად და ნაკლებად მდგრადებად).

5. ძირეულ მორფებათა შემადგენლობა ენაში თანაბარი სიჩქარით იცვლება (ე.ი. ძირების გარკვეული სიმრავლიდან, რომელიც რაღაც მოცემული სიხშირით ხასიათდება,  $\Delta t$  დროის მონაკვეთში ძირების ფიქსირებული რაოდენობა დაიკარგება (სტაროსტინი 1989:18).

თუკი კლასიკურ გლოტოქრონოლოგიაში საკამათოა, რამდენად არის ბაზისური ლექსიკონის ცვლილების სიჩქარე მუდმივი სიდიდე, ძირის გლოტოქრონოლოგიაში საკამათოა მე-3 და მე-5 პოსტულატები. მე-3 პოსტულატის სასარგებლობ ს. სტაროსტინი შემდეგ არგუმენტებს წარმოადგენს:

განსხვავებული უანრის ტექსტებში, ცხადია, ლექსიკაც განსხვავებულია და კონკრეტული სიტყვებიც განსხვავებული სიხშირით გვხვდება. როგორც წესი, ერთ ძირისაგან ენაში რამდენიმე სხვადასხვა სემანტიკის მქონე სიტყვა იწარმოება; ძირის სიხშირე არსებითად დამოკიდებულია მის პროდუქტიულობაზე; შესაბამისად, მაღალი სიხშირის სიტყვები გვხვდება ფუძეებში, რომლებიც სემანტიკის სრულიად განსხვავებულ სფეროებს განეკუთვნებიან; სწორედ ამიტომ, რაც უფრო მაღალია ძირის პროდუქტიულობა (სიხშირე), მით მეტია აღბათობა იმისა, რომ მოცემული ძირი შეგვხვდება ნებისმიერი შინაარსისა თუ უანრის ტექსტში.

რაც შეეხება მე-5 პოსტულატს, ის, რა თქმა უნდა, ემპირიულად უნდა გადამოწმდეს, თუმცა მის სასარგებლობ ს. სტაროსტინი შემდეგი სახის ზოგადოურიულ მსჯელობას გვთავაზოს (სტაროსტინი 1989:18):

ავილოთ რომელიმე A ენის 100 არანასესხები ძირეული მორფება და დავძენოთ ეტიმოლოგიური შესატყვისები მონათესავე ენებში. ნათელია, რომ იმ ენებში, რომლებიც გენეტიკურად ყველაზე ახლოს არიან A ენასთან, დადასტურდება შესატყვისობათა მაქსიმალური რაოდენობა და რაც უფრო იზრდება ენის დაშორება A-სგან, მით უფრო კლებულობს ამ ენაში შესატყვისობათა რაოდენობა. გასაგებია, რომ შესატყვისობათა რაოდენობა დამოკიდებულია ამოსაგალი 100 ძირის შერჩევაზე. სტაბილური შედეგისათვის სასურველია შეირჩეს თანაბარი სიხშირის ძირები, ეს კი ძირთა სიხშირული ლექსიკონის არსებობის შემთხვევაში მოხერხდება, თუმცა ამგვარი ლექსიკონის შედეგენა საქმაოდ რთული საქმეა.

აქ შეძლება მოვიშველიოთ მე-3 პოსტულატი, რომლის მიხედვითაც, ყოველ ორიგინალურ ძირეულ მორფებას ენაში ახასიათებს ნებისმიერ ტექსტში გამოჩენის გარკვეული აღბათობა; შესაბამისად, ყოველი ტექსტი ხასიათდება მასში შემავალი ძირეული მორფების გამოჩენის აღბათობათა (სიხშირის) გარკვეული – ერთი და იმავე – განაწილებით.

თუ ეს ასეა, მოსალოდნელია, რომ A ენის სხვადასხვა ტექსტიდან ამოკრებილი ორიგინალური ძირეული მორფების შესატყვისი ძირების წილი A ენის მონათესავე თითოეულ ენაში ყოველთვის თითქმის ერთნაირი იქნება.

ს. სტაროსტინი, ჩატარებული ტესტური გამოთვლების საფუძველზე, მიიჩნევს, რომ კლასიკური გლოტოქრონოლოგიისათვის შემუშავებული მათემატიკური

აპარატის გადმოტანა სავსებით შესაძლებელია ძირის გლოტოქრონოლოგიაში, თუმცა, ამ შემთხვევაში, λ კოეფიციენტის მნიშვნელობა რამდენადმე განსხვავებული იქნება.

ამგვარად, ძირის გლოტოქრონოლოგიაში ქრონოლოგიური სიღრმის გამოსათვლელი ფორმულა (ერთი ენისათვის) არის შემდეგი:

$$t = \sqrt{\frac{\ln N(t)/N_0}{-\lambda N(t)}}, \quad (5)$$

სადაც λ-ს მნიშვნელობა განისაზღვრა წინასწარი გამოთვლებით: λ = 0,035.

ნაკლებად შესწავლილი ენების შემთხვევაში, როცა ხშირად ტექსტები არც არსებობს, ს. სტაროსტინი გვთავაზობს ტექსტის ნაცვლად სვოდეშის 100-სიტყვიანი სიის გამოყენებას.

ძირის გლოტოქრონოლოგიის ავტორი მიიჩნევს, რომ მისი მეთოდით შესრულებული გამოთვლები უფრო ზუსტ დათარიღებას იძლევა და საილუსტრაციოდ გვთავაზობს რუსული ენის დივერგენციის თარიღებს (გამოთვლები შესრულებულია როგორც კლასიკური, ისე ძირის გლოტოქრონოლოგიის მიხედვით) პოლონურთან, ლიტვურთან გერმანულსა და ფრანგულთან მიმართებით (დრო მოცემულია ათასწლეულებში, სტაროსტინი 1989:30):

პოლონ. ლიეტ. გერმან. ფრანგ.

კლასიკური

გლოტოქრონოლოგიით	1.3	3,1	4,7	4,7
------------------	-----	-----	-----	-----

ძირის

გლოტოქრონოლოგიით	1,2	3,2	4,9	5,1
------------------	-----	-----	-----	-----

როგორც ვხედავთ, გამოთვლები ძირის გლოტოქრონოლოგიის მიხედვით მცირეოდენ განსხვავებას იძლევა და ავტორი მიიჩნევს, რომ ეს დათარიღება უფრო ზუსტია, რაც შედარებით ნათლად ჩანს გერმანულსა და ფრანგულთან მიმართებით.

ნათელია, რომ ძირის გლოტოქრონოლოგიის მიხედვით, კვლევა აუცილებლობით გულისხმობს, რომ ჩატარებული უნდა იყოს საკვლევი ენის (ენების) წინასწარი საკმაოდ ღრმა ისტორიულ-შედარებითი ანალიზი.

საზოგადოდ, გაუმართლებელია ნებისმიერი სახის გლოტოქრონოლოგიური კვლევის წარმოება ნაკლებად შესწავლილი (ისტორიულ-შედარებითი ან თუნდაც ისტორიული თვალსაზრისით) ენების მიმართ. ივარაუდება, რომ გლოტოქრონოლოგია, განსაკუთრებით კი ძირის გლოტოქრონოლოგია, დიდ როლს შეასრულებს ენათა შორეული ნათესაობის შემოწმებაში და მათ გენეალოგიურ კლასიფიკაციაში.

## **ლიტერატურა:**

- გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაძა, 2008:** ო. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ბ. შენგელაძა, *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 589-601.
- ლით 1953:** R. B. Lees, The basis of glottochronology, *Language* 29 (1953), 113-127.
- სვადეში 1955:** M. Swadesh, Towards greater accuracy in lexicostatistic dating, *International Journal of American Linguistics* 21, 121-37.
- სვოდეში 1960:** М. Сводеш, Лексикостатистическое датирование доисторических этнических контактов (на материале племен эскимосов и североамериканских индейцев, *Новое в лингвистике*, Вып. I, Издательство иностранной литературы, Москва, 23-87.
- სოსელია 2019:** ე. სოსელია, გლოტოქრონოლოგია და ლექსიკოსტატისტიკა, *ენათმეცნიერების საკითხები*, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 102-112.
- სტაროსტინი 1969:** С. А. Старостин, Сравнительно-историческое языкознание и лексикостатистика, *Лингвистическая реконструкция и древнейшая история Востока*, Академия наук СССР, Москва, 3-39.

*Ether Soselia*

### **“Root Glottochronology” or “Etymological Lexicostatistics”**

#### **Summary**

Starting from the early 1950s, the method of glottochronology proposed by the American linguist Morris Swadesh has become very popular in the comparative-historical linguistics. The model is aimed at solving the problem of time depth; it makes possible to date the level of the proto-language for the genetically related languages and the calculation is based on the basic vocabulary established by Swadesh, the so-called Swadesh-list, two variations of which (100-word list or 200-word list) are known.

Since then a wide range of articles has appeared involving Swadesh-style glottochronology and the attitude of the authors towards the model was positive, negative, or neutral. The major problems of glottochronology were identified and soon some refinements to the model were proposed.

An important role in the refinement of the Swadesh-style glottochronology was played by S. Starostin. Reinterpreting the known model, he proposed the new one called *Root Glottochronology* or *Etymological Lexicostatistics*. The renewed model of glottochronology is based on the phonological (etymological) correspondences between the roots of the genetically related languages.

S. Starostin changed the calculating formula: choosing 100 non-loan roots in any text of the language A and finding their phonologically correspondent roots in the genetically related language B, the shared number of correspondences makes possible to calculate the date of their proto-language. As S. Starostin noted, the procedure of his calculation presupposes the prior etymological analysis.

It is supposed that the root glottochronology will play an important role in testing theories of remote relationship and in establishing genetic classifications.

## თარგმანი

ლეონარდ ბლუმფილდი  
ოპაროს სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ტიტლი და უფიგურითა მეტყველება<sup>1</sup>

#### I

წიგნიერთა და უწიგნურთა მეტყველება ინგლისურში აშკარად განსხვავდება ერთმანეთისაგან. „არასწორი“ თუ „უმართებულო“ გამოთქმის, „ცუდი გრამატიკის“, „არასწორი წარმოთქმის“ და მსგავს საკითხებს, ზოგიერთი წვრილმანი საკითხის გარდა, ადვილად განვსჯით. ფაქტობრივად, ეს არის არასპეციალისტის მთავარი ენათმეცნიერული ინტერესი.

მიუხედავად ამისა, როდესაც ვცდილობთ, რომ განვსაზღვროთ, რას ვგულისხმობთ ამგვარი შეფასებებით, ჩამოვაყალიბოთ „შეცდომათა“ მიზეზები ან დავადგინოთ სტანდარტი, ვაწყდებით დიდ სირთულეებს. ამ საკითხთა საყოველთაოდ გავრცელებული ახსნა უდავოდ მცდარია, ენათმეცნიერ სტუდენტებს მცირედი შეხება თუ ჰქონიათ ექსპლიციტურად, რამდენადმე ირიბად და არასდროს დამაკმაყოფილებლად. ამ სტატიაში მოვიყვან ზოგიერთ ფაქტს სამეტყველო კოლექტივიდან (speech-community), სადაც გარემოებები იძლენად ძლიერ განსხვავდება ჩვენი გარემოებებისგან, რომ, გარკვეულწილად, შევამოწმებ მათ და შევეცდები დასკვნების გამოტანას. დასაწყისშივე უნდა ვთქვა, რომ ეს დასკვნები არც საბოლოოა და არც საკმარისად სრული, დამაკმაყოფილებლად რომ მივიჩნიოთ.

#### II

„სწორი“ და „არასწორი“ მეტყველების საყოველთაოდ გავრცელებულ ახსნას ეს საკითხი დაპყავს ცოდნისა და უცოდინარობის დაპირისპირებამდე. არსებობს სწორი ინგლისური. უცოდინარმა პიროვნებამ არ იცის სწორი ფორმები, მაშასადამე, მას არ შეუძლია, რომ არ გამოიყენოს არასწორი ფორმები. პრაქტიკული მეცადინეობით და ნებისყოფის ძალისხმევით („დაკვირვებული მეტყველება“) განათლების მიღების პროცესში ადამიანი სწავლობს სწორ ფორმებს და ითვისებს მათი მოხმარების ჩვევას. თუ ადამიანი ურთიერთობს უცოდინარ მოლაპარაკებთან ან აღუნებს ნებისყოფის ძალისხმევას („დაუდევარი მეტყველება“), ადამიანი გამოიყენებს არასწორ ფორმებს.

<sup>1</sup> Leonard Bloomfield. Literate and Illiterate Speech. *American Speech*. Vol. 2, No. 10, July, 1927. Duke University Press.

მარტივი იქნება, მაგრამ დიდ სივრცეს მოითხოვს, რომ ვაჩვენოთ, ეს შეხედულებები (notions) არ შეესაბამება სინამდვილეს. არ არსებობს „სწორი“ ინგლისურის დადგენილი სტანდარტი. საჭიროა, გავიხსენოთ, რომ ორი ადამიანიც კი ერთნაირად არ ლაპარაკობს და, ამგვარად, მთლიანობაში რომ ავიღოთ, ყველა ენა მუდმივად იცვლება. როდესაც ლაპარაკს ვსწავლობთ, ვართ უცოდინარი ჩივილები, მიუხედავად ამისა, ხუთი თუ ექვსი წლის ბავშვები ლაპარაკობენ „სწორი“ ინგლისურით. ზოგიერთი უცოდინარი სრულწლოვანი ადამიანიც კი ლაპარაკობს „კარგი“ ინგლისურით; მეორე მხრივ, არიან უაღრესად განათლებული ადამიანები, მასწავლებლებიც და პროფესორებიც კი, რომლებიც „ცუდი“ ინგლისურით ლაპარაკობენ. ყველა ლაპარაკი, ცუდიც და კარგიც, დაუდევარია, მხოლოდ რამდენიმე წუთით ყოველ ჯერზე ადამიანს შეუძლია „დაკვირვებული“ ლაპარაკი და როდესაც ასე ლაპარაკობენ, შედეგს ნამდვილად არ ეთქმის სასიამოვნო. დაქანცულობისა და უხალისობის დროს „დაკვირვებული“ ლაპარაკი ჰგავს ცარცით გასტულ ხაზზე ან დაჭიმულ ბაგირზე სიარულს.

თუ ამ ყველაფერს გვერდით გადავდით, საყოველთაოდ გავრცელებულ შეხედულებაში არსებობს ერთი უხეში შეცდომა, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა: არასწორი ფორმები არ შეიძლება იყოს უცოდინარობისა თუ დაუდევრობის ბრალი, რადგნაც სულაც არ არის შემთხვევითი, არამედ, პირიქით, ძალიან სტაბილურია. მაგალითად, თუ პიროვნება ისეთი უცოდინარია, რომ არ იცის, როგორ თქვას *I see it* („ვხედავ“) წარსულ დროში, შეიძლება მოველოდოთ, რომ გამოიყენებს ყველა შემთხვევით ფორმას და, განსაკუთრებით, მიმართავს ადვილად წარმოსაქმნელ გამონათქვამებს, როგორიცაა *I did see it* („ნამდვილად დავინახე“) ან წარსული დროის რეგულარული სუფიქსის დამატებით: *I seed it*. მაგრამ ამის ნაცვლად ეს უცოდინარი ხალხი საკმაოდ თანმიმდევრულად ამბობს *I seen it*. ახლა ცხადია, რომ ერთადერთი მუდმივი და თანმიმდევრული ფორმა იქნება არანაკლებ რთული, ვიდრე სხვა: ადამიანმა, რომელმაც ისწავლა *I seen* როგორც *I see-ს* წარსული დრო, ისწავლა ზუსტად იძენივე, რამდენიც იმან, ვინც ამბობს *I saw-ს*. უბრალოდ, მან ისწავლა რაღაც განსხვავებული. თუმცა უმრავლესობა, რომლებიც ამბობენ *I seen-ს*, არის უცოდინარი, მათი უცოდინარობა ვერ ხსნის (account for) მეტყველების ამ ფორმას. მეორე მხრივ, ოდესლაც ვიცნობდი სკოლის მასწავლებლს, რომელიც დაკვირვებული ლაპარაკის დროს ხანდახან ამბობდა *I have saw it*; ნორმალურ მეტყველებაში ამბობდა *I have seen it*. მოკლედ რომ ვთქვათ, საკითხი, რომელსაც ვაწყდებით, არის არა კარგად ფორმირებული (well-in-formed) და რეგულირებული აქტივობა უცოდინარი და დაუდევარი აქტივობის საპირისპიროდ, არამედ შეჯახება განსაზღვრული, მუდმივი (fixed) გამოთქმებისა, რომელთაგან ერთ-ერთი რაღაც მიზეზით არის „კარგი“, მაშინ, როდესაც სხვები არის „ცუდი“.

რამდენადაც მცდარია საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულებები (notifications) ამ საკითხის შესახებ, იმდენად საინტერესოა, რადგანაც ნათელს პფენენ ჩვენს დამოკიდებულებას ენისადმი. არასწორი ენის საყოველთაოდ გავრცელებული ახსნა არის, უბრალოდ, არასწორი წერის (writing) ახსნა, როგორც განუყოფელი ნაწილი, გადაბარებულია არასწორი მეტყველების ახსნისათვის. სწორედ ყოველი სიტყვის დაწერილობაა, რომლისთვისაც ერთი ფორმა არის დაღვენილი, ხოლო სხვა დანარჩენი აშკარად მცდარი. ეს არის სიტყვის მართლწერა, რომელიც უცოდინარმა ხალხმა, ან, უკეთესად რომ ვთქვათ, გაუნათლებელმა ხალხმა არ იცის. სწორედ დაწერილობა სრულდება დაკვირვებით ან დაუდევრად სისწორესთან მიმართებით. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ფართოდ გავრცელებული შენიშვნა მეტყველების მცდარი ფორმის შესახებ მოცემულია დაწერილობის და არა მეტყველებისათვის განკუთხნილი ტერმინებით. მაგალითად, ვინც ამბობს git-ს ნაცვლად get-ისა „მიღება“ ან ketch-ს ნაცვლად catch-ისა „დაჭერა“, საყოველთაოდ გავრცელებული ნათქვამია, რომ ერთი ასო ანაცვლებს მეორეს, ირევა სიტყვის მართლწერა. მთლიანობაში, საყოველთაოდ გავრცელებული იდეები ენის შესახებ ძალიან კარგად მიემართება დაწერილობას, მაგრამ არალირებულია მეტყველებისათვის.

ასე რომ, დაწერილობა, რა თქმა უნდა, უბრალოდ, მეტყველების ჩანაწერია. ამ ჩანაწერის გაკეთება სამეტყველო აქტივობისგან ძალიან სხვაობს. ეს განსაკუთრებით თვალში საცემია, რადგანაც ჩვენი დაწერილობა მეტყველების პარალელური სრულიადაც არ არის და შეიცავს უამრავ ისეთ მართლწერას, როგორიცაა go: throw: sew: beaugh: though, სადაც განსხვავებული მართლწერები ასახავს ბერათა ერთ ტიპს და ისეთები, როგორებიცაა though: through: bough: couch: rough, სადაც ერთი მართლწერა ასახავს ბერის სხვადასხვა ტიპს. დაწერილობა, როგორებიცაა: ტელეგრაფია და სტენოგრაფია, ენასთან დაკავშირებული აქტივობებია, მაგრამ საქმაოდ განსხვავებულია, გაცილებით ნაკლებად გამოიყენება პრაქტიკაში და ჩვევაში ნაკლებად გამჯდარია, უფრო ზედაპირულია ჩვენს ხასიათში, ვიდრე მეტყველება. ბოლო ხანებამდე მხოლოდ ადამიანების მცირე ნაწილმა იცოდა კითხვა და წერა. დღესაც კი ბევრი არ წერს თავის ენაზე. წერა ეფუძნება მეტყველებას, და არა პირიქით.

ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა, გარდა ენის სტუდენტებისა, ხსნის მეტყველების საკითხს მხოლოდ დაწერილობას მისადაგებული მტკიცებულებებით, აქვს დიდი ფსიქოლოგიური ინტერესი. ადრეულ ასაგში, როდესაც ვისწავლეთ ლაპარაკი, უდავოდ არ გვქონდა სიტყვები, რომლებითაც აღვწერდით, რასაც ვაკეთებდით. მას შემდეგ, რაც ვისწავლეთ ლაპარაკი, არ გვქონა შემთხვევა, რომ აგვეთვისებინა ასეთი სიტყვები ან გაგვეკეთებინა ასეთი აღწერა. აქედან გამომდინარე, როგორც ზრდასრულებმა, არ შეგვიძლია, მკაფიოდ ჩამოვაყალიბოთ, რასაც ვაკეთებთ ლაპარაკის დროს: ვერ ვაცნობიერებთ ენისა და სახმო სიმების მოძრაობას, ვერ ვაცნობიერებთ ბევრით მოდელებს ან ჩვენი მეტყველების გრამატიკულ

სტრუქტურას;<sup>2</sup> მეორე მხრივ, წერა ავითვისეთ მას შემდეგ, რაც დავეუფლეთ ლაპარაკს. ფაქტობრივად, წერა შევისწავლეთ მეტყველების საშუალებით. მასწავლებელმა გვითხრა სიტყვიერად, რა უნდა გაგვეკეთებინა და გაგვწვრთნა ჩამოსაყალიბებლად; კისწავლეთ ასოთა სახელები და სიტყვათა მართლწერა, ე.ი., რომ განვსაზღვროთ, მოცემული სიტყვისათვის რომელ ასოებს ვებმარობთ. აქედან გამომდინარე, მას შემდეგ შეგვიძლია, აღვწეროთ, რასაც ვაკეთებთ წერის დროს: ვაცნობიერებთ ჩვენს მოძრაობებს წერის დროს და ასოთა ფორმებსა და თანმიმდევრობას. მტკვარ კონტრასტთა საფუძველზე ზოგიერთი ფსიქოლოგი აღგენს ძალიან კარგ შემთხვევას იმ შეხედულებისათვის, რომ „ცნობიერი“ მოქმედება არის, უბრალოდ, ის, რომელთა აღწერაც სიტყვიერად შეგვიძლია. იმის მიუხედავად, ვინმე ეთანხმება თუ არა ამ შეხედულებას, ადვილი დასანახავია, რომ ნორმალური პიროვნება, როდესაც სთხოვენ, რომ განმარტოს რაიმე ენის შესახებ, რეალურად ლაპარაკობს დაწერილობის შესახებ, რათა დავინახოთ, თუ რატომ დასჭირდა სტუდენტთა თაობები მეტყველების შესახებ ტექნიკური ტერმინების განვითარებას და რატომ სჭირდება ახლა დიდი დრო ამ ტერმინთა ხმარების დასწავლას იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანს სურს ენის მეცნიერული კვლევის დაწყება.

### III

„კარგი“ და „ცუდი“ ინგლისურის საყოველთაოდ გავრცელებულმა შეხედულებამ გვატარა კარგი გზით და გვიჩვენა ზოგიერთი საინტერესო პერსპექტივა, მაგრამ მიგვიყანა იქ, საიდანაც დავიწყეთ. სამეცნიერო ხედვა, თუმცა არადამაკმაყოფილებელი, უფრო შორს წაგვიყვანს. სხვადასხვა ენის უფრო ვრცელ მიმოხილვასა და მათ ისტორიაზე დაფუძნებულ ამ მიმოხილვას უპირატესობა აქვს, ვიდრე ეს ნებისმიერ პიროვნებას შეუძლია; ასევე უპირატესობა აქვს მეთოდოლოგიური მიღვომითაც. ეს უკანასკნელი ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვოპერირებთ „კარგი“ და „ცუდი“ ენის ტერმინებით, ან მათი ეკვივალენტებით, რადგან სწორედაც მათ განსაზღვრას ვცდილობთ.

უპიროველეს ყოვლისა, ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანთა ნებისმიერ ჯგუფში, განუვითარებელსა თუ ცივილიზებულში, უცოდინარებსა თუ განათლებულებში, ბავშვები იმიტაციით სწავლობენ მათ გარშემო მყოფი უფროსი ადამიანების სამეტყველო ჩვევებს. ბავშვიც კი ლაპარაკის სწავლისას არ იყენებს შემთხვევით ფორმებს: უფრო და უფრო უახლოვდება უფროსების ნახმარ ფორმებსა და საბოლოოდ ლაპარაკობს მათ მსგავსად. სამეტყველო ნაკლოვანებები ადრეული ბავშვობის შემდეგ წარმოადგენს ინდივიდუალურ ანომალიებს; ამათ გარდა, ინდივიდთა

<sup>2</sup> როგორია, როდესაც სკოლის მოსწავლეები სწავლობენ ინგლისური გრამატიკის ცოტა და საკმაოდ ზედაპირულ ფაქტებს, რომელთაც ადვილი ეთმობათ სასკოლო ტურიკულუმში. თავანთი შმობლიური ენის სრული აღწერის მსგავსი რამეც კი ნებისმიერი ლინგვისტისათვის რთული საქმეა.

მეტყველების თავისებურებები არის უაღრესად მცირე. ის დარჩენილი ცხოვრება ლაპარაკობს ერთგვაროვნად, რამდენადაც დამკაირვებელს შეუძლია ამის შემჩნევა.

მიუხედავად ამისა, ისტორია აჩვენებს, რომ ყოველი კოლექტივის ენა მუდმივად, თანდათანობით და ნელა იცვლება. ეს ცვალებადობა ერთგვაროვნია ადამიანთა ერთ ჯგუფში, რომელშიც მუდმივად ელაპარაკებიან ერთმანეთს, ვთქვათ, ერთი სოფლის ფარგლებში. მაგრამ, სადაც კომუნიკაცია ნაკლებია, ცვალებადობები ნამდვილად განსხვავებულია. მაგალითად, თუ ერთსა და იმავე ენაზე მოლაპარაკე ადამიანები დასახლდებიან ისე, რომ შექმნან ორი მაღალმთიანი სოფელი შეუში დიდი ხეობით, მაშინ რამდენიმე თაობაში სხვადასხვა ცვალებადობა მოხდება ორივე ჯგუფში. საბოლოო ჯამში, როცა შეხვდებიან, გაუჭირდებათ ერთმანეთის გაგება; თუ განცალკევებით დარჩებიან საკმარისად დიდ ხანს, საბოლოოდ შეიძლება ილაპარაკონ სხვადასხვა (mutually unintelligible) ენაზე. როდესაც ანგლებისა და საქსების ნაწილმა დატოვა ევროპის კონტინენტი მეზუთე საუკუნეში, ისინი ლაპარაკობდნენ იმავე ენაზე, რომელზეც თავიანთი ტომების ნაკლებად ინიციატივიანი (enterprising) წევრები, რომლებიც შინ დარჩნენ. მიუხედავად ამისა, მას შემდეგ როგორც ემიგრანტების, ასევე შინ დარჩენილების ენა შეიცვალა და რადგანაც მცირე კომუნიკაცია ჰქონდათ ჩრდილოეთის ზღვაში, ეს ენები შეიცვალნენ სხვადასხვა გზით, დღევანდლამდე ინგლისელსა და ნიდერლანდელს ან ჩრდილოეთგერმანელს არ ესმოდათ ერთმანეთის მეტყველება. ამგარად, სადაც არის ზღვარი, რომლის გადაღმაც იზღუდება კომუნიკაცია, – წყალი, მთები, უდაბნოები, პოლიტიკური საზღვრები და მისთანანი, – ჩვენ ვაწყდებით სამეტყველო განსხვავებებს, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიამ შეიძლება გვითხრას, ოდესაც, ვთქვათ, თავდაპირველ საცხოვრისში, მათ ერთგვაროვნება ახასიათებდა.

ახლა, როდესაც ვითარდება ცივილიზაცია, მოსახლეობა მით მეტად მჭიდროვდება, კომუნიკაციის საშუალებები უმჯობესდება და უმნიშვნელო პოლიტიკური საზღვრები კარგავს თავის მნიშვნელობას. უფრო და უფრო ხშირად ადამიანებს, რომლებიც ქვეწის სხვადასხვა მხარეში ლაპარაკობენ განსხვავებულ ადგილობრივ დიალექტებზე, ერთმანეთთან საუბრის შესაძლებლობა აქვთ. ასეთი შესაძლებლობების დროს მაღევე სწავლობენ იმ მეტყველების ფორმათა თავიდან არიდებას, რომლებსაც შეცდომაში შეჰქავთ თანამომმე ან გაუგებარია მათოვის. ჩვეულებრივ, არსებობს ქალაქი, რომელიც ცენტრის დანიშნულებას ასრულებს სახელმწიფოს უფრო ფართო აქტივობებისათვის. სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებლები ერთმანეთს ეკონტაქტებიან უფრო მეტად ასეთ ქალაქში, ვიდრე სხვაგან; პროვინციელს აქვს მეტი შესაძლებლობა, რომ დაელაპარაკოს ამ ქალაქის მკვიდრს, ვიდრე სხვა დიალექტზე მოლაპარაკეს. ინგლისურის ისტორიაში ლონდონმა შეასრულა ეს როლი. ამგვარად, წარმოიქმნება მეტად ან ნაკლებად განსაზღვრული ფორმის სალიტერატურო ენა (standard language). საბოლოოდ, ცივილიზაციას მივყაროთ დამწერლობის ფართო გამოყენებისაკენ. რადგანაც დამ-

წერლობა არის უკიდურესად წინასწარგანზრახული აქტივობა, ადვილია ვინმეს დამწერლობის მორგება ფართო კომუნიკაციის მოთხოვნებზე: ადამიანი თავიდან ირიდებს პროვინციალიზმებს და თუ არსებობს მეტროპოლისი, ბაძავს ქალაქის დამწერლობას. ამგარად, ისე ხდება, რომ სალიტერატურო ენა არის ყველაზე მეტად განსაზღვრული, მასზე დაკავილება ყველაზე უკეთესად შეიძლება წერილობით ფორმაზე, ლიტერატურულ ენაზე (literary language). შემდეგი საფეხური არის საყოველთაო განათლება: ბავშვებს სკოლაში ასწავლიან წერას და, თუ შესაძლებელია, ლაპარაკსაც სალიტერატურო ენის ფორმით.

თუ მართებულად მესმის, აქ ენათმეცნიერებას (the science of language) შეუძლია მოგვცე „კარგი“ და „ცუდი“ ენის ახსნა. პროვინციაში, ვთქვათ, რომელიმე მაღალმთიან სოფელში გაზრდილი ბავშვი სწავლობს ადგილობრივ დიალექტზე ლაპარაკს. საბოლოო ჯამში, ნამდვილად ეს ადგილობრივი დიალექტი შეითვისებს მეტ და მეტ ფორმას სალიტერატურო ენისგან, მაგრამ ჯერჯერობით კაცობრიობის ისტორიაში, როგორც ჩანს, სრული სტანდარტიზაცია არსად არ მომხდარა. ასეთ დროს ბავშვი არ იყენებს სალიტერატურო ენას როგორც მშობლიურს. ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მიაღწევს სკოლას, სამეტყველო ჩვევების ჩამოყალიბებიდან დიდი ხნის შემდეგ, რამდენადაც მას ასწავლიან სალიტერატურო ენას. არცერთი ენა არ ჰგავს მშობლიურს, იმ ენას, რომელიც ადამიანმა აკენიდანვე შეითვისა; მას შეძლებ ათვისებულ ენებში სავსებით არავინ არის დარწმუნებული. ენობრივი „შეცდომები“ არის, უბრალოდ, დიალექტური ფორმები, გადატანილი სალიტერატურო ენაში. „ცუდი“ ინგლისური *I saw it*-ისთვის შემთხვევითი უხეში შეცდომა კი არ არის, არამედ სავსებით დადგენილი და განსაზღვრული ფორმა *I seen it*, რომელიც გამოიყენება ინგლისური ენის ამერიკულ დიალექტთა უმეტესობაში. რამდენადაც საკითხი ეხება ასაკს, *Do you want out?* („გინდა, გარეთ გახვიდე?“), სოციალურად უფრო მისაღებია, ვიღრე *Do you want to go out?* – მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი წარმოადგენს სალიტერატურო ინგლისურის ფორმას: ასაკის, ლოგიკური და ესთეტიკური ღირებულებების, ან თუნდაც თანმიმდევრულობის საკითხი ენის სისტემის შიგნით არაღირებულია. დიალექტური ფორმები სალიტერატურო ენაში არის „ცუდი“.

რადგანაც მხოლოდ მოსახლეობის ნაწილი ცხოვრობს მეტროპოლისში (როდესაც მხოლოდ ერთია, როგორც ეს არის ინგლისში) და რადგანაც იქაც კი სხვადასხვა სოციალური კლასი ნაკლებად ურთიერთობს ერთმანეთთან და რადგანაც სალიტერატურო ენა მიბმულია ლიტერატურულ ენაზე და ისწრაფვის არქაულობისაკენ (ე.ი. ბოლო თაობების ცვალებადობათა უგულებელყოფა), შედეგად კი შედარებით მცირე რაოდენობის ბავშვები ლაპარაკობებს სალიტერატურო ენაზე, როგორც თავიანთ რეალურ მშობლიურ ენაზე. თითქმის ყველას სალიტერატურო მეტყველება უზვენებს დიალექტურ შეფერილობას და არარეგულარულ გადასვლას დიალექტში.

ხანდახან დიდი დიალექტური ჯგუფი ხელახლა გადაჭარბებულ პრეტენზიებს აყენებს. ამგარად, ინგლისელი იტყვის, რომ ყველა ამერიკელი ლაპარაკობს ცუდ სალიტერატურო ინგლისურზე (ე.ი. დიალექტურად შეფერილ სალიტერატურო ენაზე), მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ბრიტანული სალიტერატურო ენა მალიან განსხვავებულია ჩვენი მშობლიური ფორმებისგან და ჩამოვაყალიბეთ ჩვენი საკუთარი სალიტერატურო ენა, რომელიც დაშორებულია აშკარად წარმოთქმით და, გარკვეულწილად, სიტყვაფორმებით და კონსტრუქციებით. სიტუაციას ისიც ართულებს, რომ ჩვენ არ გვაქვს ერთი ცენტრი ლონდონის მსგავსად. მაგრამ ლიტერატურული ენა თავისი ჩვეული ფუნქციებით ერთგვარი სახელმძღვანელო პრინციპია სალიტერატურო მეტყველებისათვის, პრაქტიკაში გამოვიმუშავეთ საკმაოდ დადგენილი ამერიკული სალიტერატურო ენა და შეგვიძლია, უმნიშვნელო დეტალების გარდა, შევთანხმდეთ, რა რა არის და რა არ არის „კარგი“ ამერიკული ინგლისური, ე.ი. სალიტერატურო ენა.

დიალექტთა შერევის გარდა სალიტერატურო ენასთან, შესაძლოა, დავამახინჯოთ რამდენადმე ეს უკანასკნელი. ათასში ერთხელ დიალექტის მატარებლებს სჩვევიათ დაკირვებული საუბარი, ე.ი. თავიანთ ლაპარაკზე წუხილი და შორს წასვლა სკოლაში ნაწავლი ფორმებით მშობლიური ფორმების ჩანაცვლება. პიროვნება, რომლის მშობლიური მეტყველება გადმოსცემს *I see: I have seen, სკოლაში I saw-*ს სწავლის შემდეგ, შეიძლება, დროდადრო შორსაც წავიდეს და *saw* ჩანაცვლოს *seen-*ს და თქვას *I have saw it, – „ჰიპერურბანული“ ფორმა.* იმის ცოდნით, რომ სალიტერატურო ენა ახლოს არის წერილობით ფორმასთან, შესაძლოა, ამ უკანასკნელმა უფრო შორსაც გაგვიკვლიოს გზა და, მაგალითად, წარმოთქვათ **t** ბგერა often-ში („ხშირად“) – „ორთოგრაფიული წარმოთქმა“ (spelling-pronunciation). ან, მეორე მხრივ, წერილობით გავრცელებული ბევრი სიტყვა იშვიათია მეტყველებაში; ერთხელ, როდესაც ველაპარაკებით მას, ვინც იცის წარმოთქმა, ჩვენ შეიძლება დავარღვიოთ მათი საწარმოთქმო ჩვევა. ხანდახან საქმაოდ იშვიათი სიტყვის სალაპარაკო ტრადიცია ამგვარად ქრება: *author, Gothic წარმოთქმოდა როგორც autor, Gotic; th* ბგერა ზეპირი ტრადიციის გაქრობის შედეგია.

ეს წვრილმანები შეიძლება დეტალურად დამუშავდეს, მაგრამ, ძირითადად, როგორც ჩანს, „ცუდი“ ენის სამეცნიერო დიაგნოზი არის: სალიტერატურო ენა დიალექტური თავისებურებებით. ამგვარად, ადგილობრივ დიალექტში ერთი მოლაპარაკე არის ისეთივე კარგი, როგორც მეორე და „შეცდომები“ და „ცუდი“ ფორმების არსებობა შეუძლებელია.

#### IV

ამგვარად, ამ საკითხის სპეციალისტთა ხედვის თანახმად, ერთგვაროვან ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა მცირე კოლექტივი და, განსაკუთრებით, უსკოლო და უმწერლობო კოლექტივი არ უნდა განასხვავებდეს „ცუდ“ და „კარგ“ ენას. როდესაც პირველად ვსწავლობდი ასეთ კოლექტივს, აღმოვაჩინე, ჩემდა ძლიერ გა-

საკვირად, რომ ეს განსხვავებები არსებობდა, თუნდაც ნაკლებად ხშირად, ვიდრე ჩვენ შორის.

უისკონსინელი მენომინი (Menomini) ინდიელები, კომპაქტურად მცხოვრები დაახლოებით 1700 ადამიანი, ლაპარაკობენ დიალექტური განსხვავებების გარეშე და არ აქვთ დამწერლობა. მოუწევდავად ამისა, მენომინი იტყვის, რომ ერთი პიროვნება ლაპარაკობს კარგად, მეორე კი – ცუდად, რომ მეტყველების ასეთი და ასეთი ფორმა არასწორია და ცუდად ჟღერს, ხოლო მეორე კი ზედმეტად ჰგავს შამანის ქადაგებას ან არქაულია („ისე, როგორც მოხუცი, მოხუცი ადამიანები ლაპარაკობდნენ“).

მათ ენასთან ჩემი მცირე ნაცნობობის გათვალისწინებით, მენომინების ამ შეფასებაში გასაოცრად დიდი დოზით შევძელი მონაწილეობა. უცხოელი, რომელიც ჩაიწერდა ინგლისურს, თთქოს უმწერლობი ენა ყოფილიყოს, შეძლებოდა მოეპოვებინა გამოთქმის რამდენიმე ფორმა, როგორებიცაა, მაგალითად,

You'd better do that „უმჯობესია, ეს გააკეთო“;  
You had better do that;  
You would better do that;  
You ought better do that.

მის წერილობით ჩანაწერს, შესაძლოა, ვერ ეჩვენებინა ამ ფორმათა მნიშვნელობებს შორის განსხვავება. მაგრამ თუ საკმარისად დიდ ხანს მოგვისმენს, და ბედი გაუმართლებს, შეიძლება ისწავლოს, რომ ნორმალური კარგი ფორმა არის პირველი; მეორე უფრო მეტად დინჯია (deliberate) და დახვეწილი (elevated); დანარჩენი ორი არაიდიომურობის, ვულგარულობის, პედანტურობის შთაბეჭდილებას გვიტოვებს, ანუ, მოკლედ, რაც თქვენ არასწორად მიგაჩნიათ. ამგვარად, მენომინი ენაზე „რაზე იცინი/რას დასცინი?“<sup>3</sup>

wä'ki' wä'h-ayä'niyan?  
wä'ki' ayäyö'sinaman?  
tā'ni' wähta'hpiyan?

პირველი ფორმა არის უწიგნური, ბავშვური, სულელური; მეორე – ნორმალურია; მესამე – ამაღლებული, პოეტური, არქაული.

ზოგიერთი ამბობს *tsi'hpìn*-ს *kī'spin*-ის „თუ“ ნაცვლად; ეს ჟღერს ისევე ცუდად, როგორც *git* და *ketch* ინგლისურში.

აյ წარდგენილია ზოგიერთი მოღაპარაკის, რომელთაც ყველაზე კარგად ვიცნობ,<sup>4</sup> ლინგვისტური პოზიციის ესკიზი:

<sup>3</sup> ინგლისური “What are you laughing at?” ქართულად „დაცინგასა“ და „სიცილს“ სხვადასხვა ზმური კონსტრუქცია შეესტყვისება (ძორვები).

<sup>4</sup> რადგანაც ზოგიერთი მათგანი ცოცხალია, წარმოვადგენ მხოლოდ მათი ინდიური სახე-ლების ინგლისურ თარგმანს.

„წითელღრუბლიანი ქალი“ (Red-Cloud-Woman),<sup>5</sup> სამოც წელს გადაშორებული ქალი, ლაპარაკობს ლამაზ და ოდიომებით უაღრესად მდიდარ მენომინის. იცის მხოლოდ რამდენიმე ინგლისური სიტყვა, მაგრამ თავისუფლად ლაპარაკობს ოჯიბვასა (Ojibwa) და პოტავატომის (Potawatomi) და, ვფიქრობ, ცოტა ვინება-გოსაც (Winnebago). ლინგვისტურად შეესაბამება უაღრესად განათლებულ ამერიკელ ქალს, რომელიც ლაპარაკობდა, ვთქვათ, საუკეთესო დახვეწილ (cultivated), იდიომებით სავსე ტიპის ინგლისურს, და კიდევ ფრანგულსა და იტალიურს.

მისი ქმარი, „იერიში მიაქვს“ (Storms-At-It), შამანი, ნახევრად პოტავატომია და ფლობს ორივე ენას. ინგლისურად სალანძღვავი სიტყვაც კი არ იცის. მენომინიზე ხშირად ხმარობს არასანქცირებულ (unapproved), მოდი, ასე ვთქვათ, არაგრამატიკულ, ფორმას, რომელიც გავრცელებულია ცუდ მოლაპარაკებში; მეორე მხრივ, მსუბუქი გაღიზიანებაც იწვევს მის დახვეწილ მეტყველებას, რომლის დროსაც იყენებს, რასაც მე ვუწოდებ ორთოგრაფიულ წარმოთქმას (spelling-pronunciation), ვრცელ რიტუალურ კომპოზიტებსა და იშვიათ (occasional) არქაიზმებთან ერთად. ის შეესაბამება, აღბათ, მღვდელს (minister), რომელიც არ ქედმაღლობს, ლაპარაკობს სასაუბრო ენაზე ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგრამ, ამავე დროს, ძალიან გონიერია და შეუძლია ქადაგება და შეგონება ყველაზე მეტად სანქცირებულ (approved) ნახევრად ბიბლიურ ენაზე.

„ახლოს დგას“ (Stands-Close), ორმოცდათს გადაცილებული კაცი, ლაპარაკობს მხოლოდ მენომინის. მისი მეტყველება, თუმცა ნაკლებად მოქნილი და უნაკლო, ვიდრე „წითელღრუბლიანი ქალისა“, სალიტერატურო ენასავითაა. მისი მეტყველება გამრავალფეროვნებულია ისეთი სიტყვებით და კონსტრუქციებით, რომლებიც არქაულად მიიჩნევა და ეჭვგარეშეა, რომ ნაწილობრივ ასეა, რადგანაც მამამისი ცნობილი იყო როგორც ძველი ტრადიციების ორაკული.

„ჩიტ-ქორი“ (Bird-Hawk), ძალიან მოხუცი კაცი, გარდაცვლილი, ლაპარაკობდა მხოლოდ მენომინის, შესაძლოა, ასევე მცირე ოჯიბვის ენაზეც. როგორც კი თავს ანებებდა ჩვეულებრივ საუბარს, ლაპარაკობდა ცუდი სინტაქსით და მწირი, ხშირად შეუფერებელი ლექსიკით, თუმცა იშვიათი არქაიზმებით.

„თეთრი ქუხილი“ (White-Thunder), დაახლოებით ორმოცი წლის კაცი, ლაპარაკობს ინგლისურად ნაკლებად, ვიდრე მენომინიზე და ეს არის ძლიერი ბრალდება, რადგანაც მისი მენომინი სასტიკია. მისი ლექსიკა მცირეა; მისი ფლექსია ხშირად ულმობელია; წინადადებებს აგებს რამდენიმე ძლიერ გაცვეთილ მოდელზე. შეიძლება თქვას, რომ ყველა ენაზე აუტანლად ლაპარაკობს. მისი შემთხვევა ფართოდ გავრცელებულია ახალგაზრდა კაცებში იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მხოლოდ „მცირე“ ინგლისურით ლაპარაკობენ, აღბათ, ზოგიერთი არაპირდაპირი გზით დამპყრობელი ენის გავლენის გამო.

<sup>5</sup> რადგანაც ინდიელ ინფორმანტთა სახელები მოცემულია მხოლოდ ინგლისურად (მენომინიზე მითითების გარეშე), ამიტომ მათი თარგმანიც მეტ-ნაკლებად მიჰყვება ინგლისურს (მთარგმნ.).

„პატარა ექიმი“ (Little-Doctor), მეტისი (half-breed), ახლახან გარდაცვლილი, სამოც წელს გადაცილებული, ლაპარაკობდა ინგლისურად მენომინის შეცდომებით, მაგრამ დიდი ლექსიკით და სინონიმების დახვავების ძლიერი გრძნობით. მენომინიშიც მისი ლექსიკა იყო უზარმაზარი; ხშირად იშვიათ სიტყვებს უხსნიდა თავის თანამოსაუბრებებს. სიტყვების სიყვარული ორივე ენაში ხანდახან შლიდა მის სინტაქსს და ორივე ენაში ჰქონდა ზედმეტად ემფატიკური დიქცია, ორთოგრაფიული წარმოთქმის ტიპისა.

„პატარა ჯერომი“ (Little-Jerome), მეტისი, ახლა ორმოცდაათს გადაშორებული, ჭეშმარიტი ორენოვნი კაცია. ლაპარაკობს როგორც ინგლისურად (რეგიონის დიალექტური ტიპი), ასევე მენომინიზე სკაბრეზული იდიომებით, რომელსაც არ კარგავს მაშინაც კი, როდესაც თარგმნის ერთი ან მეორე მიმართულებით. თვალში საცემად უპირისპირდება იმ კაცებს (ჩვეულებრივ, რამდენადმე ახალგაზრდებს), რომლებიც ლაპარაკობენ „მცირე“ ინგლისურით და, მიუხედავად ამისა, ცუდი მენომინით.

დაწვრილებით რომ გადმოვცეთ კარგი და ცუდი მენომინის მახასიათებელი ნიშნები, საჭირო იქნება გრამატიკის თითქმის ყოველი პუნქტისა და ლექსიკონის დიდი წილის ანოტირება.

კარგი მოლაპარაკების წარმოთქმაში, რა თქმა უნდა, მენომინის აქვს ტიპური დამავალი ინტონაცია (cadence) და გლაიდები. ახალგაზრდები, რომლებიც ლაპარაკობენ ინგლისურად, ხშირად იხრებიან გაინგლისურებული წარმოთქმისაკენ. ცუდად მოლაპარაკე მოხუცები აზვიადებენ კონკრეტულ გლაიდებს, გამოტოვებენ ზოგიერთ დამაგალ ინტონაციას, ერთმანეთში ურევენ მოკლე და გრძელ ხმოვანს; მეორე მხრივ, მეტისმეტად ელეგანტური მეტყველება, შამანების ან კარგად განათლებული „პატარა ექიმის“ ბაგეთაგან ამოსული, მახვილს ანაცვლებს სიტყვის ბოლოსკენ და ხმოვნებს აძლევს სრულ სიგრძეს, რომელიც კარგ, იდიომებით სავსე, მეტყველებაში არ აქვს მინიჭებული. ეს ბოლო თავისებურება ახლო ანალოგია ჩვენი „ორთოგრაფიული წარმოთქმებისა“, როგორებიცაა სრული ფორმა fore-head „შუბლი“ forrid-ისათვის და, ალბათ, ახლა უკვე საყოველთაოდ მიღებული waist-coat „უილეტი“ და seam-stress „მკერავი ქალი“ weskit-ისა და semstress-ისათვის. ოღონდ მენომინის არ აქვს დამწერლობა, ამგვარად, არ არსებობს ორთოგრაფია „ორთოგრაფიული წარმოთქმის“ ასახსნელად. ხანდახან არსებობს აშკარა ანალოგიური საფუძველი. ამგვარად, სიტყვა

ninā́tumik „მიძახის“

შეიძლება დამახინჯებული იყოს, როგორც

ninā́tōmik

ან კიდევ, როგორც

ninātṓmik;

ი არის გრძელი ხმოვანი, რომელიც მენომინიში შეესატყვისება მოკლე ხმოვან ჟ-ს. ასე რომ, ეს დამახინჯებული ფორმები, შესაძლოა, არის სხვა ფლექსი-

ური ფორმების გავლენის გამო, რომელთაც მართებულად აქვთ გრძელი ტ, რო-  
გორიცაა

nina-natṓ'mik „დამიძახებს“.

მაგრამ სხვა შემთხვევებზე ეს ახსნა, როგორც ჩანს, არ ვრცელდება მაშინ,  
როცა

atä́'himin „მარწყვი, ხენდრო“

ორთოგრაფიული წარმოთქმით არის

atä́'hēmḗ'n,

სადაც გრძელი ეს შეესატყვისება მოკლე ტ-ს.

მთლიანობაში, ეს მოვლენა იმის გამო ხდება, რომ მენომინის აქვს გრძელი  
და მოკლე ხმოვნების ცოცხალი მორფოლოგიური ალტერნაცია; ემფატიკურ ან  
რიტორიკულ მეტყველებაში გადატანილია ფორმებში, რომლებსაც ნორმალურ  
შემთხვევაში არ მიეკუთვნება.

ფლექსიაში მენომინის, სხვა ალგონკინური ენების (Algonquian languages)  
მსგავსად, აქვს მესამე პირისათვის დამატებითი ობვიატიური (obviative) ფორმა.  
ამგვარად, თუ ჩვენი ამბავი შეეხება ერთი კაცის მეორესთან შეხვედრას და აქე-  
დან გამომდინარე მოვლენებს, ჩვენი პირველი კაცი მოიხსენიება ნორმალური მე-  
სამე პირის ფორმით, ხოლო მეორე კაცი – ობვიატიური ფორმით. მენომინის  
კარგ მოლაპარაკეს არ ერთულება ისე, როგორც ჩვენ ერთადერთ ნაცვალსახელ-  
თან he „ის“. მაგრამ მენომინის ცუდი მოლაპარაკები საერთოდ ვერ ნახულობენ  
სარგებელს ამ განსხვავებით, არამედ იხლართებიან თავიანთ ორივე ფორმაში იმ-  
გვარად, როგორც ინგლისურის ცუდი მოლაპარაკე თავის ორაზროვან he-ში.

ყველაფერ ყურმოკრულს და არა მოლაპარაკის პირად გამოცდილებას, აქვს  
პრედიკატული ზრნა ან ნაწილაკი სპეციალურ ციტატიურ (quotative) ფორმაში.  
ამგვარად, ტრადიციულ ნარატივში ყველა პრედიკატი არის ამ ფორმაში, თუ ეს  
პრედიკატები არ გამოხატავენ მოქმედის რეალურ ფიქრებს ან მეტყველებებს ამ  
ამბავში ან მთხრობლის ჩართულები (parenthetical insertions); ეს გამონაკლისები,  
ნამდვილად, შესაძლებელს ხდის გრძნობისა და სტილის კარგ ელფერს. ჩვეუ-  
ლებრივ მეტყველებაში ცუდი მოლაპარაკეც კი მოიხმარს თავის ციტატივებს  
მართებულად, მაგრამ როგორც კი ხელს მოჰკიდებს უფრო გრძელ ამბავს, შეიძ-  
ლება გადავიდეს არაციტატივებში მთელი წინადადებისათვის ერთიანად, რაც  
შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს მთხრობელი იქ იყო, როცა ამბავი მოხდა.

„მედიცინა-კაცის“ (medicine-man) ენის ბევრი არქაზმი არის უხეირო, დამა-  
ზინჯებები ოჯიბვას ან ტრიბალიანის (Triballian) მიმართულებით. სხვები არის  
ნამდვილი, როგორც ამას მონათესავე ენებთან შედარება გვიჩვენებს. კიდევ სხვგ-  
ბი პარაფრაზს (circumlocution) წარმოადგენს. ეჭვგარეშეა, ამის საწყისია ისეთი  
შემთხვევები, როდესაც ჩვეულებრივი სიტყვა ტაბუდადებული იყო რიტუალის  
დროს. ალგონკინური სიტყვა „დათვი“ დაიკარგა მენომინიში და ჩანაცვლდა  
სიტყვით, რომელიც ნიშნავს „პატარა ცხოველს“; რიტუალში სხვა ტერმინები

გამოიყენება, ისეთები, როგორებცაა: „ჭიანჭველას-მჭამელი“, „კენკრის-მოსავალი“, „დღუჩხა“ (Bruin). მაგრამ ეს ჩვევა გავრცელდა ტაბუდაუდებელ სიტყვებზეც; შამანი იყენებს გრძელ კომპოზიტებს ან დერივატებს, როგორებიცაა: „ვრცელი ქალი“ ან „ბებია-განვრცობა“ „დედამიწის“ ნაცვლად, „მდგომარე-კაცი“ „ხეებისა“ ან „მარადიული კაცი“ „ქვების“ აღსანიშნავად.

## V

უსარგებლო იქნება კარგი და ცუდი მენომინის კრიტერიუმების მოქმენა ალტერნატიულ ფორმათა დადგენით ენის ზოგად სისტემასთან შეთავსების მიხედვით, რადგანაც მენომინი, ინგლისურის მსგავსად, არარეგულარულობას შეიცავს. ხშირად არარეგულარული ფორმებია მართებული ფორმები, როგორც, უბრალოდ, ინგლისურში You had better do it „აჯობებდა, ეს გაგეკეთებინათ“ უპირატესობას ანიჭებენ და არა You ought better (to) do it-ს, თუმცა ეს უკანასკნელი შეესაბამება ჩვენი სინტაქსის ზოგად ფორმებს. ამის მსგავსად, forrid-ს „შუბლი“ უპირატესობას ანიჭებენ ლოგიკურად უფრო ახსნად fore-head-თან შედარებით; მეორე მხრივ, არარეგულარული ფორმა შეიძლება ნაკლებად მისაღები იყოს, ვიდრე რეგულარული: I dove „ჩავვინთუ/ვყვინთავდი“ არ არის ისეთი კარგი, როგორიც I dived, I ain't არ არის ისეთი კარგი, როგორიც I'm not „მე არ“. მენომინიზე კარგი მოლაპარაკე „მედიცინა-კაცზე“ ოტყვის

### maskīhkī́'wineniw

ეს არის ფორმა, რომელსაც აქვს აქცენტი მარცვალზე, რომელიც თითქმის ყველა სიტყვაში მახვილს მოკლებული იქნება და რომელსაც ხმოვანი უმოკლდება ბოლო ელემენტზე; მიუხედავად ამისა, მხოლოდ ცუდი მოლაპარაკე მოიხმარს სიტყვა „მედიცინისა“ და „კაცის“ ლოგიკურ კომბინაციას და იტყვის საშინლად ჟღერად სიტყვას

### maskī́hkiw-inä́'niw

ამგვარად, ყველაზე მეტად მიახლოებული მიღვომა „კარგი“ და „ცუდი“ ენის ასახსნელად, როგორც ჩანს, არის ის, რომ აშკარა უპირატესობების თავმოყრით როგორც ხასიათის, ასევე რეპუტაციის, აგრეთვე ენის, ზოგიერთი პიროვნება ქცევისა და მეტყველების თვალსაზრისით სანიმუშო ადამიანებად აღიქმებიან, ვიდრე სხვები. მაშასადამე, მაშინაც კი, როდესაც უპირატესობა აშკარა არ არის, ფორმები, რომლებსაც ეს პიროვნებები იყენებენ, უკეთესი ელფერი აქვთ. ეს შეიძლება იყოს ზოგადი ადამიანური მოვლენა, ჭეშმარიტი ყველა ჯგუფისათვის და შესაფერისი ყველა ენისათვის, სალიტერატურო და ლიტერატურული ენის ფაქტორი დიალექტთან შეპირისპირებით შეიძლება დამატებითი/მეორეული ფაქტორი იყოს.

თარგმნა ზურაბ ბარათაშვილის  
თარგმანი იგუშება თინათინ ბოლქვაძის რედაქციით

## რეცეზიები

**ზორა ტუდუში, გურული ლექსიკონი, რედაქტორი მარინე ივანიშვილი,  
გამომცემლობა „ნეკური“, თბილისი, 2022, 288 გვ.**

საზოგადოდ, ნებისმიერი ენობრივი სისტემა ცოცხლობს მრავალფეროვან სა-  
მეტყველო ფორმებში და სწორედ მათი არსებობა განაპირობებს სისტემის სი-  
ცოცხლისუნარიანობას. დიალექტი, როგორც სპეციფიკური სამეტყველო ნორმე-  
ბით შემოფარგლული, ტერიტორიულად განსაზღვრულ სოციუმში რეალიზებული  
სისტემა, ამდიდრებს ენას, ავსებს იმ სიცარიელეს და აღნიშნავს ისეთ კონ-  
ცეპტს, რომლისთვისაც საერთო სალიტერატურო, სტანდარტულ ენაში შესაძლე-  
ბელია შესაბამისი ფორმა არც არსებობდეს. ენაც, როგორც თავისთავადი ორგა-  
ნიზმი, „უფრო ნათლად წარმოჩნდება მაშინ, როდესაც ენის იდეა დანახული იქ-  
ნის მრავალფეროვან ინდივიდუალურ ფორმაში გატარებული“ (ვ. ფონ პუბლი-  
ლტი). ამდენად, გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველი დიალექტის  
დოკუმენტირებასა და შესწავლას. ეს მეტად შრომატევადი და ფაქტი პროცესია  
და როგორც აპაკი შანისე აღნიშნავს: „...მართადი მოთხოვნილება დააღუქტური  
მასალების შეკრებისა ისაა, რომ ჩაწერილ იქნეს ყველაფერი ისე, როგორც არის  
ნაძღვილად, და იმდენად შესაკრები მასალის რაოდენობას კი არ გამოვეკიდოთ,  
რამდენადაც ხარისხს. ხჯობს შეკროვდეს ცოტა, მაგრამ სანდო და ზუსტი, კიდ-  
რე ბევრი და ცუდი“.

ქალბატონი ზორა ტუდუში, აცნობიერებს რა ნებისმიერი დიალექტის უნიკა-  
ლურობასა და როლს სტანდარტული ენის ფუნქციონირებაში, ზუსტად იცავს ამ  
მითითებებს. ის მოთმინებითა და სიყვარულით აგროვებს გურულ დიალექტურ  
მასალას, რომელსაც 45 წლის განმავლობაში იწერდა, ამოწმებდა და აზუსტებდა  
ლანჩხუთის რაიონის სოფლებში. მასალის წყაროები მრავალფეროვანია:

1. **უშუალოდ მთქმელებისგან მოპოვებული მასალა. ლექსიკონის შემდგენელი  
ინფორმატორთაგან განსაკუთრებული მაღლიერებით მოიხსენიებს არჩეულელ ფა-  
ცია სალუქამესა და ვანო ტუდუშს. შრომის ავტორის თქმით, მათი გამორჩეუ-  
ლი ენობრივი ალლოსა და გურული ლექსიკისადმი ტრაფიალის წყალობით მოპო-  
ვებულ იქნა უნიკალური ლექსიკური მასალა. „გურული ლექსიკონი“, როგორც  
ავტორი აღნიშნავს, მათი ნათელი მოსაგონარიცაა.**

2. **დიალექტოლოგიური ხასიათის საარქივო მასალა, დაცული მუზეუმებსა  
თუ ინსტიტუციებში: ეგნატე ნინოშვილის მუზეუმი, ლანჩხუთის მხარეთმცოდნეო-  
ბის მუზეუმი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგ-  
რაფიის ინსტიტუტის ფონდი შ1,38 და არქივი-143, საქართველოს ეთნოგრაფიუ-  
ლი მემკვიდრეობის დაცვის ფონდი.**

**3. სხვადასხვაგვარი ტექსტებიდან ამოკრებილი დიალექტოლოგიური მასალა:** ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებები, იოსებ მეგრელიძის ჩანაწერები, უურნალ „მოგზაურში“ დაბეჭდილი პ. გვარამაძის სტატიები, აპ. წულაძის მონოგრაფია „ეთნოგრაფიული გურია“ და მრავალი სხვ.

ამ ტექსტებისა და, ზოგადად, გურული დიალექტის გავრცელების, კილოების და შესწავლის ისტორიის შესახებ დაწყვილებით ინფორმაციას შეიძლება გავეცნოთ ლექსიკონის წინასიტყვაობაში, სადაც ავტორი შესაშური გულმოდგინებით, გამოწვლილვით მიმოიხილავს გურულ დიალექტთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს.

ქალბატონი ზორა ტუღუში ლექსიკონის წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „ბედა იხე ინება, ჩემი ნამუშავევი მიმეძღვნა საქართველოს უმშვენიერების კუთხის – გურიის ფერმენტის ძეგას, მას მეტყველების თავისებურებების, ლექსიკის სიმძიდრის, ფოლკლორისა თუ ეთნოგრაფიის საინტერესო მასალების გამოვლენას“ (გვ. 10).

შეიძლება ითქვას, რომ მან წარმატებულად გამოიყენა ბედით მონიშებული ეს შესაძლებლობა და თავდადებული შრომით თავი მოუყარა 5000-ზე მეტ ერთეულს, რომელთა ძირითადი ნაწილი არის ახალი ლექსიკური ერთეულები; გარდა ამისა, ზოგ შემთხვევაში დაზუსტებულია უკვე დაფიქსირებული სიტყვის მნიშვნელობა: (1) ახალ მასალაში, გურული დიალექტის არსებული ლექსიკონების სათანადო მასალასთან შედარებისას (იგულისხმება ს. უღენტის, გ. შარაშიძის, ალ. ღლონტის, პ. ჯაჯანიძის და სხვათა ლექსიკონები) დადასტურდა სიტყვის განსხვავებული მნიშვნელობა; (2) გამოვლინდა ნიუანსობრივი სხვაობა; და/ან (3) დამატებითი მნიშვნელობები.

ავტორი მოკრძალებულად შენიშნავს: „მთელი ეს მასალა მოცემულია წინამდებარე ლექსიკონში, რომელსაც, რა თქმა უნდა, სისრულის პრეტენზია არ გააჩნია. ის წარმოადგენს მხოლოდ შევსებულ წინამორბედ მასალას მომავალში შესაღენი კრცელი გურული ლექსიკონისა“ (გვ. 11).

ამ ღირებული საქმის რეალიზაცია განსაზღვრა უნივერსიტეტში მიღებულმა განათლებამ: 1998 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტში შედგა მისი ნაშრომის – „გურული დარგობრივი ლექსიკის სემანტიკური და ლერიტურულ-კომპოზიციური ანალიზი“ – დაცვა (ხელმძღვანელი არამ მარტიროსოვი).

ასე რომ, ნებისმიერი საქმის წარმატების სამი ძირითადი პირობა: პროფესიონალიზმი, შრომისმოყვარეობა და საქმისაღმი ერთგულება, ქალბატონ ზორას შემთხვევაში, სრულად დაკმაყოფილებულია, რამაც განაპირობა მნიშვნელოვანი ნაშრომის შექმნა.

ეს მცირე ინფორმაცია ქალბატონი ზორა ტუღუშის „გურული ლექსიკონის“ შესახებ გვსურს დავასრულოთ მისივე სიტყვებით:

„ჩემი თვალსაწიერი გურიიდან იწყება და გურიას დასტრიალებს თვეს. მედია, ათეულობით წლების განმავლობაში ჩემ მიერ მოპოვებული გურული და-

ლექტის მასალა თავის ადგილს დაიმკვიდრებს მომავალში დასტამბულ ვრცელ გურულ ლექსიკონში და გარკვეულ დახმარებას გუწევს ყოველ იმ პირს, ვისაც ათბერულებს გურული მეტყველების, მისი ლექსიკის შესწავლა“ (გვ. 11).

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამ სიტყვებს და ქართულ საზოგადოებას უნდა მივულოცოთ ამ მართლაცდა გონიერამანვილური და სპეციფიკური კონცეპტუალური მარგალიტების კონის – „გურული ლექსიკონის“ – გამოცემა, რაც კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს თანამედროვე პირობებში, რამდენადაც გლობალიზაციის მიმდინარე პროცესში გარკვეული საფრთხე ჩნდება დიალექტებისა თუ ნაკლებად გავრცელებული ენების გაქრობისა. ამ კონტექსტში ზორა ტულუშის „გურული ლექსიკონის“ გამოცემა უდავოდ მისასალმებელია და მნიშვნელოვანი შენაძენია ყველა ქართველისა თუ ქართულით დაინტერესებული პირისთვის.

რუსულან ასათიანი  
ეთერ სოხუმია

## გივი დოლიძე – 100

გივი დოლიძე დაიბადა 1920 წლის 8 დეკემბერს თბილისში, გიორგი დოლიძისა და თამარ (ჩიტო) ურუშაძის ოჯახში. მისი მშობლები იმდროინდელი ქართული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ. მათი ერთადერთი ვაჟი გივი 1927 წელს შეიყვანეს თბილისის პირველ საშუალო სკოლაში. 1939 წელს მან დაამთავრა თბილისის მე-18 საშუალო სკოლა. მისი მშობლები რეპრესირებული დიდი ქართველი პოეტის, ტიციან ტაბაძის, ოჯახის ახლობლები იყვნენ. ტიციანის ქალიშვილი ნიტა ბავშვობიდან მეგობრობდა ბატონ გივისთან. ასევე სიყრმის წლებიდან შემორჩა მას უახლოესი მეგობრები: ოთარ ჯაფარიძე, მანოშვა მირიანაშვილი, შემდგომ რეზო თაბუკაშვილი, მედეა ჯაფარიძე, თამაზ გამყრელიძე და სხვები.

სკოლის დამთავრების შემდეგ გივი დოლიძემ ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოლოგის ფაკულტეტზე. უმაღლესი განათლება მან მიიღო ენათმეცნიერების განხრით. როგორც ასპირანტმა, სამეცნიერო კვლევა განაგრძო მოსკოვში და შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, ექსპერიმენტული ფონეტიკის პრობლემებზე.

1947 წელს ბატონი გივი დაქორწინდა. მისი მეუღლე იყო ცნობილი კომპოზიტორი მერი დავითაშვილი. 1948 წელს მათ შეეძინათ ვაჟი – მამუკა. იმ პერიოდში საქართველოს მთანეთში ბატონი გივი აგროვებდა და იკვლევდა ხალხში მარგალიტებივით გაბრულ ხატოვან სიტყვა-თქმებს. შეიქმნა მეტად საინტერესო მონოგრაფია „ხევსურული ტექსტები“. მისი დიდი მასწავლებლები, ქართული ენათმეცნიერების კლასიკოსები – გიორგი ახვლევიანი და აკაკი შანიძე სათანადოდ აფასებდნენ ნიჭიერი მოწაფის სამეცნიერო მოღვაწეობას..

დროის იმავე მონაკვეთს ეკუთვნის მისი შესანიშნავი თარგმანები: ტურგევის „მამები და შვილები“ და გონჩაროვის „ხრამი“. ტურგენევის თარგმანი 2018 წელს მეორედ, ხოლო 2019 წელს მესამედ იქნა გამოცემული (გამომცემლობა „პალიტრა“). მიუხედავად ბატონი გივის მოღვაწეობის ფართო არეალისა, ის, უპირველესად, ფონეტიკოსი – ექსპერიმენტატორი იყო. მოღვაწეობის ფართო არეალში იგულისხმება ის სამეცნიერო შრომები, რომლებიც ეხება სტილისტიკისა თუ ზოგადენათმეცნიერულ საკითხებს, და, რაღა თქმა უნდა, დიალექტოლოგიური მასალები და ბრწყინვალე თარგმანები.

1954 წელს გივი დოლიძე წარმატებით იცავს დისერტაციას თემაზე „ქართული ენის თანხმოვნები“, რომელიც არის ექსპერიმენტული გამოკვლევა და მიღებული დასკვნები მნიშვნელოვანია არა მარტო ქართველოლოგისათვის, არამედ ზოგადი ფონეტიკის თვალსაზრისითაც. ეს ნაშრომი შესრულებულია კვლევის

სომატური (რენტგენოგრაფია, პალატოგრაფია, ფარინგოსკოპია, ლარინგოსკოპია) და პნევმოგრაფიული მეთოდების გამოყენებით, რაც საშუალებას აძლევს ავტორს, მიიღოს სანდო და ობიექტური შედეგები.

1950-იან 60-იან წლებში გივი დოლიძე ასევე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას პუშკინის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში (ახლანდელი „ილიას უნივერსიტეტი“), იყო ამ უმაღლესი დაწესებულების პროფესიონი.

იმ ხანად არაერთი კეთილი მოგონება არსებობდა გივი დოლიძის შესახებ. იგი სარგებლობდა გამორჩეული სიყვარულით, ადამიანური ღირსებითა და პატივისცემით როგორც სტუდენტებს, ასევე კოლეგებს შორის. ბევრს ზრუნავდა გაჭირვებულთა დახმარებაზე. იყო შემთხვევა, როცა ბატონი გივი უსახსრო სტუდენტს უჩუმრად უხდიდა სტიპენდიას საკუთარი ხელფასიდან.

1961 წლიდან გარდაცვალებამდე გივი დოლიძე იყო უმაღლესი განათლების მინისტრის მოადგილე. მიუხედავად ამ როტული და საპასუხისმგებლო სამსახურისა, ბატონი გივი ყურადღებას არ აკლებდა მშობლიურ უნივერსიტეტს, იმ სამეცნიერო კერას, სადაც ჩამოყალიბდა როგორც მეცნიერი და როგორც პიროვნება. გივი დოლიძე რეალურ დახმარებას უწევდა ექსპერიმენტული ფონეტიკის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიას, რომელიც უნივერსიტეტში 1961 წელს გაიხსნა და შემდგომ განვითარდა როგორც საერთაშორისო სამეცნიერო კვლევის ცენტრი. ამ ლაბორატორიას ბატონი გივი ხელმძღვანელობდა 1968-1973 წლებში.

სამშობლოს სიყვარული და ეროვნულ ფასეულობათა დაცვა მისი უპირველესი საზრუნავი იყო. მოხდა ისე, რომ ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული განცოფილება დახურეს. ბატონი გივი მაშინვე იქ გაჩნდა და ქართული ენის სწავლება აღადგინა. მსგავს სიძნელეთა გადალახვა მოუწია მას სოხუმშიც. ეროვნულ საქმეს ის აკეთებდა ჩუმად, ყოველგვარი ხმაურისა და თავის გამოჩენის გარეშე.

ბევრი რამ არის მოსაგონარი ამ საოცრად თბილი და ღირსებით სავსე ადამიანის შესახებ. ყველა, ვინც მას იცნობდა, მის ახლო მეგობრად თვლიდა თავს. სხვანაირი ურთიერთობა ბატონ გივისთან შეუძლებელი იყო. მოყვასის სიყვარული, გულისხმიერება, თანაგრძნობა, ეროვნული საქმის კეთება... ეს ყოველივე ქმნიდა მისი ცხოვრების აზრს.

ნაწყვეტი გივი დოლიძის მეგობრის, ბატონი კარლო გოგსაძის წერილიდან: „გივი დოლიძე იმ ადამიანებს განეკუთვნებოდა, რომელიც დღისით, მზისით სანთლით საძებარნი არიან. მასში სანიმუშოდ თანაარსებობდა ღვთიურს ზიარებული მიწიერება და ცხოვრების ბოჭემური წესი, რაც სიყვარულისა და სიკეთის გამოხატვის საშუალება იყო და არა მოდა, არა თვითმიზანი. იცხოვრა, იარა ამ ქვეყნად ისე, რომ ყველა ადამიანში ხედავდა თავის სხვას. თავდაუზოგავად, უანგაროდ ხარჯა გულის სითბო და პიროვნული ენერგია, სანამ ეყო – ეყო კი სულ 53 წელიწადს. უხვად გასცა ყველაფერი, რაც განგებამ უბომა“.

გივი დოლიძე უეცრად გარდაიცვალა 1973 წელს.

გამომცემლობის რედაქტორები:  
გარეკანის დიზაინერი  
დამკაბადონებელი  
გამოცემის მენეჯერი

თამარ გაბელაია  
ნანა კაჭაბავა  
მარიამ ებრალიძე  
ლალი კურდღელაშვილი  
მარიკა ერქომაიშვილი

TSU Press Editors:  
  
Cover Designer  
Typesetter  
Edition Manager

**Tamar Gabelaia**  
**Nana Katchabava**  
**Mariam Ebralidze**  
**Lali Kurdghelashvili**  
**Marika Erkomaishvili**

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1  
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179  
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279  
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>

